

ISSN 0132-6023



האנטיסמי

7

1979



სესია

266

გაომცემის ოცდამეხარტა წალი

7

ი ვ ლ ი ს ი

1979

თბილისი

საბ. კვ. ცკ-ის გაომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუხრნალი

საქართველოს ალკა ენსტრალური კომიტატისა და ვწარალთა კავშირის ორგანო

74.900.000

შ ი ნ ე ა რ ს ი



კროზა და კოეზია

- 3. ჯანსუღ ჩარკვიანი — წიგნიდან — „მართლმადიდებლის უღელი“, ლექსები
- 8. ოტიან იოსელიანი — არვის ხიზანი. სვანური ნოველა
- 15. გისიკ ხარაწული — ლექსები
- 21. გივი მალულაბია — ლექსები. მოთხრობა
- 36. ვახტანგ ძნელაძე — ლექსები
- 38. მინერი კოპიძე — მოთხრობები
- 49. თაიშურაზ ლანაშა — ცხვარი. მოთხრობა
- 53. ზაურ კალანდია — სხვა სსსკელი... მოთხრობა
- 64. მამუკა დოლიძე — ფერიცვალება. მოთხრობა
- 71. ელიზბარ შვილაძე — განმეფების ბუზანი. ღისას-რული

ახალი სახელები

- 95. მირაზ მებრეველი — ლექსები
- 98. შარვაშიძე ძალაძე — ლექსები
- 100. მარინე ნიუარი — მოთხრობები

განხილვა

- 104. 22 წლის კოეზი 60 წელი შემსრულდა
- 105. გიორგი ნაფთხაძე — ლექსები
- 107. ვახტანგ ბერიძე — აღმასწავლებელი ჯანსუღიძე

კრიტიკა, კომპლემენტები

- 110. გურამ ბათიაშვილი — გააბაბეძის საბა
- 116. მურმან ჯგერაძე — მოკლე სიტყვა ელგუჯა მალაქაძის
- 118. ავთანდილ არაგული — „გიტყვი, რასაც ვეუბრება და რაც შელანდება“
- 122. ირაკლი კანოშვილი — ორიგინალური საზღვრების გამო
- 125. ნიკო მუგოშვილი — „მეფისტანის“ ერთი საღამო-ტროფის გამო
- 127. ჯარჯი შოთაძე — „შანი კითხულისა“
- 130. მელა სურგულაძე — ზეპირი „THE GEORGIAN MESSENGER“ ჟურნალის კალტურის შესახებ

ხელმოწერა

- 138. ეშვარ კვიციანი — საკუთარი ძალიან რწმენა
- 141. იოსებ მამია — მთები და აღმოსავლები
- 143. ცინიან ქუნიანი — შემსახირი ჟურნალ თეატრალურ მხატვრობაში

პირველი შთაბეჭდილება

- 150. გიორგი მამუკაძე — ბედნიერი თანამშრომლობა ბიჭო მელიძე — ახალი ნაშრომი ტოპონომიკაში
- 151. ანტონ რევაძე — კრიტიკოსის ახალი წიგნი
- 152. ვაჟა მელაძე — „რა იმთხუა გემოდან აქანსი...“
- 154. დავით მელიქიძე — მოგონება მირის ფიტულა

სკორტი

- 156. დავით მელიძე — სეპარულით ნაგები ციხე-კოშკი
- 159. კალტურული ცნობების მონიშვნა

მთავარი რედაქტორი მირიან ფოცხველი

სარედაქციო კოლეგია:

- ვახუშტი ანთონიძე,
- გურამ გვირგვინიძე,
- გივი გუგუშვილი,
- რინოზ გომეზიანი,
- გიორგი გუგუშვილი,
- ნოდარ დუმბაძე,
- მირაზ ელიშვილი,
- ელეონორ მენაბდე,
- იოსებ ორბელიანი,
- ოტიან კაკაბაძე
(მთ. რედაქტორის მოადგილე),
- გურამ შანგიანი,
- ნუგზარ შატაბია,
- ჯანსუღ ჩარკვიანი,
- გივი ძნელაძე,
- ნუგზარ წერეთელი,
- თამაზ წიგნისაძე,
- ბარბილე ჯანაშიანი,
- რეზო პაიჭვილი.



განსულ ჩარკვიანი

ფიგნიდან — „ერთგულების უღელი“

ვიზრაცია

მე მივატოვე ქალაქი,
 ფილაქანების ჯიბრზე მივატოვე,
 ასფალტის ჯიბრზე...
 მხარი გაგვარი გაზეთების კიოსკებს,
 ჟურნალისტთა ტყუილს და მართალს,
 პაპიროსივით გაწყობილ ქუჩებს,
 მტირალა ნიღბებს,
 ძალადობას,
 რკინის ღობეებს,
 ერთმანეთში ბიჭების კოცნას,
 გაჭედულ ლიფტებს...
 სუყველაფერს მხარი გაგვარი,
 როგორც გოგონას რუსთაველზე
 ბავშვობისას
 და დავეშვი სოფლისაკენ —
 ლამაზ ჯრჯრესეთში...


საკუთარ ჩრდილებს იჩრდილებენ ხეები,
 საკუთარს სთესავენ ხნულში,
 საკუთართან მიდიან
 და საკუთარს ელოდებიან...
 გაუმარჯოს ტალახს, —
 აყალო ტალახს
 „აზიაცკები“ გაუხდია ერთი კაცისთვის.
 დაღუპულია ადამიანი
 თუ არსად გარბის...
 უმანკოებო, ჯვარს უნდა ვცვათ,
 ისინი აქეთ გამორბიან,
 მე ქარში, იქეთ,
 უმანკოებო, გაუმარჯოს ფუნიკულიორს.
 მშვიდობით ყაჩაღებო,
 იქ გელოდებით, მზეში, ტალახში!

ს ი ტ ყ ვ ა

გრ. აბაშიძეს

არ ყველა კაცი, არ ყველა სიტყვა,
 არ ყველა დროში ეთქმის ტიტანად...
 როგორ ითქვა და ვისაგან ითქვა,
 თუ ითქვა, იმ თქმამ რა მოიტანა.
 რა ადვილია შორიდან მზერა —
 როცა ცხრა კაცში დიდებას ეძებ,
 ჭურისთავეებზე აყალს ზელა
 და მჭიდის ცემა ჩავარდნილ მკერდზე.

და რა ძნელია ჭეშმარიტება
 სიტყვა და ფეხებზე გვეკიდოს ტაში,
 და იგი, რაიც დღეს არ ითქმება —
 იცოდე, რომ ხვალ გრიგალი წაშლის.
 დიახ, შენ ბრძანე სიტყვა კაცური,
 სიტყვა პოეტის, სიტყვა მორწმუნის,
 ამ დროს, მავანი მთლად დაქანცულნი
 თბილ სავარძლებში ისხდნენ მორჭმულნი.



დიას, შენ ბრძანე სიტყვა რაინდის,
რაიც მიწამდა და რასაც ველოდი,
თავი მოგწონდა არარაითი —
მხოლოდ და მხოლოდ საქართველოთი.

დიას, შენ ბრძანე სიტყვა მარადი,
ილიას სიტყვა, სიტყვა საბაჰი
და ალგეთიდან დარიალამდი —
ხმლით არაგველი იდგა სამასი.

სიზმრად სიკეთე

— სამაურიც ცხოვრება,
მეც ვამბობ, სამაურიც,
იმ გენიოსთა ცხოვრებამ —
სხვას სხვანაირი სწყურია.

მიმაბარებდე ულოცველს,
ვრჩებოდეთ მარად უბრებად.
იმის უფლებას ნუ მომცემ,
გთხოვო უფლების უფლება.

ბაღს და შადრევანს არ ვჩივი,
არც მამულები მქონოდეს,
რაცაა ჩემი არჩივი,
შემერგებოდეს ბოლომდე.

ლამაზი, როგორც კიკეთი,
ველზე ასხმული მიივებად,
დამესიზმრება სიკეთე,
ავდგები, გამეცინება.

სიზმარულის ასაკი

მესიზმრებიან ძველი სიზმრები,
მღვეს სიცივეში ხმა ბუნდოვანი
და ყვავილებში ერთადერთი
ხე ილანდება; შემდეგ, ქრება და
იქცევა ღრუბლად,
ღრუბლიდან ფეხშიშველა
გოგონები გადმოდინან,
უდაბნოში, ოქროს ქვიშაზე
თესენ ვარსკვლავებს.

ბ რ ე ნ ა დ ა

თამრიკო გვერდწითელს, მათა ჯაბუას, მოსკოვში
— ილიას საიუბილეო საღამოზე.

მალა მთაზე შემოვდგები,
თარიგონის გულა მთას,
არა, ისე ვერ მოვკვდები,
ჩემი სიტყვა უნდა ვთქვა.

მუსროვანთა გარსევანო,
გულზე თორნი გაცვდება,
ამოგცალეს, აღზევანო,
უმარილო კაცებმა.

იქით, გავალ დედა-მოკას,
აქეთ, ველზე ბარათას,
არა, ისე მე რა მომკლავს,
ჩემი სიტყვა არა ვთქვა.

იქ, პაატას სამარეა —
ვისი სისხლიც მემართა,
შოთაა და თამარია —
ტირილადაც, მღერადაც.

ხართ რაის ბღავილი გკლავს.
რა მიწას ჩხვერ რქებითა,
ვაი, ჩემო ბაზილიკავ
რა ნელინელ ვქრებითა.

მაგრამ მაინც მთავარია,
იმ მთავარზე ბევრადა,
შეიფარე, ლამარია,
უბედური გრენადა.



ლაპარაკობდა ლამაზი ქალი,
გულზე ებნია
ვეებურთელა კამეა —
სანდრო ბოტიჩელის ვენერა...

არაფრის გამო სთქვა:
სიბრძნე — ადამიანის
ერთადერთი მარადიული
საკუთრებააო და
მოკვდა სიცილით...

დაუფარელი კანონი...

წელში მოხრილი და ერთგული მისვალ თემშარას,
ერთ მთას აივლი, მეორესაც, დაჰხედ მესამეს,
მაგრამ მეცხრეზეც, უნებლიედ თუ შეგეშალა,
მორჩა, გათავდა, სუყველა მთას გამოესალმე.

იქნებ იყოს მეტი ნიჭი,
მეტი მიგნება,
დაიბადოს ვინმე ბიჭი,
დაშვრეს წიგნებად.
მის წინ დიდი ერის ჯაქ
დადგეს რიგებად,

შეებრძოლოს ბოროტებას
შეურიგებლად.
რასაც ვამბობ, არქვი შური
და განქიქება —
ის, რაც იყო, არასოდეს
ალარ იქნება.

კაცთა საწყენად...

— ერთმა ახალგაზრდამ
გუშინწინ, დამით,
მეგობარს გული
გაუპო დანით.
იმ საცოდავმა
ბევრი იწვალა,
მერე უპატრონოდ
გარდაიკვალა.
— კაცთა საწყენად მოიგონეს ესე ამბავი...

როგორ მოუკლავს.
— კაცთა საწყენად მოიგონეს ესე ამბავი...

— მამამ გალახა
შვილი სახრითა,
მერე გააგდო
თურმე სახლიდან.
მეზობლის ქალი
ჩემს დას მოუყვა,
გაგდებულს თავი

— ცხრა ძმის ქურაზე
ვილაც გეურქას
საკუთარი დაი შეურთავს.
სელისმომკიდეს დაუდგია
გვირგვინი ეკლის,
ბავშვის მაგიერ
შესძენიათ წითელი ლეკვი.
— კაცთა საწყენად მოიგონეს ესე ამბავი...

სოლო ღრუბლიდან
იმზირება მკაცრად სამება,
და სანთელს ანთებს,
სანთელს ანთებს კაცთ საამებლად.

დათო ჯავახიშვილს

სავსებით არა,
მაგრამ მაინც ვმეორდებით,
შიშის დათრგუნვაა
ყველაზე დიდი ნიჭი კაცისა.

ინოლა გურგულიას.

აჰა, გარდემომხსნებს,
ფერმიხდილი, თავისუფალი,
თავს მოწყენილი ყვაფი დამჩხავის.

ს ი ზ მ ა რ ი

თამუნიას

მე ვიგონებ ოცდარგას —
მობეზრებულ სტროფივით,
ზედ ჭალზე შემომჯდარა
შადიმანის პროფილი.

არცა დაფნა, არცა მზე,
არცა დობილ-ძმობილი,
და ყვიდა ბაწარზე
შადიმანის პროფილი.

გამჭოლავი, სცენაზე
იღგა ქარი ორპირი...
ჭგავდა მშვიდ ზღვას, შემაზრზენს,
შადიმანის პროფილი.

გაერხირა ვენაში
მოფარფატე მორფინისტს...
ადამშიც და ეგაშიც
შადიმანის პროფილი,

ვით ბატკანი საღვთო და
სევდა პირველყოფილი,
სარკებში დახტოდა
შადიმანის პროფილი.

და შენ, ჩემო ძვირფასო,
მუხასავით მოფრინდი,
მოფრინდი და ვის ახსოვს
შადიმანის პროფილი.

ბალადა ტირანზე

სიჩუმე უხმობს სოფელს,
სოფელს ცხენისწყლის პირას,
ყოფნა? არ ყოფნა? ყოფნა!
ვაშა, უმადლეს ტირანს,

ვაშა, სიცოცხლის ტირანს,
დადის ღიმილის აბით,
უცებ წაიყვანს მტირალს,
შემოსაღს ღურჯი კაბით.

შვისფერ ნაწნავენს მისცემს,
ყელს დაუმშვენებს მძივით,
შეუკოწიწებს ფიცრებს
ჩამავალი მზის სხივით.

რამდენიც უნდა ხოცოს,
ღიმილითა და კდემით,
მე იმ ტირანით ვცოცხლობ,
რადგან სიცილით ვკვდები.

მივიღე შენი
ბარათი ქების,
ვიგრძენ მოწოლა
უხეში რქების.

მჯდომარეს ცხენზე,
და არა ვირზე.

ვიგრძენ, რომ ქვეყნად
ვიდაცა მიმზერს .

დავწექ, მესიზმრა,
რომ მტერი ვხოცე,
ავდექ და
შენი გამზრდელი ვლოცე.

საქმიანი საზღვარი

ზარი მიხმობს უდაბნოდან,
სწორედ იქით წასვლა მინდა,
მივყარე ხურდა ხურდებს,
შარბათს მივალ სამაალიდან,
ვევითხები: — თუ დაბრუნდნენ?
მპასუხოვნ: — არსაიდან.

სიყრმის ვეპოპართა გახსენება

გულდა კალაძე, კარლო გაბუნია

შენ შემწირველი გასურდა
და სიზმარივით ახდა —
პირველი იყო გულდა,
მეორე კარლო გახლდათ.

ნეტა მე ვიყო ღირსი,
მოგათავებდი ბარემ.

შორეულ ჩნდები ისევ,
ფერმკრთალი, როგორც მთვარე,

ნეტავ მესამე, ნეტავ...
მომცემდე შორით პასუხს,
ჩვენ ვიქნებოდით კენტად —
გულდა, კარლო და ჯანსუღ.





ობია იოსელიანი

პრეზს ხიზანი

სანური ნოველა

ფოთრი დაბადებისთანავე დაობლდა. თბლობაცაა და თბლობაც: მამა მყვირალობისას ჯიხეთა ჭიდილს გადაურჩა. შუნების ჯოგი დაისაკუთრა, გაიზამთრა (სუსხიანი, უსაშველო ზამთარი დადგა იმ წელს), გაზაფხულზე ნაღველი ჩაეჭვა და მოკვდა. ბედი არ გინდა? დედა მონადირეებმა მოსტაცეს (დედას, მგონი, სიმარდე და მოქნილობა აკლდა, რაკი ყველამ თავს უშველა და ეს საცოდავი, თვალატირებელი ფური კი გაება).

მულ, მუხლგაუმეაგრებელ ფოთრის ციცაბო კლდეებზე და უფსკრულეებზე ხტომა სად შეეძლო, იბრუნა პირი და ქვევით დაეშვა. დაეშვა, როგორც კლდეს მოტეხილი ქვა. იგორა, იფორთხა, იჯახირა, უკან დარჩა პირბასრი ქიმები, უძირო ხევეები, ზვავი, მეწყერი და, ჩლიქებში სისხლგადენილი, დაბეგვილი და ქანცვამოცილი, სადღაც, ქაბაფზე გარჩა.

ფოთრებული ქვა ხავსს ვერ შოიკიდებსო. ერთხელ რომ წავიდა საქმე უკუღმა წავიდა... ქარაფიდან ისევ დაღმა გაუტია, რძისფერ ნაკადულს გაჰყვა, ღორლი გაღიოაჩა და ბოლოს, მწვანე ფერობზე აღმოჩნდა.

კაცმა რომ თქვას, ამ ნავერდივით მთებზე, მქავე წყლებიც ბლომად იყო და მსუყვე ბალახიც, მიწა — ლბილი და მზე აღერსიანი. რაკი იგი მწვერვალების შვილი იყო, აქ მტერიც ნაკლები ჰყა-

ვდა. მინდორში კურდღელზე ნადირობენ, თევზზე — წყალში, მწყერზე — ჰაერში. ბაჭიების, მელაკუდებისა და ტურების სამეფოში ჯიხეთან ვის რა ესაქმებოდა?

ფოთრის ჯიში იალაღებს და სათბებს ნაჩვევი არაა, ამიტომ ცოტას სვამდა და უფრო ცოტას ჰამდა, მისთვის სველი მიწა თბილი სავები იყო და ქარიშხალი — კარგი ამინდი.

ვინც ცოტას ჰამს ან სულ არ ჰამს, და სვამს, ბუმბულს არ აგროვებს და ბუნავს არ იშენებს, რა უნდა ჰქნას? უნდა უყუროს მთას, ცას და, მით უმეტეს, თუ ხმის გამცემი არავინ ჰყავს, თავის თავს მინც ესაუბროს; თავის თავთან მუსაიფს კი ფიქრი ჰქვია. როგორმე მარტო არ უნდა დარჩე და ფიქრისათვის არ მოიცილო, თორემ წასულია შენი საქმე! ფოთრი მთელი დღეები შესცქეროდა შორს დარჩენილ თეთრ მყინვარებს, ღრუბლიან, თუ უღრუბლო ცას, ღამით — ცივ მთვარეს, ვარსკვლავებს, ნებთა ტიხას და დაბალუპით ცვიოდა ცრემლეუბი.

ცრემლი ასეთ დროს პირდაპირ დედასავითაა — განუგეშებს, მოგიალერსებს, გაგაბობებს, დაგაძინებს და რაც ცხადში გენატრება, სიზმარში აგაიხდენს. სიზმარში ფოთრის დედ-მამაც ჰყავდა, ნათესავებიც თავზე ევლებოდნენ, მგელი ძუძუს აწოვებდა და მონადირეების

თოფის ლულიდან, ცეცხლისა და ტყვიის
ნაგეირ, რძის შადრევანი ჩქეფდა.

არავინ დაიტრახახოს, იმ ქვეყანაზე
ულამაზესი და უბედნიერესი ქვეყანა
მინახავს, ობოლი სიზმარში რომ ხედავს
ხოლმეო.

ფოთრი, ალბათ, დამუნჯდებოდა, და
ყრუედებოდა და ზმანებებში ცოცხლად
გადასახლდებოდა, რომ ერთ დღეს, რო-
ცა სულის შემხუთველი სიცხეები დაი-
ჭირა, იალღებზე საქონლის ჯოგი არ
გამოჩენილიყო. ეს წითელ-ყვითელი
ძროხები, ხარები და ხბოები თავდაბრი-
ლი ძოვდნენ მუხლამდე ბალახს და მა-
ღლა მიიწვედნენ. მართალია, დიდებიც
იყვნენ, სხვადასხვა ფერისანიც, მაგრამ
ოთხ ფეხზე დადიოდნენ, რქები ჰქონ-
დათ და, რაც მთავარია, ბალახს ძოვ-
დნენ. ფოთრმა იცოდა, ბალახის მჭამე-
ლები საშიშნი არ იყვნენ და სიხარუ-
ლით ცას ეწია, მაგრამ ეს ისევ სიზმარი
ეგონა. მზიან, ცხელ ამინდში იგი ყო-
ველთვის უბედური იყო და უცბად ვერ
დაიჯერა, რომ ჯოგს ცხადლოვ ხედავდა.

მთის თავზე, სადაც ფოთრი ოთხ ძირ
დევას ფოთლებში იმალებოდა, პირველ-
ოდ კარგად შეპატრებული თვალსევდიანი
ჭრელი ძროხა ამოვიდა. მოდიოდა და,
რასაც პირს მოუსვამდა, ბლდენიდა და
გლეჯდა, კინაღად ოთხი ძირი დეკაც ზედ
არ მიყალა!

— ღმერთო ჩემო! — ამოიხბრა ჭრე-
ლმა ძროხამ, — რას ჰვავს ეს? პირდა-
პირ პირში ხომ არ უნდა ჩაუვარდე ალა-
მიანს!

— ბოდიში, დეიდა... უკაცრავად... —
ფოთრს ძელებიც კი ეტკინა, ისე შე-
რცხვა.

— დეიდა არა, მამიდა!.. — კიდევ
უფრო ეწყინა ძროხას, — შენ რა, შენი
თავი ხბო ხომ არ გგონია!

— არა, მე ფოთრი ვარ...

— ფოთრი, როგორც გამიგონია, ჯიხ-
ვების ხბოებს ჰქვიათ.

— დიახ, დიახ! — გაიხარა ფოთრმა.

— ტყუილს ამ ბოლო დროს დედის
მუცლიდან იწყებენ! — აღშფოთდა
ძროხა და კუდი ფერღზე დაირტყა, თან

ამოყოლილი ბუზები დაირეკა. — ეა-
რგად ვხედავ, რაცა ხარ და ვინცა ხარ..

ამ დროს პირზე ქაფმომდგარმა, ჩალ-
ისფერმა ძროხამ მოირბინა და გაოცდა:
ამ ცეტს აქ რა უნდაო! მეორეს მესა-
მე ამოჰყვია, მესამეს — მეოთხე...

და არც ერთი არ დაეჭვებულა, რომ
მათ წინ თიკანი არ იდგა. ჩვეულებრივი
თხის რუხი თიკანი.

— ჯიხვის შვილი ვარ, კლდისა მქვია!
— სცადა თავის მართლება ფოთრმა.

ძროხებმა თვალეში ჩახედეს. ჭრელ-
ამ ცხვირიც კი მოუტანა ახლოს, მაგრამ
თავი გაიქინა: ხეირიანი თხის სუნიც კი
არა აქვსო და ყველამ კეთილად ურჩია,
იქაურობას გაცლოდა, რომ ჯოგს არ გა-
ექელა.

შეშინებულმა კლდისამ მამინვე მოც-
ოცხა, ნახირს შორიდან მოუარა. გული
მალა, მწვერვალებისაკენ მიუწვევდა,
მაგრამ რაკი თხის შვილი ხარო უთხ-
რეს, დაგორებულ ქვასავით ისევ ქვე-
ვით წავიდა.

„თიკანი ვყოფილვარ... — შავი ცრემ-
ლით ტიროდა იალღებზე ფოთრი, —
ალბათ, უბედურია, ვინც თხად დაიბადა
და თავი ჯიხვი ჰგონია. რა მეშველება!..“

ნახირი რომ სერებს მოეფარა, კლდი-
სამ მორჩილა ღვიის ბუჩქის ძირას მოი-
კალათა და თვალი მილულა, იქნებ ახლა
შაინც მეზნანოს, რომ თიკანი ვარ და
ერთხელ და სამუდამოდ დავიჯერო, თხა
ვყოფილვარო, მაგრამ არც იმ ღამეს და
არც მას შემდეგ, ჯოგი და სათებო კი
არა, მწვანე მინდორიც არ მოლანდებია,
სულ ქათქათა მწვერვალების თავზე და
ფრინავდა. სიზმრადაც დაუჯერებელი
იყო: პირდაპირ ქიმიდან აიჭრებოდა, გა-
დაეცლებოდა უფსკრულებს და თვალ-
შეუდგამი მყინვარის თხემზე მოექცეო-
და. ფეხიც კი არ უცდებოდა, რომ ეჭვი
გასჩენოდა, შეიძლება, თიკანი ვარო.

ბოლოს თავსაც ვერ უმხვლდა, თორ-
ემ კეთილი ძროხების ნათქვამზე გული
ეთანაღრებოდა და მწვერვალებისკენ

ოცია იოსალიანი
არმის ხიზანი

წასვლა ცი დაბირა, მაგრამ ერთ დღეს მთა თეთრად გადაიბუნტა, თითქოს ცატეხია მწვერვალებიდან ღრუბლები ჩამორეკესო.

მოდოდა ქვევით ფარა. ცხვრებს ერთმანეთის ლაჭებში შეეყოთ თავი და მუხლამდე ბალახს ბასრი კბილებით ძირზე სხებდნენ. ყოჩმა ისე გაიარა, კლდისა არც დაუნახავს. დედა ცხვრებმა მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როცა ფოთრის მუცელქვეშ ბალახი ვიძოვეს და ზედ შუბლით შეასკდნენ.

— ნეტავ იმ დღეს მომასწრო... — აკვნესდა, ზორბადუმიანი ცხვარი. — ეს თიკნები, ჩვენი ბატკნებივით, ერთ ადგილზე დაეტიონ.

— არა თიკანი ცელქი უნდა იყოს... — ამოიხაზლა იქვე თავდახრილმა სქელდუმიანმა.

— ცელქი კი, მაგრამ ასე პაწაწინა თიკნის მარტო ხეტიალი გავიწინა?! — ჩაერია შესამე, რომელიც ისე გულდაგულ გაეპარსათო, ტყავგამძვრალს ჰგავდა.

— მე თიკანი არა ვარ, ფოთრი ვარ... წამოსცდა კლდისას და ენაზე იკბინა, მაგრამ გვიანი იყო, ცხვრები გაცხარდნენ.

— ამას ჩვენი კრავები იტყვიან, ბატკნები არა ვართო? — აბილპილდა ზორბადუმიანი.

— ეს ქეციანი თხები და თიკნები ფარაში არაა გასაჰკანებელი! — კვერი დაუკრა სქელდუმიანმა.

ტყავგამძვრალმა ფოთრს სულ ზურგი შეაქცია: მაგათ ჯიშს რა ველაპარაკოთ.

კლდისამ უკან-უკან დაიხია, მდინარესავით მომსკდარმა ფარამ არ წამლეკოსო და ისევე თავქვე დაეშვა.

იმ ღამესაც ვერ ეწია საწაღელს. ისევ თეთრა მყინვარები და სიბი კლდეები ეზმანა. კიდეც უარესი — ძილში რუხი ხარჭიხვების მაგიერ, თეთრი თანამოქმენი იხილა და კინალამ ელდა ეცა, თვითონაც ველარ იცნო თავისი თავი, ღრუბლის ფთილას ჰგავდა. ქარიზხალმა არ წამილოსო, — გულგახეთქილს გაეღვიძა.

ამის შემდეგ ფოთრი ვაორდა და გაწ-

ამდა. ველარ გაიგო, ჯიხვი იყო თუ თხამთელი დღე თავს აწერებდა: თიკანბ ვარ ქეციანი თიკანი ვარო! — ჩათვლემდა თუ თვალს მთასა და ცას გაუშტერებდა, ვერაფრით ვერ ირწმუნებდით, რომ ფოთრი არ იყო.

დასევდინდა დაჯავრიანდა, ისედაც რა მჭამელი იყო, და სულ დაკარგა შიმშილის გრძნობა. გახდა, გაძვალტყავდა, მთლად მყინვარებზე მიშტერებულ თვალგადა იქცა.

და, ვინ იცის, რა დაემართებოდა, რომ თხების არვეს არ გადაჰყროდა. საცოდავს, როგორც იქნა, ეღრისა ბედნიერება, კორტოხება და ფლატეებზე ჯანვარს შესიებული თხები თითქოს სულ მისი ალი და კვალი იყვნენ. ერთმა მეწველმა თხამ დედაც კი გაახსენა და სიხარულის ცრემლები აღინა. არვემაც თავისიანად მიილო. აი, იმ რუხმა, მეწველმა თხამ ისიც კი თქვა: ძუძუს ვაწოვებდი, რომ წყვილი თიკანი არ მყავდეს, მწყემსი არ მწველიდეს და სიქას არ მაკლიდესო.

კლდისა რძესა და ფუფუნებას გადაჩვეული იყო, მაგრამ მარტო სიტყვარად ღირდა. შეაქეს კიდეც, ჯიშისანი ვაცი დადგებო...

არვეს ერთი კოჭდაბალი ბოტო წინამძლოლობდა. კლდე-ღრეში ხეტიალი და უფსკრულების პირზე კუნტარეში ახლა კი არა, ჯელობისას არ უყვარდა. თავიდანვე მსუყე ბალახს ეტანებოდა, მუყაითი მჭამელი იყო და მწყემსმა კისერზე ამ თხას ჩამოჰკიდა ზარი, — გაამეწინავა. არც შემეცდარა, პატრონს ამის შემდეგ ძალები დაქსევაც არ სჭირდებოდა, მალეობზე გადმოღვებოდა თუ არა: ბოტი დაუმუნათებლადაც ზარის რეკვას და პეტელს ატეხდა და არვეს იქით შეაბრუნებდა, სითაც მწყემსს პირი ჰქონდა მიქეულთ.

ფოთრი რომ წარუღვიგნეს, წინამძლოლი მიწას ჩააჩერდა — დაფიქრდა, მწყემსს არვე გაუმრავლდებოდა, დათანხმდა და ოდნე გაიღვიმა (ბოტმა, არაგინ განებიერდესო, ძალიან თავშეკავებული ღიმილი იცოდა).

კლდისას მეგობრებოც მაშინვე გაუწ-



ნდნენ: ჯაგნარა კვიციანი და თეთრი. მართლაც ღრუბლის ქულისავით ქათქათა — ცელქო. ჯაგნარამ, ღამითაც ჩემს გვერდით დაწეკო. კვიციანამ კლდოვან ბორცვზეც კი აიყვანა და ხევებში ცალი თვალით გადაახედა. თეთრი ცელქო სულ უმიზეზოდ კენტრუმებდა და პაწაწინა კუდს ისე მოხდენილად აქიციებდა, თვალს ვერ მოსწყვეტდი...

ღმერთო, რა ბედნიერი იქნებოდა კლდისა იმ დღიდან მანაც, ღამით სიზმრებს ყველაფერს ისევე რომ არ ჩაეშხამებინათ. ჯაგნარას გვერდით თბილად ჩაეძინა თუ არა, ისევე ცატეხია მწვერვალები იხილა. ქარივით დაჰქროდა მწვერვალებში, თვითონაც მყინვარივით ქათქათა და უკარება. თვალატირებულს გაეღვიძა. ძლივს ეღრისა სიხარულს; სითბოს, შეგობარს და ისევე და ისევე რაღა ჯანდაბად უნდოდა ეს ჯიხვობა!

ღილიდანვე ენას ცბილი მაგრად დააჰკირა და ყოველნაირად ეცადა დაევიწყებინა ფიქრი იყო. დღისით-მზისით, თითქოს კიდევ შეძლო. მეგობრებიც ძალიან დაეხმარნენ, მოწყენისა და ფიქრის დრო აღარ დაუტოვეს: ქვევზე ხტუნვა და ლოდებზე წამოსკუბება, ღელეზე გადავლება და ბექობის თავზე კენტრუმში... ცხვარ-ძროხასავით შინიც-ღამიანაც არც საშლმისთვის იკლავდნენ თავს. ჭამდნენ, მაგრამ უფრო აზიზად, ნეკერს კორტნიდნენ, ჯავის ეკლიან ტოტებს ღეჰავდნენ და ზოგჯერ ცასაც კი ახედავდნენ.

თეთრი ცელქო მანაც მთლად სული და გული იყო. მისმა მოხდენილმა ცუნდრუკმა ფიქრის დედაც კი დაავიწყა და დაიჯერა, ჩემი თეთრი სიზმრები ამ ქუჩულა თიკანზე ამიხდაო.

ერთი შეხედვით, კლდისას ბედის სამღურავი არ ჰქონდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რა ჰქონდა, რომ არ ასვენებდა. ერთხელ სულმა წასძლია კვიციანაც აიყოლია და მიმოჩრები, ხრამის პირზე წამოყუდებულ თეთრი კლდის თავზე მოეკცნენ. ბოტმა მანძინე დაჩეკა ზარი, პეტელი ასრეხა, მაგრამ იმ დღეს მწვერვალებიდან ქარიც უბერავდა და

თიკნებში ვერ გაიგონეს, თუ გავიგებდა არ უნდოდათ... კომბლიანმა, წესრიგის მოყვარულმა მწყემსმა ძაღლებს შეუძახა. მალა-მალა მიაცქერალმა თხამ გაველურება იცის, გაველურებულს ვერც შენს გემოზე ვიწველი და ვერც სათებოში გამოამწყვედევ. ქოფაკებმა მანძინე არა მარტო კლდისა და ცელქო ჩამობრძანეს დაბლა, სხვებიც, ვისაც თვალი თეთრი კლდისაკენ გაუბრბოდა, ღრუნით და ყეფით ერთად შეაქუჩეს.

შოშოთ გულგახეთქილი ფიქრი მას მერე დღედაღამ თავს მოძღვრავდა და იმეორებდა: თიკანი ვარ, თხა ვარ, ბატკანივით თხა ვარ, ცხვარივით თხა ვარო და ღამით ძილს ვერ ბედავდა.

თხები, მართალია, თავიდანვე "მე-მეეს" იძახდნენ, მაგრამ კლდისას ეგონა, ეს ნიშნავს: არა, მე მიყვარხარ და არა მეო. თეთრი ცელქო რომ კუდის მოხდენილი ქიცივით კიკინებდა, „კლდისა მე-მეეო“, ეს ხომ აშკარა იყო. ფიქრი რომ მწყემსის და ნაგაზის ნამალავად ქათქათა მთებს გასცქეროდა, ცელქოც მწვერვალებს თვალს უშტერებდა და ამბობდა, მეც სიზმრებს ხედავო. ბოლოს და ბოლოს კლდისა უძილობამ რომ გააწაწა, დარდი გულში აღარ დაეტია და თეთრ თიკანს საიდუმლო გაანდო: არ ვამთქვა, ერთ დროს თავი ჯიხვი მეგონაო.

— რაო? — აკრინდა ცელქო, — მეტე შავას რა სჯობია? თავი ჯიხვი გეგონა, გოკი ხომ არაო!

ამის შემდეგ კლდისა თავის თავს რომ ხარჯიხვად ხედავდა, ცელქო ქალღმერთ დალის თეთრ შენად ეზმანებოდა. უწყვეტ სიზმარიც სიხარულად ექცა და უწყუხუხით მყრალი ქართა — სამოთხედ.

ღილა-საღამოს ამ „სამოთხიდან“ თხებს რქებზე ვაათრევდნენ და წველიდნენ. ცურში მუქს ძალუმად სცემდნენ და ისევე წველიდნენ, მაგრამ დედა თხებში წელში ნამკალივით მოიკაკვებოდნენ და მწყემალეებს შერლებისთვის საკუთარ რძეს შინაც პარავდნენ...

რთია იოსელიანი
არმის ხიზანი

კლდისა ხედავდა ამას, მაგრამ ბედნიერებას ძლივს ვეღონეს, არ დაგვარგოვო, ჩუბჩულებდა: როგორც ერი, ისეთი ბერიო.

ასე მიიწერა ზაფხული და მოახლოვდა შემოდგომა. ღამღამობით მინდვრებზე თრთოლი დადო. არვემ მაღალი მთებიდან ქვევით დაიწვია. ბედნიერ კლდისას თითქოს სუნთქვა გაუქირდა, მაგრამ, სადაც თეთრი ცელქო იყო, სადაც ოინზაზი კვიპატა და ცისკენ თვალგაპარებული ჯაგნარა ეგულეობდა, იქ უპაეროდაც გაძლებდა.

კარგად რომ აცივდა (თხებისთვის აცივდა, თორემ ჯიხვს სული ეხუთებოდა), ერთ ღამეს კულქიცინა თიკანი გვერდით მიუწვა: — გავითოშე, კლდისა, შენ მართლა ჯიხვივითა ხარ, იქნებ ცოტა გაათბოო...

კლდისა წამოხტა და ნაწოლი, თბილი ადგილი დაუთმო.

— ასე თავზე თუ დამადექი, მხოლოდ შენი ყურებით გავთბებიო?!

— აბაო?..

— შე მართლა ჯიხვო, გვერდით მომიწექიო! — ყურის ძირში მოლოკა ცელქომ და მუხლში ცელგამოსაშულივით მოკვეთა.

ფეხდაფეხ ჩამოჰყვით სუსხი. არვეც ქვევით და ქვევით წავიდა. კლდისას გული უკან რჩებოდა, რაც ცელქოს შეუშინეველი არ დარჩენია და კიკინით და კუნტრუშით ისიც კი უთხრა:

— მეე, მე მიყურე, თორემ გავებუტებიო...

კლდისას როგორც სიკვდილი არ უნდოდა, ისე, არც ჯიხვობა და არც ცელქოს წყენინება, მაგრამ რა წყალში გადავარდნილიყო, თვალი რომ მუდამ მაღლა-მაღლა გაუბრუნდა.

მაღე სულ გაივარეს. მყინვარი, მთა და კლდე აღარსად ჩანდა. ჰაერი სულისშემხუთველი, ბლანტი გახდა.

ბარში თხები ღამით ზნელ, მყარალ, აშმორებულ ფარხში შეყარეს. გათენებას კლდისა სულშეგუბებული ელოდა, რომ დლით მაინც დაედწია თავი ამ ნატანჯველისათვის. მაგრამ, მისდა

განაოცრად, ცელქო, და არა მარტო ცელქო, მთელი არვე, თავს არც ისე ურიგოდ გრძნობდა.

ტყეს რომ ფითოლი გასცივდა და ჰაერში პირველი თოვლის თეთრი ფიქი გამოჩნდა, მაშინ იყო, რომ კლდისამ ამოისუნთქა და ეგონა, გადაერჩიო, მაგრამ მთელმა არვემ ყურები ჩამოყარა: თხები მოიბუღნენ, აძიგძიგდნენ და ისე დასაცოდავდნენ, ნეკერის კენეტის მადაც კი დაეარგეს.

კლდისამ, ასე აშქარად, პირველად დაინახა, რომ ერთი ჯიხვისანი არ იყვნენ.

თავის მხრივ, არვემაც ჯიხვს ისეთი თვალით შემოხედა, ვითომ აქამდე კლდისა მგელი ყოფილიყოს და სახის ტყავი სემოდეს. ისევ წავიდა საქმე უკულმა და დაიწყო წამება. ცელქოსაც მაშინ მოაგონდა: მთელი ღამეები რომ ოხრავედი, ნეტავ მაცოდინა, რა სიზმრებს ხედავდიო. კლდისას დასაძალი რა ჰქონდა: თეთრ მყინვარებს, მწვერვალებს, მთებს ვხედავდი, შენ კიდევ თეთრ ჯიხვად მეზმანებოდიო.

— თეთრ ჯიხვად და არა თხად?! — ქვა ისროლა და თავი შეუღებია, — ესე იგი, ჯიხვი ვეზმანებოდა და არა მე?!

— არა, შენ, მაგრამ ჯიხვად ქვეულს გხედავდი.

— თვალი სჯვისკენ გექირა, უკან უკან რომ იხედებოდი?

— არა, ცელქო, შენს გარდა, არავისზე მიფიქრია და მიოცნებია... — გულწრფელად აღიარა კლდისამ, მაგრამ ვინ დაუჭერა!

— მაშინ ის ჯიხვი ვილაა?

— შენ, ცელქო, შენა ხარ...

— შე-ეე, თხა ვარ! — ანეტელდა ცელქო და გაანჩხლდა, — დღის იქით ჯიხვის სახელი არ გამაგონო, თუ არ გინდა, მთელ სათხებოს მოვლო შენი საიდუმლო, მიწაზე რომ არ იხედები და ერთთავად ცას მიშტერებხარ!

როცა არემარე ქათათა თოვლით დაიფარა და კლდისას ეგონა, ეს ბედნიერება მაინც დამარჩა, თვალს წყალი დაგაღვეინოო, აბუხული, აკანკალებული



ჯოჯი ფარეხში ჩაქეტეს. ჯიხვრისთვის კისერზე თოჯი რომ წაეჭირებინათ, ისე ვერ დასჯიდნენ, როგორც ამ წუნწუხით აყროლებულ, ბნელ ბოსელში გამოწყვედევით. ამას დაემატა ცელქის ბეტლი:

— რას აპირებ, ახლაც თეთრი ჯიხვები გელანდება?

თუ ელანდებოდა, ახლა ელანდებოდა და ეჩვენებოდა... უკვე ძილიც არ სჭირდებოდა, ამ ბნელში თვალის დახუჭვა. ყველაფერი ხედავდა, გარდა იმისა, რაც მის ირგვლივ იყო.

უსაქმურობამ, დღე-ღამე ნაკელში და ნეხვში წოლამ თხებიც კი დაითხნა და აამყარა. გაჩნდა შური და მტრობა. ჭორი სათხებოს სახადივით მოედო და რაკი დიდი უმირავლესობა თხა იყო, ვინ უნდა სცემოდნენ? აგერ იყო „ღამნაშავე“ — ჯიხვი. რაც იქ ითქვა, ენა-პირი კვი იტყვის. მეგობრებმა: ჯანარამ და კვიმატამ, ვითომ, გაჩუმიება არჩიეს, რა თავი გეტყვიან, არაფერი დაგვაბრალონო, მაგრამ მთლად ვერც ჭორიკანა თხებად დარჩნენ. კვიმატამ სათქმელი აწონ-დაწონა: რომ ვუყვირდები, ყოველთვის არც მე მომწონს, მაგრამ, თუ სიმართლე გინდათ, არც ერთ თხას არ ჩამოუფარდებაო. ჯანარამ კბილებში გამოსცრა: მაგას ხეირიანად ვერაფერი გავუთვა, თხა მართლაც არ უნდა იყოს, მაგრამ რა მისი ბრალიაო.

— დედამისის ბრალი იქნებაო! — ისროლა ცელქის დედა თხამ.

ბნელში სიცილი ატყდა.

პასუხად კლდისა, რქებმოღერილი, ბოსელის კუთხისაკენ გაქანდა, კედელს დაეჭახა, ფიცარი გაამტვრია, რქის ძირი ლურსმანს მიართქვა და სისხლმა გამოიონა, მაგრამ ტკივილი არ უტრძენია, რაკი გარეთ გასახედი ჭურჭრთანა გაიკეთა, მას მერე უჯან არ მოუხედავს, იღვა კუთხეში თავისთვის და გარეთ თეთრ მინდორს გასცქეროდა. სათხებოში ხმაბალადი პეტელი და კვიანი შეწყდა. მაგრამ ხმაბალში ჭორმა და ვესლმა იმატა.

— რა კედლებს გვიმტვრევს. მე ამ

ჯიხვს აქედან სულ გავაგდებდი. მგონია, ჩვენთან არც კი ცხოვრობს... — ბრიხინებდა კოქდაბალი ბოტის გვერდით ატუზული აკანჭული როყით თხა.

— მწყემსმა რომ გაიგოს, ვაითუ გული გაუსკდეს! — წუხდა ნაპატოები, წინამძღოლის ფარული მოქიშპე, შავთეთრი თხა.

— ჩვენც გვერჩის გული, მაგრამ სათხებოს კი არ ვამტვრევთ! — ბოტის ახლოს დააპირა გაძრომა მოწითალო-მონაცრისფრომ, ენამოსწრებელი ვარო, რომ ეგონა.

— ნეტავ სად იხედება? ჩვენზე უკეთესს ვის ან რას დაინახავს? — უკვირდა თვალმიბლეტელ წვერცანცარას.

მაღე ფარეხში ახალი უბედურება დატრიალდა. პატრონმა მშვიერ თხებს ერთი იღლია თივა და კონა ჩალა შემოუგდო — შიმშილით სული არ გააცხოონო, აბა, ეს ერთი მუჭა თივა რამდენს ეყოფოდო და კოქდაბალმა ბოტმა, ვინც კული მეტად აქიცინა და მის ირგვლივ იკუნტრუშა, წილი მას დაუდო. ზოგ-ზოგებმა ერთხანს თავი შეიკავეს, კული რომ გვაქვს, თივისთვის კი არ უნდა ვაქიცინოთო, მაგრამ მეორე და მესამე დღეს ულუფა რომ გაზრდილიყო, კულის ქიცინმა იმატა. კლდისა, რა თქმა უნდა, არავის გახსენებია, თავის ხელით პირში ლუქმას ვინ ჩავიდებს, თუ რქას თხებს კი არა, კედელს უტრყამ და კულის ქიცინსაც თაკილობ. ჯანგარამ: არაფერსაც არ გავაქიცინებ, ჩემი წილი თივა ისედაც მეკუთვინისო. კვიმატამ რქენითა და ბღვერით თავისი წილი მაინც დაითრია. ერთი ნაცარა ვაცი, ვითომ არვეს გვერდზე რომ დასდევდა და თვალებს მოხვეერივით აბრიალებდა, მიხვდა, გარე-გარე გაქანდა ხეირს არ მომცემსო, თვალში დიმილი ჩაიყენა და არვეს ულაგულში შექვრა. ცელქოც ახუნტრუტდა: ფეხზე ჩამოვწდი, მე თხა ვარ, ჯიხვივით გაჯიმივლი დგომა არ შემძლიაო და წუნწუხში ჩაწვა.

ოტია იოხალიანი
არმის ხიზანი

გარეთ თოვლი ქათქათებდა. შორს შავი მთებიც კი თეთრ მწვერვალებს დაემსგავსნენ.

კლდისამ, სანამ შიმშილით და წყურვილით მთლად დაუძლურდებოდა, იფიქრა, რქებიც და თავიც ოხრად დამრჩება, რალაც უნდა ვიღორო. მით უმეტეს თეთრი ცელქო რომ ნაკელში გაგორდა, მოითხვარა და გაშავდა, უკან აღარაფერი ეწეოდა. ერთ ნაშუაღამევს ჩაძინებული თხები წამოყარა, ბოსლის ერთ მხარეს თავიდან ბოლომდე გამოსაქცევი გაინთავისუფლა. ჭუჭრუტანის საპირისპირო კედლის ძირს უკანა ფეხებით მიაწვა, ნედლ ნაკელზე ჩლიქი არ დამისხლტესო და ადგილიდან მოწყდა. ისე გაიქროლა, ნამძინარეგმა თუ ფეხზე ისევე ჩათვლემილმა თხებმა თვალი ვერ შეასწრეს. ზოგი მერე იმასაც ამბობდა, წუნწუნზე ფეხიც არ დაუკრავსო. მიასკდა კედლიდან კედელს, ერთი უეცარი ლაწანი გაისმა და იმ კუნძულში, საიდანაც შუალამითაც თო-

ვლის თეთრი თვალი იჭყიტებოდა. ჭუჭრუტანის ადგილას, ქოთანის კომპლექსუდება და რძე დაიდვრება, ისე უსწორმასწორო თეთრი ხვრელი გაჩნდა. გაჩნდა და სათხებოში ცივი, სუფთა, ნათელი ჰაერი შემოვარდა.

ხმაურზე ძალღებმა კი წამოიყეფეს, პატრონმაც მოაძახა: ქსი მაგას, არ გაუშვავო, მაგრამ თბილი ბუნაგი და ტკბილი ძილი ძნელი შესაღვია, მით უმეტეს, ხმაური არ განმეორებულა. ბოსელში სიწყნარემ დაისადგურა.

კლდისამ კი გასწია, თავპირდამტვრეულმა, სისხლგადენილმა, რქებდალეწილმა, მაგრამ მაინც იქეთკენ, ადრე რომ სიზმრებში ხედავდა და ბოლო დროს — ცხადშიც, — სადმე, მაღალ კლდეში, პაწია ქვაბულისათვის, ეფუს, თავი რომ შეეფარებინა. კაცმა არ იცის, მიაღწია თუ არა თეთრ მწვერვალამდე, იპოვა თუ არა საყუდელი ლტოლვილმა, თუ ოცნება იმიტომიაა ლამაზი, რომ მარად მიუწვდომელი რჩება?..





ბენიკ ხარკანაული

შუაქლებელი

იყურეთ დილის ვარსკვლავებო
და ბალახის ნამო, გაჩერდი!
მასმენინეთ ჩემი სიმღერა.

სიმღერა, რომელსაც
არ გააჩნია სიტყვები და მეტაფორები,
სიმღერა, რომლის მელოდიაც
ნაბიჯების ხმა არის მხოლოდ.
ნაბიჯების ხმა
მომხდარსა და არმომხდარს შორის,
ნაბიჯების ხმა
წყენასა და სისარულს შორის,
ნაბიჯების ხმა
ფანჯარასა და კედელს შორის...

ჩემთვის არავის უბრძანებია,
რომ მეფიქრა მატერიკებზე —
ყოფნა-არყოფნაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე,
სამყაროზე, ღმერთზე, შეცოდებაზე...
მე მომისაჯეს წუთი და ადგილი —
სადაც იგი უნდა გავლიო.
ვიღვიძო, ვიძინო,
ვიცინო, ვიხვიინო,
მნახონ, ვნახო,
მკლავზე ქალი ვიწვიინო:
მარჯვენა ხელი თავქვეშ,
მარცხენათი კი ვფერები
და მაინც იქ არა ხარ.

ყოფნა-არყოფნაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე,
სამყაროზე, ღმერთზე, შეცოდებაზე
არ უნდა გეფიქრა.
თუ ძალა შეგწევს,
ლურსმანი დააჭედე,
რომ დაღლილმა ზედ ქუდი დაჰკიდო,
დაეგდო ტახტზე, თავქვეშ ხელები ამოიწყო
და იფიქრო, იფიქრო...

ოღონდ ნუ გასცურავ მატერიკებისკენ,
იფიქრე ბარზე და ნიწაფზე,
დაუცაღე ხიდან ნაყოფის ჩამოვარდნას,
დაიხარე, აიღე,
ხელით ტკბილად გადაწმინდე,
ჩაკბიჩე,

დატკბი ემაგ წუთით, გულში იხუტე,
შენ არ ხარ ჭაბუკი,
რომ წელამდე საფლავში მდგარმა
ხელთ თავისქალა დაიჭიროთ
და ამოებზე მწარედ იფიქრო...
შენთვის უმჯობესია ნაყოფთან საუბარი.
მიწამ და ქარმა დიდხანს გაქანავათ,
ვიდრე ჰაერშივე შეიპყრობდი
და გახარებული ბალახებში ჩაეშვებოდი.

დაიმახსოვრე!

უკიდურესობაზე,
უკიდურესობაზე ხეთქებამ დაამსხვრია ადამიანი.
ხან ცხელი, ხან ცივი,
ხან კლდე, ხან ხავერდი!
ვინ არიან ჩვენი მწყემსები, მასწავლებლები?
გაიხმაურეს მათმა ნიჩბებმა და მიიმაღნენ,
თავიანთი გაინაღდეს და მიიმაღნენ,
ისინი შეუმცდარნი არიან,
მანამ მათი მემკვიდრეები
მოედანზე არ დასწვავენ იმათ ფიტულებს.

შენ შენი კუნძული აღმოაჩინე მატერიკებს შორის,
წყნარი ადგილი, სახელშეუქმეველი,
როგორც ღიობი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის,
როგორც მომხდარს და არმომხდარს შორის,
როგორც სიხარულსა და წყენას შორის,
როგორც ფანჯარასა და კედელს შორის...
და იცხოვრე, იცხოვრე, იცხოვრე,
შენ საჭირო ხარ ცხოვრებისთვის,
(ერთი ტანჯვა მეორეს სდევნის),
შენ საჭირო ხარ ცხოვრებისთვის
(ერთი ტანჯვა მეორეს სდევნის),
მისი ბაგისთვის, მისი კუჭისთვის,
მაშ იდექი და იშრიალე, განიძარცვე, კვლავ შეიმოსე,
ყურები დაივანე მატერიკებიდან მომავალ ხმათათვის
და იმღერე — სიმღერა,
რომელსაც არ ექნება არც ხიტყვები, არც მგლოდია,
რომელზეც ნერწყვის ჩაყლაპავ და ხმას კი ვერ დაძრავ.

I

ერთი დავიწყება
მეორეს გვახსენებს.

მე იმას ვფიქრობ,
რომ ბევრ რაიმეზე
არც დავფიქრებულვარ.
სხვა პლანეტიდან მოსულივით კი არა,
სხვა პლანეტაზე მეოცნებესავით.
ქარს მკერდს კი არ ვუშვერდი ხოლმე,
მზარს შევუგდებდი
და არარსებული,
მყუდრო დერეფანი გამყავდა ჩემთვის.
განა რამდენჯერ დაესხლტომივარ ასე ხელიდან?
განა რამდენჯერ შემიღია გლეხის ქოხის მოწყალე კარი?
სითბო... ბავშვები...
ქალიშვილი, მაგიდას რომ სუფრას აფარებს...
(ნეტავ ეს მეჯდეს სასთუმალთან,
დამეს მითევდეს,
სველ ჩვარს მადებდეს გახურებულ შუბლზე სიფრთხილით
და ძილში დამფრთხალს მადვეარის ცხენის ფეხის ხმით
დამიყვავებდეს,
თავს ბალიშზე მიმიბრუნებდეს).
განა რამდენჯერ მითქვამს გულში — გადავრჩი-მეთქი!
როცა მეგონა — აღმა მივცურავდი,
დინებას მივქონდი!

ბევრს ვაწყენინე და ახლა მხოლოდ
პატიების იმედილა მაქვს.

მე იმას ვფიქრობ,
რომ ბევრ რაიმეზე არც დავფიქრებულვარ
და ისე ვცხოვრობდი,
თითქოს უკვე გადაშენდაო
სიძულვილი, შური, შიშშილი,
ბოროტება, ყაზარმები, სახრჩობელები...
წვრილმა სურვილებმა დამიჭამეს დიდი ზრახვები.

თუ გიფიქრია შენს ლოგინში ჩათბუნებულს
ზამთრის ყინვაზე?
როგორ ცივა მთის კორტოხზე,
შუაგულ ტყეში,
რამდენ ობოლს დაუყრია
იქ თავის ძვლები!
ანდა ფიქრს თუ გაყოლიხარ

ქ. ბარუნის საბ. სამ.
სსს. 138 ლექსი
რუსულ ენაზე
მედიის ცენტრი

ფეხშიშველი და უპერანგო თოვლიან ველზე ამ ბუბინებზე
შენ გგონია

არავის არ მოჰქცევიათ ამგვარად სადმე?

ანდა ჰალსტუხს რომ ისკვნი ხოლმე დილ-დილაობით,
სახრჩობელას თოკი არ გიჭერს?

ესეც ხომ იმის ნაწყვეტია,

როგორც ცეცხლი,

სიგარეტს რომ უკიდებ ახლა,

მოპარული ცეცხლიდან არის.

ანდა ტკბილ ლუკმას რომ გადისვრი

ერთი ყბიდან მეორე ყბისკენ,

არ გიმწარებს გახსენება — რომ სადღაც შიათ?

როდესაც წევხარ და ეხვევი,

მარტოდ დაყრილი ციხეებში არ გახსენდება?

თმას რომ აგლეჯენ სხვებს,

როდესაც შენ თმას ივარცხნი,

ფრჩხილებს აძრობენ,

როდესაც შენ მშვიდად იმოკლებ!

ანდა ნებივრად მოსაუბრეს მეგობართ წრეში

არ შეგძრავს ხოლმე გახსენება

იმ მარტოკაცის,

თავის სახლში რომ ჩაკეტილა

და შეშინებულს

თვალნი კარისთვის მიუპყრია

და უხილავ მკვლელს ელოდება.

ელოდება, სული უსწრებს და ეძახის — ჩქარო, ჩქარა!

II

ერთი გახსენება

მეორეს გვაფიწყებს.

მზიანი დილა,

როცა რაღაც აზრთან ერთად იღვიძებ

და გეჩვენება, რომ ბუნება შენც მიგითვის

თავის ლაშქარში

და შემოგყურებს ჩვეულებრივ —

როგორც ხეებს, ბალახს, ბილიკებს...

შენ გარბიხარ დილის ცვარით ანთებულ ბაღში

და ბედნიერი ვერ იხსენებ,

რომ სადღაც აქ დარდინი გულით იჯექი.

შენ გარბიხარ კიპარისების ხეივანში

და შენი მკერდი

პირველი ჰკვეთს

აბლაბუდების მბრწყინავ ძაფებს

ხეთა რიგებში.

გახსენდება ჭილყვაების დიადმა

სწორედ იმავე კიპარისებზე?

ბედნიერი ხარ
და გაპყვირი შენს თავს სივრცეში,
რომელმაც გზა გიტია და ლტოლვას შენსას
დერეფანი ფართოდ შეუღო:
— აპყვე გულო დღეებს შენაც,
სხვებს ამითი რა დაუშავდათ!
შენ გარბიხარ,
მიგაფრენენ აგზნებული შენი ფეხები,
სულ რომ არ ახსოვთ
ჟამგადავლილი ფეხსაცმელი
საწოლისქვეშ სიმარტოვეში,
შენთვის არ არის გულგატეხვა,
ბოროტება, შიში, შიმშილი
და მტკიცედ გჯერა,
რომ ყველაზე დიდი ირონიაც
სიმღერა არის.

შ ა ნ ტ ა ზ ი ა

...ეს სურათი რომ შეაჩერო და გააქცავო,
როგორც ზამთრის გაყინულ ჰაერში
მდგარი ხეები,
როგორც ბაღი ფოთოლგაცვენილი,
როგორც ბაკში გაყურებული
და რაღაცას მიყურადებული მუნჯად საქონელი —
უცნარ სტუმარს, კარის ჭრიალს რომ შეაჩერდებიან...
მაშინ ამ წამის სახსოვარი სიკვდილამდე შენთან იქნება
და შენ, ფიქრით დაღლილი —
რადგანაც ფიქრია შენი მთავარი იარაღი
და პირველ რიგში ჯერ ფიქრით უნდა დასჯაბნო ის საქმე,
რომელიც ცხოვრების მიზნად გაგიხდია —
ფიქრით დაღლილი,
ვიდრე ახალი სირცხვილისთვის ძალას მოიკრებდე,
გულის გადასაყოლებლად სხვებივით რაიმე
სულელურ გასართობს კი არ მოიგონებ,
არამედ, ბედნიერი, იმ წამს გაიხსენებ:

მწვანე თავსაფრიანი ქალი შენს ეზოზე გადადიოდა
და არ იცოდა, თუ სახლის პატრონი
როგორ გაკვირვებით შესცქეროდა მას თავის ფანჯრიდან.
ის კი გულუბრყვილოდ,
შემამფოთმებლად გულუბრყვილოდ და მსუბუქად მიაბიჯებდა
და ვერა გრძნობდა,
რომ მინდორი შენი გულისფეთქვით იყო დანადმული.

ეს იქნება სახე,
რომელსაც შენ ყოველთვის გააცოცხლებ
და დიდი შრომაც არ დაგჭირდება —
სკამზე გადაწვები და თვალებს დახუჭავ
და გულშეკანებული შეწყვეტ ფიქრს იმ საქმეზე,
რომელიც არსებობის მიზნად გაგისდია.
რადგანაც ფიქრია შენი იარაღი.
მაშინაც კი, როცა სტუმრად ხარ
და ფეხიფეხზე გადადებული
ათას სისულელეს სხვებთან ერთად ერთგულად იყოფ.
სცდება მასპინძელი —
შენმა ფიქრებმა ამ მასალაში
უკვე გადაძოვეს ისიც და მუქად მიინარი ტყისპირებიც,
ფანჯრიდან რომ ჩანს მასპინძლის ზურგსუკან.
და როდესაც განმარტოვდები და ფიქრებიც მობრუნდებიან,
ვინ ნისკარტითა და ვინ ზურგით მოგიტანს პატრონს ნამუშავეს
და ჩაგაბარებს.
უაზრო ხეტიალში, უაზრო ხაუბრებში.
როდესაც ფიქრი თან გეყოლება
რომ იქნებ სადმე ფეხი წამოჰკრა
აზრის იმ ქვას, რომელიც წონასწორობას დაგაკარგვინებს
და შენ შენდაუნებურად საყრდენის მიძინელი,
როცა არ იცი საშველად რას წაეტანები —
ეკლიან ასკილს თუ შინდის ნაზ ფესვს...
შენ მაინც ისევ შენს ფიქრთან იქნები
და სულ ერთია, გადარჩენილი თუ ხვევისძირს ჩაგორებული,
ბედნიერი იქნები მაინც
რადგანაც მარტო კი არ ეგდები, სიცარიელეს შერეებული —
როცა ადამიანებს ათასი ხიფათი წარმოუდგებათ —
არამედ სახეს, ერთხელ ნახულს და სამუდამოდ შენში აღბეჭდილს,
კვლავ გააცოცხლებ.

შენ ეზოზე რომ გადადიოდა
დაუფიქრებლად და მიამიტად,
გული ხიფათს რომ არ უგრძნობდა
და იმგვარად მიიბიჯებდა,
როგორც წვიმაგადავლილ, მოსავალაღებულ მიწას შეპყრის.
და გახსნილი ბაგეებით, როგორც კოცნის წინაშე
სახეს მზეს უშვერდა.



დ ე ს კ ა ნ ი

1789 წელს არჩილი, იმერეთის მეფის ძე, მამაცი მეომარი, უბაღლო მსროლელი და თავზეხელაღებული რაინდი, თბილისს ეწვია. თბილისი იმ წელს მშვიდად ცხოვრობდა, ხალხმრავლად გამოიყურებოდა, მაგრამ ეს სიმშვიდე და ხალხმრავლობა მოჩვენებითი იყო და მომავალს ყველა ეჭვის თვალით უყურებდა. არ სჯეროდათ, რომ საუკუნეობით აშლილი ცხოვრება უსისხლოდ დაღვადებოდა, ბოლო მოედებოდა ომებს, რბევას, ტყვევნას, ქიშხას და ღალატს; დაუბრუნდებოდა ქვეყანას ის ნდობა და სიყვარული, რომელიც დრომ თუ სივრცემ დაითრია და სადღაც გადაძალა, სხვა ხალხებს გადაუყარა საკენკად. მოუხედავად ამისა, ქალაქი მაინც ისეთი იდუმალებით იმოსებოდა, ისეთი ფერებით ნიღბავდა ნაიარევ და ნაჭარმაგევ ნაკეთებს, რომ თავისივე მრავალფეროვნების ზედაპირზე ირეკლებოდა და თავს იმ მთების სილურჯით იმშვენებდა, რომლებიც რკალად ერთ-ერთ ირგვლივ. ამიტომაც იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს თბილის-ქალაქი თვითონვე აწონასწორებდა ჩრდილსა და ნათელს, მოჩვენებითს და ნამდვილს, წინასწარ ნაგრძნობს და გამოცდილებით შექმნილს და სტუმარს გულს კი არ უტრუნებდა, კი არ უკუაქცევდა, არამედ იზიდავდა, ახალისებდა, იმედებს უნერგავდა.

ვიწრო ქუჩები ხალხით, სახედრებით,

ურმებით, ზანზალაკებიანი აქლემებით იყო სავსე, რაც ცხენზე ამხედრებულ არჩილსა და მის ამაღას ზშირად აბრკოლებდა, მაგრამ არჩილი არ ჩქარობდა ქალაქს ისე ათვლიერებდა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, როდის მიალწევდა სასახლემდე, როდის ინახულებდა შეფესა და ბატონიშვილებს. ის დრო, როცა ეს ქალაქი მისი სატახტო ქალაქი იყო, დიდი ხანია წავიდა და ახლა ხელახლა უნდა მოეპოვებინა, ხელახლა გაეთავისებინა, მაგრამ ამისათვის დრო იყო საჭირო, დრო კი არა, უნდობლობის უკუგდება, ერთმანეთის ცნობა და აღიარება. მაგრამ შეძლებს კი იგი, მიიღოს ეს ქალაქი მთელი თავის ავითა და კარგით, მშობლიურობითა და უცხოურობით, ზნეობითა და უზნეობით, ან მას კი მისცემს მის საშუალებას, რომ დარჩეს ისეთივე, როგორიც არის და ამავე დროს ვახდეს თბილისელი, თბილისში დროებით ჩამოსული კაცი კი არა, ნამდვილი, სისხლიან-ზორციანად თბილისელი. რა თქმა უნდა, არა, და, რადგან იგი მალე უნდა გაბრუნდეს უკან, სჯობია, ისევ ისეთი იმერელი, ისეთი ქუთაისელი დარჩეს, როგორიც აქამდე იყო.

არჩილი არც უკან იხედებოდა და არც ქუჩიდან გადახვევას აპირებდა. პირდაპირ მიჰყვებოდა იმ გზას, რომელსაც თავიდან დაადგა, რადგან იცოდა, რომ ყველა ქუჩა მეფის სასახლის-



კენ მიდიოდა და მის წინ გადამოიღო მოედანზე იყრიდა თავს. ეს მოედანი ქუჩებისათვის იგივე იყო, რაც მეფის სასახლე სახლებისათვის. ამიტომაც არ ჰქონდა იმის დარდი, რომ მხარი ექცეოდა, გზა გაუმართლებოდა. ვიწრო, თავიდან ბოლომდე ერთ და ორსართულიანი სახლებით შეკრული ქუჩები მაგრად დაწულ ღვედებს ჰკავდა, იმგვარ ღვედებს, რომელთა მეშვეობითაც ხელი-სუფლებას მოწყურებულნი ხლიანჯობენ, ვერაგობენ, ერთმანეთს მახეში ავლდებიან და როცა მათი ავი ზრახვები გამოქვლიანდება, ან დალატის გზას ადგებიან, ანდა პატიებას თხოულობენ. ასეთი რამ მამამისის კარზეც ხშირად ხდებოდა და ჩვეულებრივ ამხად ითვლებოდა. ამიტომ ქიშპობისაგან არც ქართლის მეფის კარი უნდა ყოფილიყო დაზღვეული, რადგან ასაკოვან ბატონიშვილთა რიცხვი ორ ათეულამდე აღწევდა. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა სადღაც შორს, ცხრაკლიტულში; სასახლეების სქელი კედლების მიღმა. თბილისის ქუჩებში კი შრელი ბრბო ირეოდა, შრომობდა, ვაჭრობდა, ლაყობდა, გასაგებ და გაუგებარ ენაზე ილანძვებოდა და შართლის სიმართლეს ისეთივე ჩვეულებრივ და მოსაწყენ ამხად მიაჩნდა, როგორც მტყუანის სიცრუე. გამეულელ-გამომვლელნი უკუურადღებოდ არც მას და მის მზღებლებს ტოვებდნენ, ცალკეად ან ცნობისმოყვარეობით ათვალთვარებდნენ. ზოგს მისი ცხენი მოსწონდა, ზოგს მის საქურველზე რჩებოდა თვბლი. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ თუ თამამი არა, თავხედნი მაინც ყოფილიყვნენ, დაენახებინათ ამ ფაფანაკით თავდამშვენებული იმერკლდეზისათვის ქალაქელი კაცის უბირატესობა. მათ რომ მისი ხასიათი სცოდნოდათ, ცოტათი თავს შეიკავებდნენ, მაგრამ იმ დღეს არჩილი კარგ გუნებაზე იყო და მათი მღაბიური ქედმადლობა უფრო ართობდა, ვიდრე აღიზიანებდა.

ჭრელი ხალხი არჩილს შინაც ბევრი უნახავს და სახლს გარეთაც, მაგრამ მო-

სახლებრბის ისეთი სიჭრელე, როგორც თბილისში დახვდა, მაინც ხსენებდა იცა თვალში. ქართველი კაცი მიწის დაკარგვის შიშით ქალაქში რომ არ სახლებობდა, ეს მან კარგად იცოდა, იცოდა ისიც, რომ მიწის დათმობა ქვეყნის დათმობას უდრიდა, მაგრამ თბილისში აღმოსავლეთი, მუსულმანობა უფრო ჭარბად იყო წარმოდგენილი, ვიდრე ქრისტიანობა. ყოველ ნაბიჯზე ესმოდა სპარსული, თურქული, ყიზილბაშური კილოყავები, სპარსულნარევი სომხური, სპარსულნარევი ქართული და კიდევ რამდენიმე გაუგებარი ენა და ასევე გაუგებარი ქალაქური სიტყვა-პასუხი, ხელოსნებიც კი ამ ქალაქში იმ ხელობას მისდევდნენ, რა ხელობაც სპარსეთსა და თურქეთში იყო გავრცელებული. წეს-ადათებიც აღმოსავლელი უსტაბაშებისა და ქარგლებისა ჰქონდათ, ბუჩურის ჰამაც სპარსული იცოდნენ. მხოლოდ ეს იყო, ღვინის სმისა და ქიფის არ ეროდებოდნენ. არჩილს ამ მხიარული, გულდა ხალხის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მათი შრომისა და ცხოვრების წესი საინტერესოც კი ეჩვენებოდა, მაგრამ ერთი რამ აფიქრებდა: საშიშროების შემთხვევაში ასეთი ჭრელი ბრბო საიმედო არ იქნებოდა, შეიძლება, ერთ-ორ კაცს გამოედო კიდევ თავი, შეუჩვეველ ჭირს შეჩვეული ეშვობინებინა, მაგრამ ამ უსამშობლო, საქუთარ ნიადაგს მოწყვეტილი ბრბოსათვის ვანა სულ ერთი არ იყო, ვინ იქნებოდა მათი გამგებელი და ბატონ-პატრონი, ვისთვის მოქსოვდა და შეკვრავდა, ვისთვის გამოჰედდა და ააშენებდა, ვისთვის მოხარავდა და გამოაცხობდა, ვის რას მიჰყიდდა და ვის გადაუხდიდა ხარკს. თუმცა, რის ვადახდელეები იყვნენ ეს სხვის ქვეყანაში გადამოხვეწილი უქონელნი და უპოვარნი. რამდენადაც არჩილმა იცოდა, ქართლ-კახეთის მეფე ყველაფერს იკლებდა და მაინც ვერ ამოდიოდა ვალებიდან.

უეტრად მეორე სართულის ღია ფანჯრიდან პატარა მაიმუნი გადმოხტა და არჩილს მხარზე დაახტა. არჩილი შეც-



ბა. მაიმუნი მხარზე არასოდეს სჯდომია და ახლა არ იყო და. რა ექნა — გაწყრომა და, უხეშად მოეცილებინა თავიდან, თუ დაეყვავებინა, მოფერებოდა. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში იშვიათად ყოფილა და ამიტომ არც ცხენი შეუჩერებია და არც ღიმილი მოუშორებია სახიდან. ყელზე საბელგამომული მაიმუნი კი საქმიანად იქექებოდა, რწყილებს მხარზე აყრიდა და გონიერი, ზიზზნარევი თვალებით ზემოდან დაჰყურებდა აყაყანებულ, ახარბოცებულ ბრბოს. ფანჯრიდან არავის გამოუხედავს, არავის მოუკითხავს გაქცეული მაიმუნი. იქნებ სახლში არც იყო არავინ, იქნებ მაიმუნმა თავი საკუთარი თათით აიშვა და თავისუფლად სხვების დაუხმარებლად მოიპოვა. არჩილმა ირიბად ახედა მხარზე წამოსკუბებულ, ბერიკაცივით სახედანაოჭებულ პაწია ცხოველს. ეტყობა, მაიმუნისათვისაც სულ ერთი იყო ვინ იქნებოდა მისი პატრონი და მბრძანებელი, ვინ დატუქსავდა და ვინ დაუყვავებდა, ვინ გაანებივრებდა და ვინ დააბეჩავებდა. ამიტომაც არ დანანებია ძველი პატრონის მიტოვება, ცალი თვალითაც კი არ მიუხედავს უკან. არც არჩილს უგრძობობინებია მისთვის, მომწყვდი თავიდან, არ გცნობ, არ მჭირდება. მაიმუნი ისე უწყინრად მოკალათდა მის მხარზე, ისე ბუნებრივად გაუშინაურდა, რომ არჩილმა გადაწყვიტა თუ პატრონი გამოუჩინდება, გამოეისყიდი, ქუთაისში ჩავიყვან და ზვიად თავადებს თუ არა, ბერიკაცებსა და ბალებს მაინც ვავართობო.

მოედანზე არჩილს და მის ამაღას მეფის სტუმართუხუცესი გამოეგება, მაიმუნის დანახვაზე ბერიკაცმა მსხვილი წარბები აწკიპა, მაგრამ მაინც თავაზიანად შეეგება, იმერეთის ამბები გამოჰკითხა და სასახლისაკენ წარუძღვა. წყლის პირას აღმართული ხანდაზმული ქადრის ფოთლები დაბრახისლურად შრი-ალებდა, მოთენთილი ქალაქი იმშუშნებოდა, ჩრდილები იწელებოდნენ და საგნობრივ სიმკვეთრეს იძენდნენ. ვიწრო ხიდი სტუმრებმაც და მასპინძელმაც

ჩამოუქვეითებლად გაიარეს, აღმართს შეჰყვნენ და სასახლეს მიადგნენ. ამ სასახლეში არჩილი ადრეც რამდენჯერმე ყოფილა და ვერც მაშინ გაუგო თავი და ბოლო და ვერც ახლა, რადგან მწყობრად, გეგმავომიერად ნაგები შენობის შთაბეჭდილება არც მაშინ დაუტოვებია და არც ახლა ახდენდა. მასაც გააჩნდა თავისი პაწია ქუჩაბანდები და სხვადასხვა დანიშნულების შენობები, თავისი ნათელი და ბნელი კუნძულები. ამ სასახლეს ახლაც როსტომისეულს ეძახდნენ, მაგრამ მას შემდეგ იგი არა ერთხელ დაუზგრვეიათ, აღუდგენიათ, გადაუკეთებიათ, რაღაც მოუზგრვეიათ, რაღაც მოუშენებიათ, ამოუღესავთ, გადაუღებავთ და ის სახე მიუწივებიათ, რა სახითაც აშკამად თბილის-ქალაქს გადაჰყურებდა, მაგრამ აღმოსავლური იერი მაინც ვერ მოუცილებიათ, აქამდე ვერ განუღვენიათ დიდი დარბაზის პატარა ნიშებიდან ის სუნი, რაც აქაურობას გამაჰმადიანებელი როსტომ მეფის შემდეგ შემორჩა.

სტუმართუხუცესმა მარჯვნივ გაუხვია და არჩილს მისთვის გამოყოფილი ბინისაკენ წარუძღვა. რამდენიმე ოთახი, რომელთაც შენობის უკიდურესი მარჯვენა ფრთა ეჭირათ, დიდი და ნათელი აღმოჩნდა. არჩილმა საცხოვრებლად ბოლო, კუთხის ოთახი აირჩია, რადგან ამ ოთახს მაღალი ბუხარი და ფართო აივანი ჰქონდა, რომელიც მტკვარს გადაჰყურებდა. არჩილი ფუფუნებას ჩვეული არ იყო, მთელი ცხოვრება ომებში, ნადირობაში და ავაზაკთა ღვეწაში ჰქონდა გატარებული. ამიტომ ცოტა ეუცხოვა კიდეც ის ნივთები და საგნები, რაც ბინაში დასვდა. მის მიერ ამოჩიეულ ოთახში ფართო, ხავერდგადაფარებული საწოლი, ბალიშებითა და მუთაქებით გაწყობილი სპარსული ტახტი, დაბალი მაგიდა და დიდი სკივრა იდგა. აღმოსავლეთით, კედლის მარჯვენა კუთხეში, ვერცხლსა და ოქროში ამოვლე-

ბივი მალულარიბ
დასაანი



ბული ხატები ეკიდა, ხოლო შუა კედელზე ვილაც უცნობი, ქერა ქალის სურათი. სურათქვეშ საწერი მაგიდა იდგა, რომელზედაც სამელნე, გათლილი კალმები და სუფთა ქაღალდი ეწყო. ვერცხლის მაღალი შანდლები თავლის სათილებით დაეხუნძლათ.

არჩილმა მაიმუნი ბუხრის თავზე შეასკუბა, იარაღი აიხსნა, სპარსულ ტახტზე მიჰყარა და აივანზე გავიდა. სასახლის წინ გაშლილ მიედანს, რომელიც დაცარიელებულიყო, ირგვლივ ბანიანი სახლები ერტყა, ზემოდან კი თბილისის ციხე დაჰყურებდა. მტკვრის გამოღმა, შემალღებულზე ძველი ქართული ეკლესია იდგა, წყლის გაღმა კი, ასე რომოც-ორმოცდაათ საექნზე, ლურჯად გამომწვარი ალიზით ნაგები მეჩეთი, რომლის მინარეთი ისარივით იყო ატყორცნილი ცაში. მეჩეთისათვის ისეთი ადგილი შეერჩიათ, რომ ქალაქის მთავარი მოედანი თითქმის მთლიანად მის გამგებლობაში იყო მოქცეული და მის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამომავალი მზის სხივებიც ალბათ პირველად მის ლურჯ პერანგზე ირეკლებოდა და იმოსავლურ სურნელებას ავრცელებდა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩილი ნამგზავრიც იყო და გვარიანად შეზარხოშებულიც, ძილი მაინც არ ეკარებოდა. ჯერ ერთი, არ უყვარდა ბუმბულის ბალიშები, აბრეშუმის საბნები და, საერთოდ, საწოლში ჩაძირვა. იგი შიშველ ფიცრებზე, ცხენზე და ხის ძირას ძილს იყო მიჩვეული და როცა მისი სხეული ხის ან მიწის სიმკვრივეს ვერ გრძნობდა, საყრდენი ეცლებოდა. შეროც — გიორგის სტუმრობამ მისი ეჭვი კიდევ უფრო გააღრმავა, მეფისა და ბატონიშვილების მხარდაჭერის იმედი გადაუწყურა. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ისევ აირ-დაირია იმერეთის სამეფო, ისევ გულშეიანი ვახანენ მთაერები, ისევ გაყოფილდნენ დიდგვაროვან

ნი თავადები, მას და მის მომხრეებს კი სურდათ, იმერეთი ქართლ-კახეთს შეეერთებოდა, ირაკლის დროშის ქვეშ გაერთიანებულიყო და ერთად შესდგომოდნენ გაპარტახებული ქვეყნის დაცვასა და აღდგენას. გაერთიანებულ საქართველოს ვერც გურია და სამეგრელო განუდგებოდა განზე. მაგრამ ის, რაც სათქმელად ადვილი ჩანდა, საქმით ძნელი მოსაგვარებელი აღმოჩნდა.

თბილისში იგი იმიტომ ჩამოვიდა, რომ ნიადაგი მოეხსნა. გაეგო, რა აზრს ადგენენ მეფე, დედოფალი და ბატონიშვილები, რას ფიქრობდნენ სარდლები და კარისკაცები. მაგრამ იმან, რაც გიორგიმ უამბო, ყოველგვარ მოლოდინს გადაჰარბა. მეფის კარზე ისეთი ქიშპი, შუღლი და აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა, რომ ამ კენადის გამოსხნას არა თუ ხანდაზმული, უნდობლობით შეპყრობილი მეფე, სოლომონ ბრძენიც ვერ შეძლებდა. ბატონიშვილები მამულებსა და უფლებებს მოითხოვდნენ, დედოფალი საკუთარი შვილების გამეფებისათვის იბრძოდა, დიდგვაროვანი თავადები კი დღენიადღა ერთმანეთის დამდაბლებას და დაჩაგვრას ცდილობდნენ. ბოლო არ უჩნდა მაქციერობას, მამუზღრობას და ცილისწამებას. მითქმა-მოთქმის შიშით გიორგი მამას ახლოს არ ეკარებოდა, საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმას შინაც ვრიდებოდა და ვარეთაც. მის გარშემო თითქმის ყველა მასზე მეტ უფლებებს მოითხოვდა, მაშინაც კი ცდუნებით იყვნენ საესე, როცა არაფერი აცდუნებდათ. მდგომარეობა ვანსაკუთრებით მას შემდეგ გამოწვავდა, როცა რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორესა და ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის შორის დაიდო ტრაქტატი, რომლის ძალითაც საქართველოს ტახტის მემკვიდრედ გიორგი გამოცხადდა. მას შემდეგ ისე აიძვრა და ამტუტდა მეფის კარზე ყველაფერი, იმდენი დაჯგუფება წარმოიქმნა, ისეთი უნდობლობით განიმსჭვალა მთელი სასახლე, რომ სტუმრის მიღებასაც კი ეჭვის თვალით უყურებდნენ და სახიფათო ურთიერთობად



თვლიდნენ. ამიტომაც არ ისურვებოდა გიორგიმ საქართველოს ბინაში მისი მიღება და შეღამებისას თვითონ ესტუმრა.

როგორც კი შებინდდა, მის ოთახში შინამოსამახურებმა ხონჩებით შემოიტანეს ახალგამომცხვარი, გამატიკული პურები, გუდის ყველი, მოხარშული ორაგული, შემწვარი წიწილები და რაღაც განსაკუთრებულად დამზადებული და შეკმაზული ძუძუმწოვარი ზაქის ხორცი, რომლის გემოც დიდხანს არ დავიწყნია. დაბალ სუფრაზე სურებით შემოდგეს ხოდაშნური წითელი ღვინო, ვერცხლის თასები, მწვანელი, რჩეული ხილი და თვალისდახამამებმაში მის წინ მართლაც მეფური სუფრა გაიშალა. მხოლოდ ამის შემდეგ შემობრძანდა გიორგი ოთახში და არჩილს არ გასჭირვებია სუფრაზე დახვავებულ სანოვაცესა და გიორგის აღნაგობას შორის პირდაპირი კავშირის დადგენა. გიორგი ახოვანი კი იყო, მაგრამ მსუქანი, ზომაზე მეტად მსუქანი და ეს სიმსუქნე მას რაღაცნაირად რბილსა და გულითადს ხდიდა. ამ გულითადობას კიდევ უფრო აძლიერებდა მისი დარბაისლური, სასიამოვნო ხმა. ეს ხმა სიღრმიდან მოდიოდა და გამოცდილი, ცხოვრებაში არაერთხელ გაწბილებული კაცის სევდით იყო გამსჭვალული.

გიორგი კაცური უბრალოებით ექცეოდა ყველას, არჩილს კი ძმურად გადაეხვია და ისე თბილად მოიკითხა, როგორც დიდი ხნის უნახავი სახლიკაცი. სუფრაზეც შინაურულად, მეგობრულად მიიწვია. მათ შორის კაცური, სანდომიანი ურთიერთობა დამყარდა. გიორგის ჭამა-სმა უყვარდა და ამას ისე გემრიელად აკეთებდა, რომ სხვასაც უსხნიდა მადას. ხოდაშნური წითელი ღვინო დიდებული აღმოჩნდა, დიდებული იყო ზაქის შემწვარი ხორციც. სანთლების შუქი ირგვლივ სიმშვიდესა და მყუდროებას ავრცელებდა და არჩილი უმცირად მოსწყდა ყოველდღიური ხიფათითა და მოუსვენრობით სავსე ცხოვრებას, — რაღაცნაირ უძრავ, მომდუნებელ ბურთ-სში გაეხვია. ცხენის მაგივრად რბილ

ტანტზე იჯდა და ისეთი გრძნობა ექცეოდა, თითქოს სულზე მისასწრებდა. ვეყნად აღარაფერი იყო, მოძრაობა უძრაობამ შთანთქა და მასაც მისცა სულის მოთქმის, მუხლის მოხრის საშუალება. გიორგიმ დინჯად, ყურადღებით მოუხსინა, განზრახვა მოუწონა და მხოლოდ ამის შემდეგ აუხსნა, თუ რა ვითარება იყო შექმნილი მეფის კარზე. ტახტის შემცვიდრის სიტყვებმა არჩილი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იმგვარი საქმის მოგვარება, როგორც მას ჰქონდა დავალებული, ერთი ხელის მოსმით შეუძლებელი იყო. აქ არა მარტო ცალკეული პიროვნებების, დიდი სახელმწიფოების ინტერესებიც უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და მისი კეთილი განზრახვა საკუთარი ინტერესების დაცვაზე ხელს არავის ააღებინებდა. მათ ირგვლივ დიდი უკუნი იყო გამეფებული, ისეთი უკუნი, რომლის გაფანტვაც მხოლოდ დიდ ხანძარს შეეძლო. ასეთი ხანძრის დანთების უფლებას კი მათ არავინ მისცემდა და რომ მიეცათ კიდევ, ამის ძალა მათ მაინც არ შესწევდათ.

გიორგი ისე მარჯვედ ხმარობდა დანას, ისე მოხდენილად ჭრიდა ხორცს, რომ უნებლიეთ ყურადღება მის ხელებს მიაქცია და თვალის ველარ მოსწყვიტა. უფრო ლამაზი, მოვლილი და მოქნილი ხელები არასოდეს ენახა. სუფთა, დაუძარღვავი, ქათქათა კანი სანთლების შუქს ირეკლავდა, გრძელი თითები, რომელიც ლამაზად დაქნილი, მოვარდისფრო ფრჩხილებით თავდებოდა, საგანგებოდ ნაძერწი და მეტყველი ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ისინი თავისთავად, პატრონისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ დაფრინავდნენ, გედებოვით დაფრინავდნენ პაერში და მსუბუქად, ერთი შეხებით ისაკუთრებდნენ ყველაფერს, რისი დასაკუთრებაც სურდათ. ამ ხელებს უფრო მეტი მოქნილობა გააჩნდათ, უფ-

გივი მაღულარიძე
დისანნი

რო თამამად და მიზანდასახულად მოქმედებდნენ, ვიდრე მათი პატრონი.

გიორგის დათრობა არ უყვარდა, სამარცხვინო თავაშვებულობად მიაჩნდა და ამიტომ საჭმელს უფრო ეტანებოდა, ვიდრე სასმელს, არჩილს კი ხოდაშნური ლენის მსგავსი სასმელით დიდი ხანია არ ჩაუტკბარუნებია ყელი და მასპინძლის რომ არ მორიდებოდა, გვარიანად გამოთვრებოდა. თუმცა რატომ არ უნდა გამომთვრალიყო, რად სჭირდებოდა ფხიზელი გონება და საღი აზრი, როცა ამქვეყნად მას არც რაიმეს შეცვლა შეეძლო და არც იმ ტვირთის თავიდან მოცილება, რომელიც უკუღმართმა დრომ დააქსრა. გიორგი არაფერში გამოდაგვებია, არც ერთი მისი კავლასაზრისი არ უარუყვია, ორივემ კარგად იცოდა, რა იყო ქვეყნისათვის სასარგებლო და რა არა, მაგრამ თანამოაზრეობა არაფერს ცვლიდა, მათ სურვილზე იმდენად ცოტა რამ იყო დამოკიდებული, იმდენად უძლეური იყვნენ გარემოებათა და სხვათა ნების წინაშე, რომ ყოველგვარი იმედი ჩასახვისთანავე ჭკნებოდა და მათი კვალი შეგნებაში ისე იბეჭდებოდა, როგორც ხმელი, განაცრისფერებული ფოთლები.

არჩილმა გვერდი იცვალა, მაგრამ შევება მაინც ვერ ივრანო. გაპარტახება, რაც მის ქვეყანას ყოველდღიურად ემუქრებოდა, მის სულშიც იკიდებდა ფეხს. ეს კი კარგს არაფერს უქადდა არც მას და არც მის ქვეყანას. არჩევანს არასოდეს გაჰქცევია. მთელი ცხოვრება წანწალოში, ბრძოლებში და იმის გადაარჩენაში გაატარა, რის გადაარჩენაც შეუძლებელი იყო და, როცა ყოველი მის მიერ წამოწყებული საქმე ქარწყულდებოდა, როცა ყოველი მისი სიტყვა უძირო ჭაში იძირებოდა, ხელში კვლავ საკუთარი თავი რჩებოდა და სწორედ მას ვერ უხერხებდა ვერაფერს. ვერაფრით ვერ გადააჩვია სიკერაეს, ავის არცნობას და კარგის მხარდაჭერას, მტერთან მტრობას და მოყვარულთან მოყვრობას, წერილმანებისათვის ანგარიშის გაუწევლობას და მნიშვნელოვანის უგულუბეღყო-

ფას. ირღვეოდა, ისპობოდა რაღაც ისეთი, რაც საუკუნეების შრეთა სიღრმეებიდან იყო გამოტანილი, რაც ქმედით ცხოვრებაზე ხელის აღების, საკუთარ თავში გამოკეტვის საშუალებას არ აძლევდა და როგორც კი სადნე რაიმე უმგვანობას ან ქვეყნის დამამცირებელ, შეურაცხყოფელ უმსგავსობას წააწყდებოდა, მაშინვე ხელს გამოიღებდა და მხოლოდ მოგვიანებით გრძნობდა, რომ აჩქარდა, სიფიცზე ვერ დაიოჯა. ამიტომაც ერჩია სიფხიზღის ძილი, მაგრამ ძილი ახლოს არ ეკარებოდა და უეცრად იოანე ოქროპირის ისტყევის მოვანდა, რაც ასე ცხადად არასოდეს ამოტივტივებულა მის შეგნებაში: «ძილი სახეა სიკვდილისა, სახე და მსგავსება არარაისა, განვედ ქუჩასა და იხილე რომელ არაღა ომის არავისი ხმა. ყოველივე მწოლარობენ, ვითარცა საფლავსა შინა. ესრეა ყოველი განღვიძება სულისა და მოავგონებს მას სოფლისა ამისა არარაობასა... ღამისა ეამსა მღვიძარობენ მეცნიერნი: და ესრეთვე სული შენი, უმეტეს მცენარეთა რეცა მუშვიანავთა, მიიღებს ზეცისა ცვარსა».

არჩილმა წამოდგომა, ტანზე ჩაცმა და ქუჩაში გასვლა დააპირა, მაგრამ მალე გადაიფიქრა და ისევ თავის საზრუნავსა და სატიკვარს დაუბრუნდა. თანხმობას ვინღა დაეძებდა, ქართველი მეფეებისა და მთავრების კარზე ყოველი კეთილი საქმე, გულწრფელად გამოთქმული აზრიც კი ისევე საეჭვოდ მიაჩნდათ, როგორც ბოროტი ზრახვები. მის ჩამოსვლამდე ალა-მაჰმად-ხანს თბილისში ელაჩად ზიად-ხან ხოელი გამოუგზავნია, რომელსაც მეფე ირაკლისათვის მოუთხოვია ნადირ-შაჰისაგან ბოძებული უპვირფასესი თვლის დაბრუნება, რუსეთისაგან განდგომა, სპარსეთის მფარველობის აღიარება და მძეველები. წინაღმდეგ შემთხვევაში, საჭურისი ომით იმუქრებოდა. ამ ამბავს დიდად შეუწუხებია მეფე და დიდებულები. მაშინ გიორგი მეფის წინაშე წარმდგარა და თავის თავზე აუღია ამ საქმის მოგვარება. სპარსეთში შეიღს, დაეთს გაგზავნიდა



მძევლად, თვითონაც თან გაჰყვებოდა და შეეცდებოდა, ყანენისათვის წყალობა გამოეთხოვა, ომზე ხელი აეღებინებინა. გიორგის გულით სურდა, შეემსუბუქებინა მამისათვის მძიმე გადაწყვეტილებას მიღება, მაგრამ მისმა კეთილმა განზრახვამ ეჭვი აღუძრა ჯერ დედოფალს, შემდეგ კი მეფესაც. დარეჯანს შეემონდა, ვითუ მძევლად დატოვებულმა დავითმა რჩული შეიცვალოს, სპარსელებს ჯარი გამოთხოვოს და მისი დახმარებით ბაბის ტახტის დასაკუთრება მოინდომოსო. სწორედ ამგვარმა ეჭვებმა და უნდობლობამ გარიყა და დაამართხელა გიორგი, სწორედ ამის გამო მიეცა უმოქმედობას. იქნა თავის სადგომში, შუადღემდე ლოცულობდა და ცდილობდა, არავითარ საეჭვო საქმეში არ გარეუღიყო, მაგრამ სხვათა მსჯავრსა და ბრალდების მაინც ვერ იცილებდა თავიდან. რა საქმისათვისაც არ უნდა მოეციდა ხელი, ბოლოს მაინც ყველაფერი მის საწინააღმდეგოდ შემობრუნდებოდა. ამიტომაც ურჩია არჩილს, შენს საქმეს თვითონ მიხედე, მე ხელს თუ შეგიშლი, თორემ ვერაფერში დაგეხმარებით.

თენდებოდა, როცა არჩილმა ჩასთვლილა, მაგრამ გამოძინება მაინც არ აცადას. მუეძინის გამყვიანი ხმა ისე ჩაესმა ყურში, როგორც ასპიტის წივილი: „ლა-ილ-ლა, ლა-ილ-ლა!“ — ისმოდა ცაში აწვდილი მინარეთიდან, ისმოდა, ისე, თითქოს აღმოსავლეთიდან დაძრულ ურდოებს მოუძლოდა წინ. არჩილი ერთხანს გაოგნებული იწვა, შემდეგ გონს მოვიდა, საწოლიდან წამოხტა და ფეხშიშველი გავარდა აივანზე. ცისკენ ხელებაწვდილი მუეძინი მხურვალედ ლოცულობდა, ჩალმიან თავს ხან დაბლა ხრიდა, ხანაც ცისკენ შემართავდა და ისე თავგამეტებით გაჰკოიდა, თითქოს ალაპი ყრუ იყო და ჩვეულებრივი, ადამიანური ხმით წარმოთქმულ სიტყვას ვერ გაიგონებდა. არჩილი ნათლად ხედავდა მუეძინის შავვერემან სახეს, მის შეჭადარავებულ წვერს და ბოლმით იესებოდა. „როგორ ვერ მოშალეს აქამდე ურჯულთა ეს ბილწი ბუდე მეფემ და

ბატონიშვილებმა“, გაიფიქრა არჩილმა და ცდუნებისთვის რომ თავი დაედო, ოთახში შებრუნდა.



არჩილმა უგუნებოდ ისაუბრა, იქვე, მის გვერდით ჩამოძვარა მიამუნე და აპურა, ტანთ ჩაიცვა და მეფის სადგომს მიაშურა. მეფე ხანდაზმული კი იყო, მაგრამ მაინც უთენია დგებოდა. ამიტომაც არ მიიჩნევდა სტუმრობას უღროლად. გარდა ამისა, არჩილი მისი სიძე და შვილიშვილის მამა იყო. თუ ანგარიშს გაუწევდა, მიიღებდა და მოუსმენდა, ხომ კარგი, თუ არადა, იმ დღესვე დაბრუნდებოდა უკან. საფლანგავი დრო არც მას ჰქონდა და არც მის მსხლელებს. კარისკაცი მომეტებული თავაზიანობით შეეგებნენ, ულიმოდნენ; მაგრამ მასთან საქმეზე საუბარს გაურბოდნენ. არჩილმა ქვეშეცნულად იგრძნო, რომ იგი უკვე დაედანაშაულებინათ რაღაცაში, მის ირგვლივ უკვე შეეკრათ უნდობლობის წრე. ბოლოს მდივანს მიადგა. მდივანმა ყურადღებით მოუსმინა, ახლავე მოგახსენებო, დაპირდა და გაუჩინარდა. არჩილი ფანჯარასთან გაჩერდა. მუეძინის ლოცვა დაემთავრებინა, ცა მზის სხივებით მოთქრულიყო, მოედანზე უამრავ ხალხსა და პირუტყვს მოეყვარა თავი. შემაშფოთებელი ირგვლივ თითქოს არაფერი ჩანდა, მაგრამ შემთხარბი, შეფერადებული სივრცე გამჭვირვალე ფარდასავით ირხეოდა და ცდილობდა მის მიღმა მდებარე სამყაროს გამოთიშვოდა, არ ნდობოდა იმას, რაც გამომგლავნების შემდეგ ყოველთვის უბედურების სახეს იძენდა.

— მეფე შეუძლოდ გახლავთ, დღეს ვერ მივიღებთ, — მოესმა ამ დროს არჩილს მდივანის სასიამოვნო ხმა და კიდევ ერთხელ იგრძნო, რომ უკვე გეგმა სასახლის კარზე დაგებულ ხლართებში, უკვე ვილაციის მოწინააღმდეგე და ვი-

ვივი მაღუდაში
დისანნი

ლაცის მომხრე იყო. ახლა მას ისე კი აღარ უყურებდნენ, როგორც სტუმარს, არამედ როგორც შეთქმულს, ქვეგამხედველს, მზაკვარს. ამის მიზეზი მხოლოდ გიორგის წუხანდელი სტუმრობა შეიძლება ყოფილიყო. ღმერთმა იცის, რა უთხრეს, რა მოახსენეს მეფეს. ალბათ, რაღაც ისეთი, რის გამოც სიძის მიღებაც კი არ ისურვა. აქ, ამ გაუცხოებულ სამყაროში, აღარავის სჯეროდა, რომ ერთმანეთისადმი კეთილი განწყობა, მათი მომავალი ურთიერთობა მათივე სურვილზე და მონღოლებზე იყო დამოკიდებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ქვეყნისა და მეფის კარის საქმეებს უცხო, უხილავი ძალა განაგებდა და ამ ძალას ვერავინ აღუდგებოდა წინ, ვერავინ შეაცვლევინებდა ზნესა და ხასიათს. ამგვარ შეზღუდულობას, შუღლს, გაიძევრობას იგი საკუთარი მეფის კარზეც ვერ იტანდა და აქ კიდევ უფრო გამოიდრინებელი და აუტანელი ეჩვენებოდა.

სანამ სასახლეს მიატოვებდა, არჩილმა ერთი წუთით ისიც კი გაიფიქრა, თუ მეფე არ მწყალობს, იქნებ დედოფალმა მაინც მომისმინოსო, თუმცა ეს აზრიც მასწინევე უკუაგდო, რადგან დედოფალთან საუბარი კიდევ უფრო მეტ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა. მაგრამ არც ის იცოდა, სად წასულიყო, ვის წვეოდა, ვისთვის ეთხოვა მხარდაჭერა. ასე გარიყული და დამარტოხნელებული იშვიათად ყოფილა და ვინმე რომ ტყუილუბრალოდ არ შემოლანძლოდა, დარბაზი სწრაფი ნაბიჯით გადაკვეთა, კარი ღონივრად გამოაღო და ისე მიატოვა იქაურობა, რომ არავის დამშვიდობებია. თუმცა, რატომ უნდა დამშვიდობებოდა. მისი განსჯის საბაზი მათ უკვე ზღოთ ეხატა და ისე გამოიყენებდნენ, როგორც საჭიროდ მიიჩნევდნენ. მათ თვალში იგი არც სხვებზე უკეთესი იყო რაიმეით და არც უფრო სანდო. მის სულში კი მხოლოდ იმას კითხულობდნენ, რისი წაკითხვაც სურდათ. ამიტომაც არ უყვარდა არჩილს კარისკაცებსა და მოხელეებს შორის ტრიალი, თავისუფლე-

ბის დათმობა და შინაგანი მოწყობების ჩახშობა. იგი ყოველთვის იმას უკეთებდა, რისი ვაკეთებაც საჭიროდ მიაჩნდა და თუ ამისათვის თავქარიანს ეძახდნენ, სხვების ყურმოჭრილ მონობას ან სხვათა უმოწყალოდ დამონებას, ისევ თავქარიანი კაცის თავისუფლება ერჩია.

არჩილმა ცალი თვალით გახედა სასახლის იმ ფრთას, სადაც სადგომი მიუჩინეს და ქალაქისაკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვა. სახლში ჯდომასა და საკუთარი თავის ღრღინას ცხოვრებისათვის თვალის შევლება ამჯობინა. მოედანზე დიდი ბაზრობა გამართულიყო. რას არ ყიდდნენ და ყიდულობდნენ აქ, რას არ იწონებდნენ და იწუნებდნენ — ფარჩა გინდა, აბრეშუმი გინდა, ოქრო-ვერცხლი, იარაღი, ჭურჭელი თუ სანოვავე ყველაფერს ცხოვრების ფერი ედო და ცხოვრების სუნი ასდიოდა. აქ მყიდველებმაც და გამყიდველებმაც ზუსტად იცოდნენ, რა იყო მათთვის სასარგებლო და რაში ნახავდნენ ზარალს. პატივმოყვარეობას ვამპირიანობა ცვლიდა, ამპარტანობას — საქონლის ცნობის უნარი, უსაფუძვლო ვარაუდს — მიზანდასახულობა. ბრბო ცალკეულ პიროვნებებზე იყოფოდა და ისე ემებოდა ყოველდღიურ ბროტლაში, როგორც იძინებდა და იღვიძებდა. მათ არ აინტერესებდათ, რა აზრისა იყვნენ მათზე სხვები, როგორი გამომეტყველება ჰქონდათ ვაჭრობის დროს, რა სიტყვებსა და გამოთქმებს ხმარობდნენ. მათთვის მთავარი იყო, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახათ და ამისათვის მზად იყვნენ საკუთარი აზრი და შეხედულება უარყოთ, ეხუმრათ, ელაზლანდარათ, სასაცილოდაც კი აეგდოთ თავიანთი თავი, ოღონდ არ მოტყუებულებოდნენ, არ დაზარალებულიყვნენ, არ დამცირებულიყვნენ. და ეს ბაბილონური მრავალხმიანობა, ეს გაბმული ზუზუნი და ყაყანი ისე აცოცხლებდა იქაურობას, როგორც ფრინველები აცოცხლებენ ტყეს, ხოლო ირგვლივ შემოჭარბული სახლები და



ქარვასლები, თავზე წამოდგარი ცხენი, პერანგგანახლებული ვალესია და ლურჯად შოკიანი მეჩეთი, ფერადოვანი ცა და წყლის აელვარებული ზედაპირი ერთმანეთს ერწყმოდა, ფერთა და იერთი მდიდრდებოდა და სიცხადესთან ერთად, გაუცხადებელ იღუმალეზასაც იტყევადა.

არჩილმა მოედანი ისე გადაკვეთა, რომ ხალხში გარევა არ ისურვა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საყიდელი არაფერი ჰქონდა, მეორეც, მათგან რაღაც აცალკევებდა, რაღაც ისეთი, რაც თვით მისთვისაც კი გაუგებარი იყო, ბრბოს მის ენაზე უნდა ელაპარაკო, ხსუმრო, ივაჭრო, მას კი არც ხუმრობის თავი ჰქონდა და არც ვაჭრობის, უგუნებობა ჯერ კიდევ არ განულებოდა. თუმცა ამის მიზეზი ისიც შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ წუხანდელს აქეთ კიდევ ერთი ნაოჭი მოემატა სახეზე, კიდევ ერთი ბზარი გაუჩნდა გულში. ვერაფრით ვერ გაეგო, რის ეშინოდათ მეფესა და დედოფალს, რატომ იყვნენ ბატონიშვილები სამგლე გოჭებივით ატეხილნი, რამ დაუხშოთ თვალი და გული ისე, რომ ავს კარგისაგან ვერ ასხვავებენ. მართალია, გიორგი თვითონ ესტუმრა, ძმასავით მოექცა, მაგრამ ბოლომდე არც მისი სჯეროდა. თმაშვეერცხლილი, ზედმეტი ხორცილ დაძიმებული ტახტის მემკვიდრე არ ჩანდა ის კაცი, ვინც ქვეყნის აწეწილ-დაწეწილ საქმეებს თავს გაართმევდა, მემამოხეებს მოთოკავდა, მოსალოდნელ საფრთხეს ყოველმხრივ გაითვალისწინებდა. სპარსელების სიძულვილი და დედაქალაქში როსტომ მეფის მიერ დანერგული ადათ-წესების აღმოფხვრის სურვილი ჯერ კიდევ არ იშნავდა იმას, რომ სახელმწიფრო შეცდომას არ ჩაიდენდა, თავის თავს თვითონვე არ გაუთხრიდა სამარეს. ის კაცი, ადრე რომ გიორგი ერქვა, სხვა პიროვნება იყო, სხვა სახე ჰქონდა, ახლა კი იგი იმ სახით აღარ არსებობდა და ველარც სხვა ნიღბის მორგება შეძლო შესუტებულ სახეზე. ნიღამორდვეულთა მიმართ კი ცხოვრება ბევრად უფრო მკაცრი და

დაუნდობელია, ვიდრე შენიღბულთა და შეჯავშნულთა მიმართ. ამგვარ ნაკლს ველარც პირადი ღირსებები აწონასწორებს და ველარც სიამაყე. „ლოცვა და ეკლესიების მორთვა-მოკაზმვა ვერ უმეველის უძლურ, სხვისი ხელის შემყურე ტახტის მემკვიდრეს, რომელსაც სხვების დაუნხმარებლად ცხენზე ამხედრებაც კი არ ძალუძს“, — გაიფიქრა არჩილმა და აივანზე გადმოფენილ სპარსულ ხალიჩას შეავლო თვალი. ხალიჩა ლამაზად მოხატული, მდიდრული ფერებით შემკული იყო და ამ უჩვეულო ფერადოვნებას უკვილნარივით აფრქვევდა.

არჩილი კარგად იცნობდა თბილისის უბნებსა და გარეუბნებსაც და ახლა იმის დანახვას ცდილობდა, თუ რა შეიცვალა, რა გადასხვაფერდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ რაც უფრო დაკვირვებით ათვალიერებდა ქალაქს, მით უფრო უმნიშვნელო ეჩვენებოდა ცვლილებები და როცა შამაბასის მიერ დანგრეულ ორმოც მოციქულთა ეკლესიას შეავლო თვალი, ქვედა ტუჩი ავად მოედრია. ეს ეკლესია ერთ-ერთი უძველესი იყო თბილისში, მის თლილსა და გრილ ფილებს ჯერ კიდევ აბო თბილელის შიშველი ფეხების სითბო ახსოვდა, ხოლო საფეხურებს — რჯულგამოცხლილი არაბის სისხლის კვალა, რადგან სწორედ მის წინ მოჰკვეთეს თავი. ახლა კი ეკლესია თითქმის საძირკვლებამდე იყო დანგრეული, ბორცვებად დახვავებულ ღორღზე ბალახი ამოსულიყო და მთელი ეს უბანი, დანგრეული ეკლესიის ეზოთი და მის ირგვლივ გაშენებულ სახლებით, ვიღაც თათარს ეკუთვნოდა, რომელიც მეფეს ეკლესიის უსასყიდლოდ აღდგენის უფლებას არ აძლევდა. იქაურობა ისე იყო გაპარტახებული და დაცარიელებული, თითქოს ეკლესიამ თავის ეკუთვნილი სივრცე ჩამოქცევის დროს უარდასავით დაითრია და თან ჩაიტანაო და ახლა ეს სივრცე აღდგენას, პირვანდელი სახის დაბრუნებას

გივი მაღულარიძე
დისანინი



მოითხოვდა, მაგრამ თათარს არ სურდა მის საბრძანებელში ეკლესია მდგარიყო და მუეძინის გამყიფიანი ხმა ზარების გუგუნვს ჩაეხშო.

სახლები თანდათან პატარავდებოდნენ, მეჩხერდებოდნენ და როცა ქალაქის მჭიდრო ქსოვილი გაიხა, არჩილი მიხვდა, რომ ვარეუბანს მიადგო. ვიწრო ხევს იქით ბუჩქნარი იწყებოდა, ბუჩქნარს მიღმა ერთმანეთსაგან დაცალკევებული რამდენიმე ხე იდგა, რომელთაც ფოთლები გახუნებოდა. მათ უძრავობაში მწუხარება, უფრო სწორედ, რაღაც უიმედობის მაგვარი იგრძნობოდა. იდგნენ გაშეშებულნი და ელოდნენ წარღვნას, გადაქეღვას, გადაბუგვას, საკუთარი არსისა და ჩრდილის დაკარგვას. შეიძლება ამგვარ შთაბეჭდილებას უქარო ამინდი, მხურვალე მზე და ირგვლივ გაეფხებული მდუმარება ქმნიდა, მაგრამ, რასაც არ უნდა შეექმნა, არჩილს მაინც აღიზიანებდა, რადგან არ უყვარდა უმიზეზოდ დანაღვლიანება, შინაგანად მოშვება და მოღუწება. ამგვარი რამ საკუთარი თავის ღალატად მიიჩნდა. ჭერ კიდევ შესწევდა იმის ძალა, რომ საფლის უტუღმართობას შებრძოლებოდა, თუ ვერ გარდაქმნიდა, შეიძლება სულ ცოტათი მაინც გაეუმჯობესებინა საუკუნეებით ნაიჭგანი ცხოვრება და ამიტომ, ჩვეულებრივ, ბუნების უშუალო, ჟანსად ზემოქმედებას არ ეწინააღმდეგებოდა და არც თავის თავს აღიევდა იმის უფლებას, რომ დაპირისპირებოდა, მტრულად მოქცეოდა მას.

არჩილი უკან გამობრუნდა, ვიწრო ჩიხში ჩაუხვია, რომელიდაც სოფლაგრის სახლს გვერდი აუარა და ახლა სხვა ქუჩით დაიძრა მოედნისაკენ. მზე სახეში სცემდა. ის სიცხე, თბილისში რომ იცის, უკვე დაიწყებული ჰქონდა და ახლა გაორკეცებული ძალით გრძნობდა. ბუდად, გზაში მეთულუხზე შემოეყარა. გემრიელი არც რიონის წყალი იყო, მაგრამ მტკვრის წყალი კიდევ უფრო უგემური მოეჩვენა. მეთულუხჩეს წვრილი ფული ჩაუყარა ხელში და გზა განაგრძო. ქუჩიდან ჩრდილები აღგვი-

ლიყო, ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვებოდა, დარაბები დაეხურათ. ხელოსნები ნებდნენ, პურს სჭამდნენ, ნაშუადღევითათვის ძალას იკრებდნენ. უეცრად ერთ-ერთი სახელოსნოს წინ შეჩერდა. აბრაზე საბეჭდი დაზვისაკენ დახრილი ოსტატი დინახა და არაერთგზის გაგონილი გვარი წაიკითხა. იცოდა, კეყერაშვილს რომ თბილისში ქართული სტამბა ჰქონდა მოწყობილი, სადაც სახარება, დავითნი, სამოციქულონი, ეამნი, მარხვანი და საერო წიგნები იბეჭდებოდა, რომელთა ნიმუში ქუთაისამდეც კი აღწევდა. შუადღე რომ არ ყოფილიყო, შევიდოდა, დაბეჭდილ წიგნებს გადაათვალიერებდა, შეიძლება ეყიდა კიდევ რამდენიმე მათგანი. მის გაპარტახებულ ქვეყანას ყველაზე მეტად წიგნი სჭირდებოდა, წიგნიერ ხალხს სწორედ წიგნი აკლდა და ამის გამო მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს, არ იცოდა, რა ხდებოდა დედამიწის ზურგზე, რა გამოცდილება და სიბრძნე შეიძინა ამ ხნის განმავლობაში კაცთა მოდგმამ. მართალია, ცხოვრებულმა სოლომონმა გიორგი ჰაიჭაძეს მოსკოვიდან სტამბისათვის საჭირო ყოველგვარი მოწყობილობა ჩამოატანინა და მის გასამართავად სამეფო პალატის ერთი კუთხე დაუთმო, მაგრამ ქუთაისის სტამბა მასლისა და ქალაქის უქონლობის გამო საჭირო წიგნებს იმ რაოდენობით ვერ ბეჭდავდა, რომ ამას ქვეყნისათვის რაიმე სარგებლობა მოეტანა. თუმცა დიდი სარგებლობა არც კეყერაშვილის ერთადერთ სტამბას მოჰქონდა. საუკუნეების მანძილზე იმდენი რამ დაგროვდა დასაბეჭდი და გადასარჩენი, ათი ამგვარი სტამბაც ვერ აუვიდოდა. მაგრამ ყველაზე გულდასაწყვეტი მაინც ის იყო, რომ ამ სტამბაში არაბული ანბანიც ჰქონდათ ჩამოსხმული და იმათ წიგნებსაც ბეჭდავდნენ, ვინც საქართველო დაქვევად და გაპარტახებამდე მიიყვანა.

უძრავი ჰაერი დაგუბებული წყალივით იდგა ქუჩაში, ცხელოდა. ამ დილის აქეთ არჩილი თავის თავს ცნობდა კიდევ და ვერც ცნობდა, რა უსიტყვოდ



გამოხატვის წინაშე, რადგან დათმობა წინააღმდეგობრივი და ნაკლებად დევნილი მავივრად, რომ სხვებს გასწორებდა, საკუთარ თავზე იყრიდა ჯავრს, აღიზიანებდა, აფორაქებდა. ბოლომდე ისე აწვებოდა ყელში, თითქოს ხორცმეხმული იყო. რამდენი ხანია თბილისში არ ყოფილა, არ ჩამოდიოდა, რადგან სათქმელი არაფერი ჰქონდა, ახლა კი მთელი დღე რომ ელაპარაკა, სათქმელი არ გამოეყოფა. მაგრამ რა? ისე დახეტილობს თბილისის ქუჩებში, როგორც უცხო უცხოთა. ქალაქში და ის დრო, თდესდაც აქ რომ გაუტარებია, დაჯარული ეჩვენება. დროის უქმად დაჯარვა კი არჩილს არ უყვარდა, არ უყვარდა, როცა საფუძველი ეცლებოდა ფეხებზე და სწორედ ამ დროს სჩადიოდა რაღაც ისეთს, რის გამოც დაუდგვარსა და თავქარიანს ეძახდნენ. მაგრამ მას სწორედ ასეთი გამოხდომა აძლევდა ძალას განეგრძო ხანდახან ზომანზე მეტად მოყირუებული ცხოვრება, კვლავ ჩამდგარიყო იმან რიგში, ვინც ფარხმალს არ ჰყრიდა, პირუტყვს ან ავაზაკს არ ემსგავსებოდა. შეიძლება მის ბრძოლასა და ძალისხმევას არავითარი შედეგი არ გამოედო; დროს უწყალოდ გათეულ ყველაფერი, რის აღდგენასაც ცდილობდნენ, მაგრამ, სანამ პირში სული ედგა, ვერც მის მიწა-წყალზე მტრების დაუსჯელად ფარფაშს შეეგუებოდა და ვერც ხალხსა და ცხოვრებას განუდგებოდა განზე.

არჩილის ყურადღება ნინოწმინდის ეკლესიის ეზოში ევროპელი ოსტატების მიერ აგებულმა ორსართულიანმა სასახლემ მიიპყრო. საბა ტუსისშვილი შეძლებული კაცი იყო. და ასეთი სასახლის აგება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ არჩილს ის მოეწონა, რომ სასახლე თვით იყო თავისუფლებისა და ღირსების მატარებელი, თვით შეიცავდა იმ სიხალვათესა და სილამაზეს, რაც ასე დამახასიათებელი იყო იმდროინდელი ქართული ტაძრების, სასახლეებისა და ქვაში გამოთლილი ქალაქებისათვის, როცა

ხალხს თავისუფლად შირშიოსა და შენეუბის შესაძლებლობა ჰქონდა. შაშინას ისე ახარებდა, ალბათ, თვალს ხარაჩოვებამოხსნილი შენობის მთლიანობა და სიდიადე, როგორც ამ სასახლის მზის სხივებით განბანილი სვეტების, ფანჯრების, აივნებისა და ქანდაკებების სინახასე და სინატიფე ახარებს.

არჩილმა შიმშილი იგრძნო და სანამ მოედანს მიდევნებდა, ხის ფართოაივნის სახლის ქვეშ გამართულ დუქანში შევიდა, რომლის წინ მართლაც მამაპაპური რუმბები ეკიდა. დუქანი ბნელი და გრილი აღმოჩნდა. გამჭვარტლულ, შემწვარი ხორცის სუნით გაედენთილ დარბაზში ხის უხეში მაგიდები და ასევე უხეშად გამოჩორენილი სკამები იდგა. უკეთეს ადგილს ვერც სხვაგან იპოვიდა, ანდა რა აზრი ჰქონდა შეზნას, რაც სურდა, იმას აქაც მოართმევდნენ და რადგან დუქანში თითქმის ცარიელი იყო, გრძელ მაგიდას მარტო მიიჯდა. მელუქნემ, როგორც ეს მათ ხელობას სჩვევია, გუმანით იგრძნო, რომ საპატის სტუმარი ეწვია და დიდებული სადილი და ასევე დიდებული ღვინო მოართვა. დროს აქ, ალბათ, საღამოობით ატარებდნენ; დუღუქს უკრავდნენ, ბაიათებს მღეროდნენ, ღღისით კი შემთხვევით თუ შემოხეცებოდა ვინმე, ისაღილებდა და წავიდოდა. მაგრამ არჩილს არსად ეჩქარებოდა. ქუჩაში ნაწაწალებმა და დასიცხულმა მადიანად ისადილა. შემდეგ ღვინოს მიეძალა, უნდოდა დამთვრალიყო, გულიდან ჯავრი ამოეთხვია, მხრებიდან საუკუნეები ჩამოეფერთხა, თავიდან მოეცილებინა ისინი, ვინც უქან ექაჩებოდა, აფერხებდა, წინაპართა სხელით რაღაც იმხელას ათომბინებდა, რაც მთელი მომავალი ცხოვრების ტოლი იყო, მაგრამ, როცა გუნება ვერც კახურმა ღვინომ გამოუყეთა, სუფრიდან წამოდგა, მელუქნეს დანახარჯი გადაუხადა და იქაურობა მიატოვა.

გივი ვალუაჩია
ფისანია



იმ დამეს არჩილი კიდევ უფრო შეზარხოშებული დაბრუნდა მისთვის მიჩენილ ბინაში, სანთლებით განათებულ ოთახს თვალი მოავლო, მიიშურა დაუწყობიანად, მაგრამ ვერსად აღმოაჩინა და როცა დაწვრილდა, ან ვიღაცამ გაუშვა, ანდა თვითონ მიატოვა აქაურობა, გულზე მოეშვა. ჭერ ერთი, არავითარი სურვილი არ ჰქონდა სხვისი ქონება მიესაკუთრებინა, მეორეც, მიიშურის მოვლა-პატრონობის ხასიათზე არ იყო. ამიტომ ერთხანს უაზროდ დაბორილვდა ოთახში, შემდეგ ტანთ გაიხადა, სანთლები ჩააქრო, ლაგინში ჩაწვა, მაგრამ დაძინება მაინც გაუჭირდა. ვერ სწყდებოდა თავს, ვერ ეხვეოდა საკუთარ ხასიათში ისე, როგორც მწყემსები ეხვევიან ნაბადში. როცა ხილს გადმოდის, მოსორებით მტკვარზე ჩირადნებით განათებულ ტივს მოჰკრა თვალი, რომელზედაც თბილისელი მოქალაქეები ქეიფობდნენ და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს აჩრდილებად ქცეული მოქეიფენი უხმოდ მღეროდნენ, უხმოდ შლიდნენ ხელებს, უხმოდ საუბრობდნენ და ეს მკვდარი სიტყვები და მოძრაობები დამეს უფრო აფრთხობდა, ვიდრე ამშვილებდა, რაღაც მდინარის შავი, მოძრავი ზედაპირი მხოლოდ იმას ირყვავდა, რასაც ყოფიერება ყოველწუთიერად ძარცვავდა და გაუშინდელ უძლურებას ისე ამძიმებდა დღევანდელით, როგორც დასაბამიერ გაუგებრობას ამძიმებს ამჟამინდელი. გაუგებარი იყო არა მარტო თვალის დახუჭვა, თავის მოტყუების საყოველთაოდ გავრცელებული სენი, არამედ ის უღარდლობა და უპასუხისმგებლობაც, რასაც ქვეყნის მესვეურნი მომავლისადმი იჩენდნენ. საკმარისი იყო პატარა მარცხი, ერთი ოპის წაგება და ისედაც დაქუცმაცებულ ქვეყანა საბოლოოდ დაიშლებოდა, უმოწყალოდ გაითვლებოდა და დიდხანს ვეღარ აღსდგებოდა მკვდრეთით. ამას თითქოს ყველა გრძნობდა, მაგრამ ხელს არავინ ანძრევდა, არავინ

არაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მტერს მარჯვედ დახვედროდა. ლობაძე უღვთოდ გათიშა სისხლით ნათესავები, შათი ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირა და ერთი სამართლის მაგივრად მრავალი წარმოშვა. სწორედ ეს უკლავდა გულს ჭაბუა ორბელიანს, რომელმაც ვახშმად დაბატოვა და ბევრ რამეზე აუხილა თვალი.

არჩილმა საბანი ისე მწყურაოდ გადაიძრო, თითქოს მიძიმე ლოდ მოიშორა თავიდან. მართალია, შედიმებისას აგრილდა, კოჭრიდან ნიაგა დაღუბერა, მაგრამ საბნის ქვეშ მაინც უსაშველოდ ცხელოდა. შეიძლება, სიცხე ისე არ აწუხებდა, როგორც უმოქმედობა, უმოქმედობა და ლოდინი, რომელიც ჰაერს ასქელებდა და ძილგამკრთალ სულს უხუთავდა. ასე მოსდიოდა ყოველთვის, როცა იმ ზღვარს უახლოვდებოდა, რომლის მიღმა სიშმაგე იწყება.

ჭაბუა შეუხედავი კაცი იყო — მსხვილნაკეთებიანი, ჯამები, ბეჭებში მოხრილი, მაგრამ ენა და გონება ისე უჭრიდა, რომ მის გადაკიდებას ბევრი ეტიდებოდა. ამიტომაც არ უყვარდათ ზოგიერთებს, განსაკუთრებით იმათ, ვის სულსაც ბნელი ზრახვები ასაზრდოებდა და გამჭრიახი თვალის ეშინოდა. ჭაბუამ საჯაროდ მხოლოდ იცოდა და საჯაროდ გაიცხვაც, რასაც შეიძლება ყოველთვის არ მოჰქონდა სასურველი შედეგი, მაგრამ იგი საქმიანად საერთო ინტერესებისათვის იბრძოდა და არც მეფის რისხვის ეშინოდა და არც ცილისწამების. ცილისმწამებლებს ისეთ დღეში აგდებდა, რომ საჯაროდ ახდევინებდა ბოდიშს. ამავე დროს შესანიშნავი მოქეიფე, მომღერალი და მოსაუბრე იყო. არასოდეს გამოეყოფოდა სიტყვა, არც ერთ შენიშვნასა და კითხვას არ დასტოვებდა უპასუხოდ, ხოლო მისი ბანი ისე გუგუნებდა, რომ ჭერი მიღლა იწყებდა. მაგრამ ბოლო დროს ჭაბუა ორბელიანი სიმღერის ხასიათზე არ იყო, ქვეყნის ბედი აწუხებდა, გრძნობდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ახლოვდებოდა, რაღაც ისეთი, რაც მის ამდენი

ხნის ღვაწლსა და ჯაფანს უმოწყალოდ გააქარწყლებდა და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდებოდა. თავიდან დაწყებას კი ჯანი და ურყევი მიზანდასახულობა სჭირდება, რაც მისი ხნის კაცს სიცოცხლეს უმოკლებს. ამიტომაც მოუწოდებდა ყველას ერთობისა და თანხმობისაკენ, ამიტომაც უჭერდა მხარს გულმხურვალედ ამიერ-იმიერის ვეერთიანებას. გარედან დახმარების იმედი უიმედობაზე უარესია, ეუბნებოდა იგი წუხელ არჩილს, ჩვენ თვითონ უნდა გამოვიდეთ ხელი, ჩვენ თვითონ უნდა გამოვინახოთ ჩვენსავე თავში ის ძალა, რომელიც ქვეყნის დაცვასაც შეგვძლებინებს და ჩვენი წილი ტვირთის ზიდვასაც. სუსტი, სამოწყალოდ ხელგაწვდილი კაცი თუ ერი არავის უყვარს, ასეთებს ან სპობენ, ან იმორჩილებენ. დამორჩილებულს კი აღარც საკუთარი სახე გააჩნია, აღარც ხასიათი და აღარც დანიშნულება. ჩვენ რომ დავივლიდეთ, ამას მტკიცება არ უნდა, ამის პირველი ნიშანი ისაა, რომ ძველებურად ცხოვრება გვიპირს და დღენიადავ რაღაცის გარდაქმნის, განახლებისა და გადასბავებრებისკენ ვისწრაფვით, მაგრამ ეს ცხოვრება იმაზე უკეთესი, როგორც იყო, არასოდეს იქნება და საკუთარი სახე რომ შევიწარმინოთ, ამისათვის ბრძოლაა საჭირო. რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავარდეთ ის უკუნი, ირგვლივ რომ გვარტყია და კაცურად გამოვიხედოთ თვალში.

ღამე ისე მიიმედ დაცოცავდა ჰერსა და კედლებზე, თითქოს მოჩვენებებით იყო სახე და არჩილს ბნელი ფარდის გახვევა მოუხდა, მაგრამ არც იმის ხილვის სურვილი ჰქონდა, რაც ფარდის მიღმა იყო და ისევე თავისი გაფანტული აზრებისა და ფიქრების თავმოყრას შეუდგა. მის ძარღვებში ჯერ კიდევ გუგუნებდა კახური ღვინო, მის სულში ჯერ კიდევ იღვინებოდა ბოდმა და წარსულის აფორიაქება, წინაპრების გამოწვევა ირგვლივ უსაშველო კორიანტელს დააყენებდა. ამიტომ ბნელი ისევე მღუმარებას შეატოვა ხელში, საწოლზე წა-

მოჯდა და განურებული შუბლი ღია ფანჯრიდან შემომავალ ნიავს მიუშვებდა. ერთ დროს იგი თავშესაფარს წარსულში ეძებდა, მაგრამ, როცა იქ ვერაფერი ამის მაგვარი ვერ აღმოაჩინა, ისევე აწმყოს დაუბრუნდა და ახლა წარსულთან მონიღომა კავშირის გაწყვეტა, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა იოლი საქმე და დროის დანაწევრებაზე ხელი აიღო. ყველაფერი, რაც მის გონებაში გაიფიქრებდა, მოგონებებზე ან ვარაუდზე იყო დაფუძნებული და თუ რაიმე გამოხატვას მოითხოვდა, გამოხატვის შემდეგ ისევე ისეთივე სამოსელში ეხვეოდა, როგორშიც ცვალებადი და მუსთაოლი საწუთროა ვახვეული. ამიტომაც არ უყვარდა ბუნდოვანი სიმართლე, ამიტომაც ვერ იტანდა ვერაფერს, რაც მის კაცურ ღირსებას შეურაცხყოფდა. სწორედ ამგვარი გრძნობა დაეუფლა იმ დილით, როცა მუქმინის გაპყვიანი ხმა გაიგონა, ხმა კი არა, რაღაცნაირი ხორხისმიერი, შემაზრუნეი ბგერები, რამაც არა მარტო აღაშფოთა, შეაძრწუნა კიდევც.

არჩილს ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს ბნელი ღამე კედელს მიეყრდნო, მოეშვა, მოდუნდა და თვლებს მიეცა. ახლა აღარაფერი აღარ საჭიროებდა გათიშვას, არც სიბნელე მღუმარებისაგან და არც მღუმარება სიბნელისაგან. ისინი შეერწყნენ, შეესისხლბორცნენ ერთმანეთს და უსახური სიბრტყეებით შემოიფარგლნენ. ამიტომაც მოეჩვენა არჩილს ეს ღამე კიდევ უფრო გრძელი, ვიდრე გუშინდელი და, რადგან ირგვლივ სიცარიელის მეტი არაფერი ერტყა, ისევე საკუთარი თავისაკენ უკუიქცა. წუხელ ჰაბუამ ისეთი რამ უთხრა, რაც მას ალბათ აზრად არ მოუვიდოდა. იგი მარტოდმარტო ჩამოვიდა თბილისში, მარტო ცდილობდა საუკუნეების მანძილზე მოუგვარებელი საქმის მოგვარებას. ჰაბუამ კი უთხრა, მარტო კაცი ამხელა საქმეს თავს ვერ ვართმევს, პი-

ივნი ვალუაზია
ფესაანი

რქით, ექვსადა უნდობლობას გამოიწვევს, რადგან ერთი კაცი საკუთარი თავის გარდა, არავის წარმომადგენელი არაა. ამიტომ უმჯობესი იქნება, შეიკრიბონ იმერეთის სამეფოს მესვეურნი, ეკლესიის მამები, ფიცის კაცნი, გაითვალისწინონ მოსალოდნელი დაბრკოლებები, მოითათბირონ, რის მოგვარებას რა გზით აპირებენ და თბილისში ისე ჩამოვიდნენ, როგორც სამეფოსა და მთელი ხალხის წარმომადგენლნი. ამგვარ წარმომადგენლობას მეფე მიღებაზე უარს ვერ ეტყვის. ჩვენ კი მხარში ამოვუდგებით თქვენს დესპანებს და იქნებ ელჩისოს ქართველ ხალხს ერთხელისუფლებიანობა, ერთსულოვნება, ერთი ბედის ქვეშ ცხოვრება. ამ საქმის დიდი ხნით გადადება არ შეიძლება, ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ შეეჩვიო მარცხსა და უბედურებასო.

ჭაბუა გამოცდილი კაცი იყო, მთელი სიცოცხლე მეფის კარზე ტრიალებდა და სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში უშუალო მონაწილეობას რეზულთანა. ამიტომ მისი რჩევა ჰკუთხა დაუჭადა; სარწმუნო, გონიერული ეჩვენა. მაგრამ დამე სულ უფრო მეტად ღრმა და ცარიელი ხდებოდა, ყოველი ცოცხალი აზრი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევდა და მას არა მარტო უგუნებობა ემატებოდა, არამედ გულისწყრომაც იმ კაცისა, ვინც კიდევ ერთხელ შეცდა, კიდევ ერთი მარცხი განიცადა და ხვალ ან ზეგ ისევ ხელცარიელი უნდა გაბრუნებულყო უკან, როგორც ნადირობიდან ბრუნდებოდა ზოგჯერ. მისი ერთპიროვნული მისია უშედეგოდ დამთავრდა, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ასე ადვილად იგი არასოდეს ეგუებოდა მარცხს და ახლა მისი სულის ფსკერიდან აღშფოთების იმხელა ტალღა იწევდა მაღლა, რომ მისი დაოკება შეუძლებელი ეჩვენებოდა.

არჩილს მოზეზრდა წყვილადის პირისპირ ჯდომა, გულადმა დაწვა, საბანი ნახევრად გადაიფარა და თვალეები დახუჭა. თუ ვერ დახიინებდა, თვალს მაინც დაასვენებდა და ამასობაში შეიძ-

ლებდა სულ სხვა ფიქრები სწევოდა. მეტსიერება ისეთ რამეს ჩაბლაქუჭებდა, რაც საკუთარ თავთან მთარიგებდა, მკმუნვარებას განუქარვებდა, ძილს მოჰვერიდა, თორემ ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს სასახლე წყვილიდმა დაისაკუთრა და ხელიდან აღარ უშვებოდა.

ერთხელ მარტომარტო დაედევნა სამ გამოუსწორებელ ავაზაკს, რომლებიც მოტაცებული გოგო-ბიჭების გონიოში გაყვანას აპირებდნენ და სამივე ისე ჩამოყარა ერთმანეთის მიყოლებით ცხენიდან, როგორც მწიფე ხილს ყრიან ხიდან. განთავისუფლებული ბავშვები ირგვლივ შემოეხვივნენ, ცით შოვლენილ ანგელოზად მიიჩნიეს და არჩილი კმაყოფილი დარჩა, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა მისი ვინაობა, არც ერთს არ მოსვლია აზრად მეფური პატივი მიეგო. იდგნენ გახარებულნი, მშობლიურ ცასა და ველ-მინდორს ეაღერსებოდნენ და ამ ერთ ციცქნა მიწის ნაჭერში მთელ სამყაროს ატვედნენ. იმ დღეს იქაურობა მისთვისაც სხვა ფერებით შეიმოსა, სხვა იერი მიიღო. მზით გამთბარი ველ-მინდორი მშვიდად, უშფოთველად სუნთქავდა, ღრმა ხეობიდან წყლის რაკრაკი ისმოდა, ირგვლივ გააფეხებულნი სიმწვანე ისე სცემდა თვალში, როგორც გადაღებილი მზის სხივები და მიწას მხოლოდ იმათი გვამები ამძიმებდა, ვინც ადამიანის სახე დაკარგა, გატყუარდა და ახლა უსულონი და უმოძრაონი შავი წერტილებივით ეყარნენ გზაზე ერთმანეთის მიშორებით.

არჩილს რული მოერია, თბილ, სქელ ბურუსში ჩაიძირა და მისი მუამზობური გუნებით დაბერილი ძარღვები დაცხრა. სიცარიელემ ბნელიც დაისაკუთრა და ისიც, რაც ბნელს აფარებდა თავს. იქაურობას მხოლოდ ღია ფანჯრიდან შემომავალი სიო ახალისებდა. მაგრამ ღია ფანჯარა არა მარტო სიოს ატარებდა, არამედ სინათლესაც და როცა ცას კალთა გაუწაცრისფრდა, ფანჯარაში ვიწრო, შეფერადებული ზოლი შეიჭრა,

რომელიც ჯერჯერობით განთიადის მოციქული იყო და არა თვით განთიადი. დამე შეკრთა, აფორიაქდა, ჩამოგლეჯილი კალთა დაითრია და ბნელ კუთხეებში მიიყუთა.

არჩილს ღრმად ეძინა, როცა ყურში მუეძინის გამყვიანი ხმა ჩაესმა. იგი ჯერ შეიშმუშნა, აბურღლუნდა, გვერდზე გადაბრუნდა, მაგრამ, როცა კიდევ უფრო ცხადად მოესმა იგივე ხმა, გველნაებენივით წამოიჭრა ფეხზე. ოთახში დილის რიერაჟი შემოძტრწულიყო, საგნები გამოკვეთილიყო, ყოველდღიურობას თავისი ნამდვილი სახე დაებრუნებინა. არჩილი ერთხანს უაზროდ იტყირებოდა ირგვლივ, უნდოდა მიმხვდარიყო, სად იყო, რა უნდოდა, რას ეძებდა, ბოლოს გამოერკვა, კედლისაკენ წავიდა, თოფი ჩამოიღო, ტყვია-წამალი შეამოწმა და უყოყმანოდ დაიმრა აივნისაკენ. დილის ნიავემა შუბლი გაუტრილა, საბოლოოდ გამოაფხიზლა. ახალგაღვიძებული თბილისის სამოსელს იცვლიდა, პირს იკობტავებდა, ასაყაყანებლად ემზადებოდა. მინარეთზე აბობლებული მუეძინი კი ისეთი ხმით გაჰკიოდა, ისე ამგლოვიარებდა იქაურობას, რომ ახალგაათენებულ დილასაც კი უმოწყალოდ ამუქებდა. არჩილმა თოფი მოიპარჯვა და მუეძინი მიზანში ამოიღო. ტყვიას რომ არ აცდენდა, წინასწარ იცოდა, მაგრამ იმის სურვილიც ჰქონდა, რომ მოლა მინარეთიდან გადმოეგვო და მოთმინებით ელოდა იმ წამს, როდის წამოდგებოდა ფეხზე მუეძინი, როდის შეაჩერდებოდა ცას. ირგვლივ ყველაფერი დაიძაბა, სივრცე კიდევ უფრო გამჭვირვალე და მაცდურნი გახდა და როცა მუეძინი ფეხზე წამოდგა და მთელი ტანით არჩილისაკენ შემობრუნდა, თოფმა იჭექა. ტყვიანარკავი მუეძინი ჯერ უკან გადაქანდა, შემდეგ წინ წამოიქცა და ისე

გადმოეშვა მინარეთიდან, როგორც ხიდან ჩამოგდებული დიდი, შეაფრთიანა ფრინველი.

არჩილმა იცოდა, ეს ამბავი რომ მეფეს განარისხებდა, მთელი სასახლე და ქალაქი რომ აყაყანდებოდა, მაგრამ იცოდა ისიც, რომ მუეძინის მინარეთიდან ჩამოგდება ბევრი ქართველი კაცის გულს გაახარებდა და ამიტომ დიდად არ შეწყუხებულა. უსიამო გრძნობა მხოლოდ ერთხელ დაეუფლა და ისიც მასწინ, როცა მუეძინის ხორცსავსე სხეული მიწას დაენარცხა.

არჩილმა მტკვარზე დაკიდებული აივნისაგან კიდევ ერთხელ გადახედა მოედანზე ვართხმულ გვამს, რომელსაც ირგვლივ საიდანღაც გამოიმძვრალი ადამიანები შემოხვეოდნენ, შემდეგ ოთახში შებრუნდა, სამგზავროდ აღიჭურვა, დერეფანში გავიდა, მეზობელი ოთახის კარი შეაღო, ახალგაღვიძებულ მსლებლებს თავზე დაადგა და ხმაშალდა უბრძანა:

— ადექით, ცხენები შეკაზმეთ, მივდივართ!

არჩილმა არც მეფის რისხვას გაუწია ანგარიში, არც გიორგის თანაგრძნობის გამომხატველ სიტყვებს და იმავე გზას დაადგა, რა გზითაც თბილისში შემოვიდა. მის სულში რაღაც უკვე გაწონასწორებულყო და მზის სხივებით განათებულმა ქვეყანამ, რომელსაც არც მესხიერება გააჩნდა და არც ერთი წუთით შეყოვნების უნარი, სრულიად ჩვეულებრივი, მყარი სახე მიიღო, რასაც კიდევ უფრო ამდიდრებდა საგანთა მონახულობის სიზუსტე, აფეთქებულ ფერთა სიმსუყვე, ურღვევი, უბიწო სივრცე და არჩილმა ცხენს მათრახი გადაჰკრა, ისე გააქენა, თითქოს მცირე ხნით დაკარგული ქვეყანა ხელახლა მოიპოვა.



პატარა ძნელად

ქიდილი მიყვარს და მიყვარება

ჩემი თბილისი, შრომით დაღლილი,
ახლა ძილის ღმერთს დანებებია.
რომ აფეთქებენ ღამეს ნალმევით, —
დაუდგრომელი ზმანებებია.

სძინავს ქვეყანას. ყველგან თოვლია.
ვით გითხრათ, დღემდე რაც განვიცადე.
გულმა სათქმელი ვერ გამოლია
და ვერც გამოლევს კუბოს ფიცრამდე...

იდუმალ სიმთა წკრილი მესმის,
გული ამ სიმთა გახლავთ მორჩილი.

ამაღამ ჩემი თაკარა ლექსის
და ცივი ზამთრის არის ქორწილი.

ქიდილი მიყვარს და მეყვარება,
ძირს გდია დარდი, დარდით დახრული.
შეაბარბაცეს ღამე ჭარებმა,
ქუჩებში მათი დადის „მაცურული“.

ვეალერსები კეთილ ფერიებს,
ჩემთვის სიმშვიდის მომგვრელ ასულებს;
მათ ჩემი სევდა მოიგერიეს
და დამაწაფეს წყაროს სასურველს.

კაცი და მსოფლიო კაცითა

რამდენი კერაც გაცივდა,
იმდენჯერ მომხვდა ჭაცვი და
მისის დიბა-ატლასი
იანურის ბრჭყალმა გაცივთა.

სოფელი ღონიერია
კაცი და მსოფლიო კაცივითა.
იმდენჯერ ამოვიგმინე,
რამდენი კერაც გაცივდა.

გალაკტიონი

მის უმძლავრეს მუსიკას
სხვათა ხმებში ვინ არევის?!
დირიჟორად ეახლა
სიახლეთა მდინარეს.

ფრთები რომ გაეშალა
სიცოცხლის ზვირთს შუქმფინარს,
ბობოქრობდა, ებრძოდა
ჭაობსა და რუტინას.

ზურმუხტოვან ჩვენს ხმელეთს
ფირუზების შვენიის ცა,
ვით მის ღირას — სიმღერა
ქვეყნის გადარჩენისა.

პოეზიად, რომელიც
სიმართლის დაღაღია, —
რევოლუციური, მხნე
საქართველო ანთია.

ისე გადიგრიალენ
სივრცე ლურჯა ცხენებმა,
როგორც მეფე პოეტის
სულსა და გულს ენება.

მზე და ლექსი თაკარა
დასძრა, ანიაგარა,
სინათლის ყვავილები
შუქი გვიძღვნა ანკარა.

გულიდან ტიტანისა
უკვდავ ძალად რომ მოჰქრის, —
ვაჟაკური, მედგარი
გუგუნია ოქტომბრის.

ეს ხმა რომ ქვეუღიყო
ახალ ფერთა ფენადა
და სიტყვას უფრო მეტი
ბრწყინვალეებით ენათა,
ეძებდა, პოულობდა
ბილიკს აღმოჩენათა.

ჭრიდა ქართულ ჩუქურთმებს,
ჰკვეთდა გზათა ვიწროთა,
მარგალიტთა საბუდრის
საიდუმლო იცოდა.

მგონის გული, ზღვად გულთა
ოკეანეს რომ ერთვია, —
ღვთიურ სიმალღვებთან
საუბრობდა ყოველთვის.

ის მღეროდა გრდემლისთვის,
ის მღეროდა ვარდისთვის
გზნებით, თავდაფიწყებით
უებარი არტისტის....

შუალამე იწვის, ეწერ,
ამ ლექსისას ვერცნობ ბოლოს;
საქართველო მთაწმინდის
მთვარის უსმენს მონოლოგს!..

დილა სიცოცხლის თავფურცელია

დუმილი ოსრავს, აბიჯებს ქუჩას
და ქვეყანაზე უჩუმრად დადის,
მამლის ყვილი კი ღამეს ღეჭავს,
დილა მოიტანს უამრავ წადილს.

ჯერ ჰელიოზის შორსაა ეტლი,
მძინარე ქალაქს წყვედიადი აწვიმს,
მე კი ვწერ, ჩემს ტკბილ ჟრუანტელს ვეტრფი,
ფიქრი ამოკლებს დროსა და მანძილს.

ვრანმავე ბწყარებს და ყველა მათგანი
დილას, ვით ზღაპრულ ასულს, ელიან;
მთელი ქვეყანა მას ელის, რადგან
დილა სიცოცხლის თავფურცელია.



პენრი კობიძე

ფოთოლსენა

ადრე ბაღსა და ქუჩას მაღალი მესერი ჰყოფდა. შარშან გაზაფხულზე მუქად შეღებილი რკინის ზღუდე აიღეს. ბაღმა მხრები გაშალა და თითქოს ქუჩაც გაფართოვდა.

ბაღში ბებერი თვლები ქრიალებენ, ხოლო ნეკერჩხლისა და ცხენისწაბლას ხეივანი მტკვრის სანაპიროსკენ ეშვება.

ლუკას ქუჩის კუთხეში ედგა საწვრილმანო. პაპიროსებით, ვანილის ფხვნილით, კორპსაძრობებით და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცეებით ვაჭრობდა. მაშინ მუშტარაც არ აკლდა და უფრო ხალისიანადაც ეჩვენებოდა ცხოვრება ზერიკაცს. მერე ჯიხურებისგან საერთოდ გაათავისუფლეს ქუჩა. ლუკამაც ბაღის სიღრმეში გადაინაცვლა და ახლა მხოლოდ პაპიროსებით ვაჭრობდა.

ფოთოლთცვენა...

ცა მოქუფრულია, პაერი დამძიმებულა.

შეჩვეული სმენა კვნესასავით აღიქვამს ღეროების ტკაცუნს და მეწამულყვითელი ფოთლები ფრიალ-ფრიალით ეშვებიან დაბლა.

ტყვიისფერი ღრუბლები ზედ წაწლების სახურავებზე დაზვავებულა.

გუშინ კი ჩინებული დარი იდგა — ნამდვილი ჩვენებური შემოდგომის დღე იყო. ქოჩე მეწვთვემ ჩამოთარა ხეივანს და ფოთლები გროვებდა მოხვეტა.

ლუკას ბებერმა ძვლებმა დღეს გან-

საკუთრებით მწვავედ იგრძნეს უკვე კარს მომდგარი სუსხის ძალა. „ქალი მაინც გამოჩნდებოდას დროზე, სათბურს ჩამოვატანებდი“.

ყმაწვილებმა ჩაიარეს. მათმა ხორხოცმა მთვლემარე ლუკა გამოაფხიზლა. უწყადილოდ გააყოლა თვალი ახალგაზრდებს.

ერთმა პაპიროსი მთისროლა და ფოთლების გროვაში ჩააგდო.

„ცეცხლი მოედება, დამახრობს ახლა მაგის კვამლი“. მაგრამ ადგომა დაეზარა ბერიკაცს, სახელოში ღრმად შეიყო ხელი და ისევ თვლება მოერია...

ფოთლები კი ცვივიან ფარფატით, ოღნავ შეითამაშებენ პაერში და ჩუმად, უხმაუროდ ეშვებიან მიწაზე ლამაზი, პაწაწკინტელა ფოთლები.

ნეკერჩხლის ძირში, მერხზე, ქალაქროსანი ზის და გარინდებული ადევნებს თვალს ფოთლების ცვენას. ერთი შეხედვით, კაცს ეგონება, თითქოს ითვლისო, რამდენი ფოთოლი ჩაეშვება გაზონებში, რამდენი მოხვინკულ გაზზე, რამდენი დაეცემა მერხზე...

„რა ლამაზია ნეკერჩხლის ფოთლები და სწორედ ახლა კედებიან“. მოხუცი ქუდს იხდის და ფეხზე დგება. ქირისუფალს ჰგავს იგი — მაღალი შუბლით, თოვლივით თეთრი თმით, სიფრიფანა, სანთლისფერი ღაწვეებით და მკერდზე მიკრული ქუდიით.

იგი ლუკას მუშტარი არ არის, მაგრამ ბერიკაცი ყოველთვის მოკრძალებით ესალმება ჭიკაბაძეს. იცის, რომ საქვეყნოდ განთქმული მხატვარია.

ნელ-ნელა აბოლდა ფოთლები, კვამლი დაიძვრა და მღორედ გაწვა ხეივანში.

ლუკა თვლემს. კვამლი ცხვირში უღიტიწებს და მისი სუნი აბრუებს ზერიკაცს.

რა ნაცნობია ეს სუნი, ნაცნობი, ტკბილი და საამური. რაღაც შორეული, ძალიან შორეული ეგზოტიკა თუ აგონდება ლუკას — ათეული წლების უკან მიძინებული და მივიწყებული.

...თუხარებლის დიდი ეზო, ვეება ჭადრებითა და მუხებით დაბურულა. შემოდგომაზე წვიმასა და ლეშს ჩამოცხენილი ფოთლები რომ არ დაეღობ და ეზო არ გაფუჭებინა, მოხუცი ქალბატონი მეზობელ გლეხის ქალებს მოიხმობდა, ფოთლებს ღობესთან მიხვეტავდნენ.

მთვრიანში სოფლის გოგო-ბიჭები ამოდირდნენ და ფოთლების გროვაში კოტრილებდნენ. მერე გოდორ-ტომრებით ეზიდებოდნენ ქვემოთ და ცეცხლს უკიდებდნენ.

რძისფერი კვამლი გაწვებოდა ჭალაში. სოფელს ეფინებოდა სასაიამოგრო სუნი... ეჭ, რამდენი შემოდგომა გავიდა მას შემდეგ?!

...ბაღში უზნის მილიციელი ყასფოლა შემოდის. ერთხანს გარინდებული დგას შადრევანთან და კვამლში გახვეულ ხეივანს გასცქერის — მასაც თუ აგონდება რამე. მერე ქამრის სწორებით მკეპრითაა ლუკასაკენ.

— სად არის ჭოჩე? ვინა ჰქნა ეს? ვიცი, შენი პაპიროსების ამბავია. აქედანაც ვინდა ბარგი ავიკრან, ხომ?!

ლუკა იშმუშნება, უგუნებოდ შეჭყურებს ყასფოლას, რომელიც მძიმე ჩექმებით აქრობს ცეცხლს.

— ყასფოლა, რას გიშავებს, კაცო იყოს. ვერა ხედავ, რა ლამაზად ეფინება კვამლი აქაურობას? — უახლოვდება მილიციელს მოხუცი მხატვარი.

ყასფოლა რამდენიმე წამის განმავ-

ლობაში დაბნეული შეჭყურებს მხატვარს, მერე ქუდთან მიაქვს ხელი და ესალმება.

— ხანძარი რომ გაჩნდეს, ლადო ბატონო, მერე სად წავიდეთ?

— რას უნდა გაუჩნდეს, კაცო, ყასფოლა, ხანძარი აქ?

— რა ვიცი, კაცნი ვართ, და...

მილიციელი კვლავ აგრძელებს დაწებულ საქმეს.

— ეებს, ყასფოლა, ყასფოლა!

მხატვარი ხეივანში მიაბიჯებს ქუდ-მოხდლი. მერე ანაზღად ლუკასთან ჩერდება. — იცი, ჩემო, კვამლს მრავალნაირი სუნი აქვს...

ლუკა ფეხზე დგება.

— ჰო, მრავალნაირია, მაგრამ ეს წელიწადის ოთხი დროის მიხედვით მოგახსენებ: ზამთარში კვამლის სუნი გამხნეებს, იმედის მომცემია. გაზაფხულზე მომავლის რწმენას გმატებს და ოდნავ დარღსაც გრძნობ, ზაფხულში სმა-ჰამის ხასიათზე გაყენებს, და აი, შემოდგომაზე სულ სხვაა: ათასგვარი მოგონების, ფიქრების, სევდის ამშლელი... განსაკუთრებით ჩვენისთანა დროულუბისათვის, ჩემო... (ლუკას სახელი ნამდვილად არ იცის მხატვარმა). ეჭ, მონეცი, თუ კაცი ხარ, ერთი ლერი პაპიროსი. რა ტკბილია, რა ტკბილია ხანდახან კვამლი, ჰა?!

ლუკა დაბნეული აწვდის პაპიროსს. „როდის აქეთ ეწევა, ნეტავ?“ მერე ასანთს გაჰკრავს, მაგრამ მხატვარი არ უკიდებს... სიგარეტს ხელში ათამაშებს და ქუდმოხდლი, თავჩაღუნული მიაბიჯებს ხეივანში.

მის ფეხქვეშ მეწამულ-ოქროსფერი ფოთლები ტყაცუნობენ, ტყაცუნობენ თუ კენესიან პატარა, მომავკვდავი ფოთლები.

ფოთოლთცვენაა...



კიბე ჩამოათავა, სწრაფად გაიარა ხეივანი, ხელის აწევით გამოემშვიდობა

ანდრო კოპიძე
მოთხრობები

წვერგაუპარსავ მეკარეს, რომელმაც ალყაფის კარი გაუღო და მშვიდობით გამგზავრება უსურვა.

ახლაგზარდა მობრუნდა, ზიბეში მანეთიანი ჩაუღო მეკარეს, რომელმაც თავის კანტურით კვლავ გზა დაუღო საავადმყოფოდან გამოწერილს.

მეკარე ინვალიდი იყო და ასეთ შესაწევარზე არასოდეს ამბობდა უარს. მეორე სართულის ფანჯარას თეთრჩაჩიანი, პირხმელი კაცი გადმოიკიდა და მიმავლს გასძახა:

— რეზო, ხომ გესმის, რეზო! ზეგ აუცილებლად შემოიარე, როგორც გითხარ, ერთხელ კიდევ დაგხედავ და მორჩა, არ დაგავიწყდეს!

რეზომ თავი დაუქნია და გზა განაგრძო.

„ახლა რა გქნა? სახლში მისვლას სადამოსაც მოვასწრებ. რა უქმური დღეა. ალბათ იწვიმებს, შეიძლება არც იწვიოს.“

სახვევით გაკოჭილი მარცხენა ხელი შავი ნაპრით ჰქონდა ჩამოკიდებული მეკარეზე. მარჯვენაში ლიმონი ეჭირა და ათამაშებდა, — საავადმყოფოდან გამოიყოლა იქ გატარებული მწარე დღეების მოსაგონებლად.

არ უნდოდა დღისით გამოჩენილიყო ეზოში და სახლში მისვლაც ამ მიზეზით გადადო საღამოსათვის. არც ვინმესთან შეველას აპირებდა. „რაც მოხდა, მოხდა, წამხდარ საქმეს აღარაფერი ეშველება!“ — თავი გაიმხნევა. თითქმის ერთი თვე იწვა საავადმყოფოში და ახლა შეიგრინო მთელი სიმწვავეით თავს გადახდილი უსიამოვნო ამბავი. ახლა უცხო თვალთ უყურებდა თავის თავს და მეკარეში რაღაც ყრუ და მძიმე ტვივობა გრძობდა, — ამოკენის საშუალებას რომ არ აძლევს კაცს. მერე ხელი ჩაიქნია და ბაღში შეუხვია.

„ბიკოს, ამ ერთ თვეში როგორ შეცვლილა სამყარო, აი, ნაღდი შემოდგომა!“

შემოდგომა ყოველთვის ქალაქიდან, შეჩვეული კუთხიდან გაქცევის სურვილს აღუქრავს კაცს. ვინდა წახვიდე

საღდაც შორს, შევერობ სივრცეს, სამყაროს, შემოდგომის მრავალფეროვნებას.

„მეც წავალ, ცოტა ხნით გავვირდები აქაურობას, რა სჯობია ახლა ჩემს ვრიქელს? მყუდროდ, მშვიდად, შენთვის... ბიულეტენს ალბათ კიდევ დიდხანს არ დამიხურავენ. დღეს არა და, ზვალ აუცილებლად წავალ. თუმცა ოთარს რომ უნდა შეგუარო საავადმყოფოში? განაბას, ზეგ დილით მივალ ოთართან, სადამოს კი მოვქუსლავე.“

მერხზე ჩამოჯდა. აქეთ ბალი თითქმის უკაცრიელი იყო.

„ეს კვამლის სუნი ნეტა საიდან მოდის. ასეთი სუნი ნეკერჩხლის ფოთლებზე იცის... ოპ, კვამლის სურნელება ერთქედში უნდა იკითხო შენ, შემოდგომის კვამლის სუნი...“

რაღაც ბუბუნე ისმოდა შორიასლოს. მერე ანაზღად დოლ-გარმონის ხმა მოესმა, ფიცხელი, აღზნებული.

„ოპო, იქეთ მხიარულობს ხალხი, წავედი მეც.“

სანახაობათა მოყვარული არ იყო, მაგრამ საავადმყოფოში გატარებული მისთვის უცხო, უღიშლამო დღეების შემდეგ, რაღაც მკვეთრ ნიუანსს ეძებდა ერთფეროვნებას დაქვემდებარებული შინაგანი სამყარო.

...ისედაც ღრუბლიანი დღე იყო და თელების ხშირი ფოთლები კიდევ უფრო აზნებლდა ნიუანსებურ ღია ესტრადას. ველაცამ დროზე მოიფიქრა და სინათლე აჩახახადა.

აქ რაღაც კონკურსის მაგვარი მოეწყობო პროფკავშირების ხაზით. ეიურის შემადგენლობა ქვემოთ მოთავსებულიყო, მაყურებლისაგან განცალკევებით. ოთხი კაცი უჭდა პატარა მაგიდას, ოთხივე მელოტი. ქაღალდები გავშალათ და რაღაცას გადაციცებით ინიშნავდა. დინტერესებულ კაცს რომ ჩახედა ამ ქაღალდებში, ჰკვიანურს ვერაფერს გაარჩევდა — ერთი აზოური ჩექმების ჰვინტებს ხატავდა, მეორე პარალელურ ხაზებს ავლებდა, მესამეს გულმოდგინედ აეკრებლებინა ფურცელი თავისი ფაქსი-



მიღებთ, მეოთხე კი თავმოშვლებილ კაცს ხატავდა (შეიძლება ავტობიოგრაფიკის, ან თავის რომელიმე კოლეგას). აი, სწორედ ესენი წყვეტდნენ მოცეკვავეთა ბედ-იღბალს.

იყო ერთიც — ისიც განცალკევებით იჯდა — თმაჰალარა, ცხვირკეხიანი. თერთორი კოსტიუმი ეცვა და ღია-მოლურჯო პერანგის საყულო ბიჭაყის ზემოდან ჰქონდა გადმოფენილი.

„ოჰო, მთელი მიღეთი აქ შეყრილა და ბაღიც იმიტომ არის ცარიელი“. რეზომ განაპირა მერსზე მოახერხა ჩამოჯდომა და უკანასკნელი სამი წყვილის ცეკვას მიუხსრო (აქ შერეული წყვილები ცეკვავდნენ). სანახაობას მართლაც ბლომად მიტანებოდა მაყურებელი და ყოველი წყვილის ცეკვის ჩამოთავების შემდეგ ერთხმად გაჰყვიროდნენ: „ჯობაძე, ჯობაძე, ჯობაძე!“

რეზოს წინა მერსზეც ჰედვა იყო. ხორცსავსე გოგონა გვერდულად იჯდა და გამომწვევად ამოჭრილი კაბის საზურგედან თამამად ანათებდა მისი თეთრი, ღონღლიანი მხარ-კისერია.

რეზო ფრთხილად შეეხო შიშველ ბეჭზე. გოგონა შეკრთა, უკან მოიხედა და წამით შემფასებელი მდგდრის თვალით შეათვალიერა ქერაკულულებიანი, ფერმკრთალი ჭაბუკი.

— მაბატით, ხომ ვერ მეტყვი. ვინ არის ჯობაძე? გვიან მოვედი კონცერტზე.

გოგონამ გაიღიმა და თვალი თვალში გაუყარა რეზოს.

— ჯობაძემ და პერტიას ქალმა ახლახან იცეკვეს. მოკლედ, დახიეს ყველაფერი!

— აჰა! — თავი დაუქნია რეზომ და ისევ სცენაზე გადაიტანა მხერა.

მედოლეს მუხლები გაეშალა, ფეხის ტერფები კი ერთმანეთზე გადაედო. უჩვეულოდ შავი და ხშირი თმა ყურებს უფარავდა. აკორდონის დამკვრელს, ორმაგად ნაქსოვ, ყურფიორთა კაცს, მელოტი თავი არაბუნებრივად ულაპლაპებდა ლამპიონების შუქზე (აღლბათ ბრილიანის თუ ისეაშს. თუმცა თავმოტეღეპილს ბრილიანი რაში სჭირდება?

აა! თმის ამოსაყვან წამალს ხმარობს“). რეზო ხანდახან თუ შეაგებდა თვალმოცეკვავებს, უფრო დამკვრელებს აკვირდებოდა — მათი სახის გამომეტყველებას, მოძრაობას, მანერებს. მელოტი როდესაც მარჯვნივ გაწვლავდა აკორდონს, თავს მარცხნივ გადაიქნევდა მოწყვეტით, როდესაც მარცხნივ დაწვებოდა, მარჯვნივ გადახრიდა ძალუმად.

მესამეც ჰყავდათ — კლარნეტისტი, მაგრამ არ უკრავდა. ინსტრუმენტი მუხლებზე ედო და წარამარა აპრილებდა ცხვირსახოცით, მერე ამ ცხვირსახოცს გაოფლილ შუბლსა და კისერზე ისვამდა. ტაქტის დამთავრების შემდეგ ვილაციის ხმა გაისმოდა ესტრადაზე — „ჰაჰ“ და წყვილებიც ბრუნს აკეთებდნენ. რეზო ვერ მიმხვდარიყო, ვინ ყვიროდა ამ „ჰაჰს“ — დამკვრელები, მოცეკვავე ვალები, თუ ვინმე კულისებში მიმალული.

— იცით, — ახლა დეკოლტიანი შემობრუნდა რეზოსკენ, — იცით, რა? აი, ის მედოლე პარიკს ხმარობს, დააკვირდით. იცით, როგორ შევამჩნიე? აშას წინათ ნათლობაში ვნახე და მაშინ ქერა თქმა ჰქონდა, სულ სხვანაირად დავარცხნილი.

საევეო არ იყო, რომ გოგონას რეზოსთან უნდოდა გამოლაპარაკება. მანამდეც ერთი ორჯერ შემობრუნდა და გამომწვევად შეათვალიერა ჭაბუკი.

„მედოლეს რაში სჭირდება პარიკი? ნეტავი მაგის ლაყუჩების პატრონს“, — გაიფიჭრა რეზომ, ხმამალა კი თქვა:

— შეხედე შენ? რას არ გაიგონებს კაცი! მახვილი თვალი გქონათ.

ახლა მხოლოდ გოგონას ზურგს მისჩერებოდა რეზო. ბეჭზე მოზრდილი უფერული ხალი აჯდა, ოქროსფრად შეღებილი თმაც ლამაზად ჩამოეშვა შიშველ მხრებზე.

გოგონა მარტო იყო.

ბოლო წყვილმაც დაამთავრა ცეკვა და მაყურებელი კვლავ ახრილდა! „ჯობაძე, ჯობაძე“, ჯობაძე!“

კენი კოხიძე
მოთხრობები

რეზომ ახლა ფაფუკ მკლავზე დაადო
ხელი გოგონას და ქალსმონატრებულ
სხეულს ელექტროდენივით დაუარა სა-
სურველმა სითბომ.

გოგონა შემობრუნდა და კვლავ გამ-
ჭოლდა ჩახედა რეზოს თვალბნებში.

— იცით, მან ძალიან უხერხულად
ზიხართ. ჩემს გვერდით ადგილი გან-
თავისუფლდა და გადმოვქეით.

— აღარ ღირს, უკვე მთავრდება კო-
ნცერტი.

მაგრამ გოგონა მინც გადმოვჯდა რე-
ზოსთან, აქაც სივიწროვე იყო. რეზომ
პიჯაკი ვაიხადა და მუხლებზე დაიფინა,
მერე მარჯვენა მხარი გოგონას ბეჭს
უკან შეაცურა — ასე უფრო მოხერხე-
ბულია ჯდომავო. ვაჟს მოკლესახელოე-
ბიანი პერანგი ეცვა და მათი შიშველი
მკლავები ერთმანეთს ეხებოდნენ.

— რა მოგსვლიათ ხელზე?

— აქედან რომ გავალთ, გეტყვი.

ქალმა ისევ თვალი თვალში გაუყარა
რეზოს და მრავალმნიშვნელოვნად ჩაი-
ცინა.

— რა გქვიათ?

— მიმოზა.

— ოო, სახელი და გარეგნობა ერთ-
მანეთს ერწყმის, — იაფფასიანი ეპი-
თეტი მოიმარჯვა რეზომ, მაგრამ ამას
უკვე აღარ ჰქონდა არსებითი მნიშე-
ნელობა, — მე კი რეზო ვარ!

— სასიამოვნოა.

ამასობაში ქიურის თავის საქმეს შეს-
დგომოდა. ესტრადაზე თეთრკოსტუ-
მიანი აკაცი იდგა, აი, ის, განცალკევებით
რომ იჯდა. ახლა უფრო წარმოსადეგი
ჩანდა.

— ოო, ჩიკვაიძე, ჰო, ჰო, რას ცეკვავ-
და! ცეცხლი იყო, ცეცხლი! — ამბობ-
და რეზოს მახლობლად მჯდომი.

— მაშ. მაშ, მხეცივით მოცეკვავე
იყო, — უდასტურებდა მეორე.

— ასე რომ ქიურის გადაწყვეტილე-
ბით, პირველი პრიზი არავის მიეკუთვნ-
ნა, — თქვა ჩიკვაიძემ.

ხალხი ახმაურდა.

ჩიკვაიძემ ხელი შემართა.

— ნუ გავიკვირდებით და, არც მეორე
პრიზიმ მიეკუთვნა ვინმეს.

ეს უკვე მეტისმეტ იყო. ხეივანში
ღრიალში გადაიზარდა და ჯოხივით
მაგებმა თავგანწირვით გააბეს: „ჯობაძე,
ჯობაძე!“

ახლა ორივე ხელი შემართა ჩიკვაიძემ
და მთელი ხმით იქეკა:

— გაჩუმიდით, მომისმინეთ!

ხრიალი მიწყნარდა.

ჩიკვაიძე ერთხანს ხმას არ იღებდა,
ეტყობოდა, არ იყო გამოუცდელი და
არც დაბნეულა.

— არ მიეკუთვნა არავის პირველი
და მეორე პრიზები. ხოლო მესამე პრი-
ზი ჯობაძეს ერგო. განიტრეცებთ, რა-
ტომ?

და კვლავ გაჩუმდა. აუდიტორია გაი-
ნაბა.

— ქართული ცეკვა გამოირჩევა თა-
ვისი სირთულით, თვითმყოფადობით და
განუმეორებლობით. მაგრამ მთავარი
მისი მრავალფეროვნებაა და თითოეუ-
ლი აუცილებელი კომპონენტის დაცვა
მკაცრად მოეთხოვება შემსრულებელს.
ერთ-ერთი ელემენტი პოზის სკულპ-
ტურულობაა. ჯობაძე ტექნიკურად
ბრწყინვალედ ცეკვავს, მაგრამ აკლია
პარმონიულობა...

ხალხი კვლავ ახმაურდა.

— არ არის სწორი!

— გვატყუებენ!

— ფაქტი, ფაქტი, დაგვარწმუნეთ!

— გვაჩვენეთ, როგორ უნდა ცეკვა!
ჩიკვაიძემ ხელები გულზე დაიკრიფა
და სახეწამონთებული ეკლდა ხალხის
დაწყნარებას. მერე კვლავ დასქეკა:

— კარგი, გაჩვენებთ!

წინ წამოდგა და პირველ მერხზე
მჯდომთავან ერთ-ერთი ინმო. წითელ-
ჩოხიანი, ტანდი ახალგაზრდა ესტრა-
დაზე ავიდა.

— კარგი, ახლავე გაჩვენებთ! —
კვლავ გადმოსძახა ხალხს და წითელ-
ჩოხიანთან ერთად კულისებს მიეფარა.

მაყურებელმა სუნთქვა შეიკრა, დაი-
ძაბა ახლის მოლოდინში.

ისევ ვამოლაგდნენ დამკვრელები ეს-
ტრადაზე და ადგილები დაიკავეს. ახლა
კლარნეტისტიც მოემზადა მათთან ერ-
თად.



და სამარისებურ სიწმეში გარკვევით გაისმა — „ჰაჰ!“

მედოლემ კულისებისაკენ მიაბრუნა თავი და იკითხა:

— პირველი, არა? რამაწივიჩი!

— ჰო-მეთქი! — დაუყოვნებლივ შეეხმინა უხილავი და დამკვრელებმაც დასცხეს.

ახლა კლარნეტისტის დაკვრა ღირდა ნახვად — წეროსავით კისერს ხან მალა წამოსწევდა, ხან მარჯვნივ მიაბრუნებდა თავს, ხან — მარცხნივ, თან რალაც ავადმყოფურად ათახათებდა მხრებს.

სცენაზე წითელ ჩოხაში გამოწყობილი ჩიკვაიძე გამოჩნდა, მსუბუქად მორკაილულ მარცხენაზე ნახად დაედო ხელი მის პარტიორს.

— აი, ეგ არის პერტია, — ჩიკვაიძის პარტიორი ქალზე მიანიშნა მიმოზამ რეზოს.

ჩიკვაიძემ მსუბუქად და მოხდენილად გამოაცალა ხელი ქალს, შორიასლო შეჩერდა და თავი დაუკრა. კვლავ გაისმა „ჰაჰ!“ და მხრებგაშლილი ვაჟაკი წრეში შეტურდა.

მხოლოდ ფეხის წვერები მოძრაობდნენ. თავი, კისერი, ხელის მტევნები, გამოსხეპილი წელი, ბეჭები, თეძოები ერთიან დაჭიმულ სიმაღ ქვეულიყო და მხოლოდ ფეხის წვერებს ემორჩილებოდნენ.

— დააკვირდით მუხლის თავებს, — ხალხს გადმოსძახა ჩიკვაიძემ, — ერთმანეთს არ უნდა მოსცილდნენ. მოძრაობისას ჩოხის კალთები არ უნდა აფრიადდეს და მამაკაცს შარვალი არ უნდა გამოუჩნდეს. ეს არის ქართული ცეკვის ტრადიციული შტრიხი, რომელიც არ გაითვალისწინა ჯობაძემ. წინათ როგორც ქალისათვის იყო მიუღებელი კაბის წამოხდა და ქვეშაიცმელის გამოჩენა, ისე მამაკაცისათვის — ჩოხის კალთების გადაწევა და შარვლის ჩვენება.

რეზომ უნებლიეთ გადაიბრუნა მხერა მიმოზას ზომაზე მეტად მოშიშვლებულ მუხლისთავეებზე. ქალმა მისი გამოხედვა დაიჭირა და ამოდ შეეცადა თეძოებისაკენ აცურებული კაბის ჩამოწევის.

— მოეშვი, მასე უფრო გიხდება! — ჩასჩურჩულა რეზომ და მისმა ცხელმა სუნთქვამ კურის ძირი აუწვა მიმოზას.

— ვიწყებ მეორე წრეს. ვიწყებ ჩემს მანდილოსანს. უყურეთ ჩემი ხელის მოძრაობას. თითქოს მინდა გავფრინდე, მოვეხვიო და გულში ჩავიკრა ქალი, მხრების მდგომარეობას დააკვირდით. მაგრამ რაინდული თავშეკავებით ვიცვ განსაზღვრულ მანძილს.

სცენაზე უჩვეულო რამ ხდებოდა. ეს იყო სილამაზის, პარმონიულობის, პლასტიკურობის, სინატიფის შეუღარებელი შერწყმა.

— არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, მკაცრი მანერა, თავ-კისერის, ბეჭების ერთ ხაზზე განლაგება, პარტიორის მიმართ კდემბა და პატივისცემა. ბოლო წრე. მე ცოტას ვამცირებ ღროს, ამით ვამთავრებ.

და კვლავ გაისმა — „ჰაჰ!“

ერთხანს ვაოგნებული იყო მაყურებელი, მერე წარმოუდგენელი რამ მოხდა — ყვირილი, ტამისცემა, ყიფინა ერთმანეთში აირია. ხმაურზე უამრავი ხალხი მოაწყდა საზაფხულო ესტრადას.

ესტრადაზე შეჩოხიანი, ბეჭებგანიერი ახალგაზრდა აიჭრა და რალაცას უხსნიდა ჩიკვაიძეს ხელების ქნევით. ჩიკვაიძეც თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

— ეგ არის ჯობაძე, — აუხსნა მიმოზამ რეზოს.

ჯობაძე ახლა დამკვრელებთან მივიდა და რალაცას ეხვეწებოდა — ალბათ დაუპატიო, მეც ვიცეკვებ ასეო.

ხალხი მიხვდა, რაც სურდა ჯობაძეს და ახლა მას აუყვირდა:

— ჩამოდი, არ გინდა!

— არ ვაინათურო თავი!

— დაყაბულდი მესამე პრიზს და სხვა ღროს ჰკუა ისწავლე!

მიმოზა და რეზო წამოდგნენ.

— მგონი შეგცივდა, არა? ჩემი პიჯაკი წამოისხი, — უთხრა რეზომ და ცალი

განრი კოზიძე
მოთხრობები

ნელით შეძლებინდა გვარად მოახურა პიჯაკი, ასე რომ ქალის ნიკაპქვეშ ხელის ნახად მოსმაც მოახერხა.

— უიმე, დავიმალები ამხელა პიჯაკში, — მიუგო ქალმა, მაგრამ პიჯაკი მანც არ მოუხდია.

— ახლა საით?

— სახლში. ჩემი და რაიონშია წასული, მარტო ვარ და დამიბარა, შინ აღრე მოდი ხოლმეო.

— სად ცხოვრობ?

— აგე, იმ რვასართულიან სახლში. წელიან ფანჯრიდან მოცეკვავებებს მოვკარ თვალი და მარტოკა იმიტომ ჩამოვედი. თან ასე შილიფად ჩაცმული, ძალიან მცივა.

„შეგცივდება, აბა რა იქნება, კაბაა თუ საბანაო კოსტიუმი, ვერ გააჩრევს კაცი“, — გაიფიქრა რეზომ.

— ჯერ აღრეა სახლში წასვლა. მოდი, ავიდეთ შერთან. კაბა გამოიცვალე და გავიაროთ სადმე.

ქალი შეყოყმანდა.

— პო, უბრალოდ ვისაუბრებო?

— კარგი, ოღონდ შენ აქ მომიცადე,

მე მალე ჩამოვალ.

— რატომ, მეც გამოგყვები. არ ვიქნები ურიცო სტუმარი. თუ გაცნობაა, ბარემ გავიცნოთ ერთმანეთი. მაჩვენე შენი ბინა.

ქალმა კვლავ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა რეზოს და გაიღიმა.

ნეკერჩხლების ხეივანში მიიბიჯებდნენ. ფეხქვეშ პატარა, საცოდავი ფოთლები ტაკუნობდნენ. კვამლი აღარ იყო და რალაც უსიამოვნო, ნატუნსაღის სუნი სცემდა რეზოს.

ახლა მას მიზეზი და საბაბი ჰქონდა, გვიან ან სულ არ მისულიყო ამაღამ სახლში. აღარც ქალაქიდან წასვლაზე ფიქრობდა და თავს გადახდილი ამბავიც უკვე შორეულად ეჩვენებოდა.

ფოთლები კი ფარფატით განაგრძობდნენ ცვენას, პატარა, უსასოო ფოთლები.

„ტყუილად სცლები, ალუღავი!“

აბბრ მესამე დღეა, წვიმს. წვიმს გულდაჭრებით, მონღომებით. ხანდახან თუ შესივნებს ცოტას და ისევ წამოუშენს მსხვილად, თითქოს ეს დალოცვილი ცა მარტო წვიმისთვის იყოს ვაჩენილი.

წვიმს და წვიმს.

ადამიანის სულს აღიზიანებს მომბებერებელი ერთფეროვნება.

ჯონდო არმადანაშვილს კი პირიქით — უყვარს წვიმიანი ამინდი. მიაღგება სარკმელს, ხელებს იღლიებში ამოიწყობს და შეჰყურებს წვეთების თამაშს სველ სახურავებზე.

კაცმა რომ თქვას, ჯონდოს ღვიძლი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია სოფელთან, ქალაქში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ წვიმა, რატომღაც, სოფლის ასოციაციას იწვევს მისში.

ჯონდო პატარა იყო, როდესაც მათ ოჯახს ცა ჩამოექცა თავზე და უდღემდა-

მოდ დარჩენილი ყმაწვილი დეიდამ შეიკედლა. უშვილძირო ცოლ-ქმარს ქალაქის განაპირას დიდი ეზო-მიღამო და ლამაზი სახლი ჰქონდა. დეიდას მეუღლე — პენსიონერი აგრონომი — სიტყვაძუნწი და პირქუში მამაკაცი, წვიმიან ამინდში შუშაბანდში დაიდგამდა სავარძელს და საათობით გაჰყურებდა თქემით გალუმბულ-დაბეჩაებულ ხრიოკებს და ნაგავსაყრელ ხეებს.

— სოფელი ენატრება, სოფელი, — იტყოდა ამ დროს დეიდა და ფესაქრეფით დადიოდა ოთახიდან ოთახში.

ჯონდოს ვერ გაეგო, რა საერთო ჰქონდა წვიმას სოფელთან და დეიდას ზშირად ეკითხებოდა ამას, ისიც ბუნდოვნად პასუხობდა:

— ასეა სოფელში, აქ კი...

და ჯონდოც წარმოიდგენდა წვიმით დასველებულ ცხვრებს, ძროხებს, კაჩე-

ჩებს, ბალ-ვენახს და ტყეს, ბურუსში გახვეულ მიწურებს.

ბიძამისი რომ მიიტყვალა (ქმარი ცოლზე ოცდასამი წლით უფროსი იყო), ჯონდო ისევ სკოლაში დადიოდა. ვავიდა ხანი, მოვიდნენ ვილაციები, დეიდას ბეგრი ფული მიუთვალეს და ბაღის აობრებს შეუდგნენ. ხეები არხ-ამოძირკვეს, კოპწია სახლი და აქა-იქ ჩადგმული პატარა ხუხულები დაანგრის და იმ ადგილას ხუთსართულიანი შენობა წამოართეს, ბაღის დარჩენილი მცირედი კი ცალ-ცალკე ჩაიღობეს. დეიდას მესამე სართულზე მისცეს ხუთთახიანი ბინა.

დეიდა მოხუცდა, ჯონდო კი დღეს წელშიგამართული მემკვიდრეა ამ ავლადიდებისა.

ერთი კია — ჯონდო უკვე კარგა ხანია გადაცდა ასაკს, მაგრამ უცოლოა.

წვიმს. საპროექტო ინსტიტუტის მალე, უცნაურმოზაიკიანი შენობის ის ოთახი, სადაც ჯონდო მუშაობს, მეთერთმეტე სართულზეა. ამ მხარეს ქუჩა არსაიდან არ ემხრობა შენობას, ზემოდან მხოლოდ თუნუქ-კრამიტის სახურავები და აქა-იქ ჭვუფჭვუფად ამოზრდილი ხეები მოჩანს.

ოთახი კი კარგია — ფართო და ნათელი. აქ სამნი მუშაობენ, სამივე რიგითი მხაზველია, მაგრამ „დავაცი“ მანც მეგია.

მეგი ლამაზი და სხვიანია ქალია, ხორცსავსე, მკვრივი და ნაპატიები, წაბლა თმა და სისხლისფერი ტუჩები აქვს, მსხვილი, მაგრამ ერთობ ქალური ფეხები და ჩექმებს საგანგებოდ არ იცმევს. მისთვის მამაკაცები კატეგორიულად არიან დაყოფილი. ჯონდოს წარმოდგენა არა აქვს რომელ კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ ერთია — მეგი უიმედოდ გულგრილია ამ, როგორც იტყვიან „არაუშავს“ ახალგაზრდას მიმართ და, საერთოდ, მოურიდებლადაც ეპყრობა. ასე იყო თავიდან, როდესაც ამ ოთახში მართო ეს ორი საქმიანობა, ასეა მას შემდეგაც, რაც მათ მესამე თანამშრომელი შეემატა.

მეგის პირველმა ქორწინებამ არ გამოართლა. ამბობენ, თვითონ გაექცა ეჭ-

ვიან ქმარსო, მერე სხვას გაჰყვა და მალე იმასაც გაშორდა. ჰოდა, მას შემდეგ დაჰყო მეგიმ მამაკაცები კატეგორიულად!

რა დასამალია და, ჯონდოს მხოლოდ მეგის ბიწიერი ქალურობა აჯადოებდა და იზიდავდა. მისი გულგრილობა და ვითომდა ცივილიზაციის დაქვემდებარებული გამაღიზიანებელი მოურიდებლობა (თუნდაც ამგვარი: ერთხელ ზღვიდან ახალდაბრუნებულმა მეგიმ ჯონდოს თანდასწრებით ტანთ გაიხადა და ლიას სთხოვა — შემამოწმე, ერთ კვირაში კარგად თუ მომეკიდა მზეო), მასში დაუოკებელ ნდომას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში საკმაოდ იღბლიანად და გამოცდილად მოაქვს თავი, წლების მანძილზე მაინც ვერ გადაუღახავს ის ზღუდე, რომელიც მასა და მეგის შორის ამართულა.

ლია? ლია სულ სხვაა.

ხან სამთავე თელი დღის განმავლობაში თავაუღებლად ხაზავს, ხან კი საქმე არაფერი აქვთ. პროექტებსა და მუშა-ნახაზებს განყოფილების გამგეს აბარებენ, ისიც ხან იწონებს, ხან კი იწუნებს მათ ნამუშევარს და, ჰირღებთ თუ არ ჰირღებთ, გულმოდგინედ ინახავს კედელში დატანებულ თახჩა-კარადებში.

ჯონდო სარკმელს მოსცილდა.

ლია წიგნს კითხულობს, მეგის თავი უკან გადაუგდია და სიგარეტს აბოლებს. მალე შესვენების საათი დაიწყება.

— მოწყენილობაა, ხომ?

არავინ პასუხობს.

— ჩავართო მიმღები?

კვლავ არავითარი პასუხი.

ჯონდო რადიომიმღებს უჩიკინებს, სუსტი ტაკტუნი და... ოთახი მუსიკის ჰანგებით ივსება.

ჯონდო ყურს უგდებს და მერე ამბობს:

— აუჰ, მენდარძის „ალუდა ქეთელაურია“, რაც მე ეს სიმფონია მიყვარს! მესამე ნაწილს გაღმოსცემენ,

ბენიო კოპიში
მოთხრობები



ნომ? ავსუს, რატომ თავიდან არ მო-
ვესმინეთ! ჩანსულ კახიძე დირიქტორობს.

— ჰოო, აბა კარგად ყოფილა საქმე!

— ამბობს მეგი და აზლულის სწორებით,
ზმორებით მიდის სარკმელისკენ.

ლია კი კვლავ კითხულობს.

„— რა ხალხია, ვერაფრით ვერ დააინ-
ტერესებ!“ — ბრაზობს ჯონდო. უფრო
კი ლიას უყურადღებობა აღიზიანებს
და რადიომიმღების ტემბრის მარეგულ-
ირებელს ატრიალებს, ხმას უმატებს.

უამინდობა მოქმედებს რადიოტალ-
ღებზე და მუსიკის ჰანგებს შემადონე-
ბელი ხრიალიც ერთვის. თან რადიო-
მიმღებიც ადამისდროინდელია.

— ცოტათი ჩაუწიე, რა, გულს არ გი-
წვრილებს? — წიგნიდან თავაუღებლად
ამბობს ლია.

ჯონდოს ლოყები უხტურს.

„არა, ხომ ვთქვი, ვერაფერს ვერ გაი-
გებენ-მეთქი. ჰმ, ეს გამოიწვევს მეგობ-
რობას? ტყუილია. არაფერი არ გამოვა
ამ საქმიდან!“ — საკუთარ გულს ასკ-
დება ჯონდო.

ლიამ აქ შარშან დაიწყო მუშაობა.

ტოპოგრაფიული ტექნიკუმი დაამთავრა
და უმაღლესში დაუსწრებელზე მოეწ-
ყო. ჩათქვირული და ეშხიანი გოგონაა.
ჯონდო ცხრა წლით უფროსია ლიაზე.
თავიდან რა მოგახსენოთ, მაგრამ მერე
და მერე ბევრს ფიქრობდა გოგონაზე.
ხანდახან განმარტოვებოდნენ და ვაჟი
გასაქანს აძლევდა თავის გრძნობებს.
მაგრამ თვითონაც ორჭოფობდა. ზოგ-
ჯერ ფიქრობდა, რომ ლია მისი შესა-
ფერი არ იყო და გადაჭრით გადაწყვე-
ტდა, ფარდა ჩამოეშვა. გოგონას არა-
სოდეს არ გადაუშლია გული ჯონდოსი-
თვის. როცა ღრმად შეტოპავდა, ეჩვენ-
ებოდა, რომ ლია საერთოდ არ ილტ-
ვოდა მისკენ და რაღაც ბუნდოვან, გა-
ურკვეველ ნებას ემორჩილებოდა. მერე
ხანი გამოხდებოდა, ლიას უცხო ვაჟთან
გავლილ დინახავდა, ან ვინმე ავთან-
დლითაგანი მოაკითხავდა სამსახურში და
კვლავ თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

ყველა-ყველა, მაგრამ მეგის რას გა-
მოაპარებდი!

ერთხელ ლია გასული იყო ოთახიდან.

მეგი წინდებს ისწორებდა, მოულოდნელად
ანაზღად ვაჟის ამღვრეული მხრისკენ
ჭირა. წამოდგა, კაბა ჩამოიწია, ჯონდო
კედელთან მიჩინა, მხრებში ხელი ჩააფ-
ლო, თვალეში ჩახედა და გამომწვევად
ჩასჩურჩულა:

— ჰა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს,
რომელი... მე თუ ლია? ჰო, თქვი, რომე-
ლი უფრო... მე თუ ის?

ჯონდოს სუნთქვა შეუფუხა მეგის სა-
ცხე მკერდის სიახლოვემ და გამლიზი-
ანებელმა ქალურმა სუნმა, ანგარიში-
ცემლად წაეტანა შიშველ მკლავებზე,
მაგრამ მეგიმ მკვეთრი მოძრაობით მოი-
ცილა. ნიკაპში ხელი ამოღო და ისე მო-
უქპირა, ენა მოეწეწკა.

— ჰა, შე ძველი? მე მგონი ორივე,
არა? მაგარი ხარ, მაგარი! — უთხრა,
ნიკაპში სავსიად მოუზომლად ამოკრა
ხელი და თეძოების რწევით გაშორდა.

ვაჟმა მაშინ შეიგრძნო მთელი ძა-
ლით — ამ ქალს რომ მოესურვებინა,
ყველაფერს დაათმობებდა.

წვიმის შრიალს მუსიკის ჰანგები ახ-
შობს.

— ჩაუწი-მეთქი ცოტა, რა მოხდა,
ყრუები ხომ არა ვართ? — ლია წიგნს
თავს ანებებს და წარბეზწყობული შეპ-
ყურებს ჯონდოს.

ჯონდო თავს ველარ იოკებს.

— რას კითხულობ? „პოლი და ვირ-
ჯინი“, „სიღღმლო კუნძული“, „რობი-
ნზონ კრუზო“...

— ტროციას ზღაპარია!

— არც გაგმტყუნება, ახლახან ის-
წავლე წერა-კითხვა.

ამ მოულოდნელი ეპითეტით შეცბუ-
ნებული ლია წიგნს მაგიდაზე ახეთქებს.

— ასეა ეს! — კვლავ უდასტურებს
ჯონდო.

— რა ხდება? — გულგრილად კით-
ხულობს მეგი, — რა არისო, რა თქვი?
ვისი მუსიკაა?

— შენ მაინც რაღა მოგდის? — არ
ცხრება ჯონდო, — კაცმა რომ იკით-
ხოს, ორთავეს მუსიკალური რვაწლელი
გაქვთ დამთავრებული...

— ეჰ, შე კაცო, ვისაც მუსიკალური
აქვს დამთავრებული, ყველა მელომანი

რომ იყოს, სად წავალთ? მაინც რა მუსიკაა გამაგებინე და, თუ ღმერთი გწამს, ცოტა ჩაუწი.

— არც უნდა ამას განმარტება. ყური დაუგდე, თვითონ მუსიკა გესაუბრება. ეს თვითონ ვაჟაა, დაუგდეთ ყური საყვირებს, სიმფონიას მოუსმინეთ... მუსიკისა და პოეზიის ქვეშაირი სინთეზი... ფანტარებს მოუსმინეთ...

— წელან ვერ გავიგე, ვისი ნაწარმოებია?

— მენაღარიძის, შიო მენაღარიძის „აღუდა ქეთელაური“, ორკესტრს ჯანსუღ კახიძე დირიჟორობს. იქნებ „აღუდა ქეთელაურიც“ არ გავიგონიათ?

— კაცო, ადამიანო, რას გვლანძღავ? გითხარ — ყველანი მელომანები ხომ არ ვიქნებით-მეთქი, — კვლავ მშვიდად პასუხობს მეგი.

— ამას მელომანობა რად უნდა, ისეთი მუსიკაა, ჩვენი ცეცხა დარაჯიცი ვ გაიგებს. ყური უგდეთ. ახლა დღეობის სცენას გადმოსცემენ... აი, პირქუში მთები, სალოცავ ნიშთან ხევისბერი დგას, ქვემოთ მდინარე ხმაურობს... ყური უგდეთ, რა ზედმეტადი მელოდიაა, დასამახსოვრებელი საორკესტრო ეპიზოდი, კონტრასტების მკაფიო შეგრძნება, აი, პოეზიისათვის უცნობი საშუალებების გამოყენებით სრულქმნილი პეიზაჟი...

— ბიჭოს, ეს ვინ გვყოლია, — ახალ სიგარეტს უკიდებს მეგი, — მიდი, მიდი, ჩვენც აქა ვართ!

ჯონდო უცებ ხედება, რომ აჭარბებს, არ ვარგა ასე გამოჰენება, რაც უნდა იყოს, ქალი მაინც ქალია და ბერი რამ უნდა დაუთმო. სადღაც ებრალებდა ლია, ლიაც და მეგიც, მაგრამ აღზნებულია და ვეღარ ჩერდება.

— აი, როგორ შეანელა ტემპი მუსიკამ, რა დაბლა დაეშვა სონატური ალეგრო. ეს, კომპოზიტორი ამზადებს მსმენელს უფრო ძლიერი გაცდებისათვის. აი, დაუგდეთ ყური, როგორ დაუშვინდა ჩელოს ხმა, რა პირქუშია მუსიკა. ეს აღუდა გამოჩნდა. ახლა იწყება სიმფონიური პოემის კულმინაციური ნაწილი... ხევისბერს სისხლიანი ხანჯალი

ჩაუბლუჯავს და მოახლოებულ აღუდან მისჩერებია...

ეს ვინ-ღა მოდდა, ნისლივით, თითბრით ნაზიკის ხმალითა? ხევის ბერს აძლევს მოზვერსა, დადგა დახრილის თავითა.

ლია სარკმლის რაფაზე დგას, ყვავილებს შორის. არც დაუნახავთ, არც გაუგიათ, როდის ახტა იქ.

— ჩამოდი, გოგო, ჩამოვარდები, ჩამოდი ძირს, რამ ავიყვანა მანდ? — წიკვინებს მეგი, მაგრამ ლია ყურს არ უგდებს. შავი სვიტერი მჭიდროდ შემოტმასნია ტანზე და უფრო მკვეთრს ხდის მაღალ შერსს. ხელები კეფაზე აქვს გადაკლობილი და მოძრაობის დროს ოქროსფერი თმა მხრებზე ეღვრება. ლია სივრცეს გაჰყურებს იქით, სარკმელში, წვიმიტ დანთქმულ შორეთს გასცქერის. უცნაური სხივი ციალებს მის ფართოდ გახელილ, თაფლისფერ თვალებში.

ეს სამხვეწროა, ბერდივა, ძილან მოკლულის ქისტისა, მუცალს ეტყოდნენ ხახულაღ, მოუნათლავის შვილისა.

ლია ახლა ხელებაპრობილი დგას, მოკლე ქვედატანი მაღლა ახვეტილა და ჯონდო თვალს ვეღარ უსწორებს ხორცსავე ქალწულის მაცთუნებელ სითეთრეს.

ლია კი აღორაფერს აქეცეს ყურადღებას და კვლავ აღზნებული განაგრძობს:

— ტყუილად სცდები, აღუდაც, ტყუილად იცვეთ პირხაო. გაჭაგრდა ქეთელაური, ფერი დაიდვა მგლისაო; ხელი დაიჭრა ფრანგულსა, შუქი ამოხდა შინაო.

ორივე მონუსხული მისჩერებია ლიას. ახლა რაღაც საოცრად ლამაზი და მომავალოებელია იგი.

უქნივა მოზვერს ქელხედა, თავი მოგორავს ძირსაო.

შენი კომპიპ მოთხრობანი

თან შეხვეწა ბატონა,
ნუ შემიცოდებ შეილხაო,
აღლადა ჰქონდეს მუცალსა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო.

როგორც მოულოდნელად დაიწყო, ასევე მოულოდნელად წყვეტს ლექსის კითხვას ლია. ერთხელ კიდევ ჭრის თვალებს ჯონდოს აფრიალებული კაბა და ვარდისფერი ქვეშსაცმელი.

ქალიშვილი ვაჟის წინ გამომწვევად დგას და მძიმედ სუნთქავს.

ეს-ეს არის მიყუჩდა მუსიკა.

— ტყუილად მოსციდი, აღუდავ! — ამბობს ლია და ჯონდოს ცხვირწინ უტრიალებს საჩვენებელ თითს, — ტყუილად მოსციდი-მეთქი, აბა ყური უგდე, აღუდავ!

და ლია რადიომიმღებისა კენჭს უყრის თითს. წუთით ხმაჩაგარდნილს მისმის და კი გაისმის დიქტორის ხმა:

— თქვენ მოისმინეთ ტრანსლაცია კიევიდან. გადმოცემული იყო კომპოზიტორ ივან გოლუბის მსუბუქი საორკესტრო პიესები, ასრულებდა საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს საკონცერტო-საესტრადო ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სილანტი ჩიეის ხელმძღვანელობით.

და ცოტა ხნის შემდეგ:

— ახლა გადმოგცემთ ცნობას მოსალოდნელი ამინდის შესახებ თბილისში.

საოცარია, ამ შუა ივნისში ცა ფეხად ჩამოდის ძირს და მეტი რაღა უნდა იყოს მოსალოდნელი?!



თეიმურაზ ლანჩავა

ცხვარი

ცხვარი შინაური ცხოველია, იგი გვაძლევს მატყლს, რძეს, ხორცს და...

სხვა რისი გაკეთება შეეძლო ამ უწყინარ და თავის ბედს შერიგებულ ოთხფეხს, ამაზე არც უფიქრია საზანოელ გლეხს — ოდელიას, როცა ერთი, ტანზე ბირკამოდებული ჰრელი ცხვარი გამოარჩია დანარჩენებისაგან, თითქოს მეჭლისზე მიჰყავსო, გააქუჩქუჩა, ყელზე ბრჭყვილა ლითონის რგოლი შეაბა, იმ რგოლზე თოკი ბაფთასავით გამოუნასკვა და ქიჩავ-ქიჩავით გაუყენა ბროწეულებით მოჩითულ ორდობეს.

სოფლის მთავარ შარაგზამდე სატვირთო მანქანა წამოეწიათ. ძარაზე შეღოლებულმა ოდელიამ ფეხებს შორის მოიმწყვდია დამფრხალი პირუტყვი და შვებით ამოისუნთქა.

მიჰქროდა მანქანა, თვითონაც ცხვარივით უწყინარი კაცი ოდელია ბურკაძე დარცხვენით მისჩერებოდა მთებს შორის ამოწვერილ მზეს და ჩურჩულებდა: „ამოდი, პო, ამოდი, შე ქვეყნის გამზარებელო!“

ამ წუთში ოდელია მზესთანაც მართალი იყო, კაცთანაც, და თუ ეს თავის ნაშრომ-ნასიმწარევი, თევამოფენილ გომურში გამოზრდილი პირუტყვი ასე უღმერთოდ გაიმეტა და მშობელ კედელ-ყურეს მოაცილა, ამაში დამნაშავე ბავშვობიდანვე დაბეღებული სიღარიბე იყო, რომელიც ჯარიდან მოყოლილი ქამარივით დღითი დღე ვეღარ წვდებოდა წელზე.

„უგულოები კი ვართ ადამიანები, დაკვინტროშობდა თავისთვის, ვსტაცე ხელი და... ამას ახლა კაცი გამოლადრავს ყელს და ის კაცი მერე მართალი იქნება უფალთან?“ — ფიქრობდა მანქანის ძარაზე წამოსკუპული ოდელია და კაცსა და ღმერთს შორის გადებულ ცოდვის ხილზე აბეტელებული ცხვრის ბედ-იღბალს მდუმარედ მისტიროდა.

მანქანას ვეება ლანდი დაეცა და ცისკენ აწოწოლიკებულმა სახლებმა ქუჩები დაჩრდილეს. უკვე ქალაქში იყვნენ. თვალეზზე ქუდიჩამოფხატულ ოდელიას ჩლიქების პაკაბუკით მიჰყვებოდა ხალხის სიმრავლით გაოცებული პირუტყვი და თვალეზი აცაბაცა გაურბოდა.

ბაზარში შესვლა ვინ აცალათ. ერთმა ბიასავით ყვითელმა კაცმა უკანა ფეხებით დაითრია ცხვარი, თითქოს ბაღდადურს ცეკვაესო, კინტოს ჰრელი ხელსახოცივით ჰაერში შეათამაშა და თვალეზში მიშტერებულ ოდელიას სიცილით უთხრა: — ნამარხულებია, ძამა, აგი?

ოდელიამ ზურგი შეაქცია, ხელზე დახვეული თოკი უფრო დაიმოკლა და ის იყო გაიფიქრა, ნამარხულებს და საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოპარულს შენ უფრო ჰგავხარო, რომ სამი პირჯმუხი მამაკაცი აეტუზა ცხვირწინ.

— ყიდი? — ჰკითხა ერთმა.

— არა, შენმა მზემ, გერმანული პუდელია და სასეირნოდ ყავს გამოყვანი-

ლი, — ჩაიჭირქილა დაბალმა, ცხვარს ხელი ნაზად გადაუსვა ღუმისკენ და...

— თავს რომ არ აჩერებს, პეპელი სჭირს? — შეეკითხა ოდელიას.

— ჯამრთელობის მოწმობა არ მოთხოვო ახლა, თუ ძმა ხარ, — ჩაიხვიხვინა ყველაზე მსუქანმა, ოხრაბუშის ღერი პირთან მიუტანა ცხვარს და მეგობრებს მიუბრუნდა: — ნედავთ, როგორ აცმა ცუნებს ტუჩებს ჩვენი სუფლიორივით?

— ჭირის დღე გაქვთ თუ?.. — თავჩაქინდრულმა იკითხა ოდელიამ და სვედიანად დახედა თავის გაზრდილს.

— თეატრში მიგვეყავს.

დამკინიანო, — ის იყო გაიფიქრა ოდელიამ, რომ იმ სამიდან ყველაზე ახალგაზრდამ ხელი დასტაცა და მეცხვარესავით ბეჭებზე მოიგდო.

პირუტყვმა წამით ზემოდან მოავლო მზერა ბუკლეს ქუდებს და როცა იგი აპრიალეზულ ლაქის ტუფლებთან დაუშვეს, უკვე პატრონს აღარ ეკუთვნოდა.

ოდელია ბურკაძე თითების ცახცახით ითვლიდა ხმარებისაგან გაცრეცილ ხუთმანეთიანებს.



— თვალების დათხრისას ხელი არ ავიკანკალდეს, მერე უბიდან ვაშლი ამოიღე, ჩაახრამუნე და ისე უღარდელად გაალაქე სცენიდან, თითქოს ჰიანჭველისთვის ფეხიც არ დაგედგას, — კიდევ ერთხელ არიგებდა პარტერის მეშვიდე რიგში მჯდომი რეჟისორი ამტყერებულ სცენაზე მღვარ „ჯალათს“.

— ვაშლი ყოველთვის მექნება თუ მართო პრემიერისათვის მომცემთ? — ერთადერთი შეკითხვა გადმოისროლა სიცივით აკანკალეზულმა მსახიობმა და გაიანბა.

— ყოველთვის, — დააიმედა რეჟისორმა.

ლოყებამობერილმა მსახიობმა კმაყოფილი მზერა მოავლო ცარიელ დარბაზს...

— მოიყვანეს!.. — იყვირა უცებ ფარდის უკან ვილაძამ.

— რა ხდება მანდ? — იკითხა რეჟისორმა, საგანგებოდ მოშვებულ მწვერულს (ასე ილიას ვგავარო, უყვარდა თქმა) ხელი ჩამოსვა და როცა სცენის სიღრმიდან ცხვრის პეტელი მოესმა, ალტაცებულმა იყვირა — მომგვარეთ! სასწრაფოდ!

დაბნეულმა პირუტყვმა ენერგიულად მოუქნია ენა მწვანე ხავერდის ფარდის, პატარა ნესტოები ყურებისაკენ დაძვინა და მოტყუებულმა მორცხვად დახედა თავის ჩლიქებს.

— არიფია, — ახითხითდა რეჟისორი, ჰელარა თმაზე ხელი გადაისვა და თანაშემწეს რაღაც გადაულაპარაკა.

ცოცხალი ხნის შემდეგ სუსტი აღნაგობის, თვალეზობრილა ბიჭი ნიკოლოზის ჯარისკაცოვით გაიჭიმა რეჟისორის ცხვირწინ.

— ამის ამწვევი ხარ შენ? — ჯერ ცხვარს, მერე იმ ბიჭს ახედ-დახედა რეჟისორმა.

— ამოდენა პურს ვჭამ ყოველდღე, — ჩაიღურღურა მსახიობმა, თავის სიძლიერის დასადასტურებლად ერთხელ კლდე ჩააფრინდა თითებით ცხვარს, თავს ზემოთ აიტაცა.

პრემიერამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია...

— ეფექტი, ეფექტია-მეთქი მთავარი, ხომ ვამბობდი, — უღიმოდა ოვლად გავრჩილი რეჟისორი მსახიობებს, სცენაზე ამოსროლილ ვარდებს სათითაოდ იჭერდა. გულთან ხელის მიღებით ყველას მაღლობას უხდიდა და სცენის შუაგულში აბეტელეზულ ცხვარს თვალებით ეალერსებოდა.

ღლიდან პრემიერმა (კვირაში ორჯერ მაინც), ჰერისკენ ფეხებატოტინებულ ცხვარს მძიმედ დაუშვებდა იატაკისაკენ ცხვრის ტყავშივე გახვეული მგელივით თვალეზობრილა მსახიობი, „ჭიბების სულს შესაწერი იყოს!“ — შესძახებდა, მუხლქვეშ მოქცეულ პირუტყვს პრილა სატყეარს მოუქნევდა და როცა შიშით გონებაწასული პირუტყვი იფიქრებდა, დამთავრდა ჩემი გაწამებული ცხოვრებაო, ჩაბნელებულ დარბაზში ატყდებოდა ტაშისცემა.

„ცხვარი ვარ და ასე დამაბედა ღმერთმა, ცხვარი ვარ და, ვიცი, ყელი რომ უნდა გამომჭრან, მაგრამ რომ აღარ დაიდგა ჩემს წამებას საშველი“?! — ფიქრობდა განაწყენებული პირუტყვი პირველ ხანებში, მაგრამ მერე და მერე ისე შეეჩვიო (რეფლექსი გამოუღმუშადა) ამ ამბავს, სიამოვნება კიდევ და კულისებში, მაგიდის ფეხზე მიბმული, მოთმინებით უცდიდა მყოფების წინაშე გამოსატან განაჩენს.

— ყველა ადგილზე ვართ, ხომ?! — იკითხავდა სპექტაკლის დაწყებამდე რეჟისორი.

— კი, ბატონო, — უღიმოდა თანაშემწე.

— ცხვარი როგორაა?
თანაშემწე ცერს ასწევდა და ერთხელ კიდევ ჩაათვალეობდა მონაწილეთა გამოცხადების სიას.

— ვიღუპებით ბატონო, — მოახსენა ერთ საღამოს (სპექტაკლის დაწყების წინ) სუსტი აღნაგობის მსახიობმა რეჟისორს.

— რა მოხდა, ამხანაგო სანდრო? (სათანავტოროდ გამოზადებული პიესის კითხვა შეწყვიტა რეჟისორმა).

— წელამდე თავისუფლად ვწევ, მერე მიჭირს.

— რას, კაცო?! — თვალეები მოიფშინიო რეჟისორმა.

— ცხვარს, ბატონო.

— რა დაემართა?
— გასუქდა, ბატონო. ეზოში რაც ბალახი იყო, მაგან მოინელა, მსახიობები, მწვანის რა სახეობა გინდა, მაგას რომ არ უზიდავდნენ.

რეჟისორმა გაიცინა (მე რაცხა მეგონაო), მერე კვლავ სათანავტოროდ გამოზადებულ წითელი ფანქრით აჭრელებულ პიესას დახედა და მამაშვილურად ურჩია: ივარჯიშე, სანდრო.

— ვვარჯიშობ, ბატონო, — დაიმორცხვა მსახიობმა.

— საკმელს მიეძალე, ცხვარმა უნდა გაჯობოს?!
აქ კი მსახიობმა თავისი სიმორცხვე და თავდაპირველობა უკანა პლანზე გადაიტანა და პირდაპირ თქვა: — ცხვარს

აუმეცს სამოცამდე მსახიობი, — მე ჩემს ხელფასი. ცხვარს მხოლოდ ერთ სპექტაკლში ჰქონდა ყელს, მე — ყოველდღე (ცოლ-შვილი ჰყავდა მხედველობაში).

ღირექტორმა ყურმილი აიღო, ნომრები აკრიფა და სადადგმო დასის გამგე იხმო.

სადადგმო დასის გამგეს უფროსმა რეკვიზიტორმა დაასწრო, მელოტი თავი მორიდებით შემოჰყო ნახევრად ღია კარში და სიტყვა „შეიძლება“ ფეხიც შემოაყოლა.

— რაზე შეწყუბულხარ, ამხანაგო ქიშვარდი? — გაუღიმა რეჟისორმა (რომელიც ამ თეატრის ღირექტორიც იყო).

— ერთი სათხოვარი მაქვს თუ არ გამაკიცხავთ, — აბლუქუნდა ქიშვარდი.

— ბრძანეთ, — შინაურულად დაუყვავა ღირექტორმა.

— ხვალ ორშაბათია, — დაიწყო ქიშვარდი.

— კი, ორშაბათია და ვისეენებთ, მერე? — კალენდარს ფურცელი აახია ღირექტორმა, ქიშვარდი დადუნდა.

„ყოველი ორშაბათი დასვენების დღეა და შეგვიძლია ისე გამოვიყენოთ, როგორც გესურს (ქორწილი, ნათვლა, ჭირი თუ ლხინი ჩვენში შაბათ-კვირას იციან, ალბათ ამ დღეს საგანგებოდ უღარა და საღმე მპატიებთ“, — გაიფიქრა ღირექტორმა, გონებაში გადააღავა მოსაწესრიგებლად ჩაფიქრებული საქმეები და...) — ოჰ, თქვი, შე კაცო, რაა ახლა ასეთი, რომ გერიდება, თქვი, — შეათამაშა ქიშვარდი.

— ხუთშაბათამდე ჩენი ცხვარი თავისუფალია, თუ ნებას დამრთავთ, წავიყვან ჩემთან, გარეუბანში ვცხოვრობ, — თავი ჩაქინდრა ქიშვარდმა.

— მაგაზე გაწყენინებ? ოღონდ გაბსოვდეს, ცხვარი ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაა და საკუთარი თავივით მოუარე, — თქვა ნირწამხდარმა ღირექტორმა და საქმიფოდ შემზადებული განწყობილება გაუფუჭდა.

თეიმურაზ ლანჩავა
ცხვარი



შემდეგ ორშაბათს სცენის მუშამ — ალია ტყაბლაძემ თხოვა ცხერის „გადაბარება“, კიდევ იქით ორშაბათს, — სცენის გამართებელმა ვალიკო ხუნწკარიამ და ბოროტმა ენებმა დირექტორის ყურამდე ჩურჩულით მიიტანეს ერთი ამბავი.

— ტყაბლაძე, ხუნწკარია და ბალდავაძე ჩემთან! — იღრიალა დირექტორმა.

ბეჭეტში აწურული ქიშვიარი, ალია და ვალიკო თავჩაღუნული დადგნენ დირექტორის წინ.

— დღეიდან ცხვარი არ ვნახო ჩვენი ტერიტორიიდან გაყვანილი, — მკაცრად თქვა დირექტორმა და ყური მოიფხანა.

იმ საღამოს შავად შედებულ საგანცხადებო დაფაზე გაჩნდა.

ბრძანება № 333

ა) სახელმწიფო ქონების (იგულისხმებოდა ცხვარი) არაკეთილსინდისიერი გზით გამოყენებისათვის თეატრის თანამშრომლებს:

ქ. ტყაბლაძეს, ა. ხუნწკარიას და ვ. ბალდავაძეს გამოეცხადოთ საყვედური და მოეხსნათ ამ თვის პრემია.

ბ) დაევალოს დაცვის გუშაგებს, მკაცრი მეთვალყურეობა დააწესონ პირუტყვზე და მისი გადაადგილების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს დირექციას.

გადიოდა დრო, იწურებოდა სეზონი, ნებივრობდა ცხვარი, ძოვდა თეატრის ეზოში მწვანედ აბიზინებულ ბალახს და წარმოდგენაც არ ჰქონდა ამქვეყნად მგლის არსებობაზე.

მაგრამ...

ო, რა თვალისმომჭრელად მსათბობდა იმ დღეს მზე, რა საოცარი ჩანდნენ ცისკენ ატყორცნილი, ვაზის ფოთლებით მოჩუქურთმებული, გაციკროვნებული თეატრის სვეტები.

სწორედ იმ დროს, როცა ის-ის იყო, საამური სტვენა ჩაათავა ეკლის ტოტზე წამოსკუპულმა გულყვითელამ და შორეულ წარსულში, მწვანედ აბიზინებულ სოფლის ჭალაზე, გონების თვალთ გადახედა ნაძვის ძირში მიყუჟულ პატარა ოთხფეხს, „მოვიდა კაცი იგი ბოროტი“, ბანჯგვლიანი ხელი ჩაავლო საბრალოს და წაიყვანა უცხო გზით.

— ვერა ბატონო, პარტნიორს ჩემი ხელით ყელს ვერ გამოგჭრი, — დაიღრიჯა მსახიობი, გამოწვდილ დანას მწყრალად შეხედა და უკან დაიხია.

— ბიჭო, მთელ თეატრს მოჭერი თავი ამ სეზონზე შენი უნიჭობით და მაგის თავს მოჭრას გვამადლი? — შეეხუმრა დირექტორი.

— ვერა, ბატონო, დამესიზმრება.

„მაშინ კვლავ მოვიდა კაცი იგი ხელბანჯგვლიანი, წარეტანა მზის სხივების მჭრელ დანას, გადააწიჯა და თქვა“: — შემირცხვენია ვაჯაცობა თქვენი.

ალაბლაპებულო დანის სრულებით არ შეშინებია ცხვარს, მხოლოდ ის გაუკვირდა, პირველად მალა რატომ არ შემისროლესო, ერთი ორჯერ მზიარულად დაიბეტელა, მერე იმის იმედით, ჩემს „როლს“ გავითამაშებ და უკეთ შეგხედავ ჩამავალ მზესო, თვალეზი მოხუჭა და აღარც გაუხეღია.



ზაჟურ კალანდია

სხვა სსჯელი...

...საწინარზე, სად მიწის გრძელი და უფორმო კუზი იყო გაწოლილი (აქაურები გორაკს ეძახდნენ), მოულოდნელად კაცის შავი, აწოწილი სილუეტი გაჩნდა. იგი ქვევით, ქალაში მომუშავე გლეხობამ თითქმის ერთდროულად შენიშნა...

გორაკს ვაღმა სივრცე თავისუფალი და საგრძნობლად მშვიდი იყო, უცნობის გამოჩენა — მოულოდნელი და ისინი გაურკვეველად, რაღაც სხვა და საინტერესოს მოლოდინით შეძრულნი, უფრო დაჟინებით მიაჩერდნენ გორაკს. მათი ფიქრით, პირველი სიტყვა სტუმარს უნდა ეთქვა, თუმცა, როგორღაც ეტყობოდა, იგი არაფრის თქმას არ აპირებდა, ქანდაკივით უძრავად იდგა და ზევიდან უაზროდ გადაპყურებდა ქალას...

რაღა თქმა უნდა, სოფელმა სტუმარი იცოდა და მისი ღირსეული დახვედრაც შეეძლო, მაგრამ რადგან სრულიად უცხო, თან უდროოდ დროს მოსული ვინმე იყო (სოფელი ჭირნახულს იღებდა, ზამთრის სარჩოს დროულად იმზადებდა), ეგ ამბავი არც ისე კარგად ენიშნათ...

სტუმარი უყურებდა და არც უყურებდა მათ, ერთ-ერთმა, გორაკთან ახლომდგომმა შენიშნა ეს და მის მზერას მანაც თვალი ციმციმ გაადევნა... სხვებიც არ ჩამორჩნენ და იქიდან, უფრო სწორად, მათკენ ბილიკ-ბილიკ მომავალი გეჟ-გულა დაინახეს... გუ-

ლა შეკრებილთ ლაღად, სტვენა-სტვენით უახლოვდებოდა...

ეტყობა, გამოჩნდა კაცი, ვისაც ამ გაურკვეველობისთვის სიცხადის მოფენა შეეძლო და სახელი „გულა“ ერთდროულად, როგორც ერთი ამოსუნთქვა, აღმოხდა მათ, იფიქრებდით, ბგერებიც ლბილად, მსუბუქად გაიშალნენო პაერში...

როცა კვლავ იქით მიაპყრეს მზერა, გორაკს ღრუბლის თხელი და უძრავი ქულებიღა შერჩენოდა, სტუმარი კი, არც ისე შორს, რომელიღაც სახლის ეზოში შესული დაინახეს — იგი მუხლამდე აბიზინებულ ქვერს გულმოადგიენდ მთარღვევდა...

ცხადია, სოფელს აქაც ტოვებდა გლეხი და საცხოვრებლად ქალაქში მიდიოდა. ასე რომ სახლ-კარი, სადაც მან ამჯერად შეიხედა (უცხო კაცი, და არა პატრონი დაბრუნებია თავის ქერს!), უპატრონობით გავერანებული, ცისა და მიწის ანაბარა იდგა შვიდი წელიწადი...

არა, სოფელს ერთი კაცის თავშესაფარი არ უჭირდა, თუნდაც მუდმივად დაედო ბინა აქ; უფრო მეტიც: თუ საჭირო იქნებოდა, სხვა და უფრო კარგად შემონახული კარ-მიდამოც შეეძლო შეეთავაზებინა, ვინაიდან მიტოვებული სახლების სიმცირეს სულაც არ განიცდიდნენ ისინი, მაგრამ იგი ყოველგვარი მოხატობის თუ თავპატივის გა-

რეშე შევიდა შიგ და, მათდა გასაკვირად, კარიც უბოდიშოდ ჩაიკეტა.

ისევ გიყ-გულას მიაჩერდნენ; იგი ხსულში ჩამჯდარიყო და რკინის პრი-ალა ნატეხით მიწაში გულმოდგინედ იჩინქნებოდა...

— გულა!

ერთ-ერთმა გაოცება ვერ დამალა.

— რა იყო?

ზანტად ამოიხედა მან და შარვლის ბერტყეა-ბერტყევით წამოდგა; ძვალ-მსხვილი კაცი იყო გულა — დაბარჯ-ლულ ხესავით დაკუნთული... უცებ სა-ხე გაებადრა, ერთიც წამოუსტვინა და საითაც უცნობი მიიშალა, ისიც იქით-კენ წაფლატუნდა...

„რა იოლად მიგვიხვდა გულა...“ და ამჯერად მის გონებასუბტობაში ეპვიც კი შეეპარათ.

სახლს მიუახლოვდა თუ არა გულა, შედგა, უკან მოიხედა. მერე, მარჯვენა ხელი ზეადმართა და ასე, ჯარისკაცისვით გაჭგიმული იდგა ერთხანს, ბოლოს კარი ჩაკეტილი რომ დაუხვდა, ფანჯრიდან გადაძვრა ოთახში...

ერთმანეთს გადახედეს და... „მინც გიყიო...“ მის საქციელზე ზარმაცად გა-ელიმათ.

გულა იგვიანებდა... და მოუთმენლო-ბამ უფრო შეჰკრა, შეჰკრუდა ისინი. მა-შინ უხუცესთაგანმა მედიდური მზერა მიმოატარა ირგვლივ, პირიც კი გაა-წკლაპუნა უკვე საღერღელაშლილმა... სწორედ ამ დროს გამოჩნდა იგი, კარი-დან გამობრძანდა — თავაწეული და ლა-ლი... დინჯი, აღჩქარებული ნაბიჯით გა-მოემართა მათკენ, როცა მოუახლოვდა, არც შემდგარა და ცნობისმოყვარეთა წრეც, თითქოს რაღაცა ძალამ ერთბა-შად შუაზე გაჰყო...

— გულა! — ვილაცამ ცთუნებას ვერ გაუძლო.

— მუნჯია! — თქვა გულამ მტკი-ცილ.

— მუნჯი? ვითომ რატომია? — ამ-კარად გაიკვირვეს.

— მიტომა-ო!

გულამ შეკრებილთ ზურგით მათკენ
ცია...

...და მაინც, სიტყვა „მუნჯი“ საკმარისი აღმოჩნდა, სოფელი რომ ხელად დაემოშმინებინა.

უპოვრად და ღვთისაგან დაჩაგრულად მიიჩნიეს იგი.

(არადა, ცამეტი წლის თუ იქნებოდა, აქედან რომ წავიდა და ორმოცი წლის შემდეგ მობრუნდა უკან. ეს დრო საკ-მარისი აღმოჩნდა მისი სახე, მისი არ-სებობა დაგვიწყნოდა სოფელს, თუმცა არც თვითონ უფიქრია თავისი ვინაობა გამოემყლანებინა... იქნება მშობლიუ-რი მიწის სიყვარულმა ჩამოიყვანა აქ? იქნებ „სხვა“ ცხოვრებას ვანეროდა, ანუ დაუდგა დრო სიცოცხლის უკანასკნელი წლები უხმაუროდ, თავისთავთან ვანმა-რტობებით ვაელია, ხოლო საამისოდ ეს მყუდრო სოფელი აირჩია? ვინ იცის?!)

რაც მთავარია, კაცი დაუბრუნდა სო-ფელს, დაუბრუნდა თავის კუთხეს, რო-მელთანაც ესოდენ გარკვეული წლები ამორებდა მას.

...სტუმარი ქალაქელს ჰგავდა და არა უცხო ტომის კაცს... ეს ერთი მტკიცედ სწამდა სოფელს: მუნჯ ადამიანს თუ სიკეთის ჩადენა არ შეეძლო, ვერც მა-ვნებლობას შეძლებდა. ეს ცნება პა-თი სიცოცხლის არსივით მკვრივი და ურყევი კანონზომიერება იყო და ბუ-ნებით დასჯილ კაცს სოფლის ჯანსაღი სხეული თანაგრძნობით შეხვდა. თუკი მუნჯი მეორე დღესვე რომელიმე მათ-განს ჰიშქართან ლუკმაპურის სათხოვ-ნელად ხელეებს გაუწვდიდა, კარს არა-ვინ გამოუხურავდა, პირიქით, გულუხვი-დაც გაუმასპინძლებდებოდნენ... ამ ამბა-ვი არის ისეთი რამ, თითქოს მოწყა-ლების ვალება მუნჯს კი არა, სოფელს სჭირდებოდა, ამით (სიკეთით) სოფელს მუხლს იმაგრებს ღვთის წინაშე, ვინაი-დან ის ამ უკანასკნელის მიერ დაჩაგ-რულს ინსავეს... როგორც ჩანს, ღვთის უსამართლობა უფროვე თრგუნავს ადამიანს, ვიდრე თავისი უსამართლო

საქციელი, ის ხომ იმდენ რამეს ჰპატი-
ობს თავისთვის, ერთბაშად ეშმაკსაც
განაცვიფრებს... მართალია, ზოგჯერ
აწუხებებს კიდევ ნებისთ თუ უნებლიეთ
ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ხელსაყ-
რად დროსაც მოიხელთებს, რომ რო-
გორმე სიყვითო გამოისყიდოს იგი.
მსგავსი რამ ეკლესიაში მოსული კაცის
ამბავსა ჰგავს, რომელსაც დანაშაუ-
ლის აღიარებამდე მტკიცედ სწამდა, გა-
თავისუფლდებოდა ადრინდელი ცოდ-
ვებისგან... სწამდა! და ისიც თავის სი-
სწორეში გულდაჯერებელი გამოსულა
ეკლესიიდან, მშვიდი ძილიც მოუპოვე-
ბია... ხელახალი ცოდვის ჩადენამდე...
და კიდევ: სხვა თუ არაფერი, ადამი-
ანისთვის სასიამოვნოა ხოლმე იმის
შეგრძნება, რომ იგი ასე კეთილია...

დღე თენდებოდა...
მუნჯი კაცი მოწყალეებს არავისგან
არ იღებდა, გარეთაც იშვიათად გამო-
ჩნდებოდა და თანდათან მიივიწყა სო-
ფელმა მისი არსებობა.

...ადრე, ერთი შეხედვით, არც რაიმე
უჩვეულო ამბავი გადახლომია მას თავს,
და არც თვით ყოფილა ფათერაკების
მაძიებელი ვინმე; აქედან შორს, რომე-
ლიც დიდ ქალაქში ცხოვრობდა. ცხო-
ვრობდა ჩვეულებრივად მაშინაც კი,
როცა ახალმა ცხოვრებამ გაიმარჯვა. სა-
ერთოდ, თომასთვის სულ ერთი იყო,
რომელმა ცხოვრებამ გაიმარჯვა, — ად-
რეც უჭირდა და არც ახლა ადგა მიწ-
ცდამაინც კარგი დღე. (იქნება არ უჭი-
რდა, მაგრამ ერთი რამ კი დანამდვილე-
ბით იცოდა — მისთვის არაფერი არ
შეცვლილიყო და არც რაიმეს მოლოდი-
ნით იტყვიდა თავს. ვიღაც ბერძენს
(ნავთის წერტის პატრონს) დღიურ მუ-
შად ედგა. სამუშაო არც ისე ძნელი
იყო; ნავთი ჰქირდა და საქმეების მოსა-
გვარებლად წასული ბერძნის მოლოდი-
ნში ხშირად მთელი კვირა იჯდა წერ-
ტის წინ გულხელდაკრეფილი... ასე
რომ, ხან ნავთს ელოდა და ხანაც მის
მუშტარს... საერთოდ, აქ ჯდომა იმი-
ტომ სიამოვნებდა, რომ იგი ლუქმას
აჭმევდა, ისე, არაფერი საქმე არ უყვა-

რდა. დიახ, თავისი ცხოვრებით ცხოვ-
რობდა თომა. ან რა მისი ხელსაყოფი
იყო დიდი საქმე: ეგ ხომ იცოდა და
იცოდა! (არადა, როცა ეს იცი კარგია.
შენთვის ხარ, ჩუმალ...) ზოგჯერ იტყუ-
და კიდევ, უფრო სწორად, იმ არე-და-
რეულობის ყმას თავისთვის ფიქრობდა,
ქვეყანას რა გამოასწორებს, ან რა კა-
ცის საქმეა მისი ავანჩავანო... ის კი
არა, ერთხელ, მცონარობისგან სკამზე
ჩამოყვინთულს ესიზმრა, თუ როგორ
იზომებდა მხრებზე გენერლის ბრჭყვი-
ლა, სირმით გაწყობილ ეპოლეტებს და
შიშისაგან კარგა ხანს ლოგინად ჩავა-
რდა კაცი... მერმე ერთხელ კიდევ განუ-
მეორდა იგივე სიზმარი...

ცხოვრობდა ისე, როგორც ადამიანე-
ბის არცთუ მცირე ნაწილი ცხოვრობს
თავთავიანთი ვაჭირვებითა და პატარ-
პატარა წვრილმანებით, დროდადრო
სილაღითაც... მახვილ თვალს სიარულ-
შიაც ეცნობა ისინი; მოშვებულად, ზღა-
ზვნით მიმოდიან. ფეხს ისე მიითრევენ,
ტერფს არც კი აცლიან მიწას. (ისე
ნუ გაიგებთ, „მიწის შვილები“ არიან-
მეთქი, რომ ვამბობდე!) თავიდანვე სჯე-
რათ ეს: რაც არ უნდა იჯახრონ, სა-
კუთარ ტყავშიც რომ გაძვრნენ, —
წელი აღარ მოსდევთ. ესე იგი, მათთვის
არასოდეს აღარაფერი შეიცვლება (სი-
ტყვა „შეიცვლება“ მხოლოდ და მხო-
ლოდ თავ-თავიანთი ოჯახის მიმართება-
სთან არის ნახსენები და არა სხვა ვაგე-
ბით). ასე რომ, ყველაზე საუკეთესო გზა
მათი — იოლი გზაა, თუმცა, არც ეს
იციან ხოლმე, რომელი გზაა იგი. თუ
იტყვით, მსგავსი ცხოვრება ცხოვე-
ლურ ინსტინქტებზე არისო დამოკიდე-
ბული, — სწორი იქნება, და არც არა-
სოდეს მოუვათ აზრად, რაიმე საზოგა-
დოებრივზე იფიქრონ... უბრალოდ, იმ-
დენად ვიწრო შუბლი აქვთ, რომ ამ-
დენს ველარ სწვდება მათი გონი (არადა,
თავდაბრილი სიარულის გამოისობით,
გგონია, ხარივით შუბლით ჰკვეთენო

ზაურ კალანდია
სხვა სასჯელი...



პერს...) მერმე, ისე ჩავივლიან გვერდით, ერთხელ არ შემოგხედნენ სახეში... და თუ ვინმეს მათ „დაძარღვეულ“, „გამძლე“ კისერზე დასცდებიან სიტყვა: აშკარად სტყუის! დაძარღვეული კი არა, გაჩენის დღიდან თოქშებმული კისერი შესაბარლისად გადაყვლეფიათ, რომელი თოქის ბოლოც უფლის ხელს უპყრია მყოვარეჟამ!...

...თომა ქალაქში ცხოვრობდა.

ცოლი გვიან ითხოვა; ქალი უტყვი და მოსიყვარულე გამოდგა და კაციც თავს ბედნიერად გრძნობდა, თუმცა, ამ ბედნიერების გამოხატვა უჭირდა ხოლმე, თითქოს ყველაფერი პირუკუ ხდებოდა მასში — გულს სიხარული შეეპარებოდა თუ არა, სახე უნდა დაემალა, მზერა შეგნებულად აერიდებინა იმისთვის, რის დანახვამაც ეს აღტაცება მოჰგვარა. საერთოდ, რასაც კაცი განიცდიდა მაშინ, მის გამოსახატავად სიტყვები არ ჰყოფენიდა, ამიტომაც ამ უთქმელი და შიგნით მრავალგზის განცდილი გრძნობის დაფარვა დღითიდღე უფრო და უფრო ამუწვებდა. არა, ზოგჯერ დააპირებდა კიდევ ყოველივე ეთქვა, სათქმელიც ერთბაშად ყელში მოეზინებოდა, მაგრამ სულ ბოლო წამში იმდენად უმწეოდ მოეჩვენებოდა ნაფიქრი, ერიჩენა, სულის ჭაში მყის ბოლომით ჩაებრუნებინა...

ქალი ფეხმძიმედ იყო; გვიან ღამით, როცა ნამეტნავად ატკივდა გულ-მუცელი, ქმარს სთხოვა, საიდანმე ექიმი მოეყვანა. თომაც თითქოს ამ თხოვნას ელოდებოდაო, ხელად დაფაცურდა და რაღაც გაუგებარი დუდღუნით სიბნელეში გაილალა...

ოთახში მარტოდ დარჩენამ ქალს თითქოს გაუორკეცა ტკივილი და ინანა, ქმარი სახლიდან რომ გაუშვა... ტანი გუკირვებით წამოსწია და ფანჯარას ბრახით ჰკრა ხელი, დაარდალიანა... ზამთრის სუსხი მყის შემოიჭრა ოთახში, რაიც ემა კიდევ და ახლა ტკივილის მეტი თმენით მოიხარა ორთავე მუხლი, მერმე ნელა წამოჯდა ლოგინზე და გარეთ, საბნელეში თავი ვაჰყდა; მაგრამ

სუსხმა სხვაფრივ, რაღაც სიავით მოულრინა თითქოს და შეშინდა. შიშმა კი უშალ გააფიქრებინა, მეზობლისთვის რომ უნდა დაეძახნა.

ჩაყურსულ-ჩამწყვარამებულიყო შემოგარენი...

„ალბათ სძინავთ...“ წამით გაუელვა, თუმცა: „ნათე-ლა!“ — წამოიკნავლა სუსტი, წყვეტილი ხმით.

წყვდიადმა ჩქამი არ გაიღო. უფრო წაიზარდა ტანი, რაფას იდაყვებით გადაეყარნო, გადააწვა და ისევ გასძახა ბნელს...

არც ახლა გასცა ხმა ვინმემ. „ნუთუ არ არიან სახლში?“ გულმა რეჩხი უყო, სულ მთლად მოუსაგდა სხეული, თუმცა, კიდევ ერთხელ რომ ეცადა ბელი, კვლავ გაჭირვებით წაიწვინა კისერი მეზობლის ჩალუსკუმებული ფანჯრებისკენ...

მკლავები დაღლოდა უკვე, დაბუფვოდა და... უმტყუნა; ტკივილმაც მკერდიდან მყის თავში გადმოინაცვლა — შუბლში ტყვიასავით მოაწვა და დაუმძიმა, ჩამოუქინდრა თავი... მერმე მზერის არეში შავი და აჭრელებული რგოლები გაჩნდნენ, გაჩნდნენ და გაუჩინარდნენ ისევ... „შე ბე-ჩავო“. რატომღაც ეს სიტყვა დასცდა და ასე უგონოდ გადავიდა რაფას...

თომა ვამთენიის ჭამს მობრუნდა უკან.

მოულოდნელობისგან გახვედა კაცი. „თამრო-ო?...“ — საყვედურით უჩურჩულა, თითქოსდა ასეთ შეხვედრას უწუნებდა ქალს და ახლა ექიმს მიაჩერდა უაზროდ. ექიმი არ დაიბნა, სწრაფად მიიჭრა ავადმყოფთან და მკლავებში ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ ჩასკიდა ორივე ხელი, მერმე ერთ ადგილზე გაშეშებულ კაცს მომეხმარეო, გამოსძახა. გათოშილი ქალი ჩვილივით სითუთად ვადმოაწვინეს ლოგინზე... ექიმი ხან მაჯას უსინჯავდა, ხანაც ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა, სიცოცხლის ნიშანწყალს დაეძებდა, მაგრამ ამაოდ — ჟველაფერი დამთავრებული



იყო, იგი დამნაშავესავით განზე გადგა...
 ...სამი წელიწადი იგლოვა კაცმა; სამი წელიწადი წვერმოშვებული და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული დადიოდა. საუბარი აღრეც არ სჩვეოდა და ახლა დღე-ღამეში ორიოდ გულმწუხარე სიტყვა თუ დასცდებოდა... გრძნობდა, რომ გარდაცვლილ მეუღლეს ბევრი რამ წაელო მისგან, თითქოს მისი სიცოცხლის ნახევარი ერთბაშად წაეგლიჯა და მიეტოვებინა... ამიტომ ადანაშაულებდა იგი მას, ძილ-ბურანშიაც ეკამათებოდა, თუმცა რა ჰქონდა ქალს ბრალი, თვითონაც ვერ გარკვეულიყო კარგად, ბოლომდე ველარ ჩამწვდარიყო და თავისი გონებაჩლუნგობის გამო საბოლოოდ მოღორებული გლუხკაცივით დღითიღღე უფრო მეტად იბოღმებოდა...

გადიოდა დრო...
 ბოლოს იფიქრა, იფიქრა და თანდათან დარწმუნდა, რაღაცა სხვა იყო საჭირო — ამ ტანჯვა-წამებისათვის თავი როგორმე დაეღწია, თორემ გრძნობდა, იმ წლებს, რასაც დღეს მისი დარჩენილი „სიცოცხლე“ ერქვა, ამიერიდან თმობდა და იმოკლებდა...

აგერ, ა, გამოჩნდა — თითქოს განგებამ შესთავაზა ახალგაზრდა ღამაში ქალი, რომელსაც იმთავითვე ეტყობოდა (იგი მეტრზე მიხვდა ამას) თავშესაფარი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ქმარი ან მშვიდი ცხოვრება... არა, მაშინ შეცდაო, ვერ ვიტყვით, ვინაიდან ქალმა თავიდანვე იმდენი სითბო გაიღო დამშეული და დაბეჩავებული კაცისთვის, რომ ეს უკანასკნელი მოულოდნელი სიხარულისაგან ცუდადაც კი გახდა. ამის გამოისობით ჭერ თვითონვე განიცდიდა ქალის მიმართ დანაშაულს... ეს გრძნობა თავდაპირველად გულის სიღრმეში ჰქონდა მიმაღული (სხვა თუ არაფერი, ოცი წლით უფროსი იყო ქალზე და ამ „საგრძნობლად“ მეტი წლების სიმძიმე გულზე ლოდვივით მძიმედ აწვა ხოლმე). რახან ერთხელ იხარა ფიქრმა — ობს აღარ იკიდებდა და მას დანაშაულის

გრძნობა იმდენად გაუჭდა გულგვაში თუ მეუღლე ოთახში ეგულებოდა, იფიქრებდით, სულ უმნიშვნელო ამბავიც კი რიღისა და შენდობის გამოხატვაო ქალისადმი... ამრიგად, მისი ალერსიც კი, ერთობ შეწყალებად, თხოვნად ჰქონდა გადაქციული, რომელი თხოვნაც მშვიერი და დაბეჩავებული კაცის ლოცვად ღგომას უფრო ჰგავდა, გამოხედვა — მწყურვალი და უსასოო კაცის გამოხედვას...

როგორც აღრე ვთქვით, ქალი არ ჩანდა ისეთი ვინმე — ეს არ ეგრძნო, გონებით არ გაეცნობიერებინა და ამ შემთხვევითაც რომ არ ესარგებლა... საერთოდ, იგი არც ისეთი ღამაში და ახალგაზრდა იყო, როგორც კაცს ეგონა. ეტყობოდა, აქაც თვალი დალატებდა მას (არადა, როცა თვალი ან გონება გდალატობს, ამაზე უფრო საშინელი რაღა უნდა იყოს. მეგობრის დალატს ჩვეულებრივად მიიღებ, ვინაიდან მის დალატზე აღრეც გიფიქრია, აღრე — სანამ გონებით ჩაწვდებოდი, დაინახავდი... მაგრამ საკუთარი გონების თუ მხედველობის დალატს იოლად ვერ შენიშნავ. იმდენად დაჭერებული, იმდენად დარწმუნებულია ადამიანი თავის თავში, ცხადია, არც ერთ სარწმუნოებას ასე არ გაუჭირდებოდა, ეს ერთგულება და რწმენა აგერ მტკიცედ რომ დაპყროლიდათ მათ... თუმცა ეს ისე, სხვათა შორის...).

და თომაც უმძრახად იყო.
 ერთხელ, საღამო ეამს უეცარი ტკივილი ნემსივით გაუჭდა მკერდის არეში. ჩხვლეტა იმდენად მწვევე აღმოჩნდა, შესაბრაღისად მოხარა წელში, ნიკაპიც ავად მოუღრიცა და სუნთქვაშეკრული სიმწრით მიახედა იქით, სადაც მისი „ღამაში“ ცოლი იჯდა (ქალს ჩვეულებად ჰქონდა ხოლმე, დაწოლის წინ ნახევარი საათი სარკესთან მჯდარიყო და გაშლილი თმა გულმშვიდად ევარცხნა). გაბრაზდა, თითქოს ტკივილმა კი

ზაურ კალანდია
 სხვა სასჯელი...

არა, ეჭვმა გაჰკარო კაცს ბრტყალი — გულს ვესლად გაწოლოდა და ამ ეჭვგესლა გრძნობებში გარკვევის სურვილმა ყელში ბოლმით თუ შეჭირვებით მოწოლილი სიტყვა ისევ უკან ჩააბრუნებინა. ამიტომაც წელში უფრო მოიხარა და ტკივილის მომდევნო შემოტევას დაელოდა...

ქალი ზანტი ზმორებით წამოიზღაზნა... თითები თმაში ლამაზად შეაღებოდა, თვალისმომკრულად თეთრი მკვლავები ზვეთ აისხიბა და სარკეს მოსცილდა ფხმსუბუქად... თომას არც ახლა დაუგვიანა — ამჯერად რკინის ნატეხივით მწარედ ჩაეჭედა კეფის არეში უფრო მძაფრი ტკივილი და სუნთქვა შეუქრა, მზერა აღებლანდა, გააბრუნა... მერვე შორს, ბუნდოვნად დაინახა, როგორ მოდიოდა, გაიშალა და გასხლტა „სხვა“ მიმართულებით მისთვის ასე ნაცნობი ფორმა, იფიქრებდით, ჭრელი და ვეება კვერცხი ვაგორდაო ხალიჩაზე...

დღე თენდებოდა...

ერთობ უცნაური ამბავი დასჩემდა თომას; ბოლო დროს ხმას საერთოდ აღარ იღებდა. არა, მისი დუმილი რაიმე შეგნებულ თვალსაზრისი ან აღთქმის მიცემა კი არ იყო ღვთისადმი, პირიქით, ზოგჯერ თვითონაც უვკირდა თავისი უთქმელობა და საქციელი, უბრალოდ, იგი როგორცაღ მიჩვეოდა ამ ამბავს, თითქოსდა სიმწრით მოპოვებული დუმილის დარღვევა ეზარებო...

დამდებოდა...

ვთქვათ, თომა დამუხწდა, მაგრამ თვალბსაც ხომ აღარ დაითხრიდა? არა, ისინიც იმიტომ გააჩნდა მხოლოდ, ფიქრის უსაზღვროებით ესარებოლა, დაწვებოდა თუ არა, მზერა ხშირი წვიმებით მოხატულ ჭერისთვის მიეპყრო და საათობით ეფიქრა... საღამო ხანს ღრუბლის თუ კვამლის ზოზონისთვის თვალი გაედევნებინა და... ეფიქრა... ლობიოს ღრმა, პირწმინდად ამოსუფთავებულ ჯამში თავი ჩაერგო და (სანამ ქალი ჯამს ცხვირწინ ბრაზით არ ააცლიდა) ეფიქრა...

თომას ეს „უცნაურობანი“ გვიან

შენიშნა ქალმა, თუმცა აღრუც რომ შეენიშნა, ტყუილია, რაიმე ოდნავ მიუხედავად მისდა სასიკეთოდ შეცვლილიყო... დღეს კი დღე მისდევდა, კვირას — კვირა...

მაღე თომაც დარწმუნდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, ამ უამური და მოწამეობრივი ფიქრებისგან თავი როგორმე უნდა დაეღწია, საბოლოოდ ამოეძიო რკვა გონებიდან ისინი და ადრინდელივით მშვიდი, უდრტვინველი ცხოვრება დაეწყო. გადაწყვიტა, თავისი დღიური სამუშაოსათვის უფრო მეტი დრო დაეთმო, უფრო მეტი ძალ-ღონე დაეხარჯა იქ, და ასე, თანდათან ყოველგვარი შიში და უნდობლობა შეეზღუდა ქალისადმი... მაგრამ საღამოობით, სახლის კარის ზღრუბლს გადმოაბიჯებდა თუ არა — ყველაფერი განგებ და შეგნებულად თავდაყირა უნდა დამდგარიყო, საგნებს ფორმა და ფერი უნდა შეცვლოდა ოთახში... დიახ, კარ-ფანჯრების ანჯამებსა თუ იატაკს სხვა ჭრილი გაედო, კუთხეების დირე-ამოღრულებში ლატინის თავები სხვანაირად აყმუღებულს იყვნენ, ყრუდ აფახვანებულს იყვნენ სვეტსა და სვეტს შუა მოთავსებული, ბრტყლად გათლილი და დაფულუროებული ფიცრებიც...

...ყელზე ჩანჩხურა ფერადი ქვების წვრილი მძივი ეკეთა ქალს. მძივი მკერდის დართან ერთი ლამაზი, მოდილო ქვით მთავრდებოდა. მძივს ლოგინშიაც არ იცილებდა ქალი და კაცმაც ამდენი თმენის თუ სიმშვიდის სანაცვლოდ აღმოაჩინა ახალი ფიქრი — ეს ჩანჩხურ-ძეწვე-ჩამოსაკიდი ინახავდა ისეთ საიდუმლოს — მისი ზრახვითა გამოაშკარავება რომ შეეძლო... და ისიც დროდადრო მაღულად უყოფდა, უფათურებდა ხელს უბეში, როგორც მღვდელი რწმენამოისობით ყოფს ემბაზში ხოლმე... ასე უსირცხვილოდ უსინჯავდა მძინარეს ყელსაპამს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ქვების ბრტყილს გაურკვევლობის მეტი თითქმის სხვა აღარაფერი მოჰქონდა, მხოლოდდა ჩვეულეზად ექცა ეს: შინაბერა ქალბმა



რომ იციან მათი ოდინდელი, სასიყვარულო მარათების გადაკითხვა...

თუმცა, ერთი რამ ვერ გავგო მაშინ: ეძინა თუ თავს იმძინარებდა ქალი; თითქოს სუნთქვა უფრო ხშირი ჰქონდა და ლოყებიც აალებული... და მაინც მის ქათქათა გულ-მკერდზე ჩამოწიკწიკებულ პაწია ქვეები ისე მაცოთუნებლად იალკალებდნენ, რომ ხელის ხელახალი შევლება ერთ სიცოცხლედ უღირდა...

ერთ საღამოს ჩვეულებრივზე გვიან მობრუნდა სახლში. ქალი ვახშმის გამოტანას შეუდგა. თომა აღარ დაელოდა, დაწვა... ქალი აიბრინა, რაღაც მწარის თქმა დააპირა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა და მისი ულუფა კერძი ზედმეტი ხმაურით ისევ განჯინაში შეინახა...

თომა იწვა და სიგარეტს ეწეოდა... ქალმა ერთხანს იბორიალა ოთახში, ბოლოს თვითონაც გაიხადა და საწოლზე ავიდა ფეხშიშველი, პერანგისამარა... ელოდა იგი, თუ როდის მოაფიქრდებოდა კაცს, მიწეულიყო, მაგრამ არა, თომა ყურს არ იბერტყავდა, სიგარეტს გულმოდგინედ აბოლებდა და ფიქრსაც ჯიუტად განაგრძობდა...

ეტყობა, მობეზრდა ქალს ასე დგომა და ლოდინი: „გადაადდე!“ — იყვირა ბოლოს და ვაკაპასებულმა ლოგინი აამტუტა: „ლოგინში მაინც ნუ ეწევი!“

დაიბნა თომა; მისთვის უცხო და მოულოდნელიც იყო ქალის ყვირილი. ხელიდან სიგარეტი გაუვარდა...

„ახლა კი იტყვის...“ დაასკვნა ქალმა და შეშინდა კიდევ. მერმე ქმრის შეუწყუხებლად იპოვნა საკმარისი ადგილი, კედლისკენ უხმაუროდ რომ მიწოლილიყო...

„იტყვის, იტყვის...“ თითქოს ამ სიტყვაზე ყოფილიყო და მოკიდებული მათი მერმისი და ამ ხმის მოლოდინში ქალი უფრო მიიკუნჭა კედელთან, მიქვავდა....

წამოიწია თომაძმ...

ნამწვი იატაკზე ეგდო, უფრო სწორად, თხის გაფხვიკო ტყავზე და ტრუსის უსიამო სუნმა ნესტოები აუწვავა... გადმოიხარა, მარცხენა ხელის თითებში

მოიქცია... ნამწვიც და გახვედა ერთბაშად...

„იტყვის, იტყვის...“ კვლავ ამ სიტყვას ჩაფრენოდა ქალი.

თომა მაინც დუმდა. მერმე როგორღაც ამოპირქვავდა და წინასწარ ამოჩემებულ წერტილს მიაჩერდა ისევ...

...არა, თომა ადრევე გრძნობდა ხოლმე უცხო კაცის მზერას, ადრევე — საკუთარი ჩრდილის ერთგულებით გადაჩაჩებულსა და ჩასაფრებულს... რამდენჯერმე სცადა ამ მზერის მოცილება; მაგრამ ამოად: მზერა ღამით ხან ფანჯრის სიშავიდან გამოაღწევდა, ხანაც ფულტრო კედლებიდან ფოსფორივით გამოაკვებსებდა... გამოაკვებსებდა და ცთომილ ნერვს ავად მიწვდებოდა, გულგვამს აუფორიაქებდა ისე და იმდაგვარად — მოსალოდნელი ხიფათის შეგრძნება ტანში რომ ჩავისაფრდებდა ხოლმე... და მაშინ გულმძიმეობით, უფრო საშინელისა და შეუცნობელის მოლოდინით ქანცაცალი კაცი მკვდარივით მიეგდებოდა ლოგინზე... მერმე დიდხანს იყო ასე... იყო, სანამ გონება სულმთლად არ დაეწმინდებოდა და თვითონაც არ შეუშინდებოდა საკუთარი ნაფიქრის წინ პირისპირ დგომას...

არადა, მის ამქამინდელ მოჩვენებას იმდენად რეალური სახე მიეღო, რომ მართლა სჯეროდა მათ საწოლქვეშ უცხო კაცის ყოფნა. რწმენის სიმტკიცეს ის ამზავიც დაერთო თან — ჩვეულებრივზე გვიან რომ მობრუნდა სახლში. ისიც: ქალის უცნაური (როგორც ახლა ფიქრობდა) ქცევა და აღელვება... ასე რომ ნამდვილად სჯეროდა ეს და თავის სიმართლეში გულდაჩერებული კაცის სიმშვიდით ამოისუნთქა...

ღიახ, ლოგინის მოზიარე გასჩენოდა მას; აი წარმოუდგა კიდევ, თუ რა ზანტად იცოხნიდა ის მის აწმყოსა და მომავალს — ბაკთან ვიწროდ დაბმული, მორჩილი მოზვერივით... და მისი სიფამამით ვაკვირვებულმა კაცმა რაღაცის

ზაურ ააღანდია
სხვა სასჯელი...



თქმა დააპირა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ვერც ახლა იპოვა საჭირო სიტყვა, ენა სასაზე მიახმა და გაბრაზდა ამის გამო, თითქოსდა დღეს პირველად გამხდარიყო უთქმელობის მსხვერპლი...

ისე გაიზმორა, იფიქრებდით, თბილი და შეჩვეული ლოგინის დატოვება ეზარებოთ, თუმცა, მოულოდნელად წამოიწია და წამოჯდა... ქალს გადახედა მერმე; მას უკვე ეძინა, მაგრამ მაინც დაეპყდა: განგებ, ჩემს მოსაჩვენებლად ხომ არ მოიმძინარაო თავი...

და წამოიღა თომა; შეშვეულად წარსდგა ერთი ნაბიჯი, მეორეც... უცებ მოეჩვენა, თუ როგორ გაზრდილიყო მანძილი მათ საწოლსა და მომიჯნავე ოთახის კარს შორის... აჰა, რაღაც ხითხითივით ჩაესმა, ჩაესმა გამაღიზიანებლად, ყრუდ, თითქოს გარეთ, ვეებერთელა ქვა ჭაში ბუბუბუვით იძირებოთ... შედგა, უხერხულად მოინაცვლა ფეხი, და უკან მოხედდა დააპირა კიდევ... თუმცა, მყის უკუაგდო ეს ფიქრი, გააფთრებულ გონებას ძალა დაატანა: „არა!“ (არადა, რასაც ზურგს უკან გრძნობდა, ქალის სამკაულივით მაცთური და გასაიდუმლოებული ჩანდა) კვლავ წარსდგა ნაბიჯი... და აგერ, ა, კარიც ფრთხილად გაიხურა...

იქნებ რაიმე წინათგრძნობას, ან თომას სიფრთხილეს დაეფრთხო ქალი; შეტოვდა ძილ-ბურანში მყოფი, ხელიც აასავსავა, აიფათურა ყელ-კისერზე, მერმე ნელა წამოჯდა და ლოგინზე მოვარეულივით აისვენა.

თომა ამჯერად ოთახის ღია კარში ჩამდგარიყო. მის დანახვაზე შეერთა და კედელს შიშით აეკრა ქალი.

„ორი ტყვია მაქვს, ორი!“ — გამხდარი, გრძელკისერა კაცი თვალახვეული ცხენივით თრთინავდა, ფიქრს ბრმად მიჰყვებოდა. — „ერთით შენი კურო უნდა გავაგორო, დაგატკბო მისი ცქერით... მეორე ტყვიით შენ უნდა აგხადო თავის ქალა... აგხადო და შიგ უნდა ჩაგაფურთხო!“ — თოფის კონდახი იატაკს დაჰკრა, მერმე ამყად წამოსწია თავი, ნა-

ღირივით გავეშებული საწოლში შეეშვეულია, შეანჯღრია და ასე ოთანას შეუშვეულამდე გამოათრია საწოლი...

— ჩემს ლოგინქვეშ იცოხნები, ხომ?!

— გაურკვეველად წაუღრინა და თოფ-მომარჯვებული ცქერად გახტა უკან.

...გაშეშდა თომა, სახეზე მძიმედ მოისვა თავისუფალი ხელი, თითებიც შემოიტარა თვალწინ, შემოიტარა და როცა დაარწმუნდა, ამჯერად მხედველობა არ დალატობდა — სასოწარკვეთილი ხმით იბღვლა, მერმე თითქოს მოპირდაპირე კედლის გარღვევას ლამობს — ბრმად და ზრიალით მიეხეთქა კედელს... (იქ, სადაც საწოლი იდგა აღრე: ძველი, ფერადი უქმეოკრული სკივრის, ქუსლმოქცეული თესხაცმლეებისა და რაღაც უფერული ჩერების მეტი აღარაფერი იყო).

ქალი ჯერ აზრზეც არ იყო, თუ რა ხდებოდა; თმააწწილი, შესაბარლისად აბურძგნილი იდგა ერთ კუთხეში, ხან სკივრს დახედავდა უაზროდ, ხანაც კედელს თავ-თოფით მიმსკდარ, მერმე იქვე საცოდავად ჩაცურებულ ქმანს დაშტერდებოდა...

ცხადია, გონების გარდა, მხედველობასაც ემტყუნა თომასათვის, უნამუსოდ მოეტყუებინა...

თავიდან საუბარს გადაეჩვია იგი, ნაუბრის გადაჩვევამ ფიქრის პარკი აბრეშუმის ჭიასავით ტანზე მჭიდროდ შემოუქსოვა, შემოუქსოვა ისე, რომ ერთხანს კისერიც კი გაუშეშა... და მაშინ ერთი წერტილისდა შემჩნევა და მისი ყურება თუ შეეძლო მას. ამიტომაც თომას ფიქრმა მწარედ, მხოლოდ თვალტით გაიხარა... იხარა ასე, სანამ დავლებმაც არ უმტყუნეს საბოლოოდ!

იმ ლამითვე დატოვა სახლი, უფრო სხვა და დიდ ქალაქებში იარა, იხეტი-ალა უგზო-უკვლოდ... ფეხი მაინც ვერსად მოიკიდა, ბოლოს ისევ მობრუნდა უკან და თავის სახლიდან მოშორებით, რომელიღაც ლუღხანის კართან დაიდო ბინა. თავიდან გაუჭირდა, ველარ მი-



ეგვიდა: „სხვა“ ცხოვრების კანონს, მის სასჯელს... მაგრამ რაკი პირველი ნაბიჯები გადადგმული ჰქონდა, სირცხვილის გრძნობას თუ სხეულის სიძაბუნეს თავისთავად, ავად თუ კარგად მოიცილებდა...

მოიცილა კიდევ! და მან იმ საქმეს მოჰკიდა ხელი, რაკი ქუჩაში, სულ მტირეწლოვანთათვისაც არის ზოლზე ადვილმისახვედარი...

თენდებოდა...
კაცი მათხოვრობდა...
ღამდებოდა...

ლუღხანის წინ იდგა: კედელი გამჭვირვალე შუშისა ჰქონდა ლუღხანას. კარგი ცხოვრება დულდა შიგ: წუწკი კოლა ჭაფჭაფა ლულს ხელმარჯვედ ასხამდა, კაცის სიმაღლე მაგიდებს ორთქლის ბოლქვები ასდიოდა, არაყიც ისმეოდა ჩუმჩუმად...

— უკაცრავად...
მოესმა ზურგს უკან.

შემობრუნდა. მის წინ ახალგაზრდა ქალ-ვაჟი იდგა: რომელიდაც ქუჩის მისწავლებას სთხოვდნენ. უცებ დაიბნა თომა, თითქოს რაიმე დანაშაულზე წაასწრესო, წამოწითლდა, მერმე თანდათან გაუხარდა, რომ ეს ქუჩა იცოდა — სადაც ღამეებს ათევედა უკანასკნელ ხანს ის მისდა უნებურად აღლულუდდა... ლულულუდებდა საცოდავად, სიტყვები უთავბოლოდ ეფანტებოდა, უცხოოდ და ყრუდ გაისმოდა თითოეული ბგერაც კი...

ქალ-ვაჟმა ერთმანეთს გადახედა, ბოლოს ღიმილით დაუკრეს თავი და გაშორდნენ. მაინც არ დაიბნა, უნდოდა კარგად, უფრო დალაგებით აეხსნა თუ სად მდებარეობდა ის ქუჩა და ამჭერად ერთობ ხმაშაღლი, უაზრო წამოძახილით შეაჩერა ისინი.

არა, არც ახლა გამოუვიდა საუბარი, თვითონაც მიხვდა ამას და აწრიალდა, დაილია კაცი.

შეიშუშნენ ახალგაზრდები და კვლავ გზა განაგრძეს.

რაკილა გრძნობდა, რომ საუბარს ვერ ასერხებდა, გადაწყვიტა, თავისივე ფე-

ხით მიეცილებინა ქალ-ვაჟი იმ ქუჩაში და...

შედგნენ:
ქალმა აგერ, ა, თავ-პირის მტკრევით მოახლოებული კაცი დაინახა თუ არა, უმალ შეტრიალდა და გაიქცა... ვაჟი სახტად დარჩა, მერმე შორიდანვე გადმოუფშვნიტა თომას თვალები, შეიგინა და მანაც ისხლიტა ფეხი იფიქრებდით, ქალს ხომ არ გამოენთოო ასე შეშფოთებული და ხელებდამუშტულო...

...არა, მაინც რატომ გაიქცნენ ისინი, დიდხანს ვერ გაერკვა თომა; იდგა უაზროდ, გაშეშებული, უფრო საწყალი და დაბეჩავებული... იდგა, სანამ საუკუნე მიძინებულმა სინდისმა, სირცხვილის და უსამართლობის შეგრძნებამ არ გაიღვიძა მასში... აი, ახლა მიხვდა თითქოს, რომ აღამიანთა სათვალავში — დროის დიდ მანძილზე აღარ ითვლებოდა, აღარავის სჭირდებოდა მისი სიკეთეც კი! ასე მტკივნეულად და ერთბაშად იგრძნო განგების მწარე, მსახვრალი ხელი! იგრძნო და უეცრად სასოწარკვეთის ცრემლით აღრიალდა საწუთროვაცულებული კაცი... (არადა, დღემდე, თითქმის ბოლო ათი წელიწადი, რა კარგად იყო ყველაფერი!) ცხოვრებამ აჯობა მას, დაჯაბნა, რაღაც მანქანებით გადაუარა, გადათელა სამარადქამოდ! აბა რა? შემთხვევით ჰკითხეს იმათ! შემთხვევით, ვინაიდან მათკენ ზურგით იდგა, ხოლო ზურგით ძნელი იყო მისი ცნობა! (ასე! ზურგით მათხოვარს ვერ იცნობ, ზოგჯერ ვერც სახით, ვერც სამოსით შეიცნობ ხოლმე!.. მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის... საერთოდ, ვის სცალია, დადგეს და არკვიოს ქუჩაში ვინ, რომელი ან რამდენია მათხოვარი...).

●
შუე ამოიზლანა, მთებიდან მძიმედ ამოვორდა, გეგონებოდა ცა და ველიც

ზაურ კალანდია
სხვა სასჯელი...

ერთბაშად ააღდაო — ქვეყანა საუცხო-
ოდ ავაშაშდა...

ჭადრის ძირას იდგა მოხუცი, მზის
ამოსვლას უყურებდა... მერმე ჭადრი-
დან ხელმარჯვნივ, ხუთი ნაბიჯი გადათ-
ვალა, შედგა. ფეხები განივ გააბაჯიჯა
და მიწის მოტიტვლებულ ადგილს ბარი
ლენივრად დაჰკრა; მიწა უფრო ლბი-
ლად და ღრმად ჩაიჭრა, ვიდრე მოელო-
და. ჩაფიქრდა. ცხადია, თუ მიწა ხამი,
კირქვიანი აღმოჩნდებოდა, საქმე გაუო-
რკეცდებოდა — თვითონაც ხომ შეუძ-
ლოდ იყო, მაგრამ სანამ წინა ღამით ნა-
ფიქრ-ნააზრევს თავიდან ბოლომდე გა-
იმეცნებდა, მერმე დასახულ მიზანს
„აუცილებლობად“ გაიხდიდა — ეს სა-
მუშაო საქმელო საქმედ მიაჩნდა.

ამიტომ ჩაფიქრდა მოხუცი.

ნელინელ, უხალისოდ განაგრძო მი-
წის თხრა.

ერთი ბარის პირს რომ მორჩა, ხერ-
ხემალმაც ავად გაუტკაცუნა — მარც-
ხენა ხელი იტაცა ზურგზე. ტკივილმა
თანდათან მოხარა წელში და თხრილში
შეჭირვებით ჩაამუხლა. მიწის ლბილი,
ნოტიო ოსშვიკარი სახეში მოეფრქვა და
წამით ტკივილიც გადაავიწყა. უფრო
მოხერხებით ჩაქდა, ბარი ფეხებშუა
ამოიდო და დასავლეთით, შორეულ
მთებს გახედა. ხელი ჩამოისვა გაჯაგრულ
ნიკაპზე...

...რამდენიმე ათეული წლის წინათ აქ
იდგა მათი სახლი: ერთთვლიანი პა-
წია ფიცრული. ეს ჭადარიც ახსოვდა
მას, ეს ჩიტლეღვაც, რომელიც უკვე
ნაყოფს არ ისხამდა... სასაფლაო კი
უფრო ქვევით იყო, ფერდობზე... რო-
ცა დედა-შვილმა სოფელი დატოვა და
ქალაქში გადასახლდა (მამა ქალაქში,
მეფის ჯარში მსახურობსო, ეტყოდა ხო-
ლმე დედა) სულ მოკლე ხანში გავერან-
და ეზო-კარი, პაწია ფიცრულიც ჩა-
ლა, მხოლოდდა საფლავის ჯვრებმა ამო-
ივარეს და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიშტკი-
ვეს მათი საშოსახლო...

ტკივილი დაყუჩებოდა უკვე წა-
მოიწია, მუხლი გაიმართა და კვლავ

თხრა განაგრძო... დიდხანს მუშაობდა
ასე თავაუღებელი და გამაღებელი,
...ნაშუადღევს მკერდამდე სწვდებო-
და მიწის პირი.

და დაიღალა მოხუცი, მეტი არ შეეძ-
ლო, ზურგით მიაწვა კედელს მოკუ-
ნტული... ოფლიანი პერანგის შეგრძნე-
ბამ თუ მიწის ლბილმა სიგრილემ სხეუ-
ლში საამოდ დაუარა და ნება-ნება ჩა-
აცურა დაბლა... კაი ხანს იყო ასე. მა-
ლე დაღლილობამ თვლემა მოჰგვარა,
თუმცა არა, გველნაკებნივით წამოაგდო
რალაცამ, ასე ფხოჰვეა-ფხოჰვეით ამოი-
წია, ამოიხარდა ტანით და მუცლით გა-
დააწვა თხრილის კედეს...

სახლისკენ დაუყვავა ბილიკს...

საიდანაც ჩიტი წამოუფრინდა. თი-
თქოს სახეზე ფრთა გაჰკარო ჩიტმა და
ისე მიიშალა, თვალი ვერ მიადევნა...

მიდიოდა, ფეხს ძლივს ინაცვლებდა
დაღლილ-დაქანცული...

გაახსენდა, ბარი თხრილში რომ ჩარ-
ჩა, მაგრამ დაეზარა უკან გაბრუნება...

სალამოს ნიავმა დაჰქროლა — ხელად
ისხლიტა ქარმა ნარ-ეკლებში...

აგერ, მისი ეზო-კარიც გამოჩნდა და
ფეხს უფრო აუჩქარა...

აჩქარდა იგი, ერთი სული ჰქონდა,
საკუთარი ხელით გამოიხორკნილ წყვილ
ფიცარზე გულმშვიდად მიგდებულ-
ყო.

შესვლისთანავე გაუხედელად მიწვა
ფიცარნაგზე და გაილურსა...

(იქნება რაიმე საფიქრალი გააჩნდა
მას? როგორც ყოველთვის, იქნებ ამჯე-
რადაც მოეხედა უკან — თავისი მძიმე,
უნაყოფო წარსულისკენ. მოეხედა იმ
ტანჯვა-წამებით, რაიც მარტოკაცს ბნე-
ლში თავს ხშირ-ხშირად ახლევინებდა
კედელზე, მაგრამ მაინც მისი იყო ეს
ტანჯვა, სისხლხორციეული იყო და ვერ
თმობდა, ვეღარ ელეოდა მას...).

თუმცა, ყოველგვარი მოგონება, უკუ-
ქცევანი ახლა ზედმეტად მოეჩვენა (ან
რა მკრეხელობა იყო აღრინდელივით
უთავბოლო ფიქრი!).

და იწვა მოხუცი უფიქროდ, უფრო

სწორად, რალაც გაურკვეველის მოლო-
დინით დაუტრსული...

მერმე, ეგ მოლოდინიც ერთობ შე-
მაზრზენი გახდა და შეეშინდა...

არც შიში იყო მისთვის უცხო! უფ-
რო მეტიც: დასაბამიდან აქობამდე გა-
მოვლილი გზა ჩემი ე მაგ შიშის განც-
და, შეგუება და მასში ცხოვრება არისო
მარტოოდენ, — დროდადრო ფიქრო-
ბდა.

ერთობ შინაგანს, სხეულის ყრუ,
ტლანქ კრთომას ჰგავდა იგი... და მაინც
სხვა, რალაც გაურკვეველი შიშ-ლოდი-
ნი იყო ეგ! (დიდი ხნით ადრე, როცა
მანქანის ძლიერმა ბიძგმა მოისროლა
თომა შორს, და ჯერაც ქვაფენილზე და-
ცემამდე ტვინში გაელვებული — „ამან
უნდა მომკლას?“ — ელდა უფრო მე-
ტი იყო თუ „ეგ“ შიშ-ლოდინი? ვინ
იცის?!).

— დავილაღე... ჩ-ქ-ა-რ-ა-ი...
გალიზიანებით, მაგრამ მაინც თავისუ-
ფლად წარმოთქვა მან.

მერმე კარმაც გაიჭრიალბ და კარის
ზღურბლზე მართლა აისვეტა კაცის ლა-
ნდი... წამიც და დაინახა, თუმცა არა
ის, ვისაც ასე დაჟინებით მოელოდა მო-
ხუცი.

— გულა?
გულა ხომ მისი ხშირი სტუმარი
იყო, ოღონდაც ამჯერად ვერ გაეგო რა-
ტომ უნდა მდგარიყო იგი აქ.

— გულა...
ისევე გაიმეორა მან.

გულა ჯერ დაიბნა, მერმე მსუბუქი
ლიმილიც შეჰბედა მწოლიარეს და
რალაცნაირად აცქმუტდა... რამეთუ ახ-

ლა ერთი სული ჰქონდა სოფელში შე-
კა-შუქა ერბინა — ხომ უნდა ემცნო
ყველასთვის მუნჯი კაცის უეცარი ალა-
პარაკება.

— გუ-უ...
თვალეები დააკვესა მოხუცმა, კბილები
გულღრძოდ ააბრკილა, თითქოს ფი-
ცარნაგზე დალურსმულს, ცხვირწინ
შოლტს უშხუილებენო...

— ბარის პირილა... ბარის პირილა
დამირჩა...

ამოდერდა დიდი ხნის მერმე...
(...შეიძლება! მისი ფიქრით ხომ ვერ-
თი ბარის პირილა აკლდა საფლავის სი-
ღრმეს!..

და ესეც იმიტომ, რომ ვიღრე იმ აზ-
რამდე მივიდოდა მოხუცი, საფლავი სა-
კუთრივ გაეთხარა, წინა ღამით, ძილ-
ბურანში თეთრმოსასხამიანი იღუმალი
სტუმარი გამოცხადდებოდა თურმე და
ორი დღე-ღამის არსებობა ყურში საი-
დუმლოდ ეჩურჩულა მისთვის...

ორი დღე-ღამის არსებობა!...

და... აქაც მოტყუებული დარჩა იგი).

— ბარის პირი-ლა...
უფრო გარკვევით აღმოხდა სულთ-
მობრძავს...

შეტოკდა, თითები აიფათურა მკერ-
დზე, რალაც უიმედოდ ჩამოპოტნა თა-
ვზემით ჰაერი, მერმე თავისი უმწეო
საქციელის შერცხვაო თითქოს, ერთიც
გაიშალა, გაწვა და თავიც განზე უმწე-
ოდ გადაიგდო...

რატომაც შიშის ოფლმა დაასნა
გულას, აწრიალდა და უკან-უკან ბარ-
ბაცით გაიძურწა კარში...





„შოთა რუსთაველი“

„ნაბჰის თვალი“

საქართველოს
სამხრეთ-აღმოსავლეთის
საზღვაო უნივერსიტეტი




„მამბუა ამირეჯიბი“



„ფიქრები კონსტანსია“



„კონსტანსია“




„პანსონაჟი“



„ფორსი“

თანებიზ მიჩუბუვილი









ძილით ჩამოტრეხებოდა; და მაშინ მიხვდა, რომ უცხო არსება ჰქეპა-ქუხილის ნაცვლად ესტუმრა აედრის მოლოდინს, რომ ეს არც ნადირი იქნებოდა, არც მონადირე, მაგრამ რა იყო ქაჯივით უხორცო, კვალს რომ არ სტოვებდა და სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა? პირი გაუშრა. ანგარიშმიუცემლად ჩაეჭირა ჩახმახს, სასხლეტი მოსინჯა, თუმცა მშვენიერად იცოდა, რომ თოფი აქ არაფერ შუაში იყო, მაინც ბავშვივით ირწმუნა იარაღის ძალა; მაგრამ ნაძალადევი სიმშვიდე ფსკერზე შიში ბუდობდა, შიში იდუმალებით წვეული, რადგან რაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ იქნებოდა იდუმალებაზე საშიში, იმაზე უფრო საშიში, როცა არ იცი, რა გელოდება... ხელმა ერთხელ კიდევ მოსინჯა სასხლეტი, ძლივს დაიოკა ქაოსური ძრწოლა, ვაჰქრა უკვდავების სიმძაღრე, როგორც ნეტარი ზმანება, მისი ადგილი მფრთხალმა მოლოდინმა გაავსო; ტყე არ იძვროდა, მხოლოდ უხილავი მღევარი ეპარებოდა უსხეულოდ, მსუბუქად; თუმცა ადამიანი გარბოდა, მანძილი მაინც იწურებოდა და აი, დადგა წამი, როცა უსასრულოდ მრახლოებული მღევარი ერთბაშად უნდა მოვლენილიყო წიაღიდან, როგორც არარაობიდან ერთი ამოსუნთქვით შობილი სიცოცხლე. სასწრაფოდ შემოტრიალდა, ჩაიმუხლა, ჩახმახი შეაყენა და თოფი უიღბლო მლაღადებელივით გაუსწორა დაბურულ ჯანგარს. არც შემცდარა ბუჩქი აიქონრა, თხელმა ნიავემა გადაირბინა, ფოთლები სუსტი შრიალით გადაივარცხნენ და, ღმერთო ძლიერო! განცვიფრებისაგან სუნთქვა შეეკრა, თმა ყალყზე დაუდგა! პირდაპირ მისკენ სახეგაბადრული, უცოდველი მზერით მოაბიჯებდა მისივე მსგავსი პატარა ბიჭი! ბიჭს ტყავის ახალუხი ფარავდა ბოლომდე, ქვის სათლელს იქნევდა ფიქრებში გართული. თუმცა ბავშვი იყო, მაგრამ მოხუცივით სევდიანი, აზრით დამძიმებული; თვალნი ფირუზისფერი, წყლიანი; ყოველი ნაკვით მეორდებოდა, უფრო ძარღვიანად,

უფრო შკაფიოდ. უცნაურია! რაც უფრო მეტს ფიქრობდა, უფრო და უფრო იბნეოდა, ამიტომ სულ მოეშვა და ბრმად მიენდო სასწაულის რწმენას. შეხვედრა საკუთარ თავთან! საკუთარ წარსულთან! პირველად თავის ცხოვრებაში იგრძნო ტყვეობა. იგრძნო, რომ ბავშვი ხედავდა მას, ხედავდა თვალით კი არა, კეფით, ზურგით, გონებით, და ისიც ეპვის უხილავი ხლართებით დატყვევებული, ვერ ბედავდა შემობრუნებას, ვერ ბედავდა გაქცევას, ვერ ბედავდა იმიტომ, რომ თავდაჯერებული ბიჭი უკან არც კი იხედებოდა, ყურადღებას არც კი აქცევდა, არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ მისი პატიმარი გაბედავდა გაქცევას. და ასე მიაბიჯებდნენ უჩუმრად, ფრთხილად, ფოთლების შრიალში. პირველი ფიქრიანი, დიწვი, ზომიერი ნაბიჯით, მეორე — უხილავად ბორკილგაყრილი, მოკლე, უთანაბრო ძუნძულით. ტყე გამეჩხერდა. ახლა ისინი თხემზე გადადიოდნენ, ხვეულებად რომ იზნიქებოდა ციცაბო ჯურღმულში. ჯურღმულის ფსკერზე ხავერდოვანი სინაზით ქუქუნებდა უცოდველი ხეობა. რამდენჯერ უხეტიალია ამ მიდამოებში და არც კი უგრძვნია, არც კი დასიზმრებია ასეთი ქალწულებრივი სილამაზე! წყლის ქუხილი — შემპარავად მოძალებული — უფრო ზუსტად კი, ქალაქიდანვე ერთ ტონალობაზე მღვარი, ახლა ზღაბრული სისწრაფით მიიწურა, თითქოს ყოველი ნაბიჯი კილომეტრებს კეცავდა. ტყე ისეთი იყო და არც იყო ისეთი, მართალია, ნისლი, გაიფანტა, მაგრამ ახლა შეღამება შეიპარა მოსისხლულ ლაქვარში. სიმწვანე ჩაიბურა, ჩაშავდა. ადამიანი დაიქანცა, დაიქანცა მოლოდინით, დუმილით, სიტყვა მოსწყურდა. ლაპარაკის მოთხოვნილებამ, წვეთ-წვეთად რომ გროვდებოდა, ერთბაშად შეაწუხა, ერთბაშად შეუტია და ჯერ კიდევ ნელლი, ცხელ-ცხელი სიტყვები ქაველით დაეკიდნენ ენაზე. მუს

მამუკა დოლიძე
ფაბრიკალაშა



თინათინები ახლა აღმაცერად ატანდნენ ტრატებით დახუძლულ ხეთა უღრანში, ირიბად და უმტკივნეულოდ ბურღავდნენ თვალებს. აი, მისი სოფელიც... ამასობაში უკვე გასწორდნენ ჩამავალსხივთა ანარეკლები მწვანე სარეცელზე, უკვე ამოტივტივდნენ წყვილიადის კუნძულები პირდაღებული ნაპრალებიდან, სოფელი (კლდეში გამოკვეთილი კოშკების ბუდე) მოახლოვდა, ჩამოიზიდა; კაცი ხედავდა, როგორ დაიღუქა სილუეტების ტალღა ქაჩალ შენაპირზე, როგორ ანთებდნენ ჩირაღდნებს. კი არ ხედავდა, თვალებით სჭამდა, მაგრამ სახეებზედ მაინც ვერ არჩევდა ხალხის ათასფეხა, უფორმო მასას. ბიჭი გაიქცა. ჩანს, მზის ჩასვლამდე სურდა სოფელში დაბრუნება და ქანცაცლილ სტუმარს თავგამეტებული ჭენება დასჭირდა, რათა ობლად არ დარჩენილიყო შემოდამების ბურუსში. ციციანთელებივით აციმციმდნენ სხივები ფერღობზე, ყელწვრილმა კოშკებმა ცეცხლის თმები ჩამოიშალეს. კაცი ახლა ციცაბო აღმართს ეკვეთა, რომლის ნაპრალებში უკვე იხატებოდა სოფლის ოაზისი, ცხელი, ალმურავარდნილი, ირგვლივ ქედის ჩრდილს ეფინებოდა მზის აბლაბუდა, ცეცხლის ძაფებზე ტყდებოდნენ ჰაერში, ცისარტყელებად ხერტდნენ ნაპრალებს და ეცემოდნენ ჯადოსნურ სოფელს, ფერსაესესა და მოლოდინით დამუხტულს; ეს ის სოფელი იყო, რომელიც მისთვის დაიბადა, მისთვის აშენდა, მისი მოგონების ზეარავდა... ახლა მზით სავსე ღელე მიაცილებდა, წიაღში ათამაშებული ფერფლითა და სხივებით, ოქროს წყვეტილი სხივებით, თითქოს უნაპირო ცა ჩაქცეულა ზეინებად დამდგარ ფერთა ქაოსში! სისხლისფერი ტუჩივით გასდევს კლდის პირი ღელეს, ზევით კი ჯადოსნური ნოხივით აფრენილა ფირუზოვანი მთის კალთა, რომლის ნაოქებში რუხი კოშკები ჩასაფრებულან, მტრის თვალს გაქცეულნი, ერთი ზრახვითა და შელოცვით მდგარნი; რაღაცა ახალი იგრძნო კაცმა. იგრძნო, რომ სხვად იქცა,

შეეთვისა ფირუზოვან სიმწვანეს, რომ განსხეულდა, დაკარგა ხორცი, შეწუხდა ხესა და მიწას... ფირუზოვან ნოხში ჩაქარგული ხეები კი თითქოს მისკენ იწვიდნენ ხელებს, მისკენ გამოზობდნენ თავაწყვეტით; იყო რაღაცა შეუკავებელი, გიჟური მათ მისწრაფებაში, მოძრობით სავსე დგომაში. ნელ-ნელა მოახლოვდა სოფელი, კლდის ჭუჭრუტუნა გაიხსნა, ნაპრალები გაიშალა, როგორც ნატვრის თვალიდან უსასრულოდ გადმოხეთქილი ავლა-დიდება; სილუეტები მოძობობდნენ მარცხნივ და მარჯვნივ, უცნაურად ნაცნობი, თითქმის შინაური; აი, ვარდისფერი ლაქა ჩაეწვეთა თვალთა უბეში, ტკბილი ყრუანტელით შეეხო. უმალ მოჭუტა მზერა, ჩააცქერდა ქერათმიან ქალს, სევდიანი ღიმილით რომ თავს ევლებოდა, უკუღმა დაატრიალა მოგონებათა კორიანტელი და მესხიერების ფსკერზე მისი ხატება ჰპოვა. „დედა!“ იყვირა გახარებულმა და უეცრად იგრძნო, რომ ქალს არ ესმოდა მისი ყვირილი, რომ ეს სევდანარევი ღიმილი მასში, როგორც გამჟვირვალე სხეულში, ისე ატანდა; რომ შუშის ამ ცივ, თოჯინურ მზერაში ჩამქრალი იყო სიყვარულის ის მოუსვენარი ნაპერწკალი, ერთბაშად რომ გააცეცხლებდა ეშმაკურად მინახებულ თვალებს. მას მოეჩვენა, რომ ქალი, საერთოდ ვერ ამჩნევდა მას, რომ ისინი სხვადასხვა განზომილებაში, სხვადასხვა დროში ცხოვრობდნენ. დედა, რომელიც წარსულში დასტოვა, რომელიც ესოდენ მონატრა და მოსწყურდა, ადანაშაულებდა შვილს ცივი, სუსხიანი მზერის გაქვავებული ღიმილით. იგი ხედავდა, როგორ ბორბალებდნენ მკრთალი სილუეტები სივრცეში, როგორ ეზომებოდნენ ნაპრალებს ნაკვერცხლების ციმციმით შეფერონი, ხედავდა, მაგრამ განზრახ თვალს არიდებდა მათ, რომ ჩრდილთა კორიანტელში ახლობელი სახეები არ ამოეცნო, საკუთარი წარსული არ ამოეკითხა, ძველი კრილობა არ გაემწვანებინა. ორმოცი წელი უქმად ვაატარა, ყოველ ცისმარე



თავიდან იწყებდა სიცოცხლეს; მისი ცხოვრება ცხოვრებისათვის უსასრულო მზადება იყო და ახლა, როცა ცხადი საღამო სიზმრად იცვალა, ხორცი შეისხეს მოგონებებმა, შორეულმა, გულჩახვეულმა გრძნობებმა. მას აღარ უნდოდა ტკივილი, აღარ უნდოდა ზმანება, წარსული ცოცხლებობა, უკუდგანო და უძღები, საესე ბედნიერი განცდებითა და უსასრულო ფერებით, ერთი უცვლელი, მარადიული საღამო, მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა ციქვეში.

სოფელში არაფერი იძვროდა. მხოლოდ ყელწვრილი კოშკის კუნჭულში შემალული ბიჭი ქანდაკებას ძერწავდა. რალაცა ძალიან შორეული და ძალიან ნაცნობი გრძნობა შეირხა სულში. თითქო ეს სიტუაცია, ეს უღიმღამო, ძუნწად შეღებილი გულმათი, ბავშვის ეს უხერხული, დაძაბული პოზა, რომ არავინ შეესწროს „სასირცხვო საქმეზე“, ბიჭების ეს ჩუმად გაღიმებული ქარავანი, ფეხაკრეფით რომ ეპარებოდათ ძერწვაში გართულს, ოდესღაც ყოფილა და კვლავ მეორედბოდა! ავად აუძგერდა გული, როცა ალყაშემორტყმულმა ბიჭებმა სტევენა-კიენით ქვები დაუშინეს ბავშვის ნახელავს. ო, რა ნაცნობი და ახლობელი იყო მისთვის ეს უსუსური, ფერდაკარგული სიბრაზე! ეს ნატფი, ტკივილამდე მომუშტული მტევნები! ეს მარტობისა და ძერწვის გადაულახავი წყურვილი, რის გამოც მთელი სოფელი უხეიროსა და უცნაურს ეძახდა! ბიჭი შემობრუნდა. შემობრუნდა და თვალმა საკუთარი ბავშვობის სახე იხილა! ბევრი წვრილმანი დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ ის თივისა და ბალახის მათობგელა სურნელი (სხვებისათვის რომ ჩვეული იყო) დღესაც ახსოვდა, როგორც წრფელი და უცოდველი სიცოცხლის სიმბოლი. ათასობით ფორმასა თუ ფერს ითვისებდა მისი ჩვილი გონება; დაბადებიდან ფაქიზი, ვერ იტანდა ვერავითარ სიტლანქეს, ვერავითარ უხეშობას, ანგარიშმიუცემელ დაცინვას რომ ესაზღვრებოდა; გულჩახ-

ვეული და გაბორბებული, შურიშესტკეროდა ტოლების უდარდელ თამაშს, მარტივითა და უზრალოთი რომ ტკებოდნენ და უსასრულოდ მომავალზე ოცნებობდა, როცა სახელიანი მოქანდაკე დაუბრუნდებოდა სოფელს და მუხლმოდრეკილი ახლობლები ვედრებით მოინანიებდნენ თავიანთ უხეშობას; მაგრამ ის არავის აპატიებდა ბავშვობის კრილობას, საკუთარ დედასაც კი (შვილისადმი სიყვარული რომ უფრო ამჟინვარებდა;) ამაყი დღმითი გაკიცხავდა მისი ცივი, ყინულოვანი მზერა ვედრებით დაჩოქილ ახლობლებს და ეს უსიტყვო ზიზღი სინდისის შეგონება იქნებოდა მათთვის. მაგრამ ორმოცი წელი ამოიწურა და არაფერი შეცვლილა. ცხოვრების ჩარხი ძველებურად ტრიალებდა, ობოლი სული კი კვლავ მარტობის კუნძულზე რჩებოდა. ო, ნეტა იცოდეს ამ უმანკობამ და სიწმინდემ, რომ მომავალი არაფერია, რომ იმ უსასრულო მოზარდებს შორის, სხვადასხვა დროში ერთ სახელქვეშ რომ ცხოვრობდნენ, ყველაზე ბედნიერი თვითონაა, თავისი ფიქრით, ოცნებით, იმედით, ლტოლვით, შიშით, თავდავიწყებითა და სიბრაზით! პატარა ბიჭმა ნერვიულად შეაქუჩა ქანდაკების ნამსხვრევები, მაგრამ გადაყრა ვედარ მოასწრო, რომ დედა გამოჩნდა. დედა მსუბუქად მოაბიჯებდა, ქალღმერთვით აშოლტილი, მთვარესავით პირმრგვალი, თუმცა თვალეშში უკვე ჩადვრილი ჰქონდა ის სინანული და სევდა, რომელმაც სიბერეში გული შეუჭამა. დედა! ის სხვა ხორციდან იყო ნაძერწი, სხვა სულით ნაქსოვი; და ეხლა სიცოცხლის ცისკარზე, როცა ურიცხვი ნატვრა და წყურვილი იბადებოდა სულში, როცა სამყარო ახალგაზრდა იყო, უფრო ფერსავსე, უფრო ცოცხალი, უფრო ხასხასა, დედა იდგა ველური ჯადოქარვით ბუნების წიაღში და ადიდებული სიმწვანე ტერფებს ულოკავდა მას. ბი-

მანუა დოლიძე
 ზაინცვალიძე



ქმა, როგორც იქნა, გადამალა ქანდაკე-
ბის ნამსხრევები და დამნაშავესავეთ
აიტუხა კედელთან. ახლა მას ყველაფე-
რი გაახსენდა... გაახსენდა, როგორ
აუტრიალა დედამ ძერწვა, როგორ წაარ-
თვა ქვის სათლელი, ვანა იმიტომ, რომ
არ უთანაგრძნობდა, არამედ იმიტომ,
რომ უზომო გატაცება სოფელს აშო-
რებდა. დედაც მასავეთ მეოცნებე იყო,
თბოლი სული და მტკივნეულად განიც-
დიდა შვილის მარტოობას. ამას ყველა-
ფერს გვიან მიხვდა, მაშინ კი მთელ
ქვეყანას ემტერებოდა, განსაკუთრებით
კი დედას, რომელიც ყველაზე ჭკვიანი,
ყველაზე მგრძობიარე და ამიტომ ყვე-
ლაზე საშიში იყო. ბიჭი ახლა კლდის
ჩანჩქერისაკენ გარბოდა, სადაც მორე-
ვი გუბდებოდა. გარბოდა და სიბრაზის
თავდავიწყება არ ნელდებოდა, არ
იწურებოდა, პირიქით, ძველ ჭრილო-
ბებს უერთდებოდა, უხორცდებოდა,
უფრო ზღვავედებოდა! ქოშინით აირბი-
ნა კლდეზე და ჩანჩქერის ნიაღვარს მი-
სცა თავისი თვითმკვლელობაშიც უმ-
ტყუნა ბედმა! მორევი მეჩხერი აღმოჩ-
ნდა და მუხლამტვრეული, გაბორო-
ტებული ბიჭი სოფელში დაბრუნდა!
ახლა უმტკივნეულოდ აღიქვამდა თვა-
ლი და გონება მარცხიან წარსულს, რო-
გორ თავიდან იზარავდა ქანდაკების მა-
სალას, როგორ ზომავდა ფორმებს,
როგორ იწყებდა ცარიელი ადგილიდან
ყველაფერს და როგორ ეკიდებოდა
ნელ-ნელა ძერწვის ჯოჯოხეთური აღ-
ტკინება! მთელი ბავშვობა ოცნებაში
გაატარა. ისევ და ისევ უბრუნდებოდა
ოცნების ქროლვით მოტანილ ხილვებს,
მაგრამ ჯერ გამბედაობა აკლდა, შემ-
დეგ კი უკვე ვენებადაწურული და გულ-
ცივი იყო. ასეა. დიდს იმიტომ კი ვერ
ქმნი, რომ უსუსური ხარ, არამედ იმი-
ტომ, რომ ვერ ბედავ მსუბუქედ და აგ-
დებულად მოეკილა მას და ამ გაუბე-
დაობაში, ამ გადაულახავ სიმძიმეშია
ალბათ უსუსურობა. ცხოვრება გავიდა
და საერთოდ ვერაფერი გამოქვრწა,
ვერაფერი სანუკვარი და მეტყველი;

და ენლა, როცა სიმწიფის მწვერვალ-
დან ტყებოდა ძველი თავდავიწყებით,
მილიონობით ფერი და ფორმა რომ
უტრიალებდა თავში, უეცრად მოს-
წყურდა უხილავობის პერანგი გაველ-
ჯა და ბიჭთან ერთად შერკინებოდა სამ-
ყაროს. და აი, უამთა კორიანტელში
ისინი შეეჩხენენ ერთმანეთს. ბავშვმა
იგრძნო თავისი სახიერის ახლობა.
სულ ერთი წამით, ერთი გაუღვებით
შეხვდნენ მომავალი და წარსული ერთ-
მანეთს და წარსულმა მომავალში იმ-
დენი სევდა, იმდენი სინანული, იმდენი
ტკივილი და გაცრუებული იმედი ამო-
იკითხა, რომ მიხვდა თავისი გაქცევის
უაზრობას, მიხვდა იმას, რომ უცხო-
ბა და სიმარტოვე სოფლის კი არა, სა-
კუთარი სიფაქიზის ბრალი იყო.

ტყე ამრიალდა. იღუმალმა ხელმა
ჩააჭრო სუსტი საღამოს ნათელი. ახლა
როცა წარსული განსხეულდა, ფიქრი
მომავალს მიეცა. ორმოცი წლის სახე,
ადრე დანაოკებული და დაბერებული
უფრო დაიძარღვა, უფრო ჩაიფხვინა.
სივრცე-დროში გაშლილი ტვერი შე-
ზანზარდა გრიგალისაგან, დღეები დატ-
რიალდნენ და გაფრინდნენ სტვენა-
შევიტინით, როგორც ელვისებური ფი-
რი; ათასი ცეცხლით აფეთქდა ტვერი
და გაჩირალდნებული პროსპექტი ჯა-
დონსური ნიხივით გადაგორდა სივრ-
ცეში. პროსპექტი უცნაურად ცარიე-
ლია. წყვედიადის ზვირთებზე შუქის
ჩუმი, უკაცრიელი ზოლი ქანაობს! მაგ-
რამ აი, გზატკეცილის პირიდან წერტი-
ლი იბადება, მყისიერად იზრდება, მთელ
სივრცეს იპყრობს; თვალი უკვე წვრი-
ლად არჩევს ჭირისუფალთა ტალღას,
ქათქათა პერანგებზე ტყხილი ქურთუ-
კები რომ აცვიით; ქალები თავში ჩამ-
დგარან; რაშია საქმე? კუბო დაფერ-
და და თავზარდაცემულ კაცს საკუთა-
რი ცხედიარი აჩვენა! ღმერთო ძლიერო!
როგორ მოკუნტულა! ჭირისუფლებიც
მზერას არიდებენ, მათ ცრემლთა ღვრა-
ში არ იგრძნობა გულისტკივილი, არ



ჩანს. თანაგრძნობა: ყველას ზარაცს სიკვდილის, სიახლოვე, სიკვდილზე ფიქრი. თავს იტყუებენ, რომ თვითონ უკვდავნი არიან. მას მოეჩვენა, რომ სახეები ქამელეონივით ფერს იცვლიდნენ, ხან იცრემლებოდნენ, ხან იციინოდნენ; და ეს შემპარავი ღიმილი, ეს ცვალებადი მიმიკა ექვსა და უნდობლობას იწვევდა. უკანა ტალღები უფრო მხიარულობდნენ, აქ ამკარად იპარებოდა თავშეკავებული ხუმრობა, მასლათი, სიცილი. მყისიერად დაავიწყდა კიდევ, სად იმყოფებოდა დღეობაზე თუ ტირილში. მაგრამ უცნაურია! როგორც ყველა მის მოგონებას თანაბრად აჩნდა დადლილი სინანულისა და სევდის ბექვდი, ასევე ახლა, მომავალი გასვენებაც საშინლად დამახინჯებული და გულსამრევი ეჩვენა. პირისუფლებს ყველას ვირის წვეტნიანი ყურები და მთავარიანი ცხვირები ამშვენებდათ. მათ ზარსა, ყმუილსა და გოდებაში ძლავს მიაღასლასებდნენ პატრეცემულ გვამს, წოუწუნსასავით რომ მოკუნტულიყო, მაგრამ აი, იღუმალი კვერთხის გაქნევით პროცესია ადგილზე რჩება, ცხვირები მოკლდებაან, სახეები ყურადღებას იჩენნენ. მხოლოდ ერთი გაელვებით, ერთი თავდავიწყებით გაშისვლდა მათი გულისამრევი სიმახინჯე, მათი ჯოჯოხეთური სული და ყოველივე ისევ დუმლის ერთფეროვნებაში ჩაიფერვლა, თანაგრძნობის ილუზიაში ვაწონასწორდა, ვერც კი იფიქრებდი, რომ ეს ლამაზი, დახვეწილი არისტოკრატები წამის უკან ქაჯები იყვნენ...

იღარც კი ახსოვს, როგორ ჰპოვა გზა ალყაშემორტყმულ ხალხში, როგორ მიუახლოვდა პროსპექტის კიბეს და გაგლეჯილი ჯებირიდან ტყის მათრობელა სიმწვანეს მისცა თავი.

ახლა ის ისევ დაბურტულ ტყეში მიაბიჯებდა. ღამის აბრეშუმით სილურჯე ათასი ნაკვითა და ნაოქებით იმტუნებოდა გარშემო. თითქოს წამის უკან დაემშვიდობაო, ჯერ კიდევ თანგავდა შორეული საღამოს სურნელი.

თავი დაუმიმდა და გაეგსო. მიაბიჯებდა და ფიქრებში წასული, ისედაც სიტყვადები, პირქუში. თვალებით სჭამდა ყოველ მოძრაობას, ყოველ სიცოცხლეს. ნედლი ღრუბელივით ისრუტავდა დროსა და სივრცეს, რომ არ შეჩინოდა არც ერთი წვეთი აღქმის გარეშე. სიამოვნებდა დადლილი სიცილივლე, მოძალებული სიმშვიდე... მზე ჩაესვენა. მუქლურჯი ზეცა ვარსკვლავებმა გააჩირაღდნეს. სული თზლად დარჩა სავსე მთვარესთან მოუწლებელი ფიქრების ამარა. გაუჩინარდნენ მცინარე სილუეტები. მოჯადოებული პროსპექტი, დროის ხლართებში რომ ტრიალებდა უაზროდ, ისევე მყისიერად აღიგავა, ისევე თვალშეუსწრებლად გაფრინდა, როგორც დაიბადა; მხოლოდ სევდიანი, დადლილი სინანულის ნალექი დასტოვა ოღნავ. სისავსის იგივე სიტკბოებამ გააძღო, როგორც შეღამების მწუხრზე, ოღონდ უფრო მათრობელამ, უფრო უძირომი სასაცილომდე სულელურად ეჩვენებოდა ამ იღუმალებით სავსე მთვარეში, ამ მოლოდინით მიწაზეულ სიმყუდროვეში, თავისი ყოველდღიური მიზნები, ილუზიები, გამარჯვებები და იმედები. თითქო მთელი ცხოვრება, რაც ბავშვობა დაკარგა, რაც გაარღვია მარტოობისა და მორცხვობის თვალშეუდგამი ზღუდე, ერთი მარადიული, მოუსვენარი დღე იყო, — ბრმა, ვენბადამუხტული და უაზრო. ტყე აიჭორა. შიშველმა მთვარემ რბილი, ვერცხლიანი სხივებით დაპზურძგლა. უმაღ მიენდო ამ ხავერდოვან ფერებას, როგორც სასურველ სატრფოს, მონატრებულ ხელს. მთვარემაც იგრძნო თავის ძალა, უფრო გაინაზა, უფრო მისუსტდა; ძერწვა მოსწყურდა. განზრახ იკავებდა ამ წყურვილს, რომ უფრო გაძლიერებულეყო, უფრო გამაფრებულიყო, თითქო გაცოფებულ მერანს უტერდა აღვირს, ნადრევედ რომ არ გაფრენილი-

განუჯა დლითა
ფიცივალემა

პლიზბარ უბილაკე

ბანძეულის ბუხაბი

ბარნიზის არქეოლოგიური საზოგადოებიდან დაბრუნებულ ექვთიმეს, ეზოს ჭიშკართან მდიდრულად მორთული, თეთრცხენებზემზებული ეტლი დახვდა. ეტლის კოფოზე ხანდაზმული მეეტლე იჯდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა ექვთიმე.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, — უბასუხა მეეტლემ, — სახლის პატრონი ბრძანდებით?

- გახლავართ.
- მუსიე თაყაიშვილი?
- დიას, თაყაიშვილი გახლავართ.
- თქვენთან სტუმრებია.
- საიდან ბრძანდებიან?
- პარიზიდან.

ექვთიმე კოკლობით აუყვა კიბეს. მეორე სართულზე ვიწრო დერეფანი გაიარა, კარი შეაღო და სტუმრებს მიესალმა. მეუღლე ნინო პოლტორაკიკაიამ, რომელიც საოცრად კარგ გუნებაზე იყო, სათითაოდ წარუდგინა სავარძლებში მსხდომი ქალები.

— ქალბატონი სალომე ობოლენსკაია, ასული ნიკო მინგრელსკისა, შვილიშვილი სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ქავეჭავაძისა, ეს ქალბატონი კი, — ნინომ ხანდაზმულ ქალზე მიუთითა, — ნაბოლეთონ ბონაპარტის შორეულ-

ლი შთამომავალი, ქალბატონ ობოლენსკაიას ნათესავი — ეოზეფინა მიურატისა გახლავთ.

ექვთიმემ მდაბლად დაუკრა თავი ორივე მანდილოსანს და ხელზე ეამბორა, მერე წუთით გარდერობში განმარტოვდა და უკან შემობრუნებული, ობოლენსკაიას პირდაპირ დაჯდა. შავ ტანისამოსში გამოწყობილმა შუახანს გადაცილებულმა შავგვრემანმა ქალმა ექვთიმე ასოციაციით საქართველოში გადატყორცნა.

— რა ამბები მოდის სამშობლოდან, ახლო ხანში ხომ არ ბრძანებულხართ საქართველოში? — ჰკითხა ობოლენსკაიას ექვთიმემ.

— დიდი ხანია, ბატონო ექვთიმე, საქართველოში არა ვყოფილვარ და არც ვაპირებ წასვლას. იქ ახლა არაფერია მყავს ახლობელი და გულშემატკივარი. მამა ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში გარდაიცვალა; ისე ამოხდა სული, რომ ვერ ეღირსა დაკარგული სამთავროს ტახტის დაბრუნებას. რაც შეეხება დედას, არც ისაა ცოცხალი. ერთადერთი ძმა მყავდა, ისიც მომიკვდა. ასე რომ მშობლიური მიწა-წყალი ძალიან მენატრება, მაგრამ, რაკი ახლობელთაგან აღარაფერ მყავს, გული იქითკენ არც მიმიწევს.

— მამათქვენი ნიკო დიდად განათლებული კაცი ყოფილა. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ილია ქავეჭავაძისაგან ბევრი კარგი მსმენია მასზე.

დასაბრუნელი. დასაწყისა იხ. „ცისკარა“ № 3, 4, 5, 6.



— მამაჩემს განათლება პეტერბურგსა და პარიზში ჰქონდა მიღებული. სამთავროს სახლის უმდიდრესი ბიბლიოთეკა შემოსწირა საქართველოს წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელსაც მაშინ ბატონი ილია განაგებდა.

— მასხოვს, სამეგრელოდან დაბრუნებული ილია რა აღტაცებული მელაპარაკებოდა ბიბლიოთეკაში დაცულ იშვიათ გამოცემებზე, „ფეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერ ნუსხებზე და უცხოურ ლიტერატურაზე. მას არც სამეგრელოს ზრდილი ქალ-ვაჟნი დაეიწყებია, იჭაური სტუმართმოყვარეობა, ზნე-ჩვეულებანი.

— ერთ დროს კი ბრწყინავდა სამეგრელოს სამთავრო და ჩემი წინაპარი დადიანებიც ძალუმაღ ზმიანობდნენ პეტერბურგსა და პარიზში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დიდების მოგონებადა შემთავრჩა მის შთამომავლებს, — სინანულით და ბოღმით თქვა ობოლენსკის ქვრივმა და მერე დასძინა: — უფრო ადრე მინდოდა, ბატონო ექვთიმე, თქვენი ნახვა, პირადად თქვენთან და საქართველოს ყოფილ მთავრობასთან დიდი მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს. მაგრამ სანამ ოფიციალურად მოველაპარაკებოდე ყოფილ მთავრობას, თქვენთან რჩევის მისაღებად ვართ მოსული და, ვიმედოვნებ, არ დამძრახავთ.

— ბრძანეთ, ქალბატონო, თუ რამ შემიძლია, მზად ვარ გემსახუროთ!

— რამდენადაც გადმომცეს, საქართველოდან თქვენ ჩამოიტანეთ დიდძალი განძეული — ოქრო და ვერცხლი; კარგად მოგეხსენებათ, ამ განძეულის დიდი ნაწილი მამაჩემის სასახლიდან — ზუგდიდიდან არის წამოღებული. ნუთუ მე, მამაჩემის უშუალო მემკვიდრეს, რომელმაც დაეკარგე მშობლები, ძმა, ქმარი, მამულ-დედული, სამშობლო, აქ შორეულ ქვეყანაში გადმოხვეწილს, არა მაქვს უფლება, ახლა მაინც მოვიტხოვო ის, რაც აქამდე უნდა მიმეღო?!
ექვთიმემ ყურადღებით, მაგრამ ვა-

ცებით მოისმინა ობოლენსკის ქვრივის ნათქვამი და სახემოღუშულმა, ცოტა არ იყოს, უკმეხად ჰკითხა:

— რომელ მემკვიდრეობაზე ბრძანებთ, ქალბატონო? ნუთუ დღემდე არ იცით, რომ სამეგრელოს სამთავროს ქონების მემკვიდრეობის უფლება დიდი ხანია დაკარგული გაქვით?

— მემკვიდრეობის უფლება დაკარგული მაქვს? პირველად მესმის. ვის აქვს უფლება მამის ქონება შეიღოს წაართვას? თუ ძალით მართმევთ, ესეც მინდა ვიცოდელი!

— მე არავის არაფერს ვართმევ. დავალბებული მაქვს განძეულობის დაცვა და კიდევაც ვიცავ, რამდენადაც შემიძლია. რაც შეეხება თქვენი მამის ოჯახიდან ნივთების წამოღებას, ეს მთავრობის განკარგულებით მოხდა, მე აქ არაფერ უშაში ვარ. არსებობს საქართველოს მენშევიკური მთავრობის ცხრაას ოცი წლის დეკრეტი სამეგრელოს მთავრის ქონების საქართველოს რესპუბლიკის განკარგულებაში გადაცემის შესახებ. ასე რომ სამეგრელოს მთავრის მთელი ქონება სახელმწიფოს კუთვნილებდა და გამოცხადებული.

— რა ძალა აქვს მენშევიკური მთავრობის დეკრეტს, როცა თვითონ მთავრობა აღარ არსებობს? ან რა გარანტიაა, რომ ადგილგადანაცვლებული მთავრობა, როცა ეკონომიურად გაუჭირდება, ამ განძეულს არ გაყიდის? ახლაც დადის ხმები პარიზში, რომ მათ ვერცხლეული გადაადნეს და გაყიდესო.

— ეს ხაზინის ქონება იყო. რაც შეეხება სამუზეუმო ქონებას, საერთაშორისო სამართლის ძალით, ხელშეუხებელია. არა ერთ ბიზნესმენსა და კოლექციონერს ჰქონდა ამ განძეულზე თვალი დაჰყებტილი, მაგრამ ჭვრჭვრობით ვერავინ ვერაფერი მიიღო. სანამ ცოცხალი ვარ, ამ განძეულს ხელს ვერავინ ახლებს. ეს არის ქართველი ხალხის კუთვნილება და, ადრე თუ გვიან, მასვე უნდა დაბრუნდეს!

— მე ბატონ ყორდანიას მოველაპარაკებ და თუ ისიც ასეთ პასუხს გამ-

ცემს, სხვა რა გზა მაქვს, სასამართლოს მივმართავ.

— ნება თქვენია, შე არა მაქვს არც მორალური და არც ეთრიდიული უფლება შეგზღუდოთ. ჩემი კეთილი რჩევა იქნებოდა, ამაოდ არ დაშვრეთ, რადგან ძალიან მეუშვება, აქედან რამე გამოვიდეს.

— ვნახოთ! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ობოლენსკიამ და წამოდგა, ვერაფერი სამართალია, მამაჩემის ოქროს და ვერცხლის პარიზის ბანკის სეიფებში იყოს გამოკეტილი და მე, ამ განძეულის კანონიერი მემკვიდრე, მშიერი დავდიოდე სხვის მიწა-წყალზე.

— რამდენადაც ვიცი, ქალბატონო, თქვენ ამ განძეულის იმდღით არ ჩამობრძანებულხართ პარიზში. ჯერ კიდევ რევოლუციამდე თქვენი ნებით გადმოსახლებულხართ აქ. რატომ საქართველოში ყოფნის დროს ან წამოსვლისას არ განაცხადეთ პრეტენზია განძეულზე და მიინცდამინც ახლა აცხადებთ, როცა ისედაც უამრავი მტერი ჰყავს ამ ქონებას?!

— ეს ჩემი ნებაა. როცა ეს განძეული საქართველოში მეგულებოდა, დამშვიდებული ვიყავი, მაგრამ ახლა, შესაძლოა, იგი კერძო პირების გამდიდრების წყარო გახდეს. ამას კი ვერ დავუშვებ!

— კარგად რომ მიცნობდეთ, ასეთ სიტყვებს არ მკადრებდით. ჩემს სახლში რომ არ იყოთ, პასუხს გაგცემდით, მაგრამ რაკი ჩემი სტუმარი ბრძანდებით, რა გაეწყობა, ძალაუნებურად თავი უნდა შევიკავო. — ამ სიტყვებით სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს დაშორდა.

ცხრაას ოცდახუთი წლის დამლეცს ექვთიმემ ბანდეროლი მიიღო ლენინგრადიდან, მისი განუყრელი მეგობრის პროფესორ ნიკო მარისაგან. ნიკომ ექვთიმეს გამოუგზავნა თავისი ახლად გამოკეტილი წიგნი ავტოგრაფით, აგრეთვე ივანე ჭავჭავიძის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომი და

თბილისის ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმის მეგზურები. მარო იტყობინებოდა, მომავალი წლის პირველი რიცხვებიდან ლექციებს წაიკითხავ პარიზში და თუ ახლომასლო დაინტერესებულნი ქართველოლოგები არიან, შეატყობინეო.

ამ ამბავმა უსაზღვროდ გაახარა ექვთიმე და მაშინვე ქართველოლოგ გიორგი შარაშიძეს აცნობა პარიზში. შარაშიძემ, თავის მხრივ, წერილები დაუგზავნა მეგობარ ქართველოლოგებს: ამერიკაში, იტალიაში, ინგლისში, ნორვეგიაში...

გამობდა ხანი და ექვთიმე პარიზის აღმოსავლურ ცოცხალ ენათა სკოლის შენობის ფოიეში შეხვდა დიდი ხნის უნახავ თანამემამულეს, მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერს ნიკო მარს. ისინი დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს და კითხვა-მოკითხვის შემდეგ ოზურგეთში გატარებული ბავშვობის წლები მოიგონეს. საპროფესოროში ექვთიმემ მარს წარუდგინა ჰანს ფოგტი და კიდევ რამდენიმე ქართველოლოგი.

— ჩვენს ლექციებს სტენოგრაფიულად ჩაიწერს ფილოლოგი ბრიერი, — უთხრა მარს სკოლის დირექტორმა, — ჩვენ განაცხადი გვაქვს პარიზის ერთ-ერთ დიდ გამომცემლობასთან ლექციების ამ კურსის ფრანგულ ენაზე გამოსაცემად, ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო?

— არაფერი. ოღონდ სააეტორო კორექტურა უნდა წააკითხოთ პროფესორ თაყაიშვილს, მე მას ვენდობი.

— სიამოვნებით, თავად ბრიერიც ფხიზელი ფილოლოგია და ჩინებული რედაქტორიც.

— მჯერა, მაგრამ ქართულ გრამატიკასთან გვაქვს საქმე და ამ შემთხვევაში ქართველი სწავლულის თვალი უფრო შეამჩნევს ცალკეულ ლაფსუსებს.

იმ დღიდან მოყოლებული, მთელი ორი წელიწადი კითხულობდა მარო ამ

ელეზარ უაილამა
ბანძულის ბუზაბი

სკოლაში ქართული ენის გრამატიკის კურსს. მის მუდმივ მსმენელთა შორის იყო ექვთიმე თაყაიშვილი.

ექვთიმემ ბრიერის ჩანაწერები ჯერ მანქანაზე გადაბეჭდილი წაიკითხა, ხოლო შემდეგ საავტორო კორექტურაც ჩაასწორა. მთელი სამი წელიწადი იწყოობდა და იბეჭდებოდა ეს წიგნი ბრიერის თანავტორობით და თაყაიშვილის ზედამხედველობით. ოცდაათიან წლებში პარიზელმა მკითხველმა მიიღო მეცნიერთაგან უბედლო და ტექნიკურად ბრწყინვალედ გამოცემული ქართული ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ.

საფრანგეთის მთავრობაში მრავალი ცვლილების შემდეგ, რაც გამოიხატა არა ერთი პრემიერ-მინისტრის არჩევით და გადადგომით, ცხრაას ოცდაექვსი წლის დამდეგს ხელისუფლებას სათავეში კვლავ ჩაუდგა პუანკარე. ჩაუდგა და მაშინვე დაიწყო გააფთრებული ანტი-საბჭოთა კამპანია. ცხრაას ოცდაშვიდი წლის მისში, როცა ინგლისმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა საბჭოთა კავშირთან, პუანკარემ პარლამენტს მოუწოდა საფრანგეთსაც გადაეღებოდა ასეთი ნაბიჯი და დაეწყო მზადება საბჭოთა რუსეთზე შეიარაღებული თავდასხმისათვის. ბევრმა ვაგლენიანმა პირმა და, მათ შორის, მარშალმა ფოშმა აუბა მხარი პუანკარეს ამ განზრახვას. ფოშმა ინგლისურ ყურნალში გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც მიუთითებდა, რომ აუცილებელია დასავლეთის სახელმწიფოების თავდასხმა საბჭოთა კავშირზე.

პუანკარეს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის მილიტარიზაციისათვის. ცხრაას ოცდაშვიდ-ოცდარვა წლებში სამხედრო ბიუჯეტმა ორი მილიარდ ოქროს ფრანკს მიაღწია, რაც ორჯერ აღემატებოდა ომამდელ ბიუჯეტს.

საფრანგეთის მთავრობის ასეთმა პო-

ლიტიკამ ცხოველი გამოხმაურება პოვა პარიზში ემიგრირებული ქართველი მენშევიკების ბანაკშიც. კვლავ გამოცოცხლდა ერთ დროს მიძინებული რევანშისტული გრძნობა. მთავრობის „მესვეურთა“ დიდი ნაწილი კვლავ შეიპყრო ცდუნებამ დაებრუნებინათ ხელისუფლება და დაკარგული დიდება. უორდანიამ, რამიშვილმა, გვექცორმა და ჩხენკელმა მოუხშირეს სიარულს საფრანგეთის პარლამენტში, სენატში, საგარეო საქმეთა სამინისტროში. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ჩხენკელთან — „საქართველოს საელჩოში“. იყო მსჯელობა, სჯა-ბაასი, ცხარე კამათი მომავალი სამხედრო ოპერაციების ცალკეულ დეტალებზე. გააქტიურდა თეთრგვარდიული ოფიცრობა.

საელჩოს კედლებზე გამოკრულ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის რუკას ბუჩვიით ეხვია მეოცნებე ფანტიკოსები.

თავისი ძველი ნაცნობ-მეგობრების ასეთი გააქტიურება და ფართი-ფურთი შეუმჩნეველი არ იყო ექვთიმესათვის, მაგრამ შეგნებულად თავს იკავებდა და მათ საქმეებში არ ერეოდა; მენშევიკების აღზევებას უნდობლობით და ირონიულადღე კი უყურებდა. ერთხელ გვექცორმა ქართულ ეკლესიაში ყოფნის დროს საყვედურიც აკადრა:

— ახლა გვექირდება დარიგება, მეცნიერული ალღო და შორსმჭვრეტელობა, თქვენ კი ახლოს არ გვეკარებთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საბოლოოდ გადაგვიდექით.

— მე ერთი ინვალიდი კაცი ვარ, ვის რაში გამოვადგები, მაგრამ ვფიქრობ, არავისზე ნაკლებს საქმეს არ ვაკეთებ ჩემი შერყეული ჯანმრთელობით: ვკითხულობ ლექციებს არქეოლოგიურ და სააზიო საზოგადოებებში საქართველოს ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ვეძებ და ვაგროვებ ქართულ ხელნაწერებს, ევროპაში გაბნეული ქართული ხელოვნების ძეგრფას ნიშნუშებს, თვალყურს ვადევნებ ჩვენს განძებს, რისთვისაც ჩამოვედი აქ. რაც შეეხება შორსმჭვრე-



ტელოზას, ეს ნამდვილად გვირდებათ პირადად თქვენ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, თავი რომ არ წააგოთ. პუანკარეს ლეკურზე რომ ცეკვავთ, რისი იმედით, რამ გაგაბარიყვავთ?

— ძალას ძალა უნდა დაეუპირისპიროთ. ჟორდანია მარტო ვერაფერს გახდება თუ ევროპული სახელმწიფოების ხიშტი არ მოგვეშველა.

— ამ ხიშტის იმედი ოცდაათხის გამოსვლების დროსაც გქონდათ, მაგრამ მოგვეშველათ?

— საქმეც ეგაა, მოგტყუვდით. წარსულის შეცდომები ახლა მაინც უნდა გავითვალისწინოთ.

— მე თუ მკითხავთ, სჯობს, თავი დაანებოთ ცეცხლთან თამაშს; საქართველო გრანიტის კედლებს აგებს, თქვენ რას გახდებით მასთან ჰიდლიში? ახლა წითელი არმიის შეიარაღებულ ძალებს ვერც პუანკარე და ვერც ჩემბერლინი ვერაფერს დააკლებს.

— როგორც ჩანს, ფილიპე მახარაძის მოხსენებებს სწორად კითხულობთ, ლაპარაკში მისი ვაგლენა გეტყობათ, თუმცა არ მიკვირს, მეზობლები ხართ, რა არის გასაკვირი, ერთმანეთის იდეები გაიზიაროთ?

— მე არავის ჰქუთ არ დაგდივარ, მაღლობა ღმერთს, ცხოვრებაში ჩემი დამოუკიდებელი გზა მაქვს არჩეული. თუ ევროპაში წამოვდები, იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ფეხის ხმას აყვავი, ან ვინმეს მფარველობის იმედი მქონდა. მე ჩემი შინაგანი ინტუიციით, გულის კარნახით და სამუზეუმო ნივთების სიყვარულით წამოვდები და ამ სიყვარულით ვემსახურები ჩემს საქმეს.

— ჩვენ ყველა ერთ საქმეს ვემსახურებით, — საქართველოს დამოუკიდებლობას. ამ საქმეს უნდა მოხმარდეს, თუ საქირო შეიქმნა, განძეულიც.

— ამის იმედი ნურავის გექნებათ. განძეული არავის და არაფერს არ მოხმარდება. ის ხელუხლებლად დაუბრუნდება მის ნამდვილ ბატონ-პატრონს — ქართველ ხალხს.

— თქვენ იმასაც მეუბნებით, რომ

განძეული ჩვენი კუთვნილება არ არის!

— არც თქვენი და არც ჩემი, ხალხისა, მრავალტანჯული ქართველი ხალხის, რომელიც ჩვენ გაძვალტყავებული, მოტყუებული და პირში ჩალაგამოვლებული დავტოვეთ.

— მაშ, თქვენი წინააღმდეგი ხართ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა? ხომ გახსოვთ, საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპისა და აზიის ათზე მეტმა ქვეყანამ სცნო?

— ჩემთვის დღესაც ფიქციაა დამოუკიდებელი საქართველო. რომელ დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, როცა საქართველოს მიწა-წყალი ჯერ თურქეთ-გერმანიისა და შემდეგ ინგლისის ჯარებს ვათელინეთ. ამასაც არ ვფრთხილებით, ახლა საფრანგეთს ვაძლევთ სარბიელს, კვლავ სისხლისღვრის ასპარეზი გახდეს ჩვენი მშობლიური ქვეყანა.

— მაშ, როდემდის უნდა ვიყოთ უცხოეთში გახიზნულები, მათხვარულ მღვდლობრებში, სხვისი ლუკმა-პურის შემყურე?

— ამაზე თავიდანვე უნდა გვეფიქრა. აქ რისი იმედით მოვდიოდით? იმის იმედით ხომ არა, რომ ფრანგებსა და ქართველებს ერთმანეთს მივუსვდით, ჩვენს თანამემამულეებს ამოვხოცავდით და გადამთიელები დამოუკიდებლობას მოგვანიჭებდნენ?

გეგეჭკორს ბრახი მოერიო. ექვთიმე აშქარად და მოურიდებლად დაეცხა თავს მის პოლიტიკურ-დიპლომატიურ მრწამსს და არა მარტო მისას, — საქართველოს მენშევიკური მთავრობის მთელ საქმიანობას.

ამ სიტყვებზე გეგეჭკორი სხვა დროსა და სხვა ვითარებაში არავის აპატიებდა, მაგრამ რა უნდა ეთქვა მოხუცი პროფესორისათვის, თანაც საქართველოს ისტორიულ წარსულზე ფანტიკურად შეყვარებული მეცნიერისათვის? ესეც არ იყო, იცოდა ექვთიმეს ხასიათი, არავის მოერიდებოდა და შეებუებოდა.

ელეზბარ უხილავა
ბანძეულის ბუზანი

ერთ პოლკს შეებრძოლებოდა, თუკი საქმე მართალი და წმინდა საქმის დაცვას შეეხებოდა.

გეგმუქობისა და თაყაიშვილის ხმამალალ შელაპარაკებაზე, ირგვლივ ხალხი მოგროვდა.

ამ დროს სამრეკლოზე ზარი ახმიანდა. ეკლესიის მოძღვარი სააღდგომო წირვაზე უხმობდა მრევლს. ქართველ ემიგრანტებში ზევრი იყო ექვთიმეს შეხედულებისა, მაგრამ თავიანთი მოსაზრების გამოთქმას ხმამალლა ვერ ბედავდნენ.

ასე რომ პუანკარეს საფრანგეთი საბჭოთა რუსეთზე შეიარაღებული თავდასხმისათვის ემზადებოდა და თუ ეს არ მოხდა, ამაში ერთ-ერთი დამსახურება, სხვა ფაქტორებთან ერთად, საფრანგეთის კომპარტიას და პროგრესულ მოაზროვნეებს მიუძღვით.

პუანკარე ისე წავიდა პოლიტიკური ასპარეზიდან, რომ მის აგრესიულ ზრახვებს შედეგი არ მოჰყოლია.



ცხრაას ოცდათერთმეტ წელს, როცა ექვთიმეს თავისი სიცოცხლის ყველაზე მძიმე დღე დაუდგა, — გარდაეცვალა ერთგული მეუღლე ნინო პოლტორაძე-კაია, ფოსტის მოხელემ სასამართლოს უწყება მოუტანა.

სენის დეპარტამენტის სამოქალაქო სასამართლო იტყობინებოდა, რომ ორი კვირის შემდეგ გაირჩეოდა სალომე ობოლენსკაიას სარჩელი მისი მამის ნიკო დადიანის (მინგრელსკის) სასახლიდან წამოღებული ნივთების თაობაზე და ექვთიმეს, როგორც მოპასუხეს, თხოვდნენ დასწრებას. წაიკითხა თუ არა ეს უწყება, ექვთიმემ ხმამალლა წამოიძახა:

— ეს რა საძაგლობაა! — ყველა იქ მყოფმა მოიხედა მოხუცისაკენ, რომელიც თავის საწერ მაგიდასთან სავარძელში იჯდა თავდახრილი და ღრმად დამწუხრებული.

ელენე ფერაძე, გვირგვინებით და

ყვავილებით რომ რთავდნენ მაცვალავ ბულს, წუთით ქალებს გაშორდა და ექვთიმესთან მივიდა.

— რა იყო, ძია ექვთიმე, ცუდი ქალაღი ხომ არ მოგიტანა ფოსტალიონმა?

— ცუდი კი არა, ცუდზე უარესი. რამდენი ვერაგი აღამიანი ცხოვრობს ამ ცოდივლ მიწაზე! — ექვთიმეს ბრახისაგან ტუჩები უცახცახებდა, თერთ, ფაფუკ ლოყებზე ცეცხლი ეკიდებოდა. მედეა დამბაშიმე-ნიკოლასისამ, ექვთიმეს მდივანმა, სცადა ქალაღდის გამორთმევა და მოხუცის დამწვიდება, მაგრამ ექვთიმე უფრო გაჭიურდა.

— კაი დრო კი შემირჩიეს, როცა ხელ-ფეხი შეკრული მაქვს, სახლში მიცვალებული მისვენია და არავისთან არ მიმესვლება; ირბინე ახლა მგლოვიარე კაცმა ვილაღ ობოლენსკაიას მოპასუხედ.

ობოლენსკაიას ხსენებაზე ელენე და მედეა მიხვდნენ საქმის ვითარებას. ზოგერთმა იქ მყოფმაც მოჰკრა ყური ექვთიმეს ნათქვამს და მალე ლევილში მთელ ქართველობას მოედო ეს ამბავი.

— ობოლენსკაიას ქვრივს იმდენად არც ვამტყუნებ. დაჭკრივდა, გაუჭირდა და ეძებს შემოსავლის წყაროს, ცოტა საბაბიც აქვს, მაგრამ ქართველობა რამ გადარია, პატრიოტებად რომ მოაქვთ თავი და სამეგრეოლოს მთავრის განძეული სასპეკულაციო საგნად გაუღბიათ! ფუი, ასეთ ქართველს, რომელიც საკუთარი ინტერესებისათვის ერის ინტერესებს გასწირავს!

— ვისზე ლაპარაკობთ, ძია ექვთიმე, პოლკოვნიკზე ხომ არა? — ჰკითხა ელენემ, უსაზღვროდ შეწუხებულმა ობოლენსკაიას საქციელით.

— დიახ, პოლკოვნიკ ვანჩაძეზე, თავი რომ გამოუღვია ობოლენსკაიას დასაცავად, ვითომ ჩვენ მისი მტრები ვიყოთ. რა ამოძრავებს პოლკოვნიკს, სიმართლე, გულშემატკივრობა თუ საკუთარი ჯიბის ინტერესები?!

— ალბათ ყველაფერი ერთად, — დაუდასტურა მედეამ.

— ობოლენსკაიას და მის ქომაგებს არ გამოუვით ეს ხრიკები, — დაბეჭი- თებით თქვა ელენემ.

— ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რამდენჯერ უნდა მიგვიყვანონ სასამარ- თლოში, რამდენჯერ უნდა გადაიდოს, პროცესი, საკასაციო საჩივარი დაიწე- როს, რომ საქმე მოვდგოთ? ეს ასე იო- ლია? ამას უამრავი დრო და ენერგია სჭირდება!

ნინო პოლტორაკაიას პანაშვიდებზე, დაკრძალვის დღეს და დაკრძალვის შემ- დგაც მთელი ქართველობა ობოლენს- კაიას ქვრივის უგვანო საქციელს არჩევ- და.

საზოგადოება ორად გაიყო. ბევრი კიცხავდა სალომე ობოლენსკაიას, ზოგი ამართლებდა.

— მიშ, როგორ უნდა მოქცეულიყო, მამის ქონება კანონიერ მიმკვიდრეს არ უნდა მოეკითხა? — ამბობდნენ ერთნი.

— კი, მოეკითხა, ბატონო, მაგრამ ახ- ლა გაასხენდა? სად იყო მანამდე? მამა- მისი ნიკო დადიანი პირველ რვეოლუ- ციამდე გარდაიცვალა. მას შემდეგ სა- მი რვეოლუცია მოხდა და ეს ქონება კი ეგდო გამოკეტულ სასახლეში ხელუხ- ლებლად. ბოლოს სახელმწიფომ დაისა- კუთრა და კანონიერადაც.

— მაგრამ თუ ეს სახელმწიფო აღარ არსებობს? სანამ ქონება კანონიერი მთავრობის ხელში იყო, ობოლენსკაიას ქვრივს ხმა არ ამოუღია. ახლა კი, როცა საქართველოს მენშევიკური მთავრობა უკვე აღარ არსებობს და მისი გაუქმება საფრანგეთის პარლამენტმაც დაადს- ტურა, ვისი ხათრი უნდა ჰქონოდა ობო- ლენსკაიას, რატომ არ უნდა შეეტანა სარჩელი? ყოველი კაცი მის ადგილას ასე მოიქცეოდა.

— სწორედ მაშინ არ უნდა შეეტანა სასამართლოში, როცა საქართველოს განძეულს პატრონი არა ჰყავს. შესაძ- ლოა, საფრანგეთის მთავრობამ ობო- ლენსკაიასაც უთხრას უარი და ვინაიდან საქართველოს მენშევიკური მთავრობა გაუქმებულია, უპატრონო განძეული სახელმწიფო ხაზინას გადასცეს; ამ მო-

ტივებით ეს სიმძიდრე სამუდამოდ და- ეკარგება საქართველოს, — ასეთ ალოგებს გაიგონებდით ოცდაათიან წლებში პარიზსა და მის შემოგარენში, სადაც ორი ქართველი ერთად შეიყრი- და თავს, შინ თუ გარეთ.

საქართველოს განძეულის ყველაზე გულშემმატკივარი ქირისუფალი საგო- ნებელში ჩავარდა. უკვე აღარ იცოდა, ვისთვის მიემართა, — მენშევიკურ მთა- ვრობას ძალა დაკარგული ჰქონდა, საფ- რანგეთის მთავრობასთან უშუალო კონ- ტაქტები ძნელდებოდა...

ობოლენსკაიას ბევრი დამხმარე აღ- მოუჩნდა საფრანგეთის არისტოკრატი- აში. მისი საჩივრის ირგვლივ წარმო- უდგენელი სპეკულაცია გაჩაღდა. მომ- ნივანმა ხელოვნურად გაბერა დადიანე- ბის სასახლიდან წამოღებული ნივთების სია და ისე გამოდიოდა, თითქოს, საქარ- თველოდან საფრანგეთში გატანილი გან- ძეულის ნახევარი სამეგრელოს მთა- ვრის ქონება ყოფილიყო. საჩივრის სა- ფუძეველი ის იყო, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უფლება არ ჰქონოდა დეკრეტის ძალით ჩამოერთმია ის ქონება, ვინაიდან სამეგრელოს მთა- ვარი რუსეთის ქვეშევრდომი იყო და არა საქართველოსი.

რა თქმა უნდა, სასამართლომ ეს მო- ტივი არ მიიღო. კომბინატორებმა დიდი ფული დახარჯეს იმ იმედით, რომ მოგე- ბის შემთხვევაში ათმაგად აინზლადურებ- დნენ ხარჯებს.

ცხრაას ოცდათერთმეტ წელს სასა- მართლო პროცესის დაწყებისთანავე საქმეში ჩაერია საფრანგეთის საარბი- ტრაჟო სასამართლოების მულდმივი წევ- რი მუსიე პიერ დოკონი. ის იყო ამჟვე დროს უპატრონოდ დარჩენილი რუსუ- ლი ქონების დროებითი გამგებელი. დოკონმა სარჩელი შეიტანა და ყაღალა დაადო საქართველოს განძეულს. სასა- მართლომ ობოლენსკის ქვრივს კი უთხრა უარი, მაგრამ რეფერესის ხასია- თის განაჩენი გამოიტანა, სადაც ნათქვა-

ელიზაბეტ უაილამაზა
განმითლის გუშაბი



მი იყო: რაკი საქართველოს მენშევიკური მთავრობა ფაქტურად აღარ არსებობს, განძეული უპატრონოდ გამოცხადდეს და შესაძლად გადაეცეს მუსიე პიერ დოჟონსო.

ამის შემდეგ დოჟონმა და სასამართლოს აღმასრულებელმა პარიზის ბანკში ყუთები განსნეს საქართველოს წარმომადგენლის დაუსწრებლად, აღწერეს და ხელახლა მოათავსეს სეიფში. ექვთიმეს, კოწია კანდელაკს და აკაკი ჩხენკელს მხოლოდ ერთხელ მისცეს უფლება სეიფში ენახათ საქართველოს განძეული. ახლა კი მიხვდნენ ქართველი ემიგრანტები, რომ განძეული საბოლოოდ დაკარგეს და გამოსავლის ძებნა დაიწყეს.

რაკი საქართველოს მენშევიკური მთავრობა გაუქმდა და მას განძეულის პატრონობაც ჩამოერთვა, ექვთიმემ განაცხადა, ამიერიდან მხოლოდ მე გამოვდივარ საფრანგეთის მთავრობის წინაშე, როგორც განძეულის მცველი და შენახვის მეთვალყურეო. ექვთიმეს ეს განცხადება ყოფილ მთავრობას მოეწონა, ვინაიდან თავიდან ეხსენებოდა განძეულზე პასუხისმგებლობა. ყოფილ მთავრობას განძეულის დაბრუნების იმედი თითქმის დაკარგული ჰქონდა და ამიტომაც ექვთიმეს სიმოწინებით გადასცა ამონაწერი ამ საქმის თაობაზე გამოტანილი დადგენილებიდან. აცნობებდნენ, რომ დამფუძნებელმა კრებამ და მუზეუმის გამგეობამ იგი დანიშნეს განძეულის მცველად და მეთვალყურედ, რომ მას უფლება აქვს, ისე მოიქცეს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს და რომ იგი იქნება პასუხისმგებელი როგორც მუზეუმების, ისე საქართველოს წინაშე.

ამის შემდეგ ექვთიმემ საფრანგეთის მთავრობას მიმართა განცხადებით, სადაც წერდა:

„ის სამუზეუმო განძეული, რომელიც სასამართლომ დოჟონს ჩააბარა, არ ეკუთვნოდა არც საქართველოს მთავრობას და არც მე, მით უმეტეს, რუსეთის ყოფილ მთავრობას. იგი შეადგენს ასეთ კერძო დაწესებულებათა კუთ-

ვნილებას, როგორც იყო საქართველოს შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და მისი მუზეუმი, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, საქართველოს „სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი“ და კერძოდ დაარსებული მხატვართა საზოგადოება; ამ საზოგადოებებმა თავიანთი ქონება შესაძლად და მოსავლელად მიაბარეს მთავრობას და ამიტომ იგი ამ უკანასკნელის სახელზე იყო შეტანილი მარსელის ბანკში, რადგან ეს მთავრობა ცნობილი იყო საფრანგეთის მთავრობის მიერ, როგორც დამოუკიდებელი, ანუ თვითმპყრობელი სახელმწიფოს მთავრობა; ახლა, რაკი ამ მთავრობას აღარ სცნობენ, განძეული უნდა დაუბრუნდეს თავიანთ მუზეუმებს.“

საფრანგეთის მთავრობამ ექვთიმე თაყაიშვილს ამ განცხადებაზე პასუხი არ გასცა. საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის ექვილი შარლ პომარე საფრანგეთის ქვედა პალატის დეპუტატი იყო. ის არწმუნებდა ექვთიმეს — მთავრობა ვერ შეძლებს ამ განძეულის მითვისებას, თუკი დავამტკიცებთ, რომ ყოველივე ეს ეკუთვნოდა კერძო საზოგადოებებსო.

საფრანგეთის მთავრობისადმი მიცემული განცხადების ასლი ექვთიმემ გაუგზავნა თბილისში პროფესორ ვუკოლ ბერიძეს — იმხანად საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის საქმეციერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსს. ექვთიმე ვუკოლ ბერიძეს სთხოვდა გადაეცა რესპუბლიკის მთავრობისათვის ეს განცხადება და ახლო ხანში მოეკლინებინათ პარიზში სამუზეუმო ქონების კუთვნილების დამადასტურებელი საბუთებით აღკურვილი ავტორიტეტული დეპუტაცია; ამ დეპუტაციას უნდა მოეთხოვა საქართველოს ყოფილი მთავრობისათვის განძეულობის დაბრუნება.

საქართველოდან გაიგზავნა დაბლომატი ვიქტორ კვიტიავილი, სამუზეუმო განძეულის საქმეში ნაკლებად ჩახედული, მაგრამ კარგი ინტელიგენტი.



განძეულის საყიბნებზე ზრუნვა მიანდეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს საფრანგეთში ვლადიმერ პოტიომკინს და საბჭოთა საქართველოს რწმუნებულს ვიქტორ კვიტიაშვილს. პოტიომკინმა ექვთიმეს გამოუგზავნა თავისი მდივანი და სთხოვა, მისთვის გაეცნო საქმის ვითარება.

ექვთიმე ლევილიდან პარიზში ჩავიდა და კომისიას გადასცა თავისი რაპორტები, მოხსენებანი საფრანგეთის მთავრობისადმი და სხვა მასალები. მათი მუშაობა გავრძელდა თითქმის ერთ თვეს, მაგრამ ამაოდ. პოტიომკინმა ექვთიმეს აცნობა, — სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფერი გამოდისო...



იმ დროს, როცა საქართველოს განძეულის ბედი ბეწვზე ეყიდა, ცალკე ობოლენსკაიას ქვრივი და ცალკე საფრანგეთის საარბიტრაჟო სასამართლო დაეობდა, თუ ვის ხელში უნდა გადასულიყო ეს ქონება.

საქართველოს განძეულს ნამდვილად დაემუქრა დაკარგვის საშიშროება. მას შემდეგ, რაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა გაუქმებულ იქნა და განძეული უპატრონო ნივთების ფონდში გადაირიცხა, ექვთიმეს არავითარი არგუმენტი არ გააჩნდა მის დასაბრუნებლად. მით უფრო, რომ განძეულის შენახვაზე დავალიანებამ კოლოსალურ თანხას მიადწია, ხოლო გადამხდელი არავინ იყო. ობოლენსკის ქვრივის პრეტენზიებმა და ამ პრეტენზიების შედეგად წლობით გაუქანებულმა სასამართლო პროცესმა საფრანგეთის მმართველ წრეებს გაუორკეცა სურვილი და ინტერესი ამ უმდიდრესი ერთგნული საგანძურის ხელში ჩაგდებასა.

ისინი ამ სურვილებს მოჩვენებითი თანაგრძობით ნიღბადნენ. ექვთიმეს განცხადებები და რაპორტები ერთი პრემიერის ხელიდან მეორეში გადადიოდა. პრემიერები კი, ღვთას შეწყვენით, წარამბარა იცვლებოდნენ. ხანდახან წელიწადში ორ-სამჯერ იცვლებოდა კაბი-

ნეტი. თანაც ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ქვეყანა ფაშისმის უფსკრულისკენ მიექანებოდა. ფაშისაციის ეს პროცესი ყველაზე უფრო იგრძნობოდა, როცა საფრანგეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგა-დალადიე, ხოლო მომდევნო წლებში ასპარეზზე გამოჩნდნენ ფაშისმის აშკარა იდეოლოგიები — დუმერგი, ლავალი, ფლანდენი, პეტენი. დაიწყო მუშათა ანტიფაშისტური მიტინგები ლოზუნგით: „ძირს ფაშისმი!“ იმძლავრა შრომელთა პარადებმა და დემონსტრაციებმა, რომელთაც შედეგად მოჰყვა კომუნისტების, სოციალისტების და მემარცხენე რადიკალების ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნა. ერთიან ფრონტს გეზს აძლევდა საფრანგეთის კომპარტია შორის ტორეზის მეთაურობით. მასვე ეკუთვნის ლოზუნგი: „გაუმარჯოს თავისუფალ, ძლიერ და ბედნიერ საფრანგეთს!“ სახალხო ფრონტის გამარჯვების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოექცა სოციალისტი ლეონ ბლუმი.

მისმა მოსვლამ დიდად გაამხნევა ქართული ემიგრაცია. ნოე ჟორდანიას და ზოგიერთი ქართველი მენშევიკი პირადად იცნობდა ლეონ ბლუმს. ექვთიმეს იმედი მიეცა — იქნებ ბლუმმა მიანიც დაგვიბარუნოს განძეული. მასაც გაუგზავნა თავისი რაპორტი და მოლაპარაკების მიზნით პირადად აახლა სისიკო მდივანი — ერთ დროს მენშევიკური საქართველოს ელჩი თურქეთში. ბლუმმა თქმით კი უთხრა მდივანს, განვიხილათ ამ საქმესო, მაგრამ არც არაფერი განუხილავს და პასუხიც არ გაუცია განცხადებაზე.

ექვთიმე მარტოობის და უიმედობის საშინელმა სეგად შეიპყრო. ნინოს გარდაცვალების შემდეგ ერთხანს უძილობა დასჩემდა. იწვა გამოყრუებულ ბინაში მარტოდმარტო და ფიქრობდა, რით უნდა შემოეფლო ამ უსაშველო საქმისათვის. რა უნდა ეღონა, რომ მშობლი-

ელიზაბარ უხილავა
განძეულს გუშაბი



ური ხალხის წინაშე სამუდამოდ არ შერცხვნილიყო. ფიქრობდა დღეები და ღამეები და ამ ფიქრში მუდამ ორი ფრანგი ესახებოდა იმედად და გზის გამკვლევად — ერთი იყო სათნო მოხუცი პიერ დოფონი, რომელსაც ამჟამად ებარა მისი სანუკვარი განძეული და მეორე — შარლ პომარე — საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატი.

თუ რამე სიკეთე გამოვიდა ამ დახვანჯული საქმიდან, მხოლოდ ამ ორი კაცის მეშვეობით, თუ არა და, არსაით საშველი არა ჩანს, — ფიქრობდა ექვთიმე. თან განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას და თავის ქართველ მეგობრებთანაც წერილობით კავშირს არ წყვეტდა, თბილისიდან და ლენინგრადიდან იღებდა მისთვის საჭირო ინფორმაციებს. დაუცხრომელი მეცნიერი ფიქრით და ოცნებით დღემუდამ საქართველოს დასტრიალებდა თავზე. მისი მაძიებელი სულის გამონაშუქია პროფესორ იოსებ მეგრელიძისადმი საფრანგეთიდან ლენინგრადში გამოგზავნილი წერილების ეს პატარა ფრაგმენტებიც:

„გთხოვთ საიუბილეო გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ მომაწოდოთ უსათუოდ. ტფილისიდან აღარაფერი მომდის. ტფილისის მუზეუმის „მოამბე“ მართრვა წიგნი მაქვს, უნივერსიტეტის „მოამბე“ — ათი, «Изв. Кавказского института» — ოთხი. რაც მეტია გამოსული ამ სერიებისა, საჭიროა ჩემთვის, თუ შეძლებთ გამოგზავნას... მე არა მაქვს კონტრაქტი აქაურ გამომცემლებთან, იშვიათად ვარ პარიზში და წელთა გამო უძულურობას განვიცდი...“

„...განსვენებულის ნ. მარის არქივში უნდა იყოს ჩემს მიერ მისადმი გავზავნილი ფანასკერტის ერთი ეკლესიის სომხური წარწერა და აგრეთვე სასაფლაოს ქვის წარწერები ჩანგლის ეკლესიისა. მე ვაგუშავენ და არ დაუბეჭდია, თუ იპოვით, ბ-ნ ორბელს გადაეცით...“

— ტფილისში ირთდიონ სონდულაშ-

ვილს მიმართეთ და ის მოგცემთ ჩემთვის ერთ ჩემთვის საჭირო წიგნებსსა და... თქვენ მოგიხდებათ ზაფხულში საქართველოში ჩასვლა. მიიღეთ ზომები ახალგაზრდა მეცნიერებმა, რომ გამოსცეთ „მოკლე ქართლის ცხოვრება“, რომლიდანაც სომხური ტექსტია ნათარგმნი (ივ. ჯავახიშვილს აქვს); მასვე აქვს „მეორე ქართლის ცხოვრება“, რომელშიც თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ტექსტია და ვახტანგის კომისიის შეუსწორებელი „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება. ეს ტექსტები პირველ რიგში უნდა გამოიცეს. ეს ხელნაწერები უნიკუმებია და მიუტყვევებელია, რომ ამდენ ხანს გამოუცემელი რჩება...“

„...ჩემი ორი ცალი „ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში“, იმედია, მიღებული გექნებათ, ერთი ცალი იროლიონისთვის არის... თქვენთან სათხოვარი მაქვს. ნ. მარს ერთი პატარა სტატია აქვს, რომელშიც არჩევს ერთი სახარების მინაწერს ტაოდან, რომელშიც ტანუტერი იხსენიება. როგორც მახსოვს, სოფელი, რომლიდანაც არის სახარება, განმარტებული არა აქვს. ეხლა გთხოვთ, ამოიწეროთ სათაური სტატიისა, სათაური წიგნისა, რომელშიც არის დაბეჭდილი, წელი გამოცემისა და გვერდი თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით მთელი შენაარსი...“

„თქვენნი ღია წერილი და მასში აღნიშნული წიგნები მივიღე. უგულითადესი მადლობა. თქვენმა სტატიამ (ფხეს შესახებ) მასიამოვნა, კიდევაც გამოვიყენე. ერთ ფრაგმენტალურ წარწერაში პარხალისა ამოვიკითხე სიტყვა „შან იფხე“, ესე იგი შანიძის ასული (ქალი)...“

მარის მეუღლეს აღექსანდრა აღექსევენას ჩემგან მოწიწებით სალამი. როგორ არის იურის შვლი, ქართული იცის თუ არა? ნ. მარის შესახებ მე მაქვს წერილები დაბეჭდილი, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოგაწოდოთ. თქვენ მიერ შეკრებილ მასალას მისი ბიოგრაფის შესახებ, ის რამდენადმე შეავსებს...“

„...დიდად წასაიამოვნოა, რომ წიგნი მარისა სინას მთის სიძველენის შესახებ დაგმიზადებიათ. ღირსეულ მეცნიერს ღირსეული მოწაფე შეხვდით.

ჩემო ძვირფასო, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ და „მეგალითური კულტურა საქართველოში“ მივიღე. დიდად მსიამოვნა. მე ვცხოვრობ ჩვეულებრივად, არც სულ კარგად, არც სულ ცუდად. საზოგადოდ, არა მიშავს რა, ხოლო თვალები მაწუხებენ და სულ მკურნალობაში ვარ... არა მაქვს ცნობა, როგორ არიან ჩემი ძმა და ჩემი თვისები...“

„მივიღე ღია წერილი და ორი წიგნი. იური მარის შრომათა მეორე ტომი. ერთი გადავუგზავნე ზურაბს. გამოუთქმელი მადლობა. მიხარის და მაკვირვებს, როგორ ასწრებთ ამდენ შრომებს. დიდი სამსახური გავიწყვეით განსვენებულის იურისათვის, ასე მშვენივრად მის შრომათა გამოცემით. ბევრად აიწია ჩემს თვალში იურის მეცნიერული ღვაწლი, როცა ამ წიგნს გავეცანი, კიდევ უფრო გული დამწყვიტა მისმა ასე უღროოდ დაღუპვამ...“

სოსო, შენი ჭირიბე, ჩემი ღია წინა წერილი იროდიონს წააკითხე, გაიგებს ჩემს ამბავს. შეუდარებელი, საუცხოო და დაუფასებელი ადამიანია, პატიოსანი და უანგარო, ჩემგან შვილსაგვით მიჩნეული და ჩემთვის თავდადებული...“



ემიგრაციაში წამოსვლის შემდეგ ექვთიმემ ოთხი დიდი სულიერი ტრამეა განიცადა. პირველი იყო სამშობლოს დატოვების სიმძიმელი, მეორე, მისი იმედისა და ნუგეშის, ცხოვრების თანამგზავრის ქალბატონ ნინო პოლტორაიკაიას გარდაცვალება, შემდეგ, სიყრმის მეგობრის, სახელოვანი ნიკო მარის მოულოდნელი აღსასრული და ბოლოს სასუკვარი განძეულის დაკარგვა...

პირველი სამი დარტყმა შედარებით იოლად აიტანა ექვთიმემ, მაგრამ მეოთხე დარტყმამ, რაც საქართველოს გან-

ძეულის უბატრონოდ გამოცხადებაზე გამოიხატა, ლოგინად ჩაავლო.

ბევრს ფიქრობდა, გამოსავალს ეძებდა, მაგრამ არსაიდან იმედის ნასახი არ ჩანდა. ახლა ძველებურად ჯანი და ლონე არ ერჩოდა — ათასგვარ ურჩხულს გამკლავებოდა. სამშობლოში დაბრუნების ვზები მოჭრილი ჩანდა, ან რა პირობით უნდა შეხვედროდა თანამემამულეებს!

ასეთ გაპირვებაში ჩავარდნილ კაცს თანაუგრძობდნენ მისი ნიჭისა და უნარის თაყვანისმცემლები, კეთილი ადამიანები — ფრანგი მეზობელი — ქალბატონი მერაბელი, ცოლისძმა ილია პოლტორაიკი, ელენე ფერაძე, მედეა ლამბაშიძე-ნიკოლაძისა. ეს თანაგრძობა, მართალია, დარღებს უმსუბუქებას, მაგრამ გული დაჭრილ კაცს მაინც იარას ვერ უშუშებდა.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ექვთიმეს ერთ დღეს თავს წაადგა ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი, იმხანად საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში რომ იყვნენ ემიგრირებულნი. მათ შორის იყო პროფესორი ზურაბ ავალიშვილი — ექვთიმეს მეგობარი და დიდი პატივისმცემელი. ზურაბის ნახვა ძალიან ესიამოვნა ექვთიმეს და ხანგრძლივი საუბრითაც გული იფრეს.

— ბატონო ექვთიმე, — მიმართა ზურაბმა მოხუც მასპინძელს, — რამდენი წელი იქნება მას შემდეგ, რაც გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი შრომა „სამი ისტორიული ქრონიკა“ (ქართლის მოქცევისა, სუმბატის ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა)?

— თუ არ ვცდები, ეს იყო ათას რვაას ოთხმოცდაათ წელს. ახლაც მახსოვს ილიას გაბრწყინებული თვლები, როცა ეს ქრონიკები წაიკითხა და მოხოვა ხშირად მიმეწოდებინა ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის მასალები. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტია.

ელიზბარ შხილავა
განმეზღის გუშარი



— რამდენადაც ვიცი, პეტერბურგის მოღვაწეობა უფრო ადრე გქონდათ დაწყებული.

— გაცილებით ადრე. პეტერბურგის უნივერსიტეტი როგორც კი დაფუძნდა, თბილისში ჩამოვედი და ლათინური ენის მასწავლებლად მოვეწყე. მასწავლებლობა ჩემი სტიქია მეგონა, მაგრამ განსვენებულმა პროფესორმა დიმიტრი ბაქრაძემ არქეოლოგიის გეზით წარმართა ჩემი მუშაობა, მეც ამ დარგმა გამოიტაცა და ჩემმა გატაცებამ კოჟონ ფეხით შემომატარა საქართველოს მთელი ამერ-იმერი, მესხეთ-ჯავახეთი, კოლა-ოლთისი, ლეჩხუმ-სვანეთი. აღმაწერინა ყველა ეკლესია და მონასტერი, ძველი ციხე-კოშკების ნანგრევები, ჩამახედა სიგელ-გუჯრებში, სამასზე მეტი შრომა დამაწერინა და გამომაქვეყნებინა. მეგონი, ერთი კაცისაგან კმარა, რაც გამოკეთებია, მაგრამ ყველაფერ ამას წაშლილად, აღარაფრად ჩავთვლი, თუ ვერ შევძელი ქართული ისტორიული ნივთების სამშობლოში დაბრუნება.

— ერთი წუთითაც არ გკარგავ იმედს, რომ ეს ნივთები საქართველოს დაუბრუნდება. ბოლოს და ბოლოს საბჭოთა რუსეთს დღეს ისეთი დიდი წინამძღოლი ჰყავს სტალინის სახით, რომ საფრანგეთის მთავრობას ერთი პატარა ულტიმატუმი რომ წამოუყენოს, საქმე ხელად ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

— ამიტომ ვებარძვი სიკვდილს, მანამდე არ მინდა დავხუჭო თვალი, სანამ ამ საქვეყნო ვალს არ მოვიხდი.

— როგორც წელან გამოვიანგარიშეთ, ბატონო ექვთიმე, აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი შეგვიწირავთ მეცნიერების სამსახურისათვის. თქვენი ასაკის და დამსახურების მეცნიერს ირჩევენ აკადემიის ნამდვილ წევრად, აჯილდოებენ სახელმწიფო პრემიებით, ორდენ-მედალებით, თქვენ კი ბედმა ვარგუნათ, სამშობლოდან დამორებით აქ, საფრანგეთის მიყრუებულ პროვინციაში სრულად უსიხარულოდ გალიათ თქვენი ცხოვრების მიწურული დღენი. ჩვენს მხრივ — თქვენი თანამემამულეებისა და

პატრისმცემლების მხრივ დიდი უმადურობა იქნებოდა არაფრით არ აღგენიშნა თქვენი ეს დამსახურება. დღეს ყველა თქვენი მეგობარი აქ იმისთვის მოვლულვართ, რომ გთხოვოთ დავერთოთ ნება ერთი საიუბილეო საღამოს გამართვისა!

ექვთიმე, რომელიც გაცეხული თვალებით მისჩერებოდა ავალიშვილს, თვალებზე ხელი მოიჩრდილა და თანამოსაუბრეს მიმართა:

— მე სირცხვილისაგან ხალხს ვემალები, თქვენ კი იუბილეს მიწყობთ? რომელი სინდისი გაძლევთ ამის უფლებას?! ჭერ ერთი, ყოველგვარ იუბილეზე უარს ვამბობ იმის გამო, რომ საიუბილეო არაფერი გამოკეთებია. მეორეც, ღირსიც რომ ვიყო იუბილესი, ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილე ვის გაუგონია! არ ეგებოს! იუბილეზე მეტად გამახარებს და უფრო სასარგებლოც იქნება თუ ჩემი ნაშრომების გამოცემის საშუალება როგორმე მომიცემა.

ნურგინ დამწამებს, თითქოს ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე არ ვიცოდე, არა, ძლიერ კარგად ვიცი. მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე თუ რამე გაკეთებულა, ისევე ღარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით. მდიდრები ცოტანი გვეყვანდნენ და ვინაც გვეყავდა, საიმისო არაფერი გაუკეთებია. თუ ყველანი შევეერთდებით საერთო წვლილით ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი უღრმესი მადლობა და თანაგრძნობა.


ექვთიმე ზედმეტი შეგონებით არაეის შეუწყუხებია. ყველა მათგანი გონს მოკვო და, როგორც კი დამეშვიდობნენ, გზაშივე მოილაპარაკეს, მერე საორგანიზაციო კომიტეტზე შექმნეს და ორიოდ კვირაში მოზრდილი თანხა შეავროვეს. არ დარჩენილა პარისსა და ლევილში მცხოვრები ქართველი, ამ კეთილშობილურ წამოწყებას გულწრფელად რომ არ გამოხმაურებოდა. გენერალ-მაიორმა ბაზუტკა ამილახვარმა ამ საქმეს ორი ათასი ფრანკი შემოსწირა.

შემდეგ და შემდეგ წამოვიდა ასიგნა-

ციების წაქაფი ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, ბელგიაში, ჰოლანდეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრები ქართველებისაგან.

და აი, აღსრულდა ექვთიმეს ოცნება. პარიზში დიდი ტირაჟით გამოიცა მისი უჩიკალორი ნაშრომები: „ექსპედიცია კოლა-ოლთისისა და ჩანგალში“ და რამდენიმე ბროშურა.

ერთ დროს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მოხუცი უფრო გამხნევდა. დასძლია მარტოობის სიმძიმელი, ღონე მოიკრიბა და კვლავ ახალი ძალით დაიწყო ზრუნვა უპატრონო განძეულის ცხრაკლიტულიდან გამოსასხნელად.



იმ დროს, როცა ექვთიმემ პიერ დოჟონისა და შარლ პომარეს დახმარებით განძეულის თაობაზე ხელახალი საკასაციო საჩივარი შეიტანა პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოში, მთელი საფრანგეთი შეძრა მარისხანე სიტყვამ „ომი!“

ომში საფრანგეთის ჩაბმისთანავე გერმანელების შიშით პიერ დოჟონმა გასაოცარი წინდახედულება გამოიჩინა. მაშინვე გახიზნა საქართველოს განძეული ვერსალის ბიბლიოთეკის ჭურღმულეებში, ხოლო ექვთიმე გააფრთხილა, სიტყვა არ დასცდნოდა საერთოდ განძეულის არსებობაზე.

პარიზის დაპყრობის მეორე თუ მესამე დღეს გერმანელებმა ლევილში ექვთიმეს ბინა გაჩხრიკეს. ისინი სამნი იყვნენ: პოლკოვნიკი, გამომძიებელი და ჯარისკაცი.

ექვთიმეს ჯერ გაახსენებინეს პირველი ყუთი, საეკლესიო ნივთები რომ ელაგა. პოლკოვნიკმა ხელი დაუქნია, რითაც ანიშნა, ყუთი დახურეთ. სწორედ იმ წუთებში პოლკოვნიკის მსლებელი გამომძიებელი წააწყდა ქართველი მენშევიკების მიმოწერას მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან. გამომძიებელმა ქაღალდები პოლკოვნიკს უჩვენა და გამოთქვა ვარაუდი — ამ სახლში მცხოვრები უთუოდ ყველა მენშევიკიაო.

ექვთიმემ მათ აუხსნა — მეორე ინტერნაციონალის ბელადთან მიმოწერას ჩვენი ყოფილი მთავრობა აწარმოებდა. მე კი მათ პარტიას არ ვეკუთვნი და მხოლოდ არქეოლოგიას ვემსახურებიო.

მეორე ექვთიმეს მეორე ყუთიც გაახსენებინეს. პირველად ხელში მოხვდათ ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონ პირველის ბრინჯაოს პატარა ქანდაკება. იმპერატორის ცხენს ცალი ფეხი მომტვრეული ჰქონდა. პოლკოვნიკმა ისევ გააქნია ხელი და თვითონვე დახურა ყუთი.

გერმანელები ამჯერად წავიდნენ. კარგა ხანს არავის შეუწუებია მოხუცი. ეს მოჩვენებითი სიმშვიდე ქარიშხლის მომასწავლებელი აღმოჩნდა. ნაცისტებმა საფრანგეთში ფეხი მოიკიდეს თუ არა, მწვავედ დაიგვა საკითხი ქართველი ემიგრანტების ბერლინში გადაყვანაზე და განძეულის იქ გადატანაზე. როგორც შემდეგ ცხადი გახდა, გერმანელ ნაცისტებს აქეზებდნენ ბერლინში მყოფი ქართველი ემიგრანტები. სწორედ მათ გააბრიყვეს და პარიზიდან გერმანიაში წაიყვანეს პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. ამ ადგილგადანაცვლების ფინიში ის იყო, რომ ბერლინის დაბომბვის დროს ავალიშვილი სრულიად უსახლოდ დაიღუპა. ავალიშვილის დაღუპვის შედეგად უკვალოდ გაქრა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოზე, პროფესორს რომ ჰქონდა შეგროვილი.

გერმანიაში მყოფ ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილი პარიზელ ქართველებსაც, კერძოდ, ექვთიმე თაყაიშვილსაც უწევდა აგრიტაციას გერმანიაში გადასვლაზე; ექვთიმე კატეგორიულ უარზე იყო. მეო, — ამბობდა იგი, — პარიზში ქართული მუზეუმების განძეულს ვმეთვალყურეობ და აქვე უნდა დავრჩე, სანამ ამ ქონებას უკან არ დავაბრუნებო.

ექვთიმეს ასეთმა პოზიციამ მეორე საშიშროება წარმოშვა. ბოლოს და ბო-

**ელიზბარ უპილაძე
ბანძიშლის ბუზაბი**

ლოს ნაცისტებმა მოინდომეს განძეული გამოეთხოვათ საფრანგეთის მთავრობისათვის და ბერლინში გადაეტანათ.

ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა საქართველოს განძეულის ბედი ბეწვზე ეკიდა, ექვთიმეს მხარში ამოუდგა პიერ ლოკონი. სწორედ მან ურჩია ექვთიმეს საქმეში ჩაერია ადგილობრივი გავლენიანი პირები, რომლებიც დაარწმუნებდნენ ნაცისტებს, ეს განძეული მართო ქართველებისთვისაა ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამ ხერხმა მართლაც გაჭრა. განძეული დიდს ვაივაგლახით ბოლომდე იქნა პარიზში დატოვებული.

გერმანელი ფაშისტების და მათი დამკვეთების შემოტევას საფრანგეთის კომპარტიამ ხალხის ერთიანი დარბაზობით უპასუხა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საწარმოებლად ჩამოყალიბდა მსხვილი გაერთიანება „ორგანიზაციონ სპესიალ“, რომელმაც მოგვიანებით მიიღო სახელწოდება „ფრანტიერე ვ პარტიზან“. ეს გაერთიანება წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი ორგანიზაცია გახდა. მას სათავეში ჩაუდგა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრი შარლ ტისონი.

საფრანგეთის კომპარტიამ საკიროდ მიიჩნია გაერთიანებინა ყველა პატრიოტული ძალა და კავშირი დაემყარებინა გენერალ დე გოლის მიერ შექმნილ ორგანიზაციასთან „თავისუფალი საფრანგეთი“. „თავისუფალ საფრანგეთს“ სოლიდარობა გამოუცხადა და ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ინგლისმა.

საბრძოლო ასპარეზზე გენერალ დე გოლის გამოჩენამ დიდად გაამხნევა მრავალი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, მათ შორის ექვთიმეც. გენერალ ბაზურკა ამილახვარს ბევრჯერ ჩამოუგდია სიტყვა ექვთიმესთვის დე გოლის მხედართმთავრულ ღირსებებზე. დე გოლი და ამილახვარი ერთად სწავლობდნენ სენსირის სამხედრო სასწავლებელში და ერთადვე მონაწილეობდ-

ნენ „თავისუფალი საფრანგეთის“ სამხედრო ოპერაციებში.

პარიზის გაზეთებში სულ უფრო და უფრო ბევრს წერდნენ გენერალ დე გოლზე. მის მიერ შექმნილ „თავისუფალ საფრანგეთზე“ და სხვა წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფების თანამოქმედებაზე.

ექვთიმე ვაფაცციებით აღევნებდა თვალყურს საბჭოთა ჯარების წინსვლას, საფრანგეთიდან ფაშისტების განდევნის ოპერაციებს, რადგან იცოდა, რომ ყველა ეს ოპერაცია აჩქარებდა მისი სასულიერო ოცნების განხორციელებას — დეკარგული განძეულის პოვნას და მშობლიურ საქართველოში დაბრუნებას. ამ განწყობილებით და ამ მოლოდინით სულდგმულობდა მოხუცი პროფესორი.

ორმოცდაათი წლის გაზაფხულის ერთ კვირადღეს ექვთიმეს პარიზიდან სტუმრად ეწვია მის ოჯახთან დაახლოებული ქართველი ემიგრანტი ელენე ფერაძე და ერთი უცნობი ქალიშვილი.

— გაიცანით, ძია ექვთიმე, ქართველი გოგონა, მანანა მჭედლიშვილი.

ტახტზე წამოწოლილი ექვთიმემ ყურები ცქციტა, ძლივ-ძლივობით წამოღვა და თვალმოჩრდილულმა თანაგრძობით შეხედა შავთვალწარბა, გამხდარ გოგონას.

— აქ საიდან მოხველ, შვილო, ამ ომსა და უბედურებაში?

მანანამ თავი დახარა.

— სწორედ ომმა მომწვევტა, ძია, მშობლიურ კერას და უცხო ქვეყნებში უგზო-უკვლოდ მახტიალა, — ესლა მოახერხა და მოცხარივით შავი თვალებიდან კურცხალ-კურცხალ გადმოყარა ცრემლი.

ექვთიმემ დაუყვავა, ტახტზე დანჯა და დაწვრილებით გამოჰკითხა მისი თავდასასვლი.

მანანა საგარჯოდან ყოფილა. მამა ცხრას ოცდაათი წლის გამოსვლებში მენშევიკებს დაუხერტიათ. ოთხ ქალიშვილს წვლებით ზრდიდა ადრე დაქვ-



რევებულშიცაა. დღეს შორის უფროსი — მანანა ოძის დაწყების მეორე წელს მოხალისედ წასულა ფრონტზე, გაუვლია სანიტარული ინსტრუქტორის კურსები და შვეი ზღვის რაიონში მონაწილეობა მიუღია ფიცხელ ბრძოლებში. ნოვოროსიისკის ფრონტზე ტყვედ ჩავარდნილა. რამდენიმე ხანს საკონცენტრაციო ბანაკებში ტანჯვის შემდეგ ბერლინში ჩაუყვანიათ, აქ მას გაუცვინა ქართველი ტყვე ჯარისკაცი ალექსანდრე მორჩილაძე. ისინი დიდი სიმპათიით განწყვიტნენ თურმე ერთმანეთის მიმართ. სამწუხაროდ, მათი ბედნიერება ხანმოკლე გამომდგარა. მანანა სამუშაოდ გაუგზავნიათ ბერლინის მახლობლად ქალაქ ნიკოლაზეში, ქალთა კერძო კლინიკაში, რომელსაც ექიმი ქალი ჰუნეკე განაგებდა. ჰუნეკეს კლინიკაში მანანას ორი ქართველი ტყვე ქალი დახვედრია. მძიმე პირობებში მუშაობდა კლინიკაში და ტყვე ქალებთან ერთად იზიარებდა ჭირსა და ღვინას.

შემოდგომის ერთ დღეს ქალაქში საპაერო განჯაში გამოცხადებულა. ავადმყოფი ქალები სარდაფში ჩაუყვანიათ. მანანას უცებ გახსენებია, რომ ორდინატურაში ტანისამოსი დარჩა და მოუწადინებია მისი ძირს ჩამოტანა. ასულა ზემოთ, სინათლე აუწითია, ტანისამოსისთვის ხელი დაუვლია და დაბლა ჩამოსვლას რომ აპირებდა, ყუმბარების გრგვიწვა-გრიალს გაუყრუებია იქაურობა. თურმე ამერიკელებმა კლინიკის გვერდით დაბანაკებული გემანული სამხედრო ნაწილები დაბომბეს.

ხათაბლაში ვაბმულა მანანა. სინათლის ანთება მოწინააღმდეგისადმი მიცემულ სიგნალად მიუჩნევიათ და უმოწყალოდ ნაცემი, პოლიციელებს სარდაფში ჩაუგდიათ. ამის შემდეგ გესტაპოს საჭიროდ უცვინა მანანა მკედლიშვილის, როგორც არასაიმედო პირის, გერმანიიდან იზოლირება. იგი იძულებითი წესით გადაუსახლებიათ პარიზში.

ერთმა ნაცრობმა მომიყვანა სახლში, — უთხრა ექვთიმეს ელენემ, — ძალიან კარგი გოგონა ჩანს, სულ რამდე-

ნიშე დღეა, რაც ჩემთანაა და თავი შემაყვარა. საოცარი თავგადასავალი აქვს ფრონტზე თურმე „ჭინკა-მარისა“ ეძახდნენ. ბევრი საგმირო საქმე აქვს ჩადენილი. ვიფიქრე, იქნებ ექვთიმე-ძიას მდივანად გამოაღვეს-მეთქი და აი, ეს არის, მოგიყვანეთ.

— მაღლობის მეტი რა მეთქმის. ძალიან მსიაშოვნებს, რომ აქ მყოფმა ქართველობამ და პირადად შენ, ჩემო ელენე, ასე ზრუნავთ ჩემთვის, ღმერთი გადაგისდით სამაგიეროს. ოღონდ ერთი მანანასაც ვკითხოთ, სურს თუ არა, აქ, ჩემთან დარჩენა?

— უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდი, ძია. მე თქვენი სახელი საქართველოშიც მსმენია. მოხარული ვარ პირადად რომ შეგხვდით. მზად ვარ, რითაც შემიძლია, გემსახუროთ. ოღონდ დარჩენით აქ საბოლოოდ ვერ დავრჩები. პარიზი პარიზია, მაგრამ ჩემი საგარეჯო მთელ ქვეყანას მირჩევნია — გოგონას თვალებში კვლავ იღვავა ცრემლიმა.

— ომის დამთავრების შემდეგ არც მე ვაპირებ, შევიღო ჩემო, აქ დარჩენას. სულ იმის ნატვრაში ვარ, ჩემი ძვლები მშობლიურმა მიწამ მიიბაროს; უსამშობლო ადამიანი და უფესვო ხე ერთია. იქნებ დადგეს ჩვენი ჯერი და ვიპოვოთ დაკარგული სამშობლო, — ანუ გვემა ექვთიმემ მრავალტანჯული გოგონა და მშობლიურად მივაღერსა.

შემდეგ ელენემ მანანას დაათვალიერებინა ექვთიმეს ოროთახიანი ბინა, გააცნო კედლებზე დაკიდული ფერწერული სურათები. აუხსნა ისიც, რომ ეს სურათები წამოღებულა ბორჯომიდან — დიდი მთავრობის სასახლიდან.

ბორჯომის ხსენებამ მანანას მშობლიური საქართველო და ტანჯული დედა მოაგონა. ინატრა — ერთი ჩამაკონა დედის მეკრდს, მანახა საგარეჯო და ივრის ქალებით. ოცნებით საქართველოში მყოფი გოგონა კვლავ ელენეს სიტყვებმა გამოაფხიზლა.

— ახლა კი, ჩემო მანანა, მე და შენ სადილის თადარიგს შეგუღდეგთ!



მიხანად - პარიზში - სურსათ-სანოვანის დიდი ნაკლებობა იყო. ექვთიმე სასურსათო ბარათით არცთუ ისე მდიდრულ ულუფას იღებდა.

ელენე და მანანა მაღაზიაში წავიდნენ, იყიდეს, რაც იშოვეს და მალე მობრუნდნენ.

კარტოფილი ექვთიმეს სამზარეულოში აღმოაჩნდა. ქართველ ემიგრანტებს ქალაქგარეთ ჰქონდათ გამოყოფილი მცირეოდენი მიწის ნაკვეთი, სადაც უმთავრესად კარტოფილი მოჰყავდათ. ექვთიმე ნაკვეთს ქირით ამუშავებინებდა და ნაცნობ ფრანგებს, ზოლო ქართველ პარტიზანებთან ურთიერთობის დამყარების შემდეგ, მოცალეობის ეპოს, ბიჭები ბიკრიკობით შველოდნენ მოხუცს.

ნასადილევს ექვთიმემ თავი შეუძლოდ იგრძნო და დაწვა. ელენე ტკბილად დაემშვიდობა სტუმარ-მასპინძელს და თავისი ღიმილუნით პარიზისკენ გზას დაადგა. წასვლის წინ ერთხელ კიდევ თხოვა მანანას, ყურადღებით მოჰყრობოდა მოხუცს და პარიზელი დეიდაც არ დაევიწყებინა.

მეორე და მესამე დღეს თანდათანობით მოიკეთა ექვთიმემ. უამრავი მნახველი მოდიოდა მისთან, — მოდიოდნენ სხვადასხვა საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედნამყოფი ქართველები, ესაუბრებოდნენ სახელოვან თანამემამულეს, მისგან რჩევას იღებდნენ. ის კი ყველას გულთბილად უხვდებოდა და დაბეჭითებით შთაავრებდა ყოველ მათგანს — ყველაფერი ელონათ იმისათვის, რომ როგორმე სამშობლოში დაბრუნებულყვნენ. ხშირად გაახსენებდა ახალგაზრდებს რაფიელ ერისთავის შთამავრებულ სტრიქონებს: „სამშობლო დედის ძუძუი, არ ვაიცვლების სხვაზე-და“.

ექვთიმეს ფეხის ტკივილის გამო ბოლო ხანებში უჭირდა გარეთ სიარული. მანანა მამასავით უფლიდა სათნო მოხუცს, რომელიც უყვებოდა საინტერესო ეპიზოდებს საქართველოს ისტორიული წარსულიდან და მისი არქეოლოგიური მოგზაურობიდან. მშობლიურ კე-

რას და მიწა-წყალს დანატრებული გოგონაც სულგანაბული ისმენდა ზრძენი მოხუცის ეგზომ ტკბილ ნაუბარს.

ქართული ისტორიოგრაფიის ღვაწლმოსილ ამგდარს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ყველა სიძველე, ციხე-კოშკი, ეკლესია-მონასტერი, სიგელ-გუჯრები და არა მარტო შესწავლილი, აღწერილი და გამოცემულიც.

ყველაფერ ამას: საქართველოს სიძველეების მიკვლევას, საუკუნეების ხავს-მოღებულს, ნახევრად დანგრეული ეკლესია-მონასტრების კედლების ფრესკების შესწავლას, წამალ-გადასული პალიმნესტების ამოკითხვას მეცნიერმა უამრავი დრო და ენერგია მოაწოდოდა. ამიტომაც თეორიული ნაშრომების დასაწერად ვერ მოიცალა. შესაძლოა, ამას გულში ნაზობდა კიდევ ერთხელ მანანასთან აღსარებასავით წამოსცდა:

— სულ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაფლულს, არც დრო, არც საშუალება აღარ მრჩებოდა იმისათვის, რომ ჩაეჯდომოდა ჩემს მიერ სხვადასხვა დროს აღმოჩენილ მოზღვავებულ მასალას და დინჯად მეწერა ნამდვილი გამოკვლევები. ჩემი, როგორც მკვლევარის, ნააზრევი მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისას დართულ შესავალსა და კომენტარებში მკლავნდებოდა უმთავრესად. ნამდვილი თეორიული ნაშრომი თითქმის არ დამიწერია, ველარ ვიცლილი საამისოდ. სამაგიეროდ, კაი მეძებარევით მიანცდამიანც მე უნდა წავეწყდომოდი ერთიმეორეზე საინტერესო ხელნაწერს, ნივთს თუ სხვა ძეგლს. რომ იტყვიან, ბედიც მწყალობდა უთუოდ.

მაგრამ, ეტყობა, საამისოდ აშკარად ზედმეტ ძალ-ღონეს მანიჭებდა სწორედ ის ფანტასტიკური გრძნობა და გაბუდმებული ძრწოლა, არაფერი დაგვეკარგოს-მეთქი, თან ის შეგნებაც მიმგარებდა გულს და მკლავს, რომ, როდესაც ის მასალები საიმედოდ თავმოყრილი, დაცული და პირველადი ინტერპრეტაციით გამოცემული იქნებოდა, მერე



გამოგვიჩინებოდნენ მეკლევარები, რომლებიც დაჩაბობრივ, გულდაგულ უპირისუფლებდნენ მათ — გამართული, შევსებული ისტორიისა თუ მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად გამოიყენებდნენ. ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც გამართლდა და ესაა, უდიდეს ზნეობრივ კმაყოფილებას რომ მგვრის. ჩემი უმცროსი თანამედროვე ივანე ჯავახიშვილით დაწყებული, ყველანი ხომ უხვად იყენებდნენ ჩემს გამოკვლევებს — წარწერებს, ტექსტებს და კვებნად ნუ ჩამომერთმევა თქმა—ეს მასალები რომ არა ჰქონოდათ საყრდენად, ეს ჩვენი დიდი მეცნიერებიც კი ძალიან ბევრ რასამე ისეთი სისასებით ვერ გააკეთებდნენ, როგორც გააკეთეს...

ძალ-ღონის ასეთი დაძაბვით, ასეთივე მონღომებით და გატაცებით ვანაგრძობდა მუშაობას ექვთიმე სიცოცხლის მიწურულს უცხოეთის ცის ქვეშ და ღრმად სწამდა — აკეთებდა საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის და, საერთოდ, ისტორიოგრაფიისათვის მეტად საჭირო საქმეს.

მაგრამ მანანას — სასიქადლო თანამემამულის ნიჭისა და უნარის დიდ პატივისმცემელს — მაინც გულში ხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი ერთი რამ: რატომ დატოვა მეცნიერმა თავისი საოცნებო საქართველო, რატომ აჰყვა მენ-შევიკურ მთავრობას და იმ დროს, როცა ქართველ ერს ნამდვილად გაუთენდა, როცა დაიწყო მრავალტანჯული ხალხის ცხოვრებაში ახალი ერა, მან და მისმა თანამზრახველებმა საქართველოს განძეულობით დატვირთული გემი ბათუმიდან პარიზის მიმართულებით დასძრეს!

რით შეიძლებოდა ამ მოქმედების გამართლება, რა საბუთები, რა არგუმენტები ჰქონდა დღეს ემიგრაციაში მყოფ ქართველობას და მათ შორის ჩვენს მეცნიერს ამ საჩოთირო ნაბიჯის გამართლებისათვის? — აი, კითხვები, რომელიც მანანას დიდხანს აწვალებდა. პირველად მორცხვობდა და თავს არიდებდა ამ თემაზე ექვთიმესთან საუბარს, ხოლო მერე და მერე ისე ჩაება ცხოვ-

რების ორომტრიალში, საამისოდ არც დრო ჰქონდა და არც მოცალეობა. მანანა თითქმის ყოველდღე დადიოდა ველოსიპედით ქალაქ არაპეონში, ლევილიდან ოთხიოდე კილომეტრის დაშორებით, იქიდან დაჰქონდა სურსათ-სანოვავე, შემდეგ კერძებს ამზადებდა, ოჯახში საქმიანობდა. მეტწილად კი ექვთიმეს ეხმარებოდა წერაში — ერთდროულად ასრულებდა დიასახლისისა და პირადი მდივნის მოვალეობას.

ბობოქარ ცხოვრებას მიჩვეული, თავაწყვეტილ ბრძოლებში გამოწრთობილი ყმაწვილი ქალისათვის მოსაწყენი აღმოჩნდა ამ სიმუხდროვეში ყოფნა. გული იქითკენ მიუწევდა, სადაც სამშობლოს ბედ-იღბალი წყდებოდა. უნდოდა გარეოდა პარტიზანთა ჯგუფში „საბჭოთა პატრიოტების კავშირის“ ცენტრალურ კომიტეტთან რომ არსებობდა პარიზში, გალიერას ქუჩაზე. მერაბელისა და სხვა ახლად გაცნობილი მეგობრების მეშვეობით იცოდა, რა სასწაულებს ახდენდნენ პარტიზანები, მათ შორის — ქართველებიც, მუსრს რომ ავლებდნენ ფაშისტ ნაძირალებს. მანანას მთელი არსებით უნდოდა მათთან ყოფნა, მათი ჭირისა და ლხინის გაზიარება, მაგრამ ენანებოდა მოხუცი მეცნიერი. ობლად გაზრდილ ქალიშვილს ძია ექვთიმე იმდენ მშობლიურ სიტბოს აგრძნობინებდა, ისე ადამიანურად ეპყრობოდა, უძნელდებოდა მისი დატოვება. კი არ უძნელდებოდა, დანაშაულად მოაჩნდა ასე დიდი მეცნიერისა და ქართველი ერისათვის ეგზომ საჭირო კაცის ბედის ანაბარად მიტოვება.

დიდხანს იყო მანანა ასე გაორებული. ეშვებიც უღრღნიდა გულს. ვაითუ ამ სათნო მოხუცს, რომელსაც ასე გულწრფელად ვემსახურები, მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი სამშობლოს წინაშე და მეც მისი თანამზრახველი აღმოვჩნდეთ. მენშევიკები საშინლად ეჯავრებოდა. ჯერ კიდევ ჩვილს სწორედ მენ-

ალიზაბარ უაილავა
ბანამშულის გუშაბა

შევიკებმა მოუტყვის მამა და დედაც მათ ბინძურ ხრიკებს გადაწყვა. ქართველი მენშევიკების გამცემლობაზე ბევრი გავიგონა და თავის თავზე ბრაზი მოსდიოდა — როგორ გავებრიყვდი, როცა მენშევიკს, ემიგრანტს, ხელისშემწყობი გავუხდი, ოდესმე სამშობლოში დაბრუნება რომ მეღირსოს, რით ვიმართლო თავი ტოლ-სწორების, ომგადახდილების, ჩემი ხალხის წინაშე. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო აწვალებდა ასეთი ფიქრები.

მაგრამ მანანას ყველა ეჭვი გააქარწყლა ძია ექვთიმეს არა ერთმა გულწრფელმა აღსარებამ.

მანანას პარიზში ყოფნისას ექვთიმესთან მოვიდნენ ქართველი პარტიზანები. უსახლდრო იყო მანანას გაოცება, როცა მათ შორის ალექსანდრე მორჩილაძეც დაინახა.

ეს ახალგაზრდა ტყვეთა ბანაკიდან გამოისყიდა პარიზში მცხოვრებმა ემიგრანტმა ქალმა ნამეტია ბერძენიშვილმა. მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ ბერლინი დატოვა, მანანა ჰუნეკეს კლინიკიდან სხვაგან გადაგზავნეს და მთაც ერთმანეთის მისამართები დაეკარგეს. და აი, საიდან სადაო, მოულოდნელად კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

როცა პირველი შეხვედრის ციებ-ციხელებამ გაიარა, ალექსანდრემ ექვთიმეს და მანანას მოუყვა ახალი ამბები. როგორც მან თქვა, პარიზისა და მთელი საფრანგეთის პარტიზანებმა სოლიდარობა გამოუცხადეს საფრანგეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ კომიტეტს. ახლო ხანში შესაძლოა მთელ საფრანგეთში აჯანყება დაიწყოს და ვიშის მთავრობა მარშალ პეტენის მეთაურობით გადადგეს. თუ ფრანგი პატრიოტების ეს ჩანადიქრი განხორციელდა, მაშინ ახალ მთავრობას ალბათ სათავეში ჩაუდგება გენერალი დე გოლი, რაც საფრანგეთის მიწა-წყალზე ჰიტლერელების საბოლოო დამარცხების მომასწავლებელი იქნებაო.

როცა პარტიზანი მორჩილაძე, ფრანგი პატრიოტების საბრძოლო გეგმების შემსრულებელია, ექვთიმეს თვალეში უბრწყინავდა, მანანა კი სიხარულისაგან თავს ვერ იკავებდა.

მოგვიანებით ალექსანდრე მორჩილაძე პარიზში გაემგზავრა ნამეტიასთან. ის მოტოვიკლით გაცივდა მანანამ და გვიან სამე დაბრუნდა შინ.

შემდგომ დღეებში ელვის სისწრაფით წარიმართა მოვლენები.

ორმოცდაათი წლის ორ ივლისს საფრანგეთის ნაციონალურმა განმათავისუფლებელმა კომიტეტმა დე გოლის მეთაურობით საფრანგეთის დროებით მთავრობად გამოაცხადა თავი. პეტენი და ლავალი, ეგრეთ წოდებული ვიშის მთავრობა, გერმანიაში გაიქცა. საბჭოთა კავშირის მთავრობა ოფიციალურად მიესალმა დე გოლის მთავრობას და თავის მხრივ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში დაინიშნა ალექსანდრე ევრემის ძე ბოგომოლოვი.

ექვთიმეს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა.

ამ სიხარულს დაემატა ისიც, რომ მანანამ და ალექსანდრემ ექვთიმეს გაუმხილეს თავიანთი გადაწყვეტილება დაქორწინებაზე. ექვთიმემ ორივე შვილივით გადაკაცნა, თავის მხრივ ხელი მოუშარათა და ეს ამბავი ელენე ფერაძეს და ნამეტია ბერძენიშვილსაც შეატყობინა. დაინიშნა ჯვარისწერის დღე. ნეფე-დედოფალს ქართულ ეკლესიაში გაჰყვა მაყრიონი — ცოლ-ქმარი ოლივი და მერაბელი, ნამეტია, ელენე და ალექსანდრემ მეგობარი რამდენიმე პარტიზანი.

ეკლესიიდან დაბრუნების შემდეგ გაიმართა პატარა საქორწილო სუფრა. თამაობდა ექვთიმე. გაიხარა ექვთიმეს სახლმა. ახლა მას ქალიშვილიც ჰყავდა და სიძეც. მექორწილეებმა დააგუგუნეს ქართული მრავალყამიერი და ერთმანეთს საქართველოში მალე დაბრუნება უსურვეს.



მანანასა და ალექსანდრეს დაქორწინების არიდებ კვირის შემდეგ, ალექსანდრე მოულოდნელად გამოიძახეს პარიზში პარტიზანულ შტაბში, საიდანაც გვიან ღამით დაბრუნდა და მანანას უთხრა: პარიზში აჯანყება იწყება და ხვალ დილით ადრე უნდა გავემგზავრო.

მოგვიანებით პარტიზანულ მოძრაობაში ჩაება მანანაც. მან ფრანგ და ქართველ პარტიზანებთან ერთად მოხერხებულად შეასრულა არა ერთი კონსპირაციული დავალება, თანაც ისე, რომ მოხელისადმი ყურადღება ოდნავაც არ შეუწევია.

ავგისტოს შუა რიცხვებში პარიზში მასობრივად დაიწყო აჯანყება, ბარაკებზე კვლავ დადგნენ კომუნართა აზრდოები. მთელი საფრანგეთი მოიცვა პატრიოტულმა აღტყინებამ.

მანანამ და ალექსანდრემ მსურველ მონაწილეობა მიიღეს ბრძოლებში — სენ-მიელის, მონპარნასისა და ქალაქის სხვა რაიონების განთავისუფლებაში.

საფრანგეთიდან მტრის განდევნის და პრეზიდენტად დე გოლის არჩევის შემდეგ, ექვთიმეს გულმა უბიძგა კვლავ ეცადა ბედი ცხრაკლიტულში მოქცეული განძეულის გამოსახსნელად. ამჯერად მან დახმარებისათვის განცხადებით მიმართა საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში ალექსანდრე ფერემის ძე ბოგომოლოვს.

ერთ დღეს, როცა ექვთიმე ახალმოღებულ გაზეთებს ათვალიერებდა, მას სტუმრად ეწვია ერთი ქართველი ემიგრანტი, გვარად ვაჩნაძე. ახალმოსულმა მასპინძელს თავი პოლკოვნიკად გააცნო და მისალმების შემდეგ უთხრა:

— თქვენთან საუბარი სურს ბოგომოლოვს — საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში; მან ავტომანქანა გამოგიგზავნა და გთხოვთ ეწვიოთ!

— მადლობას ვწირავ პატივცემულ ელჩს თავაზიანი მიწვევისათვის, ის უთუოდ, ჩემი განცხადების თაობაზე მეძახის, მაგრამ თქვენ საიდან, როგორ? — იკითხა ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა მასპინძელმა.

— საქმე, რომლითაც თქვენ ბრძანდებით დანიტერესებული, მოგესხენებათ, მეც არანაკლებ მაინტერესებს. უფრო დაწვრილებით ამაზე მეტე მოგახსენებთ. — პათეტიკურად განაცხადა სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილმა ჰადარა პოლკოვნიკმა. ექვთიმემ ტუვის თვალით შეხედა მას. მერე სასწრაფოდ ჩაიცვა, ჩაქდა პოლკოვნიკის მიერ შემოთავაზებულ ავტომანქანაში და პარიზში გავემგზავრა.

საელჩოში გულთბილად შეხვდნენ ექვთიმეს. ბოგომოლოვი უადრესად თავაზიანი კაცი აღმოჩნდა. საქმიანი საუბრის დაწყებამდე ელჩმა სტუმრები საუზმეზე მიიწვია. ფრანგული შამპანურით დაილოცეს, ცოტა დანაყრდნენ. ბოგომოლოვმა ილაპარაკა საბჭოთა და მოკავშირე სახელმწიფოების ჯარების წარმატებებზე, პიტლერული გერმანიის კრახის გარდუვალობაზე, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირის მტკიცე მეგობრობაზე — ყველაფერ იმაზე, რაც აახლოვებდა საქართველოში განძეულის დაბრუნებას.

— ახლა კი მიამბეთ, რა გაწუხებთ, მზად ვარ ყველაფრით დაგეხმაროთ, — მიმართა მან ექვთიმეს.

— ჩემი უდიდესი სურვილია, ბატონო ელჩო, და სამართლიანობაც მოითხოვს, საქართველოს დაუბრუნდეს მეოთხედი საუკუნის წინათ საფრანგეთში ჩამოტანილი განძეული.

— ამ საქმეში ჯერჯერობით ჩახედული არა ვარ, კარგი იქნება თუ ყველაფერ ამას წერილობით ჩამოაყალიბებთ და გადმომიცემთ.

ექვთიმეს არზა დაწერილი ჰქონდა და ხელად გადასცა. როცა ბოგომოლოვმა განცხადება თავიდან ბოლომდე წაიკითხა, ექვთიმეს უთხრა:

— ამ საკითხზე მოველაპარაკებო საფრანგეთის პრეზიდენტს დე გოლს. ჩვენ სულ მალე მოსკოვში ერთად მოგვიწევს გაფრენა, წინასწარ ძნელია თქმა იმისა,

ელიზაბა უვილავა
განძეულის ბუნებაში

თუ როგორ შეთანხმდებიან ორი ქვეყნის მესვეურები, მაგრამ ერთ რამეს ნამდვილად დაგვირდებოთ, — პირადად მე ყოველივე შესაძლებელს ვვაკეთებ. ამ პასუხით კმაყოფილმა მოხუცმა მადლობა მოახსენა ელჩს.

ბოგომოლოვი ექვთიმესთან საუბარს მორჩა თუ არა, პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ მას რაღაც ქაღალდი გაუწოდა. როგორც გამოირკვა, პოლკოვნიკი საქართველოს განძის მფლობელთაგან, პირადად ექვთიმესაგან, ორმოცდაათი ათას ფრანკს თხოვლობდა.

— რაში მთხოვთ ამ თანხას? — ჰკითხა გაოცებულმა ექვთიმემ.

— იმაში, რომ ობოლენსკის ქვრივის საქმის დამცველისათვის სწორედ ამდენი თანხა მისაცემი.

— მერე მე რა შუაში ვარ? ეგ დამცველი თქვენ ჩვენს წინააღმდეგ დაიქორავით, საქმე წაავით, ბუნებრივია, სამართლოს ხარკების ანაზღაურება და ვეკისრათ, ახლა გინდათ ეს თანხა მე მახლვევინოთ? რომელი კანონის ძალით მეუბნებით ამას?

პოლკოვნიკმა ვერაფერი უპასუხა ექვთიმეს. ბოგომოლოვმა ვაკვრვებით შეხედა ვაჩნაძეს და როგორც კი შეატყუო, საქციელი წაუხდათ, ექვთიმეს ჰკითხა:

— ეს თანხა თქვენი განძელის საქმის დასაცავად არ დახარჯულა?

— პირიქით, ესენი ჩვენ გვედავებოდნენ. ეს ვაქბატონი, ობოლენსკაიას მოსარჩლედ გამოდის, იმ ობოლენსკაიასი, მთელი შვიდი წლის განმავლობაში უკანონოდ რომ გვედავებოდა და ამ დევაში საბოლოოდ დამარცხდა. ქალბატონმა ობოლენსკაიამ იმდენად დამცირებულად იგრძნო თავი, რომ შეატყო, აქ არ ედგომებოდა, ვერმანიაში გადაიხვეწა ჩანს, რწმუნებულად პოლკოვნიკი ვაჩნაძე დაუტოვებია!

პოლკოვნიკმა რაღაც უსუსური არგუმენტებით თავის მართლება სცადა, მაგრამ აშკარად მხილებულმა, ბოგომოლოვის თვალში პირუანდელი სიმპათია დაკარგა, რაც ელჩმა იმით გამოხატა, რომ

მას სანახევროდ ზურგი შეუბრუნა და ექვთიმესთან დაწყებული საუბარს განაგრძო:

— როგორც მოგახსენეთ, საქართველოს განძელზე ახლო ხანში საფრანგეთის პრეზიდენტს მოველაპარაკები, ხოლო შემდეგ ეს საკითხი ალბათ, განიხილება კრემლში, როცა ჩვენი ქვეყნისა და საფრანგეთის მეთაურები ერთმანეთს შეხვდებიან უმაღლეს დონეზე. მანამდე თქვენ კავშირს იქონიებთ საელჩოს იურისკონსულტ გუზოვისთან. განძელთან დაკავშირებული ყველა საკითხი მასთან მოიყრის თავს.

ექვთიმემ მადლობა მოახსენა ელჩს თავაზიანი მიღებისა და დახმარებისათვის...

ბოგომოლოვმა ყურად იღო ექვთიმეს თხოვნა და საქართველოს განძელის საკითხზე ოფიციალური წერილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს მოლოტოვს, რომელმაც ეს დოკუმენტები სტალინს გააცნო. სტალინმა დაავალა საგარეო საქმეთა მინისტრს, დაუყოვნებლივ გაეგზავნა მემორანდუმი საფრანგეთის მთავრობისათვის.

მემორანდუმი სწორედ იმ დროს მიიღეს პარიზში, როცა დე გოლი მოსკოვში უნდა გაფრენილიყო. დე გოლმა თხოვა ბოგომოლოვს, წარედგინათ მისთვის მასალები. ბოგომოლოვმა კვლავ იხმო ექვთიმე, დააწერინა ხელახალი განცხადება საფრანგეთის მთავრობის სახელზე.

ბოგომოლოვმა ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენება სამუხეუმო განძელის საქართველოში დაბრუნების საკითხზე სწორედ ისეთ დროს წარუდგინა დე გოლს, როცა ორივენი მოსკოვში უნდა გაფრენილიყვნენ სტალინთან მოსალაპარაკებლად. ომი ვერც გრძელდებოდა და საფრანგეთის საბოლოო ხსნა დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირზე. რასაკვირველია, დე გოლს უარის თქმა არ შეეძლო და მაშინვე გასცა განკარგულება, „დაუყოვნებლივ დაბრუნებოდა“ საქართველოს თავისი განძეულობა. დე



რღმა იხმო საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი უჩენე და დაავალა იურიდიულად გაეფორმებინა საქართველოსათვის განძეულის გადაცემა. მინისტრმა, თავის მხრივ, განკარგულება მისცა სენის დეპარტამენტის სამოქალაქო სასამართლოს, რომელმაც სათანადო დადგენილება გამოიტანა.

დიდი ხნის ოცნება ფრთებს ისხამდა. უსაზღვრო იყო ექვეთიმეს სიხარული, როცა საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება შეატყობინეს.

საფრანგეთის პრეზიდენტის განკარგულების სისრულეში მოყვანა ელჩმა მიანდო იურისკონსულტ გუზოვსკის, თაყაიშვილს და საელჩოს საქმის მწარმოებელს.

გუზოვსკი ექვეთიმესთან ერთად მაშინვე ეახლა პიერ დოჟონს, რომელსაც ებარა საქართველოს განძეული და თხოვა, ეს ნივთები პატრონისათვის ჩაებარებინა. დოჟონი ქართველებისადმი კარგად იყო განწყობილი, მაგრამ ამდენი ნალოლიავეები განძეულის ერთბაშად ხელიდან გაშვებაც დაენანა და თქვა:

— დე გოლს არ ჰქონდა ასეთი განკარგულების ვაცემის უფლება! ეს საკითხი შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა გადაეწყვიტა.

— თუ ხვალვე გადაჭრილი პასუხი არ მოვიციით, ტელეგრამას ვუგზავნი დე გოლს, რომ თქვენ მის განკარგულებას არ ასრულებთ!

გუზოვსკის ასეთი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ დოჟონმაც უკან დაიხია და პრეზიდენტის განკარგულების სისრულეში მოყვანას შეუდგა.

პარიზის განთავისუფლებისა და საფრანგეთის ტერიტორიის მეტი ნაწილის მტრის ჯარებისაგან გაწმენდის შემდეგ, ინგლისმა და ამერიკამ საჭიროდ მიიჩნიეს ეცნოთ დე გოლის მთავრობა.

ორმოცდაათში წლის ოცდასამ ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა, ამერიკამ, ინგლისმა და ხუთმა დანარჩენმა ევრო-

პულმა ქვეყანამ იცნო დე გოლის კოალიციური მთავრობა; რომელშიც ხალხო რესპუბლიკური მოძრაობის, კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები შედიოდნენ.

ორმოცდაათში წლის ორ დეკემბერს, საბჭოთა მთავრობის მოწვევით, მოსკოვში ჩავიდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი დე გოლი, რომელსაც ახლდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბილო და სხვა ოფიციალური პირები. მათთან ერთად იყო საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ბოგომოლოვი.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს სტალინს საუბარი ჰქონდა დე გოლთან. ჩამოსვლის დღიდან სტალინი და დე გოლი. რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს ოფიციალურად. ამ შეხვედრების დროს იხილავდნენ ორივე ქვეყნისათვის სისხლხორცეულ საკითხებს — საბჭოთა კავშირს, რომელიც იმხანად ჰიტლერელებს ერეკებოდა უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან, განზრახული ჰქონდა, მტერი თავისივე ბუნავში გაენადგურებინა, საფრანგეთი მოწოდებული იყო თავისი ქვეყნის ტერიტორიიდან გაერეკა ოკუპანტები და მონაწილეობა მიეღო ინგლის-ამერიკის საექსპედიციო ჯარების საბრძოლო ოპერაციებში. ორივე მხარე დიდად აფასებდა საერთო მტრის წინააღმდეგ რუსი და ფრანგი ხალხის მიერ გაწეულ ბრძოლებს და სრული გამარჯვებისათვის საერთო გზებს სახავდა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ეს მოლაპარაკება დაგვირგვინდა ორივე სახელმწიფოს კავშირის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერით. ეს იყო პირველი ხელშეკრულება, რომელიც საფრანგეთის დროებითმა

ელიზაბარ უნილაჰა
განმეხულის გზაზე



მთავრობამ დაღო მეორე დღი! სახელმწიფოსთან თანაბარ საწყისზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, ორივე ქვეყანა ვანაგრძობდა ბრძოლას ერთმანეთის მხარეზე და გავრთიანებული ერების მხარეზე საერთო მტრის — ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციამდე.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინა დღეს, ცხრა დეკემბერს, სტალინმა სადილო გამართა ქრემლში ფრანგი სტუმრების პარტისაციმად. სუფრას სტალინი თამადაობდა. სვამდნენ ქართულ ხვანჭკარას. დე გოლი მოხიბლა ხვანჭკარამ და იკითხა, სად მოდიოდა ასეთი ტუბილი და არომატული ღვინო.

— საქართველოში არის ერთი მთიანი რაიონი — რაჭა, სადაც მოჰყავთ ეს ღვინო, — განუმარტა სტუმრებს სტალინი.

— ასე დეტალურად იცნობთ თქვენი ქვეყნის ყველა მხარეს? — იკითხა დე გოლმა.

— უნდა ვიცნობდე. რაც შეეხება საქართველოს, ჩემს სიუბუბუკეში ფეხით დამივლია მისი მთა-ბარა. რევოლუციური ნათლობაც პირველად საქართველოში მივიღე.

დე გოლმა ბოგომოლოვს გადახედა. ბოგომოლოვი მიხვდა ამ გამოხედვის მნიშვნელობას. როგორც ჩანდა, დე გოლს საქართველოს განძეული მოაგონდა. მართლაც, მცირე დაყოვნების შემდეგ დე გოლმა სტალინს ჰკითხა:

— მაშ თქვენ კარგად გეცოდინებათ საქართველოს განძეულის ისტორია; სწორედ წამოსვლის წინ გამაცნეს ოფიციალური დოკუმენტები, მათ შორის თქვენი მეგობრანდუმეც ჩვენი მთავრობისადმი. რამდენადაც გავერკვიე, საქართველო სამართლიანად თხოულობს ამ განძეულის დაბრუნებას და მეც ქართველებს მოთხოვნა დავაკმაყოფილე, — დე გოლმა კვლავ ბოგომოლოვს გადახედა.

— განკარგულება გაცემულია, ამხანაგო სტალინ, — დაადასტურა ბოგომოლოვმა, — ამჟამად ადგილობრივი კომისია იბარებს ამ განძეულს ვერსალის

ბიბლიოთეკაში, ოღონდ საქართველებსა და საბჭოთა კავშირიდან ოფიციალურად წარმომადგენლების გამოგზავნა, რომლებიც პარიზში ჩაიბარებენ ამ განძეულს და უზრუნველყოფენ მის ჩამოტანას. აქვე ანგარიშგასაწევია ერთი გარემოება. მრავალი ემიგრანტი, რომელიც მიხვდა თავის შეცდომას და ყოფილი მენშევიკური მთავრობის ტუფუნურებას, მზად არის მოინანიოს ცოდვები, დაბრუნდეს სამშობლოში. ამ ბოლო დროს ჩვენს საულჩოში ბევრნი მოდიან ასეთი განცხადებით.

— ვიანესლავ მიხაილოვიჩი, — მიმართა სტალინმა მოლოტოვს, — როგორც ჩანს, ეს საკითხი მომწიფდა, მოამზადეთ მასალები და მომელაპარაკეთ!

მოლოტოვმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა სტალინს და მისი დავალება უბის წიგნაკში ჩაიწერა.



საქართველოს განძეულის და ზოგიერთი ქართველი ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნების საკითხი უკვე რეალური ჩანდა.



ორმოცდასუთი წლის დამდეგს ორი ქართველი მეცნიერი დიალომატიური მისიით თბილისიდან პარიზს გაფრინდა. მათ დავალებული ჰქონდათ საქართველოს განძეულისა და სამშობლოში მომავალი ქართველი ემიგრანტების მეგზურობა.

თეიბანი - ქაირო - ბაღდადი - მარსელი - დიეონი - პარიზი! — ასეთი იყო საქართველოდან წარგზავნილი მეცნიერების — შარიასა და ამირანაშვილის მარშრუტი.

ოცდაერთ იანვარს საქართველოს დელეგაციის თვითმფრინავი დაეშვა პარიზში, ორლის აეროდრომზე. აქ დელეგაციას დახვდნენ საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენლები. ახალჩამოსულებს შეატყობინეს, რომ საქართველოს განძეული გენერალ დე გოლის განკარგულებით, უკვე მიეღო საბჭოთა კავში-

რის საელჩოს და თავის სეიფებში შე-
ნახა.

მეორე დღეს შარია და ამირანაშვილი
საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად
დაესწრნენ სობორნის უნივერსიტეტის
საზეიმო გახსნას. ეს იყო ფრანგი ხალხის
დიდი ეროვნული დღესასწაული.

გერმანელი ოკუპანტების განდევნის
შემდეგ აღდგა ევროპის ერთ-ერთი უძ-
ველესი უმაღლესი სასწავლებელი, რო-
მელიც დახურული იყო ნაცისტთა ბა-
ტონობის დროს. უნივერსიტეტის შე-
ნობის წინ, ორმწკრივად მდგარმა სტუ-
დენტებმა ოვაცია გაუმართეს საბჭოთა
ქვეყნის წარმომადგენლებს. შესრულდა
საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის და
მოკავშირე ქვეყნების — ინგლისისა და
ამერიკის სახელმწიფო ჰიმნები.

იმავე საღამოს შარია და ამირანაშ-
ვილი ინახულეს ექვთიმე თაყაიშვილი,
იმხანად საბჭოთა კავშირის გენერალურ
კონსულის ბინაში რომ ცხოვრობდა.

ექვთიმე მაშინ ოთხმოცდაორი წლის
მოხუცი იყო, ჯანმრთელობას უჩიოდა,
ხშირად ავადმყოფობდა. უკანასკნელად
გაცივდა ვერსალის ბიბლიოთეკაში სა-
ქართველოს განძეულის აღწერის დროს.
მაშინ ბიბლიოთეკა არ თბებოდა. ექვ-
თიმემ კოლექციების მხოლოდ ნაწილის
აღწერა მოასწრო, შემდეგ კი ამირანაშ-
ვილმა განაგრძო მისი დაწყებული საქ-
მე. სიების შედგენისა და შეჯერების
შემდეგ ყველა ნივთი საგანგებოდ შე-
ფუთეს და ყუთებში ჩაალაგეს. ამ პუ-
შაობაში მონაწილეობდნენ საფრანგეთ-
ში მყოფი ქართველი პარტიზანები.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მთავ-
რობამ საქართველოს განძეულის კონ-
ფისკაცია მოახდინა, როგორც უპატრო-
ნო ქონებისა, ექვთიმემ არ იცოდა ნივ-
თების ბედი და, როცა გაიგო, რომ ყვე-
ლაფერი ხელუხლებელი აღმოჩნდა, დი-
დად გაიხარა და ერთხელ კიდევ შეუთ-
ვალა მადლობა მუსეე პიერ დოკონს.

ამირანაშვილმა და შარია პარიზში
ყოფნის დროს მრავალი ლექცია-მოსხე-
ნება წაიკითხეს. ამ ლექციებმა და საუ-
ბრებმა არა ერთ ქართველ ემიგრანტს

აღუქრა სურვილი სამშობლოში დაბრუ-
ნებისა.

თხუთმეტი თებერვლისათვის განძეუ-
ლის აღწერა-შეფუთვის სამუშაოები
უკვე დამთავრდა. დაიწყო გამგზავრების
თადარიგი, მაგრამ პანიკამაც იპაჩა.
არავითარი გარანტია არ არსებობდა
იმისა, რომ განძეული და მისი მეგზურე-
ბი თბილისში მშვიდობიანად ჩააღწე-
დნენ. ჯერ ზომ ისევ მძიმვარებად მეო-
რე მსოფლიო ომის ცის მეკობრეებს
დაუსჯელად შეეძლოთ განძეულით და-
ტვირთული თვითმფრინავების გატა-
ცება.

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, აპრი-
ლის დამდეგს მოსკოვიდან მოფრინდა
სამი თვითმფრინავი. ერთი მათგანი დაი-
ტვირთა საბჭოთა საელჩოს საარქივო
მასალებით და მოსკოვში გაიგზავნა.
როგორც კი პარიზში ცნობილი გახდა,
რომ თვითმფრინავი მშვიდობით ჩაფ-
რინდა მოსკოვში, მაშინვე დაიტვირთა
დანარჩენი ორი თვითმფრინავი განძეუ-
ლით.

ექვთიმემ მანანა მკედლიშვილი იახ-
ლა და ლევილში მეუღლის საფლავი
მოინახულა. სინანულით დაემშვიდობა
მოხუცი თავისი ცხოვრების ერთგულ
თანამგზავრს; საფლავთან მუხლმოყრი-
ლმა ბატემა თხოვა მეუღლის აჩრდოს,
რომ ვერ უსრულებდა ანდერძს და მის
ძვლებს სამუდამოდ ტოვებდა სამშობ-
ლოდან დაშორებით — უცხოეთის მი-
წაზე.

შინდაბრუნებულ დასევდიანებულ
მოხუცს მანანამ და სხვა ქართველმა ქა-
ლებმა ჩემოდნებში ჩაულაგეს ტანსაც-
მელი, თეთრეული და წიგნები.

მოულოდნელად ექვთიმემ უარი თქვა
სამშობლოში გამგზავრებაზე. ასეთი
საქციელი ზოგმა მოხუცის ახირებად
მიიჩნია, ზოგამაც ცოლთან სამუდამო
განშორების სიმძიმედად, მაგრამ არც
ერთი აღმოჩნდა მართალი და არც მეო-
რე. ექვთიმეს თურმე სულ სხვა სატი-

ელიზაბა უნილია
ვანაძის ვაჟი



ვარი უღრღნიდა გულს — როგორ გამოჩენილიყო თანამემამულეებში, როცა ერთი ხეირიანი კოსტიუმიც არ ჰქონდა. გვიან გაიგეს საბჭოთა საელჩოში, რომ განძეულის გუშაგი ყველაზე ბოგანო კაცი ყოფილა მთელს პარიზში; გაიგეს და მაშინვე დატრიალდნენ, თანხაც სწრაფად გააჩინეს, მაგრამ კოსტიუმში? ვერსად კოსტიუმი ვერ იშოვეს. ნაცისტების ნაბატონარ პარიზში თითზე გადასახვევი ფართლეული არ მოიპოვებოდა. ოდესღაც ფარჩელით გამოტენილი მაღაზიები და საქულებაცოები შეკუბოეთა უბადრუკ სახელოსნოებს დამსგავსებოდა.

მეგზურებმა ითავეს, ქაიროში ან თეირანში შეემოსათ მოხუცი... ორმოცდახუთი წლის აპრილის დამდეგს ორი თვითმფრინავი აფრინდა პარიზის ბურჟეს აეროდრომიდან. ექვთიმე თაყაიშვილი პარიზიდან თბილისს მოფრინავდა საქართველოს დელეგაციასთან ერთად, თან მოჰქონდა მეოთხედი საუკუნის წი-

ნათ აქედან გატანილი და ერთ-ერთი უპატრონოდ დარჩენილი განძეულის.

პარიზიდან ხუთ აპრილს აფრინდები მეშვიდე დღეს, თერთმეტ აპრილს, თბილისის აეროდრომზე დაეშენენ.

ღრმად მოხუცი, თეთრი წვერ-ულვაშით შემოსილი ექვთიმე, რომელსაც თბილისის აეროდრომზე უამრავი თანამემამულე ელოდებოდა, კოკლობით ჩამოვიდა ტრაპიდან. შეხედა საქართველოს ცას და მიწას, მის შესახვედრად მოსულ მოზღვავებულ ხალხს თვალი შეავლო, სიხარულის ცრემლმორეული, ხელების ქნევით შორიდან მიესალმა მათ, მერე ცალი ფეხით ჩაიმუხლა, მშობლიურ მიწას ემთხვია და დამკნარბაგეებთან ჩურჩულით მოწყდა ტანჯული სულისა და გულის თანაზიარი სიტყვები:

— კვლავ შენთანა ვარ, მიწავ მშობლიურო, შენი განძეულის ერთგული გუშაგი! „სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო“.





ახალი სახელები

მერაბ მებრეველი

მუსიკოსები

ბავშვობისას ჩვენს ეზოში ორი
მოხეტიალე მუსიკოსი შემოდისოდა

ვით ატმის ყვავილს
 უცაბედი მონუსხავს ყინვა,
 გვეკუმშებოდა პატარა გული,
 როცა სიცილით სავსე ეზოში
 ორი მოხუცი ჟრუანტელად შემოდისოდა
 და ვიოლინოს, ფერგაცვეთილს მზეში და ქარში,
 მხიარულება სიკვდილივით ჰქონდა მისჯილი —
 თავს ვანებებდით ფეხბურთის თამაშს,
 გვაფიწყებოდა ტკივილი წვივის
 და სიძულვილით ავცქეროდით დაკმტილ ფანჯრებს.
 იყო წყალობაც —
 მზე ღრუბლებში გამოკრთომილი,
 იყო ტკივილიც
 და ხიხარულიც
 და რამდენიმე ხანმოკლე წუთით
 შეწყდებოდა ჩვენში ბავშვობა.

და ახლა როცა, ჯადოქართა კონცერტებს ვისმენ,
 ამ ღვთაებრივი ხმების ზეიმში
 მე იმ ნაღვლიან მელოდებს ისე დავეძებ,
 ვით გაშლილ ზღვაში მშობლიური მდინარის ტალღებს.

მლოცველად არ ვარ შემოსული მე ამ ტაძარში,
 არც ტაძარია ეს სამზეო,
 არამედ იგი გზაა მძიმე —
 დაუსრულებელ ტანჯვისა და შემოქმედების...
 და სული ჩემი ანთებული ღვთაებრივ ცეცხლით.

მლოცველად არ ვარ შემოსული მე ამ ტაძარში.

არ მოგელოდი, გაცისკროვნდა უცებ ბუნება —
დაჭრილ სხეულში ჩამედგარა იის ფერებად
და მიხაროდა შენი ყურება
ცალმხრივი ტრფობის ცრემლიანი ბედნიერებით.
ვერძნობ, შენი გული დაცულია მავთულხლართებით;
რამდენი რამე აღმართულა ჩვენ შორის მთებად
და მაინც სულში მკრთალად ნათობს ერთი სანთელი, —
„ყველაზე ბოლოს, კაცში თურმე იმედი კვდება“.

მთვარე ამოსხლტა ცაზე ანაზდად,
გაიწკრიალა ვერცხლის წყარუნით,
მერე ცარგვალი ისე განაზდა,
თითქოს წასცხვოს ფერუმარული.

მიწა გადიქცა ჩრდილად და შუქად,
ქარმა ხევეებში კპოვა საფარი
და მთის კალთაზე ოდა თუ შუკა
მოსჩანდა, როგორც თეთრი ზდაპარი.

ბაბიასა და ბაბუას ხსოვნას

იყო თუ არა, იყო თუ არა,
იყო და იქცა ზმანებად,
მომავონდება, იყო თუ არა
იყო და დამენანება.

იყო, წავიდა და იქცა არად,
ის აღარაფერს ითხოვს, —
დრო ყველა ტკივილს თითქოსდა ფარავს,
ნხოლოდ და მხოლოდ თითქოს.

ქ ა ლ ლ ი

ქვაფენილს აჩნდა, ვით მძაფრი ჩრდილი.
ძლივს მიედწია მაღალ კიბვამდე
და გამოსულნი ადრიან დილით
მის უნებურად პირს არიდებდნენ.
სხეულით სვამდა ზამთრის მზის ნალევს
ნამცივები და ნაიარევი
და შესცქეროდა გამვლელთა თვალებს
გაგიჟებამდე წყნარი თვალებით.

ის ააგლიჯეს ქუჩას და ერთი
სიცოცხლე ზეცის ნათელს გაყარეს
და ნაკვალევმა სისხლიან ფერდის,
თითქოს ჩვენ სინდისს ჩასცა ლახუარი.
უმალვე ჩაქრა ხმა განწირული
მღეროდა ქუჩა ჭრელი და ფართო
და პაწაწინა ნატეხი პურის —
ვედო ძაღლივით საბრალოდ მარტო.

უსასრულობიდან
უსასრულობისკენ
მე მივემართები სიცოცხლის გავლით,
უბეში ჩაკრული ჩიტით მიმყვება
შენი სიყვარული და შენზე ჯავრი!

ჩემს კატარა თათიას

რომ დაიბადე,
ციურ მნათობთა ენერგია განიბნა ჩემში
და ხელთათმანი ვესროლე სიკვდილს.
მზეზე ნათელი,
თოვლის ფიფქზე სულ ოდნავ მიმიგე,
შენა ხარ ფარიც და მახვილიც,
მარადისობას რომ შვევულეწ ფოლადის კარებს
და უკვდავებას ხელს შევახებ, ვით ყურძნის მტევანს.
რომ დაიბადე —
ბნელ ოთახში აინთო ჭადი
და ხელთათმანი ვესროლე სიკვდილს.



შუალამისას ანუ თოჯინა ვიტრინაში

როგორ ბრძანდებით, დედოფალო დიდი მინდვრების,
 როგორ ბრძანდებით.
 ხომ არ მოიწყენს სასასლე თქვენი ამ შებინდებით,
 ან შელამებით.
 როგორ ბრძანდებით, დედოფალო დიდი მინდვრების,
 თქვენს საუფლოში სიხარულის და მწუსარების
 ტახტსა ვინ ჰკიებს.
 ხომ არ წარსტაცეს ჟინი მზის და გარდაცვალების
 თქვენს საბრძანისში ვარდებს და იებს.
 როგორ ბრძანდებით, დედოფალო დიდი მინდვრების.
 ხომ არ დაკარგეთ ნიჭი ცრემლის და აღტაცების
 (მე მასსოვს ადრე ვით გამკობდათ ცრემლი თბოლი).
 ხომ არ მოდიან შუალამით რინდი კაცები,
 ხომ არ გკადრებენ რამეს უღეთოს, რამეს მოგონილს.
 როგორ ბრძანდებით, დედოფალო დიდი მინდვრების...
 თქვენს სასასლეში ხვალ იმღერებს ზეცის ორკესტრი,
 მოგრთავენ ალბათ, აღმასით და იაგუნდებით.
 თქვით, დედოფალო, გაგართოთ თუ უკვე მოგბეზრდით,
 თქვით, დედოფალო, და არასდროს არ მოგბრუნდები.
 ნახვამდის, დიდო ქალბატონო დიდი ველების,
 ნულარ მოიწყენთ, ხვალ გიმღერებთ ზეცის ორკესტრი.

ფ. მაჭორაშვილის ხსოვნას

მალა, მთას მოდგება ნაისრალი
 ხარი და ნეტავ რა მოუხდების.
 ცოდო სიკვდილისად აი, ის არი,
 ვინც მარტო თავის დედას მოუკვდების.

შვიდ სულ, შვიდ მხედარი მოისურვა,
 წყალთა მებატრონიემ დიდი მთების.
 შავად მოურთიათ შვიდი სურა,
 მეშვიდე ნეტავ ვინ იქნების.

შვიდი ღლის მთვარეს წაიღებენ,
 კუბრის მდინარენი არამშვიდნი,
 შვიდ დღეს, შვიდ ღამეს მოილხენენ,
 სულთა მეუფენი არავს შიგნით.

მალა, მთას მოდგება ნაისრალი
 ხარი და ნეტავ რა მოუხდების.
 ცოდო სიკვდილისად აი, ის არი,
 ვინც მარტო თავის დედას მოუკვდების.

მე წარმავალთა შურისგებამ წამლეკა ღამის,
ცეცხლი, რომელმაც უნდა დამწვას, უკვე აენტო.
თუკი მარტოდენ ბინდი ვარ და სიზმარი ღამის,
მიწაზე მიწა რად დავდივარ, მაღალთ ღმერთო.

მე წარმავალთა შურისგებამ წამლეკა ღამის,
აწ ათას ერთი ღამის ზღაპრით უნდა გავერთო,
რომ ელვარება ჩემი დარჩეს ამ ერთი ღამის,
ცეცხლი, რომელმაც უნდა დამწვას, უკვე აენტო.

ღამის-გაფიქრება

ვთქვათ და ყვაეებმა, ანდა ყორნებმა
როგორც მრავალმა ჩვენთაგანმა
თავის ადათზე აიღონ ხელი;
და მყრალი ღემის მაგიერად
მყრალი სულელების იწყონ ძებნა
დამშეულებმა,
მაშინ რამდენის აიგანზე დაუყოვნებლივ
ჩამოსხდებოდნენ დამშვიდებულნი.

დაღაი

მღიმარე უმზერი მზეს,
გინდა სულ მღეროდე და რაა.
ერთ უმშვენიერეს დღეს,
აღმართზე გეტყვიან: „დაღაი“,
ვიღაცა ჩაიცვამს შავებს,
ვიღაცას წუხილი შემლის,
შერისხავს სიკვდილის ქავებს
მსუბუქი სიკვდილი შენი.
დაგრჩება უმთვარო ღამე,
დაჭკნება გზის პირად ლელი.
ინატრებს დაგესლილ წამებს,
ვინც წარსულს ამაოდ ელის...
რა ძლიერ ეტრფოდი მზეს,
გინდოდა გემღერა და რაა;
ერთ უმშვენიერეს დღეს
აღმართზე მოგძახეს: „დაღაი“.



შპრინე ნიკორი

ხ ვ ლ ი კ ი

მირი ხვლიკი შემოუჩნდა უთვის-
ტომო შიოს. ერთხელ, ვენახში მუშაობის
მერე, პურის ჭამისას შეაკერდა... ში-
ომაც ლუკმა უწილადა და მას მერე
შიომ იცოდა, რომ სოფლის ბოლოს,
ვენახში ხვლიკი ელოდა. შიოც მიდიო-
ოდა, არასოდეს დაულაღატიანებია
ხვლიკი...

ზამთრის პირს, როცა სოფლისათ-
ვის თბილი კერის იქეთ აღარაფერი
და არავინ იყო, შიომ იცოდა, რომ სოფ-
ლის ბოლოს, ვენახში, ხვლიკი ელოდა
და ისიც მიდიოდა.

ერთი მიწური ჭოხი ჰქონდა ჩადგმუ-
ლი ვენახში შიოს. მივიდოდა, ცეცხლს
დაანთებდა, ცეცხლზე ქვებით წყალს
შემოდგამდა, თავად ფიცრის ტახტზე
მოირთხამდა ფეხს და წითელი წიწაკის
ასხმას იწყებდა. ცოტა ხანში ოთახში
პიტნის სუნი დატრიალდებოდა... შიო
პიტნიან ცხელ წყალს დაღევდა, წი-
თელი წიწაკის ასხმულას კედელზე და-
კიდებდა და ისეთი განწყობა დაეუფ-
ლებოდა ხოლმე, როგორც მეზობლიანთ
მიტუას, როცა ის სანოვაგით დატვირ-
თული მანქანით მიადგებოდა თავის
ორსართულიან სახლს, საიდანაც აფივ-
ხივებულო ცოლ-შვილი და ღედ-მამა
გამოეგებებოდა...

გვიანი შემოდგომის იმ სუსხიან
დღესაც, ხვლიკისათვის ხელსახოცში
გამოკრული სასმუსნავით გავიდა სახ-
ლიდან ორმოც წელს ვადაცილებული

შიო და სოფლის ბოლოში გასული, ქა-
ლის კვილიმა შეაყენა...

სირბილით გამოუყვია უკან ვზას, სო-
ფლისაკენ...

მეზობლის ქალს, ფოფოს ქმარყოფი-
ლი მივარდნოდა და მწარედ ეცემა...

ფოფოს ეზოში კი იდგა ერთი ხმა-
ურ-ყაყანი ჭირმოზიარეთა თუ სეირის
მაკერალთა...

ბოლოს რომელიღაცამ თქვა: — ვაი
თუ კიდევ მობრუნდეს ის მხეცი. ამ ქა-
ლის მარტო დატოვება არ ეგების, ცო-
ლოაო, კაცი უნდა დარჩესო. — სხვებ-
მაც მხარი აუბეს...

მიტომ — „ცოლ-შვილი მელიოდება,
ვერ დავრჩებო“: გოგიამ — „ამაღამ
ბალღი ჩამომდის, უნდა დაეხვდეთ“;
შაქრომ თქვა: „სამსახურში მივიდი-
ვარ“—ო და სხვამ კიდევ სხვა.

— შიო, შიო დარჩეს! ცოლი მავს
არ აწუხებს და სამსახური — ლაღად
გაშალა ხელი მიტომ.

— ჰო, რაღა. შიო, კაცო, დარჩი და
მიხედე ამ ქალს! ნატო მოუელის და
შენ კიდევ არავის დააჩაგვრინო ქალე-
ბი! — თქვა შაქრომ და წასასვლელად
შეაბრუნა თავისი ღედაკაცი.

— „კი, მაგრამ ხვლიკი?!“ — კინაღამ
წამოსცდა შიოს...

...და დარჩა იმ დამეს შიო ქალე-
თან... იჯდა ცეცხლთან, აბოლებდა პა-
პიროსს პაპიროსზე და თავის ხვლიკზე
ფიქრობდა: „რომ მოკვდეს?! უჭმედო...

ბით ან ლოდინითაც შეიძლება მოკვდეს ხელიკი!" — წამით დაიჯერა შიომ ხელიკის სიკვდილი და წამოხტა... გათენებამდე დაბორიანდებდა ოთახში...

როგორღაც დაადგა საშველი გათენებას, შიომ ქალებს მოუბოდიშა, ცხირსახოცში გამოკრული სასმუსნავით უბე გამოიბერა და სირბილით დაადგა გზას ვენახებისაკენ...

— შიო, კაცო! — უკბილონათ გადასხვევითან შეაყენა ხმამ — მომეშველე, თუ კაცი ხარ! — პირმოკრულ ტომარაზე მიუთითა ბერიკაცმა...

შიო მიუახლოვდა:

— ნეტა სად იარებოდი, ბერიკაცო, შუალამეს?! ხო ხედავ, აღარ შეგიძლია — ტომარა მოიკიდა ზურგზე...

— რა ვქნა, კაცო... საჭირო რთა, თორემ... — ჯიბეებში ჩაიწყო ბერიკაცმა ხელები და მადლობა-ბოდიშით მიჰყვა უქან.

— აგაშენებს ღმერთი! მოდი ახლა, თითო გადავკრათ!

— არა, მეჩქარება!

— ნეტა შენა. ახალგაზრდა კაცი შენა ხარ, ოჯახი არ გაწუნებს და ჩემსავით ლუკმაპური არ გიჭირს — ნეტა სადღა გეჩქარება?! მოდი, გადავკრათ! — მოხუცმა ბოთლი და ჭიქები ჩამოაწყო მომცრო მაგიდაზე.

— ღმერთმა გვიშველოს! — შიომ ჭიქა გამოცალა, ჭუდი ჩამოიფხატა და წამოდგა.

— მოიცა, კაცო!

— მეჩქარება!...

სანამ მოხუცი მაგიდიდან კარამდე მივიდოდა, შიოს კიდევ გაევაკებინა...

„აღარც მარჯვნივ გადავხვევ, აღარც მარცხნივ... ჩემი ხელიკი, ჩემი თვალბეგამოკრული ხელიკი... არა, არა, არ მოკვდებოდა!“ რაღას არ ფიქრობდა ვაქცეული შიო — „აე უკბილონათ გადასახვევიც გამოჩნდება და მერე ვენახებიც დაიწყება“ — თვალებით ჭამდა შიო მანძილს...

ციოდა. შიოს უტეხ თვალთ დაუბნელდა და მიწაზე მოწყვეტით დაენარცხა...

— ადე, შენი! — ფერდი აუწვა ჯმუხი კაცის წიხლმა.

შიო მუხლებზე წამოჯდა და წინ აღმართულ კაცს ახედა, რალაცის თქმა დააპირა და წიხლი ახლა ყბაში მოხვდა...

— წადი, ეხლაც წადი ფოფოსთან! აჰა, აჰა კიდევ შენი!...

...ტივილიმა არ მოანაცვლებინა გვერდი. ისევე დარჩა და თვალი მოავლო ოთახს — „ნეტა ვისთანა ვარ? — ჰო, მიტუასთანა ვყოფილვარ“.

— შექამ რამეს? — ოთახის შორეულ კუთხეში მომღიმარი ქალი შარვალს აუთოებდა.

— მიტო სადღაა? — კითხვა შეუბრუნა შიომ.

— ყველანა ქალაქში წავიდნენ უთენია, სასყიდლებზე.

— ჰოო. — ტივილის გაუძალიანდა და წამოჯდა შიო. — მეც წავალ!

— სად წახვალ? — ხმაურით დადო ქალმა უთო. — მიტოს ეწყინება. ფეხი არ მოაცვლევიანო ჩემს მოსვლამდე.

— მადლობთ. ძალიან კი მეჩქარება, რომ არ წავიდე, არ იქნება.

— ვერსად ვერ წახვალ! — გაწყრომით მოიკაზმა ქალი და შიოს მხრებზე ოღნავ უბიძგა. — დაწექი!

განიერ ბეჭებზე ბელურებივით ჩამოსხნარმა ორმა თბილმა ხელმა მორჩილად მოასვენა შიო სასთუმალზე... კაცი კითხვით ააჩერდა ლოგინზე ჩამომჯდარ ათქვირებულ ქალს, ამან ცოტა დააბნია ქალი და...

— ჰო, სად უნდა გეჩქარებოდეს-მეთქი?! — ქალი საუთოოსაკენ წავიდა და შიომაც დაუჭერა ნათქვამი.

შიო წამოჯდა.

— ტანსაცმელს თუ მომცემ, სიკეთეს იხამ.

— ამ წუთას! — მკაცრად თქვა ქალმა. ტანსაცმელი მიუტანა და გავიდა.

შიომ ჩაიკცა. ცოტა ხანში ქალიც შემოვიდა. კაცისათვის არც შეუხედავს — უთოობა გააგრძელა.

მარიონ ნიჰარი
მოთხრობები



— დიდრ მაღლობა. შიტოს შქმოვუკ-
ლი და ბოდის მოუხუხდი, რომ არ დაგ-
რჩი, — შიომ კარი გამოსხნა და
ზღურბლს გადაცილებული, ქალის ნათ-
ქვამმა შეაყენა:

— შიო, მთელი სოფელი ამბობს შე-
ნზე მთლად დალაგებული ვერ არისო.
მე ერთადერთი ვიყავი, ასე რომ არ
ვფიქრობდი. შიო სხვანაირი კაცია-მეთ-
ქი, ყოველთვის ამას ვფიქრობდი.

შიო შემობრუნდა... თვალბში შეა-
ჩერდა ქალს... ამჯერად აღარ დაიხია
ქალმა უკან და კაციც წაეგანა.

ნაშუადღევს, ჯიბეში ხელგებჩაწყობი-
ლი შიო დინჯი ნაბიჯით დაადგა გზას
ვენახებისაკენ. უკბილოანთ გადასახვე-
ვთან გაახსენდა, რომ ხელიკთან მიდი-
ოდა...

...შიო ისე სწრაფად აღმოჩნდა ვე-
ნახთან, რომ უკან მიიხედა „მეჩინოვე-
ლი ვენახში, თუ სოფელში ვარ და ვე-
ნახი ამოვიდა ჩემთანო?“ მერე თავის
ნაფიქრალზე ჩაეღიმა და თვალი მოავ-
ლო განძარცვულ არემარეს — მკედარ
ხელიკს დაუწყყო ძებნა...

უცებ, ფეხთან რალაცის სუნსული
შეიგრძნო. ჩახედა, ხელიკი იყო.

გაეხარდა, ჩაქდა და მიეფერა... უბე-
ში ხელი შეიყო და სასმუსნავი მოი-
ძია...

მიწურ ქობში, ფიქრის ტახტზე ფეხ-
მორთხმული შიო კარგახანს ფიქრობდა
— სად დარჩა ხელსახოცში გამოკრული
სასმუსნავი, მაგრამ ვერაფრით ვერ გა-
იხსენა.

ბ მ ი რ ე ბ ი

— დედა, მამა კიდევ არ მოსულა?

— არ მოსულა, შვილო, წადი, და-
წყეი!

— სად იქნება თუ იცი?

— დათვრებოდა სადმე, დაწყეი, წა-
დი!

ათოდ წლის ბიჭმა ძილმორეული
თვალბები მოისრისა, თავის ოთახისაკენ
შებრუნდა... საბანი წაიფარა და მამა-
ზე დაიწყო ფიქრი...

ბიჭს მოხუცი მამა ჰყავდა და ეს რა-
ღაცნაირად ნაღველს ჰგვრიდა. მამა
ხშირად სვამდა, სხვა მამებზევით არას-
ოდეს არ ჰყვებოდა „უცნაურ“ თავგა-
დასავლებს; არასოდეს მოუყვლია რამ-
დენი ბიჭი გაულახავს და ამით რამდენ-
ნი გოგოს ვუღი მოუგია. ხანდახან, რო-
ცა მამა უწინდელ დროზე რამეს ეტყო-
და შვილს, შვილი შეეხვეწებოდა ერთ-
ხელ თბრობისას დაცდენილი ამბის და-
სრულებას:

„— მამიკო, ერთი ის მომიყევი, დუ-
ქანში შენ და ნიკა ძიამ რომ ჰამეთ,
სვით, მერე ფულის გადახდაზე რომ
უარი თქვით და... მერე, მამიკო, მერე? —
მერე ნიკა ძიამ მკლავები დაიკა-

ბიწა და... დუქანში კაციშვილის ჰაქანე-
ბა აღარ იყო.

— შენ, მამიკო?!

— მე? რა ვიცო... ნიკამ დამიძახა და
გავიქეცი.

— მამა, ნიკა ძიამ რომ მკლავები
დაიკაბიწა, შენ? შენ რაღა გააკეთე?

— მე?

— ჰო!

— მერე დუქანში კაციშვილის ჰაქა-
ნება აღარ იყო, ნიკამ დამიძახა და ში-
ნისაკენ მოვუსვით“.

რამდენს არ ეხვეწებოდა ბიჭი, მაგ-
რამ მამას ვითომ არ ესმოდა, რას თხო-
ვლობდა მისგან შვილი, ათასჯერ უმეო-
რებდა ერთსა და იგივეს.

როცა ბიჭები ათასგვარ ტყუილ-
მართალს ყვებოდნენ მამებზე, ისიც
ყვებოდა ათიათასჯერ მონაყოლს სიტ-
ყვის უცვლელად: „მერე ნიკა ძიამ მკლავ-
ვებს დაიკაბიწებდა და დუქანში კაცი-
შვილის ჰაქანება აღარ იყო“.

— მერე? მერე, მამაშენი?

— მერე ნიკა ძიამ მამაჩემს დაუძახე-
ბდა და გარბოდნენ.

— მერე მამაშენი?!

და ბიჭიც ჯიუტად, ათასჯერ იმეორებდა იმას, რასაც მამა უყვებოდა.

— ბიჭო, მამაშენი იმალებოდა ხოლმე?

— ეს არასოდეს უთქვამს მამას!

— რას იტყვის?! ჰა, ჰა, ჰააა... — და ბიჭები ხარხარებდნენ.

ბიჭი ისევ გამოვიდა დიდ ოთახში:

— არ მოსულა?

— არა. წადი, დაწექი!

ბიჭი შებრუნდა და... — მძიმედ შეძრღვეულ კარში სუსტი, ტანმორჩილი კაცი შემოვიდა. კაცს თვალი დაბუშტოდა, ცხვირი გაბიჯვინებოდა და ჩამოგლეჯილ პერანგზე სისხლის ლაქები დასჩენოდა...

ქალს ტყვიელმა შეუტოკა სახე: ბიჭს თვალები გაუფართოვდა, მერე რალაც აინთო მათში, გადიდდა, გადიდდა და — ენით მოილოკა ტუჩიდან მლაშე წვეთი:

— მამა, იჩხუბე?! — და იყო ამ ძახილში თანაგრძნობა, ვაკვირვება და ყველაზე მეტად აღტაცება.

— გამლახეს. — კაცმა დასივებულ ტუჩები ოდნავ შეარხია — გაღიმება სცადა.

— ბევრნი იყვნენ?

— ბევრნი.

— ერთი ორჯერ მაინც ზომ მოართყვი?

— არ მახსოვს...

— მამა, მამიკო, იჩხუბე?!..

— წადი, დაწექი! — უბრძანა ბავშვს დედამ და აბურტვნილი თმა გაუსწორა კაცს.

ბავშვი მორჩილად შებრუნდა თავისი ოთახისაკენ; საბანში ჩაძვრა და ტოლებს მოყოლა დაუწყო... კარგახანს მერე ბავშვმა ხმამალა, ყვირილით იკითხა:

— მამა, იჩხუბე?!

— გამლახეს! — გაიცინა მამამ.

— ბევრნი იყვნენ?!

— ბევრნი.

ბავშვმა საბანი წაიფარა თავზე და აბურტვტდა: — „ბევრნი იყვნენ, ბევრნი“...





22 წლის

კოეტს

60 წელი

შეუსრულდა

აბ დამავიწყდება ის დღეები, როცა პირველად ნიკა აგიაშვილის „ჭაბუკები დარჩნენ მარჯვ“ წაუკითხე. ამ შესანიშნავმა წიგნმა სამუდამოდ გამიცოცხლა თვალწინ—ომში დაღუპული ახალგაზრდა პოეტების შთამბეჭდავი სახეები. ყველა თანაბრად შემიყვარდა, ყველა თანაბრად შემიპრაღა უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის გამო. მე აღარ ჩამოვთვლი მათ სახელებს, მათ მთელი საქართველო იცნობს, მათი სიცოცხლე თაობიდან თაობაში გრძელდება.

პირველკურსელი ვიყავი გიორგი ნაფეტვარიძის ლექსებს რომ გავეცანი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. საოცარი უშუალობა, პირველყოფილი სიწმინდე, შინაგანი სითბო და ჭაბუკური სწრაფვა სიახლისაკენ — აი, რა ვიგრძენი მაშინ, გიორგი ნაფეტვარიძის ლექსების კითხვისას. ამ განცდას მისი მოთხრობები და ფრონტული დღიურები უფრო ამძაფრებენ. რამდენი სურვილი, რამდენი ოცნება დარჩა ადუსრულელები. ეს ერთი წიგნი ხომ ჭაბუკი პოეტის სანძოკლე ლიტერატურული მოღვაწეობის მხოლოდ დასაწყისს ასახავს, მხოლოდ დასაწყისს, დიდი გზა მერე უნდა დაწყებულიყო.

აღრე შეწყვეტილი სიცოცხლე პოეტისა მით უფრო დასანანია, როცა მის ერთადერთ წიგნს წაიკითხავთ, დასანანია, რადგანაც ბევრის, ძალიან ბევრის გაკეთება შეეძლო, თუმცა, რაც მოასწრო, იმითაც გაკვირვებას იწვევს და მკითხველის სიყვარულს იმსახურებს.

„ფრონტულ დღიურში“ პოეტი ერთგან წერდა: „მე არ მინდა ეს წერილი იყოს უკანასკნელი, მე მინდა დავწერო... ხელგამოღობი გესალმები შენ და ვამბობ, ნახვამდის, ქარიშხალი ჩაივლის, თუ ღირსი ვარ სიცოცხლის, გადავრჩები, თუ არა, მეპატიოს ყველაფერი“.

სამწუხაროდ იგი ვერ გადაზჩა, მისი წიგნი კი გადაზჩა. გიორგი ნაფეტვარიძე — 22 წლის ჯარისკაცი, გმირულად დაეცა სამამულლო ომში 1941 წელს.

გიორგი ნაფეტვარიძე-პოეტს სამოცი წელი შეუსრულდა. მოდით, კიდევ ერთხელ გავისხენით აღრეწასული პოეტი.

ბობო ალსაჯიშვილი



გაზაფხულის რომანტიკა

6. ა — ბ

მე მოვალ შენთან, როდესაც მდუმარ
ღამეს მოუხმობს ტბიდან გედები.
და ავტირდები შენს შეკრდზე ჩუმაღ
ჩემი გუბებით და იმედებით!..

ჩვენ ვივლით დიდხანს, გვიან ღამემდე,
დედა იჯაფრებს: საღ წახვედითო!
შენ დაიღლები, მხრებზე დამენდე
და მე წაგიყვან, ძვირფასო ტვირთო!

ჩვენ სიყვარული დაგვტანჯავს, ვიცი,
და უკურნელი დარდით შეგვებურავს,
დაბადებიდან მე ასე ვიწვი
და ისე ვქრები, არ ავნთებულვარ!

მომეტი გული! ამ შენს ბარათებს
შენი სიცოცხლე გამოჰყვეს ბარემ,
შენი ღიმილი მე კვლავ ამანთებს,
მო, ჩემთვის ღიმილს ნუ დაიზარებ!

ჩვენ ზღვა გვიშველის, მივინდოთ ტალღებს
და მშობელივით მიგვიღებს წყალი,
შიშით ნაპირზე მტირალ ჩვენ ბალღებს
ვეუშოვოთ ზღვაში ძვირფასი თვალი!..

მე მოვალ, ზღვაო, დედაო ქართა,
(ღმერთო, იმ ღამეს ნუ გაათენებ)
და ჩამოგიყვან, შენ რომ გიყვარდა,
უბით უცოდველ ციციანათელებს!

ს ა ღ ა მ ო

არ არის ღამე, არც ღლე არ ეთქმის,
მწუხრის ნიაგზე ჩურჩულებს ჩალა,
მთვარე წამოდგა აღმოსავლეთით
და ვარსკვლავები ჯერ არსად ჩანან.

დაიგვიანეს და მოკრძალებით
ელიან პირველ სხივის დაცემას,
ძირს ჩრდილებს ჰყრიან თეთრი ალვები
და მთვრალეზივით დაბარბაცებენ.

ღამე ბულბულეთან

მე დავდიოდი ბაღებში, როცა
შორი ვარსკვლავი ჰგავდა ბაიას,
ვესმენდი ვარდის საყვარელ მგოსანს —
დაუსრულებელ ტრფობის ბაიათს.
ჩამოღწა ღამე, ზეცის კიდური
გათბა, განათდა სხივით ცნოველით,

თვლემდა მგოსანი თაფნაკიდული
და ირეკებდა ქვეყნად ყოველი.
ხალხს სიმღერები უნდოდა კიდევ,
ხოტბას ითხოვდნენ ვარდის რგულები,
მე გაგვსენ შეკრდი და წამოფრინდნენ
ჩემი გულიდან დღის ბულბულები!

ვარდობის თვეა, ვარსკვლავს ვარსკვლავი
 ჰკოცნის, ეხვევა ტრფობით დილამდე.
 კენჭის ბულბული, ხმა გულსაკლავი
 მაისის ნიავს მიაქვს ბინამდე.

ო, მე ვიწვები, გული ოხერი
 აღარ ისვენებს, აღარ დუნდება.
 ძვირფასო, ისე გვიან მოხველი,
 ჩემი ბავშვობა არ დაბრუნდება!

მე შენზე ვფიქრობ, ღამეს ვათენებ,
 ასეთი განცდა ჯერ არ მქონია.
 ესოში დაქვეთ ციციანთელებს
 წვის და ჩაქრობის მელანქოლია.

ჯერ შენ ბავშვი ხარ, კარგო, სრულიად,
 გიკითხავ ბესიკს და გეცინება.
 სანთელს ანთებენ, მზე ჩასულია
 და უღარდელად დაგეძინება.

უსათაურო ღმერთი ურინდიდან

ჩავიდა მზე და ღამემ გარემოს
 მოჰხვია ნისლი, როგორც წარსული,
 ხე მომძახოდა: — შემეყვარო, —
 ხე რტოდახრილი და გაძარცული.

ჩავიდა მზე და ქართლის მიდამოს
 დაადგა მხრებზე მთის იდილია,
 ქარი მეძახდა: — რა მოგიტანო,
 სატრფოს წერილი თუ სიკვდილით.

და ღამით, ცეცხლთან, ფარაჯიანებს
 გვეჭონდა სიზმარი, უძილოდ, ფხიზლივ,
 მიწას ვახვევდით გულის იარებს
 მიწის ნაშობნი და მიწის ღვიძლნი!

ჩვენ ველით, ჟამი დარეკავს მალე,
 მრისხანე რისხვად ფეხზე დაფდებით
 და თოფისწამლით გარუჯულ თვალებს
 მხოლოდ ისევ შენ მოელანდები.

ვინ გაიგონებს, კიდევაც რომ ვთქვა
 დაჭირილმა, ხესთან, სახელი შენი,
 გაივლის ღამე, გაივლის ბოდვა,
 და გავა ასე მრავალი წელი.

გახსოვდეს: მინდვრად ფოთოლი მჭკნარი
 სუირნობის ჟამს როდესაც ნახო,
 ფეხს ნუ დაადგამ, ო, ცოდვა არი,
 ხელი არ ახლო, ხელი არ ახლო!
 ეს მე ვიქნები და შენი სუნთქვა
 საკმარისია, რომ ვიქცე ნაცრად.



პასტაჟი ბერიძე

ალექსანდრე ჯანელიძე

ალექსანდრე ჯანელიძე მამარეშის ახლო მეგობარი იყო, მეგობარი, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა და რომელსაც დიდად სტუმრად პატივს ჩვენს სახლში მისი სახელი ზნორად ის-სენიებოდა და ჩემს ბავშვურ სამყაროში მან ჭერ კიდევ მანამდის დამკვიდრა ადგილი, სანამ მისდამი საკუთარი დამოკიდებულება გამომი-მუშავდებოდა.

პირველი რეალური მოგონება დაკავშირებულია წიგნებთან: ეს არის ორი თხელი საბავშვო წიგნი „Le Bonheur des enfants“, მის მიერ გამოგზავნილი საფრანგეთიდან — ერთი ვასაფრადებელი ნახატებია, მეორეში — ფერადი ქაღალდებით შესავსები სურათები. ორივეს აწერია „ვატოს ბიძია ალექსანდრესაგან“ — ეს იყო წარწერით ნაჩუჭარი პირველი წიგნები ჩემს სიცოცხლეში. ორივე ახლაც შენახული მაქვს და დღესაც მასხვებს იმ დროს განცდილი სიხარული: მაშინ ექვსი წლისა ვიყავი.

მაგრამ არა ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მეორე წიგნმა, რომელიც ბ.ნ.მა ალექსანდრემ მამარეშს არუჯა: ეს იყო დიდი ფორმატის მძიმე წიგნი, რომელსაც ძლივს ვძრავდი ადგილიდან — მისი დისერტაცია „სპიტიცერასების“ შესახებ, გამოცემული, თუ არ ვცდები, 1922 წელს. ამ წიგნისა, ცხადია, მე ახლაც იმდენი ვამეგება, რამდენიც მაშინ ვამეგებოდა. მაგრამ ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა მისმა პირველ სოლიდურმა ვარტენტომაც, იმ ფაქტმა, რომ ის ფრანგულ ენაზეა დაწერილი და საფრანგეთშივეა დაბეჭდილი. ხოლო სრულიად გაუგებარმა სიტყვამ „სპიტიცერასმა“ მას შემდეგ ჩემთვის სავსებო, თითქმის მისტიკური, შინაარსი შეიძინა. როგორც შემდეგ შევითხვე, ჩემი მაშინდელი „ვარტენტული“, ბავშვური შთაბეჭდილება ბატონი ალექსანდრეს წიგნის შესახებ სავსებით შეესაბამებოდა მის რეალურ ღირსებას.

შემდეგი, კვლავ ბავშვობის დროინდელი მოგონება უყვარდნა თვის „ნამდვილ“, ცოც-

ხალ „ბიძია ალექსანდრეს“ — მის სტუმრობას ჩვენს სახლში. ზნორად მიფიქრია: ვის ახსოვს, რამდენი სტუმარი მოდიოდა ხოლმე შობაობებთან შორეული ბავშვობის წლებში, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ? და რატომ არის, რომ ზოგ ადამიანთან შეხვედრა მაინც ჩაგრება შეხსიერებაში სამუდამოდ? ალბათ თვით ბატონ ალექსანდრეს პირვინებას ახასიათებდა ისეთი თვისებები, ისეთი მნიშვნელოვნება, რომ ბავშვის შეხსიერებაც კი გამოჩნებით ინახავდა მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას. მე განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ერთი მოსვლა, როცა შინ ჩემ გარდა არავინ იყო, და მან რამდენიმე საათი გაატარა მართო ჩემთან, ცხრა თუ ათი წლის ბავშვთან. იმ დროიდან მახსოვს მის მიერ ნაშრომი რაჭული ხალხური ანეკდოტები და ჭეღვანელების ტბასთან დაკავშირებული გადმოცემები. მე ამას ვიგონებ იმიტომ, რომ მისთვის დამახასიათებლად მიმართა ბავშვებისაღმი ასეთი დამოკიდებულება, მათდამი ღრმა ინტერესი და გულისხმიერება.

იმთავის, ვინც ალექსანდრე ჯანელიძეს შორიდან ცნობდა, მისი ეს თვისება შეიძლება მოულოდნელი და გაუგებარიც კი იყოს, იმიტომ, რომ ბ.ნ.ი ალექსანდრე ვარტენტულად, ადამიანებთან ურთიერთობაში, ძალიან თავდობილი, რამდენადმე თითქოს „ჩაკეტილიც“ კი იყო, სრულიად არ ეხებებოდა სანტიმენტების გამომვლავლებას, მით უფრო უცხო იყო მისთვის ყოველგვარი სააღერსო სიტყვები და მანერები.

მაგრამ სწორედ ეს კონტრასტი, ერთი მხრე ვარტენტული „სიმკაცრე“ და „სიკვიცი“ კი, მეორე მხრე — ნამდვილი ადამიანური სითბო, ღრმად „შენახული“ ემოციურობა იყო, ჩემი აზრით, მისი, როგორც პიროვნების, დამახასიათებელი.

როგორც მოგესხნებოთ, ბატონი ალექსანდრე არ იყო მინდღამაინც „ადვილი“ კაცი ურ-



თიერთობისათვის. თუ გინდა წარმოიადგინო სრული ანტიოპიდი ისეთი ადამიანისა, რომელთანაც შეიძლება „იოლად“ გაეთდებ სპექტრ, რომელიც სასხვათაშორისად შეიძლება მოტიოდოს საქმეს, ისეთი ადამიანისა, რომელთანაც შეიძლება „არხებიანად“ იგარძო თავი, რომელთანაც შეიძლება თუნდაც რაღაც ფაშიზმისათვის ნება მისცე თავის, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ალექსანდრეს წარმოადგენ.

საქმისა და ადამიანებისადმი დამოკიდებულების, ყოველ თავის გადაწყვეტილებას, ყოველ ნიშნებს — არა მარტო საზოგადო მნიშვნელობის მქონეს, არამედ ნაკლებ მნიშვნელოვანსაც — ბატონი ალექსანდრე უდიდესი, შეიძლება ითქვას, აბსოლუტური პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ყოველი ნაბიჯი, ყოველი თავისი სიტყვა საყვებით აწონილ-დაწონილ, ბოლომდე გააზრებული ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ მისგან ვერც ერთ ფუტ, სხვათაშორის გამოთქმულ აზრს, სიტყვას ვერ მოისმენდი: მისთვის ყოველ სიტყვას წყნა და მნიშვნელობა ჰქონდა, და ყოველ მის სიტყვას, მის აზრს ძალაუფლებურად ანგარიშს უწყევდი, რადიო ეკიდებოდი. ასეთ ადამიანს ძნელად თუ შეაცდამდივინებ აზრს: ერთხელ იტყოდა და ძნელად თუ გადათქვამდა.

მის „მოგონებებში“ ძალიან მკაფიოდ არის მოთხრობილი, როგორ აღზარდა მან თავისი თავი, თავისი ნებისყოფა, როგორ გამოკვეთა თვითონვე თავისი პირადგნება: იგი წერს, რომ ლევ ტოლსტოის მოთხრობებში თვითდაკვირვებების ინტერესი და უნარი გაუღვივა; „ჩვევად გადაიშქვა საკუთარი მანქანების ჩხრეკა და ანალოგი“... მეორე ვანცე, ინვალისიდი უსიკოლოგის სმიალისის შრომებმა დააფიქრა ხასიათისა და ნებისყოფის აღზრდის საკითხებზე. „შესაძლებელია თუ არა, თავისთავის აღზრდა, შეიძლება თუ არა, ცნობილი ბატონ მიუნხაუზენის მსგავსად, საკუთარ ქორწინში ჩავივლო ხელი და საფლობიდან ამოვიტორო თავი-მეთქი? და ვფიქრობდი, რომ სმიალისის მართალი უნდა ყოფილიყო, ასეთი რამ შესაძლებელი უნდა იყოს“. და შემდეგ მას ნაშრომი აქვს ერთი საკვირველი მაგალითი საკუთარი თავის „დამღვისას“: ჩემი ხასიათის ერთ-ერთი ნაკლი იყო სინდროლის ანგარიშითუცემელი შიშო. ამის დასაძლევად მან — არც აცვივა და არც აცბეღა და — სრულიად მარტომ, დამით ფეხით გაიარა მთელი გზა ქუთაისიდან თავის სოფელ ნიკორწმინდამდე, ნიკორწმინდას დაავლით. რა თქმა უნდა, მაგალითი სხვაც ბევრი აქნებოდა. ამიტომ მას სრული საფუძველი ჰქონდა დაეწერა: „უფლება მაქვს ვთქვა, რომ მე არამიღვი წილად თავის შემქმნელი (selfmade) ადამიანი ვარ“.

ამ თვითაღზრდის გზაზე ბ-ნმა ალექსანდრემ, როგორც ჩანს, იმთავითვე, ჯერ სრულიად

ახალგაზრდად, მკაცრი კანონები და წარჩინება დაუწესა თავის თავს. და უნდა ითქვას, რომ ეს ჩარჩოებისათვის, ამ მკაცრი „რეგულაციებისათვის“ მას ბოლომდის არ უღალატებია. მას მუდამ ხელში ეჭირა თავისი თავი, არასოდეს არ „მოშვებულა“ და სხუებისგანაც ამასვე მოითხოვდა. და მართლაც, მასთან ურთიერთობის, საუბრის აღარა ყველა ძალაუფლებული „მოხილვებულა“ იყო, ყველა ცდილობდა თვითონაც აეწონ-დაეწონა თავისი ყოველი გამოხატულება. თორემ წინდაუხედავად ნათქვამ სიტყვას ბატონი ალექსანდრე არავის არ შეარჩენდა — მისი ხასიათის ამბავი ყველას კარგად მოეცხებებოდა.

და ბი ეს კაცი, ასეთი მოხარადებული და „საშინა“ — ემოციურად იყო და გულბოხილიც. ამისი მაგალითები ჩემზე უკეთ იციან მისმა მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა და თანამშრომლებმა, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი ახლობლების შესახებ.

ამის მშვენიერი მაგალითია მისი ხსენებული „მოგონებები“, განსაკუთრებით პირველი ნაწილი, რომელიც ბავშვობის წლებს შეეხება. აქაც დამახასიათებელი შესაძლება: ერთი მხრივ მოვლენათა არსული ანალიზური ჩაწვდომა, ანალიზი მკაცრად ლოგიკური და ზოგჯერ საკმაოდ დაუნდობელიც. მეორე მხრივ — სწორედ ემოციურობა. მხოლოდ გულმხურვალე ადამიანს შეეძლო ისე აუწერა რატიმ ძველი სოფელი, სოფელური სახლი და კარბაღი, რაჟის მშვენიერი ბუნება, როგორც ეს ალექსანდრე ჭანელიძის მოგონებებშია აღწერილი. მხოლოდ მხატვრული ხედვის უნარის მქონე, მხატვრული სახეობის მოაზროვნე ადამიანს შეეძლო შეეწინააღმდეგებინა ისეთი საყოფაცხოვრებო დეტალები — თითქმის სრულიად უმნიშვნელო, მაგრამ დამახასიათებელი — როგორცაა „ქორწინება“ დავით, ან ეშმაკის მოლოცვა ნახლის აივანზე, და სხვ. ან როგორ ცოცხლად, გამოკვეთილად არიან დაბატლენი ის ადამიანები, რომელნიც მას ბავშვობის წლებში სხვივინ ვარს...

ასევე, ბატონი ალექსანდრეს ემოციურობის, მოვლენებისადმი მძლავრად დამოკიდებულების მარწმუნებლად მიმაჩნია მისი „ურთიერთობა“ ხელოვნებისათვის. მისი ფართო განათლების ამბავი ყველამ კარგად იცის. ხელოვნების ნაწარმოებთა შესახებ მას საკაროდ არასოდეს არაფერი არ უთქვამს, მგონი, არც დაუწერია. მაგრამ თითო-ორი, ან უტოპიკური გამოხატულების მიხედვით შემოძლია დავასკვნა, რომ იგი კარგად იცნობდა ხელოვნებას და — მოავარი ესაა — „განვიღვიდა“ ხელოვნების ნაწარმოებს, ამას ვარდა, მისი ავტობიოგრაფიის მიხედვით, რომელიც „მოგონებებში“ გამოქვეყნდა, მას ნამდვილად ემარჯებოდა ზატვა.

აი ფრაგმენტი მისი წერილისა, რომელიც მან



1920 წელს, საფრანგეთში წიხავალია, რომიდან გამოუგზავნა მამიკინი:

„მეოთხედ დღეა, რაც რომში ვარ. გზადაგზა გამოვიარე ტრაპიზონდში. შემდეგ კონსტანტინოპოლში, სადაც მ დღე დავრჩით. ეს ქალაქი კარგად დავათვალიერე. აია-სოფიას, ბრწყინვალე სილღიმეანის და სხვა მინერების და სიძველეებს რომ თავი დავანებოთ, ვნახე სტამბოლის „უპარჩოლული“ ნაწილი, სანამ სხვები მუზეუმებს ათვალერებდნენ, სადაც კონსტანტინოპოლის დამახასიათებელი არაფერია არ არის, მე აქ დავებეტებოდი და თავი ათას ერთი ღამის წილარებში წარმომდგინა, სადმე ხალიფების დროის ბაღდადს ქუჩებში. ბევრი გინატრე, ჩემს აღტაცებას რომ ვერაფერს ვუწიარებდი.

ახლა რომს ვათვალერებ. ფორუმი, კოლონეუმე, თერმები, ნერონი, ტრაიანი ერთი მხრით, სან-პეტრო, ვატიკანი, მიქელ-ანჯელო, რაფაელი და სხვანი მეორით. თავი წარსულის დიდებითა მაქვს გამოჰქედლილი... სხვათა შორის: სან-პეტროს ბაზილიკაში გადმა ერთი ქანდაკების შესახებ გვითხრა: თანამედროვეა, ორი საუკუნისა იქნება“.

მას კარგად ახსოვდა პარიზის მუზეუმების ბევრი ექსპონატი — არა მარტო საქვეყნოდ ცნობილ მხატვართა ხუროთბძე, არამედ ნაკლებ სახელმწიფოებრივად ნაწარმოებნიც. ერთხელ ერთად ვათვალერებდით ლიუქსემბურგის მუზეუმის ალბომს — იმ წლებში, როცა ბ-ნი ალექსანდრე საფრანგეთში ცხოვრობდა, იქ ახალი ხელოვნების გალერეა იყო — და მან დაწვრილებითი შიამბო, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე იმპრესიონისტების თანამედროვე მხატვრის კაიბოტის სურათმა „პარკის მხეხელები“, რომელშიაც განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს სველ იატაკზე შხის სხივების ციმციმი.

ერთხელ კი, ჩემი სტუდენტობის დროს, ათეუნი პართენონზე ჩამომიგლო ღაპარაკი. აღტაცებით მიამზობდა მისი პროპორციების მარმონიულობის შესახებ. მე, როგორც თანამედროვე არქიტექტურის აღებტმა, ვუთხარი — მო, მაგრამ დღეს ხომ აღარ შეიძლება ასე ვაშენოთ-მეთქი... ღიმილით მიპასუხა — შენ რომ თვითონ გქონდეს ნანახი, შეიძლება ასე აღარ გეთქვაო. რა თქმა უნდა, იგი გულსისხმობდა არა შენობის კონკრეტულ ფორმებს, არამედ მის უმაღლეს მხატვრულ ღირსებას.

ეს ყველაფერი ჩემი სტუდენტობის წლების ამბავია. მაშინ მე ალექსანდრე ჭანელიძესთან დამავაჟშარებელი სხვა მათემატიკ გამიჩინა; ჩემი უახლოესი მეგობრები გიორგი ლომთაძე და კოტე ჭავჭავაძე უნივერსიტეტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე შევიდნენ და ამის შემდეგ მე

სრულ ინფორმაციას ვებულობდი ამ ფაკულტეტის ცხოვრების, მისი პროფესორ-მასწავლებლების შესახებ — სტუდენტებს რომ სხვივით თავისი მასწავლებლების „გაანალიზება“ და „განჭვრეტა“. ჩემს ამხანაგებს აშკარად უყვარდათ თავისი ფაკულტეტი, თავისი პროფესორები, დიდად აფასებდნენ ყველას, სწორედ ალ. ჭანელიძის მეთაურობით. მაშინ „დაუსწრებლად“ გავიცინა ბევრი გეოლოგი, რომლებთანაც შემდეგ მეც მეგობრული ურთიერთობა გამიჩინდა — პეტრე გამყრელიძე, აწ ვანსვენბულინი ვანო კახაძე და გიორგი ძოწენიძე, ჩემი მეგობრების კურსის ამხანაგები.

მე ვგრძობოდი, რომ ბ-ნი ალექსანდრეს წყალობით გეოლოგიური ფაკულტეტი, თავის მასწავლებელ-სტუდენტებთანად, ერთიან მონოლითურ კოლექტივად იყო ქცეული და ყველა — უფროსიც და უმცროსიც — ერთნაირი გატაცებით, პასუხისმგებლობითა და შეგნებით ემსახურებოდა საერთო საქმეს.

სანამ დავამთავრებდი, მიხდა გავიხსენო ერთი ნაწევრები ალ. ჭანელიძის შესავალი სიტყვიდან თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც 1924 წელს დაიბეჭდა „კავკასიონის“ № 3-4-ში: „ჩვენ შეგვიძლია მეცნიერება ატროპლანს შევადაროთ. ეს მძიმე მანქანა... მერცხლის სისწრაფით მიმოსრიალობს და თამამად ანდობს თავის ფრთებს მსუბუქ შაერს. და დახეთ, ეს დაუღვრლობი შაერის დასაყრდნობი მას არ მალაქობს, მაგრამ იმ პირობით, რომ ატროპლანს მოძრაობდეს. საკმაო ის შეჩერება და წამსვე უბრალო ქვესავით... მიწაზე დანარცხება. ასევე შეცნირებაც, მხოლოდ უწყვეტელი შეწყვეტება ასულდამოუკლებს მას და ნებას აძლევს მუდმივ ცვალებად ზემოქმედებაზე დაყრდნობით მაღლა-მაღლა აიწიოს. თუ ეს შემოქმედება შეწყდა, მეცნიერებაც კვდება და უნივერსიტეტაც უკეთეს შემთხვევაში ცუდ სპროფესორთ მასწავლებლებ იქცევა“.

ალექსანდრე ჭანელიძე საზოგადო საქმიანობის დაბადებული კაცი იყო, უპირველეს ყოვლისა — საზოგადო მოღვაწე, საშრობლობათვის დღე-მარად მზრუნველი და მისთვის თავდადებული. და მხოლოდ შემდეგ — მეცნიერი. მეცნიერი, რომელმაც ისევე, როგორც მისი თაობის რამდენიმე სხვა აღმამანმა, ეროვნული მეცნიერების მთელ დარგს ჩაუყარა საფუძველი. იგი იმ პლედარას ეკუთვნოდა, რომლის წარმომადგენლებიც ჩვენი უნივერსიტეტის ბაღში განისვენებენ. და მათსავით — ისიც ერთი იპათეაგანია, ვინც დღევანდელი საქართველოს კულტურას აყალიბებდა, ერთი დიდთაგანი ახალი საქართველოს შვილთა შორის.



ქრონიკა, ჰაბლოცისტია

გურამ ბათიაშვილი

მეკაბელების სება

— მონა — გაიმეორა ალექსანდრემ. თავჩაქინდრული იდგა, თითქოს მიწაში ელაპარაკებოდა ვიღაცას — რატომ წაყვივო ჰაპაჩემს? რატომ დაგვლუბე ყველანი? შენმა სიყვითემ დაგვლუბა, გაგვაუნდილა — თავი ასწია და უბრაოდ მოათვალიერა გომურია.

აღამინამა შესცოლდა!

და რამეთუ აღამიანის უფას განსახვრავს, გეზს აძლევს და წარმართავს მის სულში არსებულ ორი საწყისი — საწყისი ბოროტისა და საწყისი კეთილისა, ოთარ ჭილაძის რომანში „უწვეულმან ჩემმან მამოვნელმან“ ამ ცოდვის ჩადენით იწყება მაკაბელების ტანჯვით ცხოვრება, ისე როგორც ეპისკოპოსის სიყვითით, მის მიერ თან ვალუანისათვის ნაჩუქარი წყვილი შენდლით დაიწყო ყველაფერი ბიუგოს დიდ რომანში. ო. ჭილაძე აღამიანთა უფას, მისი არსებობის დიდ პრობლემას ამუშავებს. ჩადენილი ცოდვა და ცხოვრების გზა. ცოდვა და მისი განფენა აღამიანის შთამომავლობაში, მისი უფას ყოველდღიურობაში, ეს ყოველდღიურობა კი იმდენად დაქუცმაცებულია, იმდენი ორომტრიალითაა აღსავსე, იმდენი საზრუნავი სდევს თან, თუ ზედმიწევნით ფხიზლად არა ხარ, შენაძლოა, ცოდვა უნებურადღც ჩაიდინო. საამისო პირობებს ქმნის მოუწუბელი ცხოვრება, რომელიც სწორედ ცოდვის შეილთა მიერაა ესოდენ აბურდული, ცხოვრებამ ჯერ კიდევ ვერ ასწავლა აღამიანებს, რომ სიყვით უფროა ბოროტთან შეპირისპირებისას, რადგან კაცთა მოდგმის დიდ წილს ცოდვის მორევში უღვას ფები (ამ რომანში მთელი კალიდოუსკოპია ამგვარი საბრალო აღამიანებისა) და რატომღაც ყველც ცოდვის, ბოროტის ქმნით ცდილობს ამ

ცოდვის მორევიდან თავის დაღწევას, მაგრამ თუ ზედმა გაუღიმა, სულს მოითქვამს, ღონეს მოჟრტვს და კვლავ ცოდვას ეპოტინება, რადგან მისი მეოხებით უფრო იოლად აღწევს აღზევებას. სინამდვილეში ეს ნივანაა, რომლის გამოც ვერ ზედავს, თუ როგორ მიექანება უწინების უფსკრულსაკენ. გზა დაცემულობისა აღზევების გზად ესაბება, რადგან მაცდურია ბოროტი. ქაიზოსრო მაკაბელმა, იგივე მაიორმა, თითქოს სიკეთისათვის დაადგა თვალი ანას. იერთადერთი, ვისაც მისი შველა შეეძლო, ანა იყო. შემთხვევით კი არ დაადგა თვალი, როცა მიიხედ-მოიხედდა და ასე თუ ისე, გაერკვა აქაურ ადამ-წესებში, ანას მორჩილმა და უწყინარმა გარეგნობამ, განსაკუთრებით კი მის გარშემო ამტუდარმა მოთქმა-მოთქმამ აიძულა ეფოქრა, რომ ანა სწორედ ის იქნებოდა, რასაც დაეძებდა“.

თითქოს არაფერი უჩვეულო არ ხდება, — გზაბურდულმა კაცმა იპოვა აღამიანი, რომელთან ერთადღც შესაძლებლად მიანნა გადარბინოს ცხოვრების არც ძლიერ გრძელი და ბარიერების სისზარის, წინააღმდეგობების გამო არც ისე მოკლე გზა. ამიტომ არაფერია უფვანო იმაში, რომ მაკაბელი ელტვის ანას. უფრო მეტიც — ეს არის ის, რასაც აღამიანი (ამ შემთხვევაში მეთხველს, საზოგადოებას გვეულისსობ) მხარსაც კი უძერს, მეთხველა უშად

დგება ქიზოსრო შაკებლის, მაიორის მხარეზე, რადგან „მის კარავში უსასრულოდ იწებდნენ ურუქის ღამებში, როდის-როდის გადამურჭვებოდნენ ხოლმე შორეული გორაკები, აუფილებოდნენ მამლები, აუფილებოდნენ მონახლებული სინათლით გათამამებული ძაღლები“.

აი, ასე ათვითებდა ღამებებს ანაზე ფიქრით მაიორი!

მარტოდ შეთნიღმა კაცმა ცხოვრებისათვის საჭირო აღამიანი იპოვა! მეთხველი მაიორის მხარეზე, ამ თანაგრძობას ისიც ვანაპრობებს, რომ ანას თათარი „ჩიგნის“. ხოლო თუ ამ ქალს ქიზოსრო დაეპატრონება, ქალი თათარსკან განთავისუფლებდა (მეცხრამეტე საუკუნის დამდეგა, მამადიანთა შიერ საქართველოზე თავდასხმები არც ისე შორეული წარსულია, თავად მაიორსაც ახსოვს იგი. ასე რომ ამ შემთხვევაში თათარი არა მხოლოდ მეტოქე მამაკაცი, არამედ ისტორიული, ერთნული მტერიცაა.), მაგრამ როგორც კი მწერალი შემოგაპარებს, მაიორს ანა ისევე სჭირდებოდა, როგორც მონატრის მონახონი, მაგრამ სალოცავად კი არა — ნავის გამოსახებდაღო, იძულებული ხარ დაკვირვებით გააღვეთ თვალი მის უცეკლ ნაბიჯს. ასეა თუ ისე, მაიორმა მოინდომა ანას ხელში ჩაეღება. იგი ციხის შიგნიდან აღებას შეეცადა — ანას შვილი გიორგა დაიხლოვა და ამით შეუმჩნევლად გადადგა პირველი ნაბიჯი ცოცხლსაკენ.

მაიორმა გიორგა ისე გაწვრთნა, რომ მიზანს მიადწია. თათრის სულში ექვა გაჩინა, ექვი მუგუზალივით გააღვევა და ერთ ხალამოს თათარმა გააკეთა ის, რაც მაიორს უნდოდა — ანცა და გიორგა ციხეში. ეს ამბავი მოედმა ურუქმა გაიგო. თათარი ათი წელი მალავდა ანასთან სიახლოვებს, ამ ხალამოს კი მაიორმა ყველაფერი საქვეყნოდ დააღრქვეინა, აასმურა, ააბორგა.

მაიორის გეგმა წუსტად შესრულდა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მან დაგეგმა. ანლა სიტუა მას ეცუთვნის, კულისებიდან სცენაზე უნდა გამოვიდეს, ნაცემი უნდა მოუშუშოს მას, ვინც თათრის წინააღმდეგ აამხედრა (გიორგა), ტყვილი დაუამოს და დაიყვას ის, ვისი ხელში ჩაგდებაც უნდა (ანა).

ასეც მოხდა. როცა თათარი კვლავ მოვიდა და კარებში ჩამდგარ მაიორს საღამო ბატონოო უთხრა, ისე როგორც ოჯახის უფროსი ეტყოდა შინ დაბედვილ სტუმარს, მაიორმა ტყვია შეაგება პასუხად, დაქრლი, დასახლანებული გაისტუმრა ურუქიდან და ანას საწულში თეიონ დაიკავა მისი ადგილი.

ცოდეა ჩადენილია!
ეს ცოდეა მაიორმა, ქიზოსრო შაკებელმა დაატრიალა.

ეს ამბავი ერთგვარი სექსპირიციო ნაწილია

რომანოსა. ამის შემდეგ იწყებს მწერალი მეტად დიდი, მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევას — ცოდეაჩადენილი აღამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის შესწავლას. ეს ცოდეა კოთან სდევს არა მხოლოდ ჩამდენს, არამედ მის შთამომავლობასაც. ოთარ ქილაძე რთულ პრობლემას შეადგენს ხელს. რთულია განსწავლას იხ საწყარო, რომელზედაც იგი წერს, მაგრამ მწერალს, რომელიც ჰემსოროტი ლიტერატურულ ქმნილებით ამდიდრებს ქართულ პროზას, არავითარი შედავაებით არ გაუთილებია თავისი ამოცანა. არ უძებნია გზა, რომელიც უშაღ მიიყვანდა პოსულარობის კარებთან (თუმცა რ. ქილაძის ლექსების პატრონს პოსულარობა არც აქლია).

ჩვენ მხოლოდ ერთი კუთხით — ცოდევისა და მისი შედეგების თვალსაზრისით განვიხილავთ ამ რომანს, რადგან რ. ქილაძე, როგორც ყურადსაღებო მორალისტი, უფროვე მნიშვნელობას ანიჭებს აღამიანის წინობრივ სიწმინდეს. მას მიიჩნევს პიროვნების და საზოგადოების დამოკიდებულების უმთავრეს მომენტად.

ცოდეა, რომელიც ახლადმამუეერცხლოდა მაიორმა ჩაიღინა, მის შთამომავლობას მოეკოთხება, მოეკოთხება, რათა შთამომავლობაზე შეურისძიების შიშით შეძარწუნდეს სულა ყოველი ცოდევილისა, რომ მაიორს მუდამ თან სდევდეს შიში ჩადენილი ცოდევის წინაშე.

თათარი პიროვნება აღმოჩნდა — იმ ღამეს იმისათვის მიიღოდა ანასთან, რომ სამუდამოდ მოეღო მხოლო ურუქში დასამოხრის მალეობა სტუმრობისთვის, თავისთან წაეყვანა ანა და გიორგა. წინა, ხმაურანმა და ვნებათაღელვის ღამემ აგრძობინა, რომ უანაოდ გაუჭირდებოდა ხიცოცხლე. ამ ქალთან აკავშირებდა არა მხოლოდ ათი წლის მანძილზე გაწეული ამაგი და ლოკინის სიბოძო, არამედ უფრო მეტი, უფრო დიდი რამ. ხოლო გიორგა მისი გაჩენილი არ იყო თირქმ, მასაც ისევე უყურებდა, როგორც შვილს და აი, სწორედ მაშინ ჩაუდგა კარებში მაიორი, სწორედ მაშინ ესროლეს ტყვია, როცა გადაეწეებდა კანონიერი ხაზე მიცეა ანასა და თავისი ურთიერთობისათვის. თათრის, ამ მიწვიდევილობას მოუღებელი, ცხვრის სუნით აჭოთებელი და მოუხერხებელი კაცის სულში ვეკაცური თვისებები დომინანტობს, ხოლო მაიორის, ამ ბრწყინვალე ეპოლეტიანის, ჩინებული მუნდრისათ მორთული აღამიანის სულში პატარა კაცი წის, ათახი სისამაგლე ბორიანობის მასში. თათარი, როგორც პიროვნება, იმითაც დგას მასზე მაღლა, რომ იგი მაიორისგან არ გათქვეფიდა, თავისივე თავისთვის არ გაუცხოებულა. მაიორი საკუთარ თავს დაეკარგა მან არც იცის ვინ. არის, მარტოა ამ ცასა და

შპრამ ბპთიბაშვილი
მეკატელოგის სტატ



მიწას შუა. იქნებ ამიტომაც თანდევრებოდნა მკითხველი, რაცა ანას დაადგა თვალი, მაგრამ მისი მიუტყველები შეცდომა ის იყო (და ეს შეცდომა ჩაადენინებს ცოცხას), რომ მიონდო-მა ქალი, რომელიც სხვას ეუფათვნოდა.

ქალი კი უმწეო ქვრივი იყო — ამ რთულად ცხოვრებისაგან, მარტოობისაგან შეშინებული.

მაიორმა თავისი შიშით დაიმორჩილა ანა, შიშმა გაასროლინა ახე მოულოდნელად ტყვიამ, თორემ თათარი ეგრე იოლად არ დასთმობდა ქალს.

და დაიწყო ცხოვრება. როგორ განვითარდა, როგორი სახე მიიღო ცოცხალი დაწყებულმა ცხოვრებამ? რა შედეგი გამოიღო მან, რა მისცა ოჯახს, სასოგადოებას და რაც მთავარია, რა მოუტანა მკაცრების შთამომავლობას? ე. ი. როგორი ასახვა პაპოვა მაიორის მიერ ჩადენილმა ცოცხლად მისი და მისი შთამომავლობის ცხოვრებაში, რა როლი შეასრულა მან, როგორ ჩამოაყალიბა ყუდაფერი, რა ხაზის უბედურებად გარდაიხსნა?

ქაიხოსრო მკაცრების მიერ ურყობის იმ ბნელ დამეს ჩადენილი ცოცხა თავის ნებაზე ატრიალდება მკაცრულთა სამ თაობას. გადადიოდა მამილად შეილში, შევილიდან შევილიშვილი და მილარს რომანის ბოლო თავში ი. კლიაძის მიერ დახატული სურათი ერთგვარ შეგებას გვანიჭებს, რადგან რაოდენ დიდიც არ უნდა ყოფილიყო მაიორის მიერ ჩადენილი ცოცხა, არ შეიძლება ადამიანი არ შეესპრას თვით მაიორის, მისი შეილისა თუ შეილიშვილების ცხოვრების გზამ. ამ ზემოქმედების ძალას ისიც ამტკიცებს, რომ ი. კლიაძე გასაოცარი ოსტატობით, დიდი მხატვრული სიღრმით და ანალიზით გვიანბატებს მათს ყოფას, გულდაგულ ამნიშვლებს ადამიანური არსობის მთელ რიგ მხარეებს. და რაც უფრო მაღალი ოსტატობის დონეა მიღწეული ამა თუ იმ ეპიზოდში, მით უფრო შემკვერლია ნაწარმოები. ხოლო ოსტატობის ის დონე, რომელსაც ი. კლიაძე ავლენს, მხატვრული აზროვნების ის სიხტემა, რომელსაც იგი გვთავაზობს, ზოგჯერ არა მხოლოდ აღტაცებას გვგვრის, არამედ ფიქრიანობისთვის განგვაწყობს, რადგან მოწმე ხარ ქემშარბიტი ლიტერატურული ქმნილების დაბადების, ამას ყმნილფერი კი ღრმა გაანალიზება სჭირდება.

ცხოვრება თავისი გზით წავიდა. ანას გიორგა მკვდრა. ამ ათი წლის ბავშვის მეოხებით დაუწვა მაიორი მის დედას და როგორც კი ეს მოხდა, მაიორი დასახანად ვეღარ იტანდა მას. უკვე ამოქმედდა ცოცხის მანქანა. მან უმაღ გამოიღო პირველი ნაყოფი. პარალელურად იწყება მაიორის სულიერი ტანჯვის პროცესი, ეს სულიერი ტანჯვა არ არის თათრისაგან სმევიერის გადახდის შიშით გამოწვეული (რადგან ზორბატს მუდამ აფრთხობს თავისი ნამოქმედარი), აქ მთავარია თავად ცოცხა, რომელიც ისე

აღუღდა, რომ თავის გამოძახილს მკვერტს მათი ორის შეილებსა და შეილიშვილებს უთმობს არც მიუზღავს მაიორს სამაგიეროს: მართალია, რამდენიმე წლის შემდეგ იგი მოკლავს გიორგას, რადგან სწორედ მისი მეოხებით ჩაღვა მაიორი მასხა და ანას შორის, მაგრამ ეს ამბავი არ აღუვლებს მაიორს. მას ხომ იმ დღიდან შესძულდა გიორგა, რა დღესაც დედამისს დაუწვა გვერდით, ვენბა დივიტროს და ამ უთავისყო კაცმა ახლობელი ადამიანი გაიჩინა. ამის შემდეგ მაიორს ელოდა აღარ სჭირდებოდა და შესძულდა კიდევ; რამეთუ არა თავისი ცოცხნება, არა თავისი აწრავა ახლობელი ადამიანის გაჩინება, არამედ გიორგა მიიჩნია დამნაშავედ იმაში, რომ თათარი ვადიკიდა. თათრისადმი შიში კი გიორგას სიძულვილით გადაიწარდა. ი. კლიაძე რაგვახტლებს რა მაიორ ქაიხოსროს უთავისყო სულში, გვთავაზობს მტრად კაცთმოყვარულ თენას — დიდი სულიერი ტანჯვის მომგვრელი სიძულვილით, ადამიანის დიდი უბედურებაა სძულვლეს ადამის ძე. ეს ცოცხის ის ნაირსახეობა, რომელიც შენ მტრად გტანჯავს, ვიდრე სხვას, თუნდაც იმას, ვინც გძულს.

ისე რომ მაიორის სულიერი ტანჯვის პროცესი დაიწყო. მართალია, მან ცხოვრება ურყუნველყო, ქონებაც შეიძინა, ურუქში პატონაცემი და ანგარისგასწევი პიროვნებაც გახდა, მაგრამ იმ ბნელ დამის შიში მუდამ თან სდევს. ეს ბუნებრივიცაა, — ადამიანი ვერასოდეს ივიწყებს ცხოვრების უმთავრეს მომენტებს. ის ღამე კი მაიორისთვის უმთავრესი იყო, მან იმ დამეს გააყუთა ის, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე აღარ ახევენებს.

თათარი არა, მაგრამ იმ დამის სამაგიეროს ცხოვრება მიუზღავს მაიორს. მაიორი არის ხათვე ცოცხისა, მისი სულიდან გამომდინარეობს ცოცხა, ამიტომ შემდეგ მწერალი თითქმის ივიწყებს კიდევ მას, მისივე მსგავსისა და მაიორის დიალოგებს თუ მოგვასმენინებს ზოგჯერ და ისიც იმდომ, რომ კიდევ ერთხელ გაუხვას ხაზი მაიორის მარტოობას ცისქვეშეთში. ამ მარტოობას მაიორს ბალღინჯოსთან მსგავსებაში აღიქვამს და წამოცდება კიდევ: რითი ეჭობივართ ბალღინჯოს ან მე... ან... პეტრეო. ამ ერთგვარი მივიწყებისა თუ მაიორის ნაწარმოების სიუჟეტური ზღარბებში ჩაკარგვის მიზეზი ისიც არის, რომ მწერლის ამოცანაა გვარწევოს, თუ როგორ გამოძახილს პაპოვებს მაიორის საქმიანობა, ამ შემთხვევაში ჩადენილი ცოცხა, მის შეილსა და შეილიშვილებში.

როგორ წარიმართა ცხოვრება, ვის როგორ მოეცვლინა ეს ცოცხა, რა სახე მიიღო მან, ვინ ვისი ცოცხნა გახდა, ვის ცხოვრებაში როგორ განსახიერდა უბედურება? ეს ერთი, უმოავრესი ხაკითხია რომანში წამოჭრილ სხვა ხაკითხთაგან.



— ამონაწერი ანახა და მისი შვილიშვილის ალექსანდრეს დიპლომატიკის — მონა — გაიმორკა ალექსანდრემ. თავიქაინდრული იღვრა, თითქოს მიწაში ელაპარაკებოდა ვიღაცას — რატომ წაყვიე პაპანემს? რატომ დავგვლუბე ყველანი? შენმა სიყვითემ დაგვადუბა, გაგავადნილა, — თავა ასწია და უაზრად მოათავლიერა გამორკა. —

ანა უნებური თანაწირობა მათორის ცოდვისა, იგი თავისი სიყვითის (როგორც ამას ალექსანდრე უწოდებს) გამო ვერ აღდგა მათორის ბორტებთან, ვერ აუქრა ხელი იარაღზე და ისევ მორჩილად ჩაუწვა ლოგინში ახალ პატრონს, როგორც თათარს უწევებოდა ხოლმე.

ანა იმდენად იზიარებს მათორის ცოდვას, რამდენადც ერთ ხარტყელს იზიარებს მასთან, მაგრამ მათორისა და ანას ცოდვა სხვადასხვა ხასიათისაა. ამ რჩი აღმიაწის ბედნიერებაც განუყოფელია, მაგრამ ხალ არის იგი? ბედნიერება შირაგია, იგი არ არსებობს. მეუღლე ანა გაცილებით უბედურია, ვიდრე იყო მამის, როცა თათარი დაუღლიდა. თათრის ხასა-ანა სჯობნიდა მათორის მეუღლეს-ანას. მათორმა დიამურს და დაესაუთრა ანა, ისე როგორც მიწის ნაკვეთის ან რაიმე საქონლის საქმეს მოიგებს ხასამართლოში კაცი. ამიტომ ანა უბედურია იმდენად რამდენადც დაუკარბილი, მოპოვებული, დასაუთრებული აღმიაწისა.

ანას შერეო ღიდი უბედურების ან არის, რომ მისი ერთი შვილი მტერია მტერე შვილისა. ამასთან დროთა განმავლობაში ანამ ოჯახში დამკარგა დედისა და მეუღლის ფუნქციები. მათორის ხაწოლიდან გამორკა გადანიაცვლა. რაოდენ უბედური უნდა იყოს აღმიაწი, რომელიც მეუღლის ხაწოლიდან გამორკა გადანიაცვლებს, კაბის ქვეშ შვილის სისხლიანი საცვლები იტყუვა და დამამოებით შვილის სისხლით მოთბურთლ ლოგინში ჩაწვევა? ანა არსებობს ამაზე დიდ სატანჯველი? და ეს მამის, როცა ეს საკუთარი გულის კარანებით, საკუთარი სურვილით კეთდება? ეს თვითგვემის პოთეოლია აღმიაწისთვის. იგი შინაგანად, ინტელტურად გრძნობს. და ცოდვაში რომ ედგა ფეხი, ისიც იცოდა, თუ საიდან მოდიოდა ეს ცოდვა. და როცა ერთ მშვენიერ ღამეს ლოგინიდან წამოვდა და გამორკიდან „ისე გავიდა, როგორც მიღაროდან — მონახავე“ — დღლიაში აგურამორჩილმა კატის სიმარდით აათავა კიბე და ერთი წუთის მერე ქაბოსორის ხაწოლთან დადგა, იმ ღამეს თითქოს სულიერადაც განიწმინდა.

ანა ერთადერთი აღმიაწია, ვინც შეეცადა მათორისათვის ფიზიკურად ეგრძობინებინა თავისი ცოდვა. მართალია, ამ ცოდვის შეგრძნება მათორს მუდამ თან სდევდა, ეჩვენებოდა, რომ მთელი ქალაქი მის წინააღმდეგ იბრძოდა, მას მტრობდა; სწორედ ანა შეეცადა ტყველით გა-

ნედღვივებინა თავისი ბედი და მას ამის ყველაზე ბეტი უღელვსა მქონდა. მათორის ყველაზე ნაშეირი — შვილი იქნება ეს თუ შვილიშვილები — თავთავის გამო მოსთხოვდნენ მასთვის მათორს, ანამ კი ყოველი მათგანისა და გიორგას სახელით დაუშინა თავისი აგური ქმარს.

ანას ქალური, სუსტი მხრები ეწოდებოდა იმ ღამის ცოდვის. მთლოს იგი მოკვდა, როგორც ყველასაგან მტოვებულნი, მარტოშინილი და გაუბედურებული. თვით მის ძეს, პეტრესაც კი არ ვაზუღდა დედის სიყვდილი დიდად. ეს კა ნაწობდა — დედის სიყვდილმა მრეშ დუსასე დაქორწინება დაუგვიანა.

მათორის და ანას ერთადერთი შვილი პეტრე გახლდათ და ვინაიდან შვილის არსებობაში პოკებს განხორცილებას ყოველი კაცის ყოფის აზრი, პეტრეც ერთადერთი სულიერი საყრდენია მათორისა. აქი ეუბნებოდა კიდეც მათორს პეტრეს: ჩემი ერთადერთი შვილი შენა ხარ და უნდა მომიბარო, პარტელომა რომ მოგანიბე, შენც უნდა დამიფასო, მაგრამ პეტრეც ცოდვის შვილია ამ სიტყვის პარდაპირი გაგებით, ცოდვით შეუღლებულ აღმიაწთა ერთობით იშვა იგი ქვეყნად.

როგორ გამოიხატა ეს ცოდვა პეტრეს ცხოვრებაში?

მტრობა იყო პირველი, რაც პეტრემ ისწავლა ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ბლელი მტრობდა თავისი დედის შვილს — ძმას, შურდა მისი, როცა ანა მათორის მიერ საკუთარი სახლიდან გაძევებულ გიორგასთან მალულად წავილოდა.

შემდეგ გაიზარდა, დაკაცდა და შვილები გაუჩნდა, შევიდებო მტრად მოეკიდნენ მამას. არც ერთი არ იყო პეტრეს სულითა, არც ერთს არ ესმოდა მამის. ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა მოქალაქეობის მარწამსთა თანხვედრას ან გაუწიარებლობას, არამედ იმ დამატულ მომენტს, როცა მამა და შვილი სრულიად სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და შვილებს არც სურთ მამის სულში ჩახედვა, რაოდენ ნეგატიური მარწამისი კაციც არ უნდა იყოს მამა, იგი მაინც ტრაგიკული არსებობა, რადგან მისი შვილები სრულიად არ არიან მისი. მამაშვილობა არამარტო ბიოლოგიური მომენტია, არამედ აზრთა, შეხედულებათა, მისწრაფებათა ერთიანობა, აღმიაწური სიუვარული.

ეგზოპერი იტყოდა: სიუვარული ნიშნავს არა ერთმანეთის თვლებში ცქერას, არამედ ერთი მიმართულებით ყურებასო. ალექსანდრე, ნილოლოში და ანტო ვერასლოდს შეხედვეთ ცხოვრებას ისე, როგორც პეტრე. ეს უკვე ტრაგიდიაა მამისა, მით უმეტეს, რომ შვილები თავისი არსებით არამარტო ენიჭებიან მამას, არამედ უპირისპირდებიან კიდეც.

გურამ ბატირაშვილი
გაბაბაშვილის სარბ



ერთადერთი შეიძლება, რომელიც — სახლში დარჩა, ამ ბუდიდან ვერ გადწია, ანტა ვახლავთ და ისიც დღემდე ამ გაიძახის: „ყარს აქაურობა, ყარს“.

კეთილი მისულები ბაბუცა გარდაცვალა პეტრეს, თუმცა, იგი სიცოცხლეშიც არ იყო მისულის მრწამსით აღფრთოვანებული და ახლა სულ მარტო დარჩა. შეილებთან თანხმერ ცხოვრებაზე ვეღარ იცნებოხ — პირიქით — სულ მისი ფიქრობს, რომ ოჯახში რითიმე განსიმტკიცოს პოზიციები და არ დასთმოს ოჯახისთავობა. სამისო უნარი კი მას არა აქვს, ვერ გაუმკლავდება შეილებს — რადგან ცხოვრების გზა არ მქონია სწორი. სწორად ეს გარემოება გადაწყვირის დუსას. დუსასთან დაქორწინება ახალი დრამატული მომენტია პეტრესთვის — თუ ადრე აღტაცებული იყო მისით, კდემაროსილენბანა და პატოსნების ნიშნულ მიანდა, ახლა „დუსას მიუღწევლობისა და არამკვლევებრივობის რწმენა შეერყა... ახლა ვაღლებულემა უნდა შევსრულდებინა და არა სურვილი“.

დუსას ოჯახში მოყვანა და მისი ცოლად დასმა რომ კაცისთვის დიდი სასქელია, ეს უკვს არ იწვევს. მით უმეტეს, თუ დუსას ისეთი მზითვით მოპყვება თან, როგორიც ხარდოიონი გახლავთ — ბავშვი, რომლის დედაც არ იცის, რომელი მამაკაცისაგან გაურწნდა იგი. ბავშვი, რომელიც არა მარტო თავისი ასეთი „ბიოგრაფიით“ უნდა იყოს ამპსრწენი პეტრესთვის, არამედ ფიზიკური სახითაც.

სხე განსახიერდა პეტრეს არხებაში, მის ცხოვრებაში, ბიოგრაფიაში ურუქის იმ ბნელი დამის ცოდვა, მაგრამ ოთარ ჭილაძე პეტრეს ურეს ტრაგიკულ არსს მხოლოდ ამ კუთხით როდი წარმოსახავს. ეს მხოლოდ ერთი ნაწილია მისი ყოფისა. მეორე, მთავარი ნაწილი კი ის ვახლავთ, თუ როგორი არიან პეტრეს შეილები, რა მოიტანეს მათ საზოგადოებისათვის, რა მისცეს მას, და რით შეიძლება სასახელონი იყვნენ? პეტრე ვერც ამ მხრივ დაიწყებებს თავს; შეილებსაც ისევე დასდებს იმ დამის ცოდვა, როგორც მას. ვანა ერთი შეილის თითქმის გაპირუტყვება, მეორის შორეულ ციხირში გადასახლება და სულის ამოხდომა, მესამის — უმწყო და უბიწო ქალწულის ბუდრუგანაში გაბაზება უდადეგის სასქელი არ არის მამისთვის? ყოველ მათგანს ცხოვრებაში თვითთვის მათორი მოედლინა, ყოველი მათგანი შევარაჟა ქაიხოსრო მკაბელების ცოდვისა.

თუმცა, პეტრეს შეილები სრულიად განსხვავდებიან არა მარტო პეტრესგან, არამედ ერთმანეთისაგანაც. თითოეულ მათგანს თავისი ცხოვრების გზა, ბიოგრაფია, სასიათი გაჩნდა. ისინი მხოლოდ საბოლოო ბედით მკვანან ერთმანეთს. ეს საბოლოო ბედი კი განპირობებული იყო მანამ, სანამ თვითონ მოევიდნებოდნენ ქვეყანას — იგი ქაიხოსრო მკაბელებმა გადაწყვიტა.

ისეთივე წარგვიტისაგან ისეთი მადლიერება ტატობით დაწერილი ეპიზოდია, რომელიც ბუდრუგანაში ანტასა და ააგორას შეხვედრა. აქ მწერალი ისე ღრმად, ისე მწვეველ ჩაგვახედებს ანტას სულში, რომ აღძრავს სულიერი ტკივილის გრძნობას, აქ კომდე ერთხელ დასტურდება, რომ უმანკობა და სათნობა განწირულია. უმანკობა და სათნობა თავისთავივე მოიკვება ტრაგიაში, რამეთუ ყოველ ვიგინდარას ძალგებს მისი გაღმთვლა, გატუქყანება. რომანში ეს ეპიზოდი ისეთი ექსპრესიით არის დაწერილი, რომ უდადეგის სულიერი ტკივილის გრძნობას ბაღებს მკითხველის სულში. ეს მომენტი მით უმეტეს საცნაურია, რომ ანტასაც — ამ სათნობისა და უმანკობის სახიერებასაც — მოსწვდა ცოდვა მკაბელებისა, ისიც ჩაითრია ჭეუჭიანამა ცხოვრებამ თავის შორეულში. თითქოს აღამიანის მიერ ფხვდაუღმეღელ კუნძულად, სისუფთავისა და სისპეტაკის სიმბოლოდ მიგვანდა და, აი, ბედისწერამ იაგორას ტურტლიან სხეულს დაუკაშვირა.

ანტა სიკეთის სამსახურს ელტვოდა და ცხოვრებამ იაგორას სხეული შეაჩენა ხელში. მისმა ძმამ ალექსანდრემ კი უარყო სიკეთე. ვანულეგა არა ცხოვრებას, არამედ სიკეთეს. ამან მოიუყანა იგი არა მხოლოდ მრუშ, არამედ თითქმის პირუტყვაღტყეულ მაროსთან. ალექსანდრეს ცხოვრება ხელის დაკარგვის დღიდან, მანამ, სანამ გზის იწვერისის სილას იგემებდეს, არის მტრობა ანაბელთა შიარით, მტრობა თავისი დედის, მამის და ძმის მიმართ. ეს არის პათოლოგიური კაცის განცდანი, კაცისა, რომელიც აქტიურად ემოქნება ყოველივე აღამიანურს, ალექსანდრე სულიერ შეებას მკოვებს იმში, რასაც სხვა დიდ, დვითთ მოვლენილ უბედურებად ჩათვლიდა.

ნიკოლოზი ერთადერთი პიროვნებაა მკაბელების გვარში, რომელიც აქტიურად ემოქნება ამ ცოდვილ აღამიანთა ცხოვრებას. თბილისში წავიდა, ისწავლა, თითქოს თავიც უნდა დედწია წინაპართა ცოდვისაგან, ცხოვრების გზაც ყველაზე უკეთესი არჩია, რვეულეციის სამსახურში ჩადა, მაგრამ ბოლო წუთს, იმის მავიერად რომ ვილაც გენერლის ეტლი აფეფოქებინა, „ყუშბარა კედლისთვის უსწრია და თავად დაშავებულა, აფეფოქების ტლილი დაშავებულა ციხეში გაუხელია თვლილი“. ვერ ესროლა გენერალს ყუშბარა, რადგან იგი მოხუცი იყო და თოულივით ჭიქათა თმა-წვერი მქონდა.

ნიკოლოზი მინც გამოიყოფა სხვა მამაკაცებისაგან, მისი ბედი სულ სხვაა. მართალია, ცოდვის მსხვერპლია, მაგრამ შეგნებულად თუ შეუგნებულად კეთილის სამსახურში ჩადა და შეეწიარა კიდევ მას. მკაბელები ვერ გაუბედნენ ნიკოლოზს, არაბოლეს მიიღებენ იმ მსხვერპლს, რაც მან გაიღო. ამიტომ ნიკოლოზის

დალუპვა მათთვის სულაც არ არის ტრაგიკული ფაქტი. ნიკოლოზი ბედნიერია თუნდაც იმით, რომ მას შეყავდა ლიზიკო, გმირი ქალი.

ყველაფერი დამთავრდა. ჩადენილმა ცოდვამ თავისი ჰქნა, თავისი მსახვრალი ხელი შეახო ყველა მაკაბელს. ერთადერთი მაკაბელი — მართა შორეულ ციმბირში გაჩნდა და ახლა ისე მოუხარია ურუქში, როგორც აღტყმულ მიწაზე. მისთვის ციმბირი სიმკაცრის, დაუნდობლობის განსახიერებაა. ის კი არ იცის, რომ აქ ურუქში აღამიანებს თავს გადაუქროლა მრუშობის, შიშის, მტრობის, გაუტანლობის ქარამხალმა. მართა სამშობლოში ბრუნდება, როგორც განწმენდილი მაკაბელების სიმბოლო, მოდის აღამიანად, რომელიც განიძარცვა ყველა ცოდვისაგან და ურუქში შემოაქვს სხივი მშვიდობისა და რწმენისა, სიკეთისა და სიხარულისა. და ყველაზე მეტად შვების მომგვრელი ის არის, რომ ამ რწმენით მოჰყავს ურუქში მართა აღექსანდრეს, რომელიც ისევ ნიკოლოზის არსებამ შემოატრიალა აღამიანურობისაკენ. აღექსანდრე ბედნიერია იმით, რომ ურუქისაკენ „მის წინ მიიბიჯებს ნიკოს შვილი, მისი სისხლი და ხორცი, მისი არსებობის გამამართლებელი და განმამტკიცებელი, ჯერ კიდევ სუსტი, ჯერ კი-

დეგ პატარა ნიკოცხლე, მაგრამ მაინც ნიკოცხლე, ჯიუტი, მზარდი, თამაში, ხალისიანი“...

განიწმინდა მაკაბელთა გვარი, ახალი ყლორტი ამოვიდა ამ დიდი ოჯახის მერქანშემხმარხეზე და ამ ყლორტმა თავისი ნთელი მოუტანა, რადგან გარდაუვალმა ცოდვამ თავისი მოითავა. იწყება ახალი ხანა არამართო მაკაბელთა გვარში, ახალი ხანა იწყება საქართველოს ცხოვრებაში, ახალხან დადგა მეოცე საუკუნე და ისევ როგორც საქართველო, პაწია მართაც დგას დიდი გზის სათავეში.

თენდება.

„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მრავალმხრივი, მრავალპლანიანი ნაწარმოებია, მასში თავმოყრილია უამრავი აღმიანის ბედი, თითოეულ პერსონაჟს იმდენად დიდი ბიოგრაფია აქვს რომანში, იმდენად დიდია მათი სამოქმედო არე, რომ თითოეული მათგანის ბედი იკმარებდა ერთ რომანად. აქ ცალკე კვლევის საგანია რომანის უბრწყინვალესი ენა, თავად ფენომენი ენისა, რომანის ტიპაჟი, მწერლის დამოკიდებულება, მისი კომენტარები ამა თუ იმ ეპიზოდისადმი, შემოქმედებითი ექსპრესია, რომელიც ასე ძალუმაღ იგრძნობა ნაწარმოებში.





მუშაკან ჰეზუზურია

თქვე სიხვევა ელგუჯა ვაღრაქს

1

ამ გოლო დროს ჩვენმა გამოცემლობამ ორი პატარა ფორმატის კრებული გამოცდა. ამ წიგნების ავტორია ელგუჯა მაღრაქე. პირველი კრებული ეხება ჩვენი კულტურის თავდადებულ მოამბებს — ლევან გოთუას, ხოლო მეორე — კონსტანტინე გამსახურდიას.

მე მინდა ამ მოვლენის გამო ორიოდ სიტყვა ვთხოვა მეკითხველს, მინდა გავუზიარო, თუ რა განწყობა-შეხებულობა დამრჩა ამ კრებულებების გაცნობის შემდეგ.

მეორე მოცულობისაა ეს წიგნები, მაგრამ დიდი გულისა და ხიყვარულის დამტკიცია.

ეს არაა კრიტიკული შენარჩის წიგნები, არც, ეკრეთოლოდებულ, მონოგრაფიები, ანდა — ბიოგრაფიული ნარკვევები;

ესაა მოკლე ესე, უცარი გალანდვა შემოქმედი კაცის ცხოვრებისა. ესაა გახედვა წარსული დღეებისაკენ. დაფიქრება იმის გამო, რაც იყო, რაც უნდა ყოფილიყო. აქი კაი ძალი დრო გავიდა მას აქეთ, დრო გავიდა და უფრო მკვეთრად გამოჩნდა ამ ესეების ავტორისათვის ის, რაც დღემდე არ ჩანდა. არა ემოციურა დამოკიდებულება სათქმელისადმი, განსაჯელი პრობლემისადმი, არამედ ხანგრძლივი დაკვირვება, — აი, ხად ოღებს სათავეს მისი სიტყვა. ელგუჯა მაღრაქემ პირდაპირ იცის თქმა — შეუღამაწმენდად, ფერუშარილისა და საკმაწ-სანელებლის გარეშე. ასე ყველა ვერ იტყვის, ყველა ვერ დაწერს, ზოგი გულში შეანახავს და შეფუთნავს თავის გულისწადებს და იმ საქმედნოდ სათქმელ სიმართლეს ცივ ნიავსაც არ მიაკარებს. ელგუჯა მაღრაქეს კი ეს არ ძალუძს, არ შეუძლია არა სთქვას პირსმომდგარი სიმართლე, და თუ გნებავთ, სადმე საზოგადო კრებაზე, ან კიდევ საზოგადო თავშეყრის ადგილას ხმა-მალა არ წამოიძახოს საწუხარი თავისი, მაგრამ ხდება ხოლმე და არც მაშინ არ დაუშვებს ის სხვა ვინმე მხარს, მისი მხრის ამხანაგი ვერ გახდება. აშკარად ვერ გახდება, ამას ვამბობ, გულში კი იცოცხლებ, მისი ნათესავი იყო, მისი მომხრე, მაგრამ აშკარად ვერ დაუშვებს

მხარს, — ხომ იხედავ ითქვა, რაც თვითონ მას ენის წვერზე ედგა, მაგრამ ვერ გამოეჩინა, ვერ გამოეწვეურებინა, — მე ვიტყოდი, რომ იმ „სხვა ვინმეს“ ადგილას კიდევ ბევრ „სხვა ვინმეებთან“ ერთად, ჩემი თავიც გამოვლანდავს არაერთხელ, მიწეზოა და მიწეზოა გამო, და განაკაცს მიწეზს რა გამოვლევს, შედღასაც ხომ ორი მხარე აქვს, და ეს ყველამ იცის, მაგრამ ვამბობ, რომ ელგუჯა მაღრაქის სიტყვა, სწორედ რომ გულისშემძვრელია და ერთგვარი სინანულის მომნიჭებელიც, — ამას გაფიქრებინებს მისი კაცური შემართებით ნათქვამი — პირველადი სიმართლე, წისკილის ბორბლებს დაჯახებული ნიღვარი, რომელიც აბრუნებს მას, და დამტვირანებული ყოფიდან სიცოცხლის გზაზე გააყვავს, ახალ ძალ-ღონესა და ენერჯიას აძლევს, და ქვა ეხახუნება ქვას, სიტყვა-სიტყვას, სიმართლე სცივია, იღვრება, გადმოდის; ხოლო დუმილი და მიწუზაობა, ამ დროს ცალი ქვის ბრუნვას ებრუნება, — კი ბრუნვები, თქმას ხაქმე არ კეთდება, — ეს ყველაფერი თქმასთანაა დაკავშირებული, საზოგადო და კაცური სიტყვის თქმასთან, სასწორთან და პინასთან.

2

რატომ ამოირჩია ელგუჯა მაღრაქემ მაინც-დამაინც ლევან გოთუა და კონსტანტინე გამსახურდიას თავისი მსჯელობის წყაროდ?

მე ასე ვუპასუხებდი ამ კითხვას:

იმიტომ რომ, ამ ერისკაცებში გამოვლინდა მთელი სიგრძობა და სიგანით ჩვენი სულიერი ცხოვრება და ისტორია.

ჩვენი თავდასაჯალი.

ჩვენული ადამ-წესები და ჩვენული მახვილი, კირი და ქვა იმ დიდი შენობისა, რასაც მამული მკვიან, — რწმენა და ხმალი ლოცვა და საქრეთელი!

კ. გამსახურდიას, რევაზ თვარაძის ფრთიანი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „ერთიანი ქართულის მესიხევე“ იყო.

ეს „ერთიანი ქართული“ ოდესღაც ნიკოფ-



სიდიან ღარუბანდამდე სწვდებოდა საქართველოს, და ამ ქართულის შემკრები იყო კონსტანტინე გამსახურდიაც.

სხვანაირადაც რომ ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიან აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა ლავიისის ხმალი! მკრავდა დაქუცმაცებულ საქართველოს.

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი თავადაზნაურების შური და ღვარძლი ჩვენი შეფეხებისადმი.

ცნობილია, თუ რა ღალატიანი და არგამტანნი იყვნენ ჩვენი მთავრები.

ყველა ესენი თავიანთ ეჭო-კარსა და შინაშე მამულს დაზოფოფინებდნენ თავს. საერთო საქმისათვის კი იშვიათად თუ შეიმართებოდა რომელიმე შეთქმვა.

ელგუჯა მაღრაძის წიგნების წაკითხვით ასეთი გუნება-განწყობა გეუფლებათ:

ღიღოსტატის რომანებში შენდება საქართველო, იგება ციხე-ტაძრები, ფრიალებენ ზაირალები, იცინიან ხმლები და შემოიწურება მახვილითა და ჭერით სამშობლოს საზღვრება, ხოლო ლევან გოთუას სახით ამ ქვეყანაში დააბიჯებს მისი ერთი მარტივი და მსახური, ინახავს მის კედელ-კუთხეს, ფერხსა და ჩუქუჩოთხას, და ამას ასწავლის სხვათაც!

ხმალი და რწმენა!

რწმენა და ხმალი!

მარტო ხმალი ვერ დაიცავს მამულს, მარტო ვერც მარტო წირვა უშველის, მაგრამ კარგე ერთად დიდი ძალაა და სწორედ რომ აქ იღებს დასაბამს თავიწყალი ენისა და ერის შენაჯიხისა. „რა ენა წახდეს, ერთი დეცეს“, — აი, წაუძღვარებელი ქვესთაური ელგუჯა მაღრაძის წიგნებისა, ამას გულიანობის ავტორი გამუდმებით და ამასვე მიანიშნებს შეითხველს!

8

პირადად მე ბევრი რამე გამეგონა ამ წიგნებში აღწერილი ამბებიდან; მაგრამ ბევრა რამ პირველად გავიგე, წინ დამესახა, საფიქრალი გამიჩინა. გაკვირვებული კი არა ვარ ამ კარგულების გამოქვეყნებით, მოსალოდნელი იყო ელგუჯა მაღრაძისაგან ამ უაღვის წიგნების შექმნა. ისე ბუნებრივი იყო ეს ამბავი, როგორც ბალახი ამოღის მიწიდან, როგორც კაცისაგან უცნაურობის მოელის კაცი კაცურ სიტყვას.

მაგრამ მე ახლა ჩემს ახალ ბიბლიოთეკაზე ვფიქრობ, სადაც ამ წიგნების გვერდით, ლევან გოთუასა და კონსტანტინე გამსახურდიას გვერდით, კიდევ და კიდევ გაბრწყინდებიან ერის კულტურისა და უკეთესი მერმისის მოალადე ქართველები, — ამას კი ამ მამულაშვილების კვალზე შემდგარი კაცი თუ გაასრულებს!





კვთავდილ კრკაშული

„ვიხყვი, რასაც ვუხერხ და რაც გელანდება“

წინასწარ მიინდა განვაცხადო: მე სავსებით ვეთანხმები იმთაღ, ვინც ტარიელ ხარხელაურის პირველ ლექსებს გზა დაულოცა და იმთაღ, ვინც მომავალში იტყვის კეთილ სიტყვას (რაც, მჭერა, აუცილებლად იქნება) — ქართულ პოეზიას შეემატა ნამდვილად პერსპექტიული ავტორი მადრამ თუ წინასწარ არ განვსაზღვრავთ ამ წინადადების ნამდვილ შინაარსს, ნაბიჯის მერე ლიტონ განცხადებად შეიძლება იქცეს, როგორც ეს არაერთგზის და არაერთის მიმართ მომხდარა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, შემოქმედის ბედში გადაპარბებული ზელის შეწყობა და დამახრძვეტელი ჭკბა-დიდება გააღმარბებულ ზელის შეშლასა და გაუმართლებელ გაკლევანე უარსია. კერძოდ, როცა დაშაქრული და ხაშოტონის გაუფუჭების შიშით — ნაყლზე თვალს დაგზავავთ, ჩრდილებს (თუნდაც უმნიშვნელოს) ზელს დაფარავთ, ამით ცუდ სამსახურს ვუწევთ ყველას და, პირველ რიგში, ავტორს, რომელსაც „სიკეთეს ვუკეთებთ“. გულუბრყვილობა იქნება მართლიანთქმის ღირსება ვახაბუთო, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ზოგჯერ ვცოდავთ, არცთუ ადრესატები არიან ხშირად სიმართლისათვის თვალბში შესახედად მოწმადებული. მე ტარიელ ხარხელაურის ალაღ-მართალი ლექსები და მისი აქამდელო ბიოგრაფია (რომელიც თავისთავად შემოქმედებაში არაფერს არ წყვეტს და რომლის პედალირრებაც ხშირად გაუმართლებელია) იმის სრულ იუღს მძღვეს, რომ ეს ასე არ იქნება, რომ ტ. ხარხელაურისათვის — იორამის, თოლიგის, დეოსიავარის, ჩაღლიას, ჭულურას, ბესას ხელში აღზრდილი პიროვნებისათვის — მათხედლობის სსახაღს პირდაპირობის ქოხი აჭრებს.

ტარიელ ხარხელაურის ლექსები შინაგანი იმპულსებით, პოეტური ენერგიით სასრდოობს.

მისი პოეტური ენერგია ხშირად სტიქიურია, სტიქიონებში არ ეტევა და არღვევს რიტმისა და რითმის ჭებირებს. ამაში შეიძლება გარკვეული ტენდენციის ჩანასახი დაგვენახა, რომ ამ „ღარღვევებში“ გარკვეული პოეტური ნება იგრძნობოდეს, რომ ისინი ასევე სტიქიური არ იყოს: „ოჰოო — ამოიოხრა მუხამა მძიმეღა; ხომ გაიგონე, იმეღა, კენესა მუხისა?“. „წყაროს პირს ქანაობს იელი, იელზე ჩიტს სძინავს, იელღა, მერე იწყემა, გამოედღობა პატარას, — იწყინა...“

ავტორს წიგნისთვის „წყალი საკლამხე“ დაურქმევია და წიგნის კარებსაც სწორედ ამ სახელწოდების ლექსი გვისწის: „წყალი — საკლამხე, მთა — სახალხე, მამული — სავენზე კარგად შემინახე!“... — ასე გაღმოგვეცემს პაპის დანაბარებს ავტორი და, იგულისხმება, თავის დანაბარებსაც. წიგნის ყველა გვერდიც სწორედ მამულის სუნთქვითაა გამთხარი. ამ გრძნობამ ათქმევინა პოეტს ასეთი შესანიშნავი სიტყვები: „სამშობლო ჩემო, პოეტი შენ ხარ, მე შენი ენით მოლაპარაკე!“, მაგრამ ზოგჯერ ის დიდი გრძნობა, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია, ვერაა აწული, ვერაა ორიგინალურად გახსნილი; ხელში გვჩნება ზედაპირული განცხადებები, შიშველი დეკლარაციები: „ეს პატარა ტუც, ეს პატარა მთა და ეს ჩანჩქერი, — აი, ესაა ჩემი სამშობლო, სხვა არაფერი...“... თუ რამე მომკლავს — დარდი მომკლავს ჩემი მიწისა...“, „მე თუ არ მიყვარს, შენ ვიყვარს მამა?! ჩემი იორი, ჩემი ბაჩალი...“

ტარიელ ხარხელაურის ლექსებში ღამის ქარბაღაა ის პოეტური „ხორკლი“, რომლის გაურკვეველ და განუსაზღვრელ სახელს ხანდახან ხმარობენ ე. წ. „რაფინირებული პოეტების“ მიმართ. თუ უნდათ თქვან, რომ რაციონალიზმი ბატონობს, გრძნობიერს გონებისმიე-



რი ჩრდილავსო, მრავალმნიშვნელოვნად ამბობენ — „ხორკლი აქლია“, „ხორკლი არა აქვსო“. მორჩა — განაჩენი გამოტანილია ეს არამწორი პოლიტიკა. ე. წ. „ხორკლის“ არსებობა პოეტისათვის თავისთავად არაფერს არ წყვეტს. „ხორკლი“ სუნია, რომლის ქონა-არქონა უკავილის ღირსებას — მხოლოდ გვეჩვენება, რომ განსაზღვრავს. ბ. ხარხელაურის ლექსებშიც ის თუ ზოგჯერ ღირსება, ზოგჯერ კიდევ ზედმეტი და მოსაბუქრებელი ხდება.

ტარიელ ხარხელაურის ლექსებში ბუნების პრიმიტივი აშკარაა. ისაა სწორად მოქმედი პირობი, განცხდის ობიექტიც და პოეტისათვის ლოცვის ადრესატიც. ბუნების ორგანული შეგრძნება შობს პოეტის ბევრ მშვენიერ ლირიკულ სტრიქონს: „შემოშკარით მწის სხივი ხანჯალითი უბაში, ანდა უშუბლი გამიხიქეთ ირინად, მე, ხებო, დუქართი ტუში, ვტირივარ. გვირბილების ანთებული სინაზე გამიტარეთ გულში, მერე ყველა გუთნისდღის ჭინაზე მარცვლითი ვიღაღაგდეთ ხელში“. „...თქვენი ჭირი მჭირდეს, თქვენი კვნისთვ კვნივლად, თქვენი დარდი მჭირდეს, თქვენი კარგი მესმოდეს. მოგაწყენენ ავღრბები, იბოღებთ, მუხებო; ხანამ დაიკარგებთ, თქვენი ხელით, კარგებო, დამიშორეთ მუხლები“. „და როგორც ირემში სიმწვანე მოვიშვი, გაყურებ მთებს, იისფრად მოთოვლელს, მოლი, საკაცუნელად მომიშვირებ ბუერის ფოთლო...“

მაგრამ ზოგჯერ თემა აშკარად ვერაა დაძლეული. უმნიშვნელო ემოციას თუ აღძრავს მკითხველში ბუნების ასეთი სტატიკური სურათები: „მზე ჩამოიშალა, ანათა, ხეობამ ამოიშრალა უბე. სინავს მთას, ნიაჯ აწვალებს ღრუბელს — მუიწვართან“. „არ შობილებენ წნორები, ცას დაეწინა რკალი, მიღის ჭალაზე ზმორებით ნამშინარევი წყალი. მთებში ჭანდები ირევა, ტყეში — ფერების ღვარი. სწორს დაუძახა ირემმა, მერე ასტეხავს ბლავილს...“ „თოვლიანი ჭალა, თოვლზე ნაკვალავი, ნაკვალავზე ჭირი ბუზღუნით მიღის...“. „...როგორ მოიწყინე, სალოცავო ჩემო, ცაო ჩემო, შენი დაღონება არის საოცარი: მზე მოიკვდება, ჩაღდა ქარი, არ არის მთვარე, მღინარე მრისხანებს და ავი ღრნით ლოდები იცლებენ ტალღებს. სიცოცხე, ტუქს აძაგაგებს. როგორ მოიწყინე, სალოცავო ჩემო, ცაო ჩემო...“

ცოტა არ იყოს სახამუშოდ მიჩვენება გულუხვი ბუნებისა და მისი შეიღის ისეთი დამოკიდებულება, უფრო სწორად, კლდეების მიერ მათი ნაყოფის მსმელი მგზავრის ისეთი „გახინჯვა“, როგორც ეს ერთ-ერთ ლექსშია დახატული: „დავეწაფე, ვიღაცამ ბეჭებში დამტაცა ხელი, გაუშაღიანდი, შევებო, ავიხებე, კლდე აუშდებლყო თვალმსცვლი... შემრცხვა, მუხლებში ჩაუვარდი და ვერურჩულეთ: — თქვენი ფეხის ნახანსა ვცემ, კარგებო... მერე ნახი-

ჭის სიგრძე გამოწოვებს, ბეჭები გადაშიტყვარდნულად, შუბლი ჩამწოვებს, მკერდი გადაშიტყვარდნულად, მაჭა გამოხინჯეს, მუხლი შემომოწმეს, ქედზე მზე დამიშვიდეს, დაიბუზუნეს: — შაბერკოსს“

ერთ ლექსში, რომელშიც დაზიანებული მუხის კვნების არცთუ ორიგინალური განცდაა გადმოცემული, მგონი, ყველაფერი გარკვეული არაა: „— ოჰოო!“ ამოიბრუნებს მუხა; ამ ამბავს ავტორთან ერთად იმედაც ესწრება, რომელსაც პოეტი ასე მიმართავს: — „ტოტი მოსტყუა და კვნესოდა იმითაო, — მითხარი, ზურგი შეატრიალე, გამოიღიად და უწინად გაიდარე, ვერის-თავაო“. იმედის პოზიცია ამის მეტად არსად შევადგება, აქ კი იმედაც აღიარებს იმ კვნესას, რაც ავტორს ესმის; მაშ რაღას ბიჯაწეროთ მისი წყრომა — „ვირისთავო“, ანდა წყევლა ბოლოში: „დაგაუწოოს გაშენმა, იმედაც!“ თუ იმედის სიტყვებში რაიმე ირონია იგულისხმება, ეს ზუსტად უნდა ყოფილიყო დანიშნებული. შეიძლება სიტყვა „გაიდარე“ დამიწინად გაღონებას გულისხმობდეს, მაგრამ ის ხომ ცალკე სემანტიკის წინა არ არის, რომ პირდაპირ გვითხრას სათქმელი, ის ხომ ძირითადად დაღმეჭის მნიშვნელობით იხმარება და სწორედ ტიპიკობის შეგრძნებას უყვარდა?

შეიძლება ლექსის ასეთი „გამოშიგნა“ მთლად გამართლებული არ იყოს, მაგრამ დამაზნა გარეგნულმა ქსოვილმა ზოგჯერ სტრიქონებზე შეიძლება ისე ვადავკატარუნის თვალი, აზრობრივი უზუსტობა თვალდახედულა გამოგვაპაროს. მაგალითად, სახამოვნოდ იკითხება შემდეგი სტროფი დაჯიკვირებული მშვენიერი შეიღებით: „იხებვა, გმინავს, ულკიავს მაქას ნისლი მთებს, სწურავს ღალას ეგების და შკოცნის, როგორც ხევსური ხანჯალს, ძმის-მკვლელის სისხლით წითლად შეღებილს“, მაგრამ თუ ჩაუვსვირდებით, გაუგებარი დარჩება ჩვენთვის: რა აზრობრივი კავშირია შესაღარებული წყვილები: ნისლი — ძმისმკვლელი, მთები — ხევსურის ხანჯალი? და თუ ესენი რაიმე კავშირშია, რაღა შეაშია „დღის გამოწურვა“?

ჩემი აზრით, საკმაოდ უხერხულია ბუნების ასეთი „გამოიკვნივბა“: „შეიბრძოლენ... შეეისხილენ... და იმარჯვა განთიადმა, ღამე ზურგზე გააბრტყელა, უსრცხვილად მზე გაღმოდგა გაილაქა, (რომ სთქვას კაცმა, ერთი ზორბად ჩაახველა) და გათენდა...“

სრულიად საპირისპირო მხატვრულ პოზიციასთან გვაქვს საქმე კ. ოგანაძის ეპიკურში „მეფე ღირსისათვის“ (1908 წ.). აბსტრაქტულ-კონსტრუქციული ნაგებობა სწორკუთხა მასიური ფილებიდან შეისდგება. ნაგებობა კომპაქტურია და გამოყოფილია სცენური სივრცისაგან. გამოყენებულ წარმოდგენილ ექსპოზიციურ მხატვარი გვიჩვენებს ფილების მონაცვლეობითა და დანადგარის სხვადასხვა კუთხით შემობრუნებისას სურათის ცვლის მრავალფეროვან შესაძლებლობებს. უკიდურესი პირობითობით გადაწყვეტილი დეკორაციის აბსტრაქტული ხასიათი განსხვავდება კონსტრუქციის ყოფითი ხასიათისაგან.

„მეფე ღირსი“ გ. გუნიახ შემოქმედებაში მისთვის ჩვეული ორნამენტობითაა გადაწყვეტილი. „შამლეტი“ თუ ფრაგმენტებადაა დეკორატიული დეკორაცია, „მეფე ღირსი“ მოძრავ ფარდასთან გვაქვს საქმე, რომელიც სხეულში სხვადასხვა ფუნქციის ასრულებს და ერთადერთ დეკორაციულ ელემენტს წა-

რმოადგენს. უანგისფერი, გვერდებზე მოცვეთილი ტუპი ფარა, რომელზედაც ბრიტანეთის პირობითი რუკაა დახატული, მსხვერპლ თოქებზეა დაკიდული, რუკა სამ ნაწილად გაყოფილი და თითოეულ მათგანში ლათინური ასოებით ლირის ქალიშვილების თითო სახელია ჩაწერილი. თოქების საშუალებით ფარდა სხვადასხვა სურათში სხვადასხვა მდებარეობას აღებულობს. მისი ავტენტითი მოძრაობა ქვეყნის განაწილებისათვის ბრძოლაში სულიერი მანკიერების ხატოვან სიმბოლოს წარმოადგენს. სათამაშო მოედანი სრულიად თავისუფალია აქსესუარებისაგან. შიგ ჩახატული მოქმედი გმირები მძიმე და უხეში, უანგისფერი კონსტრუქციით შუა საუკუნის ეპოქის ადამიანებად გვევლინებიან. აქაც, როგორც „შამლეტი“ მხატვარი ფიგურათა განლაგებით, თითქოს ჰყარნახოს რეესორის მიზანსცენებსა და დეკორაციას შორის მხატვრული ურთიერების განსხვავება. „მეფე ღირსი“ გ. გუნია უადრესად მარტივი ხერხით გვაწვდის პიესის არსის გამოხატვლად სიმბოლურ, დინამიკურ დეკორაციას, რომლის მხატვრული განვითარება იერატობის მაღალი ნიმუშია.

მე-იანი წლების მეორე ნახევარში ი. სუმბათაშვილი იყო ერთ-ერთი პირველიაგან, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დეკორაციული მხატვრობის შემობრუნებაში აზრობრივ-ემოციური თეატრალური პირობითობისაგან არა მხოლოდ კ. მარჯანიშვილის მოწოდების ამხიანებით, არამედ საკუთარი შემოქმედებითაც. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის მისი ეპიკურები „რიჩარდ III“-თვის. ადრე, თუ ი. სუმბათაშვილი საერთო ტენდენციას, „რეალურ“ გარემოში საგანთა „რეალურ“ არსებობას მიიღობდა, საზეიმოდ მოერთულ დეკორაციებში ამშობდა (რომელიც დაჭულიტა“, 1949 წ. „ანტონიოს და კლეოპატრა“, 1951 წ.). „რიჩარდ III“ მან მოგვცა მხატვრულად განვითარებული, ტექნიკურად მოქნილი, პიესის შინაგანი არსის გამოხატვითი დეკორაცია. ი. სუმბათაშვილის ზემოთ დასახელებული სამეფო ნაწარმოები გამოყენებულ იყო წარმოდგენის დროს და მით უფრო აშკარად ხჩანდა მათ შორის სხვაობა. „რიჩარდ III“-ში დეკორაციის ძირითად მორგანეზებულ მხატვრულ საფუძველს წარმოადგენს ქაბუჭებულ დეკორატიული ხიდი, რომლის აწვე-დაწვევად არისფერ და შავ ფარდებთან მონაცვლეობით რეესორსა და მხატვრებს ამღვსს მიზანსცენათა გაშლის მრავალფეროვან შესაძლებლობებს. ხიდი, დეკორაციის ის ძირითადი ელემენტია, რომ-

ცინსან კუბინიძე
შმსპირი ბარათულ თეატრალურ
მხატვრობაში



მელიც ხან ტოუერის ჭოგბნეთში შესასვლელი ზღის როლის თამაშობს, ხან ლორდების სხდომაზე მაგიდის როლს, სადაც დარბაზიელნი რიჩარდის თოქინებზე ჰქუეულან, ხან კი, სამეფო ტახტის ბაღდაჭინა. ბაქანზე განმარტოებული რიჩარდ III-ის ექსპრესიული ფიგურა წითელი მონასხამით აძლიერებს დეკორაციის ემოციურ ზეგავლენას. ესკიზი „რიჩარდ III“-თვის მკვეთრად უპირისპირდება თავისი თეატრალური გამომსახველობითა და აზრობრივი სიღრმით გამოყენებულ წარმოდგენილი დანარჩენი ორი ნაწარმოების კონკრეტული ვარემოს ადწერით ხასიათსა და პარადულთან.

კონსტრუქციული დეკორაციის ლაკონური გადწყვეტის მაღალმხატვრული ნიმუშს წარმოადგენს გ. გუნიას „რიჩარდ III“. მისი დაუშრეტელი ფანტაზია აქვე გვატყვევებს პირობითი ხერხების ორიგინალობით, მტავფორული აზროვნებითა და ცხოველხატული დეკორატიულობით.

ქართული დეკორაციული ხელოვნების დიდი ღაჩებია, მრავალი ინდივიდუალური ხელწერის თანარსებობა ერთ გამოყენებზე, არა მხოლოდ სხვადასხვა თაობათა, არამედ ერთი თაობის მხატვართა ნამუშევრებშიც. მათ შორისაა მ. ჭავჭავაძისა და გ. მესხიშვილის ესკიზები შექსპირის „ოულიუს კესარისათვის“.

დეკორაციების ესკიზები გუთვნის მ. ჭავჭავაძის, ხოლო კონსტრუქციისა — გ. მესხიშვილს.

სამი ტრიუმფალური თადი დგას ხის ამბულბულ ფიცარნაგზე და სცენის საერთო სივრცისაგან ხან გამოიყოფა, ხან კი უფროდება პანდუსების საშუალებით. თადებისა და ერთეულ აქტუარათა მონაცვლეობა თითოეულ სურათს ინდივიდუალურ მხატვრულ სახესა და დანიშნულებას ანიჭებს. ხის ტრიუმფალური თადები დეკორაციის მხატვრული დერძია, რომელთა საშუალებითაც მხატვარი გადმოგვცემს ძველი რომის სამხედრო ძლიერებას და ამავე დროს მოხერხებულად იყენებს მათ ქურა-მოედნებისა და ლუდხანის, სამეფო ინტერიერისა და სენატის, ბრუტოსის პოეტური ბედისა და ბრძოლის ევლისათვის. ხის ფაქტურა გვაახლოვებს რესპუბლიკის დროის რომთან, როდესაც გამარჯვებული მხედართმთავრების ქალაქში საზეიმო შემოსვლის სიხშირის შემთხვევაში ვერ ასწრებდნენ ქვის თადების აგებას და დროებით ხის ტრიუმფალური თადებს აგებდნენ. თადების მოძრავი ხასიათი მრავალწახანაჯა ფორმის ფიცარნაგთან და პანდუსებთან ერთად რეისორული ფანტაზიის გავლის შესანიშნავ საფუძველს წარმოადგენს.

მ. ჭავჭავაძის მიერ გააზრებული რესპუბლიკური რომის მუდღერო მოედნების მოტივს ზედმიწევნით ესადაგება გ. მესხიშვილის მოკლადქეთა ტიპები და კონსტრუქციები. გაუნათლებელ მოქა-

ლაქეთა ტრაგედია, პოლიტიკური სიხშირის გამოწვეული უძღურება და იდეალური მონარქიისათვის ბრძოლის წყურვილი, მათი ფიჭურები ძალია და შრომით დაკოტრილი ტლანქი ხელები გადმოცემულია მარტივი მონახაზებით, მაგრამ თითოეული მათგანის სახე მტყვევლია და შთამბეჭდავი.

ზოგჯერ მარტივი ფორმა თვითმიწინად იქცევა ხოლმე და იგი მხატვრულ ძალას ჰგარავს. ჩვენის აზრით ა. ჰელიძის ესკიზები „მაკბეტისათვის“ სწემდატოვია. მხატვარი გვთავაზობს ერთიან დანადგარს ოთხტუთხა კოლოფის სახით, რომლის წინა ხედი დაყოფილია კონფერტისებურად, ოთხ თანაბარ კარებზე. კართა გაღებულხერვის კომბინაციით ვღებულობით ერთი და იგივე კოლოფის სხვადასხვა ხაზობრივ მოცულობით ფორმას, რომელშიც არსებითი არ არის ხაზგანმეული და გამოყოფილი. შესაძლოა მხატვარი ესკიზების სახით შირდა სქემის აკადემის, ხოლო განზოცოდებისას გამიზნული ჯავზ გარკვეული დეკორატიული ძღერადობა და ემოციური ნაწყობა მიანიჭოს რაიმე მხატვრული ხერხების დამატებით. ესკიზებში ეს არ ხანს,

იგივე ნაწარმოებისათვის პოეტური სიმბოლიკის სახეით ენაზე გადმოცემის ორიგინალური გზებია მოძებნილი დ. თავაძის ესკიზებში „მაკბეტისათვის“. უყუბერსაქტებითი აგებული გეომეტრიული ფორმის კონსტრუქციული, მონუმენტური დეკორაციები გადაწყვეტილია ორ კონტრასტულ ფერში (ბაისფერი და შავი). მათი მკვეთრი მონაცვლეობა მკაფიო დეკორატიული სიბრტყებით ერთ ადამიანში ორი ნაწილის — კეთილისა და ბოროტის ბრძოლის სახვითი გამოხატულებაა.

დ. თავაძის მომდევნო ნაწარმოები „ზაფხულის ღამის ზამზარი“ (1961 წ.) გამოყენებულ წარმოდგენილია ერთი ესკიზით, რომელშიც გადმოცემულია ელფების მეფის ობერონის სამეფოს ზღაპრული გარემო, ფანტასტური ტყე. მქულურჯ ფონზე ასწლოვანი უფოთლო ხეების პლასტიკური პირობით ფორმებში მხატვრის წმინდა თეატრალური აზროვნების არტისტიზმა გამოვლენილი.

ორი უკიდურესობაა მხატვარ მირიანზეილის სხვადასხვა წლებში შესრულებულ ესკიზებში. „რომეო და ჯულიეტას“ ესკიზებზე წელი არ არის შითითებული, მაგრამ შესრულების ხასიათი აშკარად 40-იანი წლების ტენდენციას, „რადლორი“ ვარემოს გულგრილ სახავს მოკვანონებს. რაც შეეხება „ქირვეულის მოჩრულებას“ (1982 წ.). დეკორაციის პირობითი ხასიათი გამოირჩევა საზეიმო დეკორატიულობით, კონტრასტული ნათელი კოლორითი, ვერტკალური, ანსტრაქტული-დეკორატიული ფორმების წრიულ მოედნებთან თამამი შუპირისპირებით.

ორი ესკიზი შექსპირის კომედისათვის „აურ-



ზაური არაფრის გამო" (1966 წ.). დიდ ქართველ მხატვარს ელენე ახვლედიანს ეკუთვნის. ილუზორული ნახატი ფონი და პირობით-არქიტექტურული კონსტრუქცია მხატვრულ მთლიანობაშია მოცემული. ვრებილი, დეკორატიული თაღი, აფურული პივიანი და ასეთივე ღია კარები, საიდანაც მთაგორიანი ფერწერული პეიზაჟი მოჩანს, დაკიდებული ფარნების ფერადოვნება კომედიისათვის საჭირო მსუბუქ, საზეიმო განწყობას გადმოგვცემს, ხოლო სასცენო სივრცის ვერტიკალური დაუოფა და კიბეები სპექტაკლის დინამიური განვითარების საწინააღმდეგარია.

ზემოთ ჩვენ მხოლოდ ვახსენებ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ ორი მხატვრის შემოქმედებაში. ამჟერად შევხებით ახალგაზდა მხატვართა ჯგუფის, სამეულის ო. ქოჩიაძის, ა. სლოვიჩის და ი. ჩიკვაძის ესკაზების აღნიშნული ნაწარმოებისათვის (1974 წ.).

დეკორაცია ვააზრებულია პირობითად. ორი მოწინააღმდეგე ბანაკი წარმოდგენილია თაროებად დაუოფილი ორი საპირისპირო კედლით. თითოეულ მათგანში მოთავსებულია შუა საუკუნეების ადამიანთა სკულპტურული გამოსახულებანი. ეპოქის მკაცრი, ჩამორჩენილი ტრადიცია მათი გამოჩოკნილი სახეებიდან იფურება მათ შორის ცენტრში წავლრულებიანი ცის ფონზე

თერთი გრდივით ღვას არქიტექტურული, აღოვანი ანსამბლი, ორმედიც პირქუშ გარემოში ერთადერთ ნათელ ადგილს წარმოადგენს. იგი სიყვარულისა და სწემინდის სიმბოლოდ იკითხება. სწორედ აქ უნდა გათამაშდეს რომეოსა და ჯულიეტას უმწვენიერესი, დასაღუპად განწირული სიყვარული. დეკორაციამ სპექტაკლში (რეჟისორი გ. ქავთარაძე) დაკარგა სიმბოლური პოეტური ხასიათი და ემოციური ზეგავლენა, რომელიც ესკიზს გააჩნია. ჩვენი აზრით, იგი დაკარგა სივრცეთა მასშტაბების შემცირებისა და ფაქტურის შეუსაბამობის გამო, რაც იშვიათობაა სამეულის შემოქმედებაში.

აღნიშნულმა გამოფენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ქართველი მხატვრებიანა და ქართული თეატრის ფართო შესაძლებლობებში. მათ ერთერთი ხაინტერესო ფურცელი ჩასწერეს მსოფლიო შექსპირიანაში. მიუხედავად გამოფენის თემატურობისა, მასში მკაფიოდ გამოისახა ქართული დეკორაციული ხელოვნების სამი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელითა ერთიანობაში ხილვამ ფრიალ საინტერესო ისტორიულ-შემოქმედებითი სურათი გადაგვიშალა. ქართული შემოქმედების ასეთ სიმდიდრეს, იმედია, კიდევ უფრო სრულყოფილი სახე მიეცემა ამავე სახელწოდების შემდგომ გამოფენაზე.



ქართველი შინაგარეო მთავრობა

ბადნიარის თანამშრომლობა

ბასილ ბალოვი — „სამი სათრი-
ლის მიღმა“, რუსულიდან თარგმანა
გიორგი ბაქანიძემ. გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“, რედაქტო-
რები: ლ. ვაიდელოვილი, ე. ბეწუ-
კელი, 1978 წელი.

ბიუროგრაფი სახლობს ვასილი ბელოვი,
ერთი ყველაზე უფრო სახელოვანი თანამედ-
როვე რუსი მწერალი, „სოფლური პროზის“
„ყველაზე თვითმყოფადი, ყველაზე კოლორი-
ტული წარმომადგენელი“ (ჭუმბერ თითმერია).
აქ წერს იგი, ნადირობს და თევზაობს, დაეხე-
ტება ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ, ფიქრობს ალა-
მიანებზე, რომლებიც ესოდენ უყვარს; აქედან
ეზიანება ის დანარჩენ ქვენიერებას. ვასილი
ბელოვი განაგრძობს დიდი რუსული ლიტერა-
ტურის საუკეთესო ტრადიციებს, ამასთან
უაღრესად თანამედროვე მწერალია. გიორგი
ბაქანიძემ ერთგან სწორად შენიშნა, რუს მწერ-
ლებს არ სჭირდებათ სხვათა ლიტერატურების
„შეწუხება“, თავიანთ წილაშივე მოიძიებენ
ჭრეტ უცად მაღანს შემოქმედებისას, დაეწაფე-
ბიან მშობლიური მწერლობის ძუძუწყაროს და
მსოფლიო ლიტერატურას კვლავ შეუშვებენ,
მძლავრ ნაკადად შეერთვიანო. საერთოდ რუ-
სული მწერლობისა და, კერძოდ, „სოფლური
პროზის“ პრობლემებზე მწვენივრად წერს თავის
წინასიტყვაობაში ჭუმბერ თითმერია. ამ წე-
რისში მრავალ საკულისსმო რამეს ამოიკითხავს
ანტიტრენებული მკითხველი და, ასე ვთქვათ,
„მომხდებულში“ გახეყება ამ დიდებული მოთ-
ხრობების მდინარეებს, რომლებიც ასევე დიდ-
ბულად არის თარგმნილი. წიგნის მთარგმნელი
გიორგი ბაქანიძე ვახლავთ, ქართული სიტყვის
სიტყვა, ეჭვიფტანელი მწერლური პატიოსნე-
ბით აღსავსე კაცია, ვანც ...იცის ყოველი მწე-
რლური საიდუმლო, და ეს საიდუმლო ისე
ღრმად აქვს დაზარბული სიტყვაში, როგორც
ეს ერთგულ მსახურსა და მესაიდუმლებს შე-
შენის“ (ტარბელ ქანტურია).

გიორგი ბაქანიძის გამორჩეულ მწერლობაზე
უაღრესად გამო სიტყვას აღარ გავაგრძე-
ლებთ, იგი მკითხველისთვის ისედაც ცნობილია.
მხოლოდ იმის თქმა გვიწევს: რა ბედნიერებაა,
როცა ნამდვილ მწერალს (სიტყვით მხატვარს)
ნამდვილი მწერალი თარგმნის, როცა ერთი
მწერლის შემოქმედების მხატვრული თავისებუ-
ლებები, სტილი, წერის მანერა და სხვ. ახლობა
მეორე მწერლის ბუნებასთან. სწორედ ამავე
უთქვამთ, გული გულს იცნობსო. ამგვარი თა-
ნამშრომლობა სანატრელია და კარგის მეტს არა-
ფერს მოიტანს.

კრებულში რვა მოთხრობა შეტანილი. გვა-
ოცებს დედთან სიახლოვე და ამასთან ენობ-
რივი თავისუფლება, რაც მხოლოდ შემოქმედ-
ებით თარგმანისთვის არის წინაშეაღებული. თუ-
მცა საკვირველი არაფერია, საოცარი ის იქნე-
ბოდა, პირიქით რომ ყოფილიყო. გიორგი ბა-
ქანიძეს თარგმანშიც ხომ დიდი და ნაყოფიერი
გამოცდილება აქვს. გავიხსენოთ მისი თარგმნი-
ლი ბუნების „მიტიას სიყვარული“, პლატონო-
ვის მოთხრობები, ახლა აქვთ ტინიანოვის „ვა-
ზირ მუსთარის სიკვდილი“, აღსაზური ნართე-
ბის ეპოსი და სხვ. რომელი ერთი ჩამოვთვა-
ლოთ. ერთი სიტყვით, თარგმანი მწერალს
დვილ საქმედ გაუზღა და „შვილობილად“
ვერ მიიჩნევს. ჩვენ შეგვეძლოს ბელოვის ამ
წიგნიდან მოგვეყვანა მრავალი ადგილი, სადა-
ნაც თვალნათლად ჩანს, როგორც მწერლის ძა-
ლა, ისე მთარგმნელის ოსტატობა, მაგრამ ისევ
და ისევ ადგილის სიმცირის გამო ამოვწერეთ
„როსტანის გორის“ ორიოდე ადგილი, რომლე-
ბიც მწერალი ნატივების კვალებზეა გამარ-
თულია

მარიას ომში წახული ქმარი მოაგონდა და
წამოიტირა: „ვგი, სულო, ჩამოიყარა თერთი
ხელები ამ დიდმა მწუხარებამ, სინათლე გაშო-
მილია ბრალთა თვალეში, ჩამიტეკა თერთი პი-
რისახე. რაც შენ წახვედი, სულო, წახდა ჩემი
ცხოვრება — რაც ომში წახვედი, ვეფენის კი-
დეზე, სიათაც მზე ჩადის, სულო“. ან კიდევ —
„ვგი, სულო, გააჯრებენ ვეჟაკი, გავაყრენენ
ოქროს ქაჩორი; თითო ღერი შენი თმა და თი-



თო — ჩემი ცხელი კურცხალი ვაი, სულთ, სახანოთ ფარაჟა რა შენი მხრების სარგოა, ჩემქმებიც არაა შენი ფეხისა, ხელთათმანებაც — შენი ხელისა. გზებაც ვინ გასომავს უცხო მხარეში, ხალცი უცხოა და მოსამართლენიც უწყლონი, სულთ...“

ცხადია, ეს ორი ამონაწერი მკითხველს ვერ შეუქმნის ნიახლოებით წარმოდგენას ვერც მოთხოვნებისა და ვერც თარგმანის ღირებულებას, ამიტომ თვით წიგნი უნდა ჩაიკითხოს.

მთარგმნელის მიმართ ამდენი საქებარი სიტყვის შემდეგ იქნებ არც ღირდეს ჩვენი აზრით იმ უმნიშვნელო ხარვეზის აღნიშვნა, როგორიცაა რუსული, ლათინური, სერბოვლად, ევროპუ-

ლი გზით შემოსული სიტყვების ხმარება (მგ. ბანალური, ფლორა, ხალტურის კეთება, რეპარატორი, მატერია, ინსტიქტი, ფაზილარული, კატეგორია, კონფლიქტი, ანალოგია, ნეიტრალურები). ეს სიტყვები სულ იოლად შეიძლება ქართულით შეიცვალოს. არც მოძველებული ფორმების (ვითარცა, ძალისხმევა, ოდეს, ჰგეის და სხვ.) ხმარება მივგაჩინა მართებულად. ბელოვს არ ესადაგება. თუმცა ამის თაობაზე სხვა აზრაც შეიძლება არსებობდეს.

მთავარი ისაა, რომ ამ ბედნიერ თანაშემოსლობას ხასურველი შედეგი მოჰყვა.

ბიორბი ბაზუბაძე

ასალი ნაშრომი ტოპონიმოკაში

ი. სიხარულიძე — „ბანეთი, I“, ბაზმ. მცდელობა „საბჭოთა ატარა“, რედაქტორი პაპაე ს. ჯიძიძე, 1978 წელი.

აღბლითა სახელებს ანუ ტოპონიმის ენათმეცნიერების დარგი — ტოპონიმოკა შეისწავლის, მაგრამ ასეთ მასალებს დიდი გამოყენება აქვს საისტორიო მეცნიერებაშიც. ტოპონიმის უძველესი დროიდანვე ექცეოდა ყურადღება, მისი შესწავლა ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგიდან დაიწყო. ამ საქმის პიონერი ჩვენში პროფესორი იური სიხარულიძეა. „იური სიხარულიძის სახელები უნდა ითქვას, — აცხადებს ამ რამდენიმე წლის წინათ აკადემიკოსი ნაყო ბერძენიშვილი, — რომ მან სანაქებო და მისაბაძი საქმის მოყვარეობა, ენერჯია და უნარი გამოჩინა და დიდი ტოპონიმოკური მასალა შეაგროვა“. ი. სიხარულიძის ტოპონიმოკურმა ძიებებმა ფართო გამოხმარება პპოვა. მის ნაშრომებს, როგორცაა „საშრეთ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოკა“, (1958 წ.), „სამცხის ტოპონიმოკა“ (1964 წ.), „გურიის ტოპონიმოკა“ (1971 წ.) და სხვა, გამოეხმარუნენ ცნობილი სომეხი მეცნიერი ავად. ს. ერეშიანი, პროფესორები: რ. კუხგურავი (უზბეკეთი), ე. მურხავეი (რუსეთი), დ. ლანგი (ინგლისი), დ. ტარდი (უნგრეთი) და სხვ. აკადემიკოსი ა. შანიძე წერს, რომ „პროფ. ი. სიხარულიძის ნაშრომები ყურადღებას იქცევენ, როგორც მასალის მხრივ, ისე მეცნიერული გაუმტებით“, ზოლო ავად. ს. ყაუხჩიშვილი კი საგანგებოდ აღნიშნავს: „მოიქვამს და ახლც ხაზგასმით აღვნიშნავ, პროფ. ი. სიხარულიძის ტოპონიმოკური კვლევის დიდ მნიშვნელობას. ყველა ელენისტიკათვის კარგად აბის ცნობილი, თუ რა დიდი პატივით სარგებლობს ძველი სამყაროს მკვლევ-

ვართ შორის გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის პროფესორ ფრიდრიხ ბენტელის შრომები ბერძნულ ონომასტიკონზე. ეს პატივი სავსებით აინიერიკა, მაგრამ პროფ. ი. სიხარულიძის დამსახურება შეტია. რადგან ლამბიციკელ მეცნიერს მრავალი წინამორბედი მყვდა, ზოლო ი. სიხარულიძე საქართველოს ტოპონიმოკური სისტემატური კვლევის პიონერია“.

ი. სიხარულიძე აქტურად, მეცნიერული რუდუნებით მუშაობს ისტორიული სამართ-საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერაზე, რაც გათვალისწინებულია ათ წინადა. ახლანამ გამოვიდა ამ სერიის პირველი წიგნი „ქანეთი, I“, რომლის რედაქტორია ავად. ს. ჯიქია (გამოსაცემად შადაა „ქანეთი, II“).

ავტორს წიგნი („ქანეთი I“) დადგენილი აქვს ქანეთის გეოგრაფიული ნომენკლატურა ამ კუთხის ისტორიული განვითარების კვალზე. ტოპონიმოკის დიდი წილი, როგორც აღნიშნულია ნაშრომში, წმინდა ქართული (ქანური) წარმომავლობისაა, მის გერმანული ცვლადობენ არაბული გეოგრაფიული სახელწოდებანიც, რაც ქანეთის ტოპონიმოკაში თურქების მიერ ამ კუთხის მიტაცების შემდეგ (XVI ს. შუაწლები) შეიქრა. გვხვდება ბერძნულ-ბიზანტიური და სხვა ენობრივი ტოპონიმოკური ფაქტებიც.

წიგნი ახსნილია სატომო სახელი „ქანი“ და მისი მემკვიდრე „ლაზი“, მოცემულია ამ ორი ქართველური ტომის ისტორიული ურთიერთობისა და შერწყმის საკითხები. ავტორი ადადგენს ისტორიულ სურათს და ამტკიცებს, რომ საბჭოთა და ისტორიული საქართველოს იმ ნაწილს, რომელსაც აშუშად ლაზოს ეწოდებო, აღნიშნული სახელწოდებით, ქანეთია.

ნაშრომში დამაქრებლადა მოთხრობილი ქანეთის გასახლების თაობაზე; უცხოური და ადგილობრივი ცნობების მოშველიებით მოკლედ აღსახიბებულია ქანეთის ბელუკომარტი ისტორია.



ნაშრომის მთავარი ნაწილია „ქანთის ტომ-ნიმუში აღწერილობა“. ავტორს ისტორიულ-გეოგრაფიული და ხალხური ცნობების მიხედვით წიგნი შეტანილი და ახსნილი აქვს 400-მდე ადგილის სახელწოდება. ის გარემოება, რომ ქანთის უძველესი ნაწილი ამჟამად საქართველოს საზღვრებს მიღმა, ძლიერ აფერხებს მხარის ტოპონიმურ შესწავლას, მაგრამ აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვების მოშველებით, ავტორი აცხადებს: „შესაძლებელი მაინც უნდა

გავთვდეს, ამის აუცილებლობას სახვევს ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შეწყველის საზღვრის ამოცანები“.

წიგნი ამდღებებს ჩვენს ცოდნას საქართველოს ამ ეროვნული უძველესი კუთხის შესახებ. ნაშრომი მნიშვნელოვანი შენატონია ქართული საისტორიო, გეოგრაფიული, ხანაონციერიო და ფოლკლორისტული მეცნიერებებისათვის.

გიორგი მელიძე

კრიტიკოსის ახალი ფიგნი

ლ. ალიშონაძე — „ცნობიბა და ლიტერატურა“, გამომცემლობა „საბჭო-თა სტამბოველი“, რედაქტორი ი. ბარბაქაძე, 1979 წელი.

ლერი ალიშონაძის ახალ წიგნი გარდა ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებისა, წარმოადგენილია ზოგიერთი თეატრალური და მუსიკის მოღვაწის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობის გარკვეული მომენტები. დიდი ნაწილი აღნიშნული წიგნისა, თანამედროვე ქართველ ახალგაზრდა პოეტთა წიგნებას განსილვას ეძღვნება; ამ შემთხვევაში ლ. ალიშონაძე წარმოგიდგება, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, რომელმაც შესწავლა უნარი ღრმად შეიხედოს პოეზიის ურთულეს საყარაში და მკითხველს ლექსის ძალზედ ფრთხილი და მიუღწეველი ანალიზი შეხთავაზოს. ამგვარ დასკვნაზე მიყვარებულ წიგნებს, რომელთაც გ. ძნელაძის, კ. ბილაძის, გ. პეტრიაშვილის, მ. ჭვუბურაძის, თ. ბეჭიშვილის, მ. წიკლაურის, და ბ. ხარანაულის პოეზიის განხილვას ეძღვნება. მისი წერილები პასუხობს ლიტერატურული კრიტიკის წინაშე დაყენებულ იმ ურთულეს მოთხოვნას, რომელიც მკითხველისათვის ზოგჯერ მწერლის მიერ გაუცნობიერებელი მომენტების წარმოჩენას ვალისხმობს.

გ. ძნელაძის პოეზიაზე მსჯელობისას ლ. ალიშონაძე კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ აზრს: „იშვითა თვისება პოეზიისა, როცა მსოფლგანცდა და პოეტური აზრი მისი კოსმოსს კი არ შემოქმედება, არამედ მისი წაკითხვის მერე. პოეზია იწყება იქ, სადაც თავდება ლექსის საგნობრივი მხარე“.

არ შეიძლება არ დავთანხმო კრიტიკოსს, როდესაც იგი გ. პეტრიაშვილის თეორიული ხასიათის წერილში წამოყენებულ დებულებებზე მსჯელობს. ავტორი სამართლიანად მიუთითებს იმ წინააღმდეგობებზე, რომელიც ხსენებული პოეტის პოეზიას და მისი თეორიული ხასიათის წერილს შორის შეინიშნება.

განსაკუთრებული გულსხრებით არის გაშუქებული ლ. ალიშონაძის ყველა კრიტიკული წერილი, მაგრამ მთავან მაინც შეიძლება გამოიყოს წერილი, რომელიც ბ. ხარანაულის პოეზიას ეძღვნება. ავტორი, სასულგლიანი ანალიზის შედეგად გვიჩვენებს თუ რაში მდგომარობს ბ. ხარანაულის პოეტური ინდივიდუალობა, რომელიც მის პოეზიაში ერთგვარი სიანლის დანახვის შესაძლებლობას ქნის. ლ. ალიშონაძის აზრით ბ. ხარანაულის შემოქმედების დირსება აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით იმაში გაიოხატება, რომ „...მის ინდივიდუალობას არ დაჰკრავს ფორმალისტური წერის დიდი და რაგანაულოდ ააშკარავებს თავის ინტენსიურ კონტაქტს ეპოქის განვითარებებთან... — მას უნდა გავთვალისწინებინა მთელი ქართული პოეტური მემკვიდრეობა და ერთგულად ნაივად მოუწყვეტლად გამოვქნინა ისტორიულ-კრიტიკული ფორმა, თანადროულობის თვალსაზრისით რომ სრულფასოვანი იქნებოდა“.

ლ. ალიშონაძის აზრით ბ. ხარანაულის შემოქმედებაში მდგომარულია აშკარების სინთეზი, რადგან მის პოეზიაში იგრძნობა „უსაზღვრო სივარული ქართული პოეტური კულტურისადმი“ უტყუარ კრიტიკულ ადღოს ამუღავნებს მკვლევარი, როდესაც იგი ბ. ხარანაულის პოემის „ხეობარი თოქინას“ საქმოდ ვრცელ აზრობრივ და ესთეტიკურ ანალიზს თავაზობს მკითხველს. ეს პოემა, რომელიც თავისი სირთულით განსხვავებული აზრების წარმოშობის საფუძველს ქნის, აღბათ საბოლოოდ ლიტერატურათმცოდნეობის შეფასების ობიექტი ვახდება. მაგრამ ჩემი აზრით, ლ. ალიშონაძისეული ანალიზი აღნიშნული პოემისა, ყოველთვის დარჩება თავისთავადი ღირებულების შემცველი.

როგორც ჩვენი წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ლ. ალიშონაძის წიგნი დასტამბულია სხვა ხასიათის წერილებით. წიგნის ერთ-ერთი ნაწილი იწყება სტატიით ვახტანგ ორბელიანზე, სადაც მკვლევარს უკვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის სფეროსათვის დასაბასიათებელი მასალის დამუშავება უხდება. დ. ალიშონაძე ქართველი რომანტიკოსის შემოქმედების



დი-ბანთან ერთად სტამბოლში ჩავიდა. იმვე წელს გაფორმდა ირან-ოსმალეთის ხელშეკრულება. ამ წავის დადებამ დაიწყო წელიწადი მიუძღვროდა გულერას, რომელიც, უბრძვლესად, საქართველოს კეთილდღეობისთვისა და ციხის კედლებში გამოკეტულ სიმონ მეფის გამოსხნისთვის იბრძოდა.

ამ ქართველ ქალთა რიცხვს ეკუთვნის გულერა ბაგრატიონი (გოლერმარე — ასე იხსენიებს ისქანდერ-მუნში), რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს მოახმარეს. სამწუხაროდ, — დახმენს ავტორი, — არც ქართულ, თურქულ, სპარსულ და არც ევროპულ ენებზე არსებულ წარბეჭედში არ მოიპოვება ცნობები, თუ რა ბედი ეწია სახელდღვანე ქართველ ქალს, გულერა ბაგრატიონს, ირან-ოსმალეთის წავის დადების შემდეგ.

წ. შარაშენიძე თავის წიგნში კონკრეტულად და საინტერესოდ გადმოგვცემს ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა უოფისა და მათი ეკონომიური თუ კულტურული ცხოვრების სურათს.

წიგნში შეტად საინტერესოა გადმოცემული ლაღო აღნიაშვილის (1800-1904), ფერეიდანში პირველი ქართველი მოგზაურის შესახებ.

ნაშრომში აგრეთვე უკარგადაა გამოცემული ირანში ჩასულ (ოფიციალურ საქმეთა მართვა) ქართველთა ცხოველი ინტერესები. მათი მიწა-წყლის ხალხთან შეხვედრებისა თუ მათთან დამეგობრების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, სასიამოვნო შეატებია მოყვანილი პავლე ლორთქიფანიძის, ამბაკო ქელიძისა და სხვათა ირგვლივ.

წიგნში წარმოდგენილია ქართველი მეგობრების წერტილის საპასუხოდ ფერეიდანიდან გამოგზავნილი ბარათები.

ნაშრომს დართული აქვს ფოტოალბუმბარათები, ფერეიდანის ქართული სოფლების განლაგების რუკა. მოცემულია აგრეთვე სპეციალური ცხრილები იმის შესახებ, თუ ამა თუ იმ ქართულ სოფელში რომელი ენა სარგებლობს პრავილდებით. წიგნს აქვს დანართი — ფერეიდანელი ქართული მეტყველების ნიმუშების ტექსტები. აქვეა მოცემული მცირე ლექსიკონი, სადაც განმარტებულია ზოგიერთი სახეშეცვლილი ქართული სიტყვა და ფერეიდანულ ქართულ მეტყველებაში ფენსიკიადებული სპარსული გამოთქმები.

ერთი სიტყვით, შეტად საინტერესო ნაშრომი შეემატა წიგნის თაროს წ. შარაშენიძის წიგნის სახით.

ვახუშტი

მოკონება ქორის ფიქსალა

ჯემალ ჩახხვა — „ლიმსანი“, ბმომცემლობა „მარანი“, რედაქტორი ც. ძაროსანიძე, 1979 წელი.

ჯემალ ჩახხვას პირველი წიგნის წინათქმავში ოთარ ქელიძე წერს: „ავაკირდები ჭემალ ჩახხვას ლირიკულ რვეულს და მერამდინელ ჩამების კითხვა: პოეტი საერთოდ როდის უფრო გვარწმუნებს და გვაჭრებს, როცა თავის სათქმელს სრულყოფილი ოსტატობით აღბეჭდავს თუ უშუალო განცდის ზუსტად, მაგრამ პოეტურ სერხებს დაუპირისილებელი ჩანაწერით“.

კაცმა რომ თქვას „პოეტურ სერხებს დაუპირისილებელი ჩანაწერი“ არც ისე ბევრია ახალაზრდა პოეტის პირველ კრებულში და თუ მანაც არის, ასეთი დამაჭრებლობა არც მათ აკლია, რაზეთუ ჭემალ ჩახხვა წერს იმაზე, რაც ბავშვობიდან შეუოუნაბავს მის მიხსიერებას, რასაც წარსული კვალი დაუმჩნევია მის სულიერ ცხოვრებაზე, რაც სტიკია და უხარია, რაც ახასრლოვებს მის ესთეტიკურ სამყაროს.

პოეტი ალბათ სწორად მოიქცა, როცა თავის პირველ კრებულში ერთი ნიმუთი გაერთიანე-

ბული ლირიკული ციკლი წარმოგვიდგინა, თავისი პოეტური თუ ადამიანური ბიოგრაფიის თავფურცელი, რომლის გაცნობის შემდეგ მკითხველი მის ბუნებრივ გაგრძელებას, თემატაკურ სიახლესა და მხატვრულ მრავალფეროვნებას მოელოა.

ეს მოლოდინი ალბათ ჭემალ ჩახხვას შემდგომ წიგნებში გამართლდება, ახლა კი იგი სათუთი გრძნობებითა და უძვირფასესი მოგონებებით დასაბლბულ ლირიკულ რვეულს გვთავაზობს.

ამ გრძნობებისა და განწყობილებების „წყაროსთავი“, უპირველესად რა თქმა უნდა სამშობლოა, „საყვარელი მიწა ნაიანია“, რომელსაც ასე გულწრფელად უმღერის პოეტი, შემდგომ ამ მიწის მკვიდრნი, ავტორის სურმისხული ადგილები, კოლხური მანგები და თქმულელები, კაციაკობის საქმეობარ და ავკაცობის საძაგებელი.

ჭემალ ჩახხვა ძალზე კარგად ახერხებს შთამბეჭდავი სურათების ხატვას, რომლებშიც საოცარი სიბოთ და გულწრფელობა ჩაქსოვილია, რომელნიც რაღაცით ეტმინებია, აცოცხლებენ და ემსგავსებიან ჩვენს ყველაზე უკეთეს მოგონებებს.



საქლამურმა მწიგნობარმა ნიკოლოზმა
 (წიგნის) დარღვევებზე სვედიან პანგეს,
 რომელიც მხედრის ფერს ღვინით შებოლილ ვიქის
 გახედვად და არ სვამდა განგებ.

ჭეშალ ჩახავა არ მიისწრაფის ნაძალადევი
 ორიგინალურობისაკენ, არც ინტონაციური
 მრავალფეროვნებით გატაცებას აწყლავნებს,
 არამედ ნაცად, კლასიკურ საზომებს ამჯობი-
 ნებს, სათქმელის ხადად, მარტივად თქმას ცდი-
 ლობს.

დღეს ამ პოეტიკის არც ხელაღებით მოწო-
 ნება შეიძლება და არც ხელაღებით დაწუნება,
 რადგან მთავარი და განმსაზღვრელი ალბათ
 სხვა რამ არის, ამ სხვას სახელად პოეტური ტა-
 ლანტი, მხატვრული წარმოსახვისა და განცდის
 უნარი ჰქვია და ჭეშალ ჩახავას იგი ნამდვილად
 აქვს მომადლებული:

ეს დღე ჩემია, დღეა პოეტის,
 კვდება ვიღაცა გზაზე სიცილით
 და სული ჩემი უსათნოესი
 სავსეა ღამაზ დღის სიმძიმით.

„ღამაში დღის სიმძიმის“ განცდა მხოლოდ
 პოეტური ნიჭის თვისებაა, რადგან მხატვრულ
 პრიზმაში სხვაგვარად ჩანს ცხოვრება და მოვ-
 ლდენები, პოეტის სული სხვაგვარად აღიქვამს
 სისარუღისა და სიმძიმის გრძნობას, მისთ-

ვის სხვა-მხრეებზე გამოჩნდებიან და ქრებიან მანუა
 ისინი.

ჭეშალ ჩახავას თითქმის ყოველი ლექსი რა-
 დაცით არის დაკავშირებული მსოფლიურ მზა-
 რესთან, საიდანაც პოეტს ტრევილიან მოგონე-
 ბებად გამოჰყოლია ომისდროინდელი თუ ომის-
 შემდგომი დროის მძიმე სურათები:

ვერ დავივიწყე ცრემლები დედის,
 სურათი მამის, ხალათი ჩივის
 და გალიაში დატყვევებული
 ჩემი პატარა, სობრალი ჩიტი.
 უიღბლო დღეებს ვადიდებ რადგან
 შემმატა რწმენა კაცობის, ხვალის,
 დღეები იგი შემს გვერდით დადგა,
 ღამაზ დღეებთან, უცნაურ ძალით.

პოეტის პირველი წიგნი მისი ძალია და პო-
 ტენტის უტყუარი დასტურია უთუოდ, და რო-
 დესაც ახალგაზრდა კაცი ამჯობინებს წერას
 იმაზე, რაც იცის, რაც განუცდია, უნახავს და
 დაჰკვირვებია, ეს ავტორის მხატვრულ აღლო-
 ჯეტ მიგვანიშნებს, რადგან ავტორის მიერ გა-
 ნუცდელი ვერც ტკივილი და ვერც სიხარული,
 რადგინდ კარგადაც არ უნდა იყოს ნაოქვამი,
 მკითხველის გულს ახლოსაც არ მიეკარება.

დავით მებელური





დავით გელიძე

სიყვარულით ნაგები სიხე-პოეზი

სარბილი საქმის ნახევარია სპორტსმენათვისაც, ამბობენ. მხოლოდ საქმის ნახევარი. სარბიელი არა ჰქონიათ მარინე ცერცვაძესა და ირაკლი ჭაფარიძეს, ნორმალური, თანამედროვე ტიპის, სტანდარტული წონის სარბიელი, მაგრამ მაინც მიაღწიეს საწადელს, მართალია, სანახევროდ, მეტის გაკეთება შეეძლოთ, გაცილებით მეტის, მაგრამ თავს ზემოთ ძალა აღარ ეყოთ. რაზეც მიუწევდებოდათ ხელი, იმაზე ბევრად მეტი გააკეთეს. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადიოდნენ, იქ ვარჯიშობდნენ თვეობით ოჯახებს, ახლობლებს, ტოლ-ამხანაგებს მოწვევებდნენ; ბაკურიანში იკრიბებოდნენ და იქ იმედობდნენ ოსტატობას, ღია ცის ქვეშ მოწყობილ ბუნებრივ საციგურაოზე, უინვანში, თოვში, ქარბუქში, დარსა თუ ავღარში; ხანაც, უინულს აჭარით იღებდნენ თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული ბალიტიგანს...

ხელოვნება მსხვერპლს მოათხოვსო, ნათქვამია. ალბათ სპორტიც მოითხოვს მსხვერპლს, რამეთუ ხელოვნება და სპორტი, მისი ზოგიერთი სახეობა ძალზე ახლოს დგანან ერთმანეთთან. ხშირად, ხელოვნებასა და ქაღარაკს ადარებენ ერთმანეთს, კარგი საქადრაკო პარტია ხელოვნების ნიმუშიაო. არ არის გამორიცხული, ალბათ, სწორიც კია. მაგრამ ვანა ფიგურული სრიალი არ არის ხელოვნება, ვანა მხოლოდ სპორტული „მრიცხველით“ შეიძლება მისი შეფასება, ვანა ფიგურული სრილის ბრწყინვალე ოსტატის მიერ მშვენივრად შესრულებული სამშაგი საღზოვი თუ სამშაგი ლუცი, სამშაგი რიტმბრტყერი თუ ორშაგი აქტივი არ უნდა მივიჩნიოთ ხელოვნების ნიმუშად! სავსებით სწორი იყო რსულს რელოვნების დამსახურებულო იმდენადვე ვლადიმერ გოლდფელდი, როცა აგი, ამ რანდენიშე წლის წინათ, ვაზეთ „სოცეტასკა აულტურას“ ერთ-ერთ ნომერში წე-

რდა: „მჭერა, ჩვენ ახლო მომავალში ტაშს დავუკრავთ ახალ, „უინულზე ფეხადგმულ“ ხელოვნებას... თავისთავად დაესმება წერტილი კამათს მასში ქორეოგრაფიისა და სპორტის შეხამებაზე. წინასწარ ვერ იტყვი, როგორი იქნება ეს უანრი. მთავარია, მასში იქნება ის განუმეორებლობა და უნიკალობა, ის, თვალისთვის ძნელად შესამჩნევი „რადაც“, რომელიც იძულებულს გავვხდის აღფრთოვანებით წამოვიძახოთ: „ეს ხომ ახალი ხელოვნებაა!...“ და მარინემ და ირაკლიმაც გაიღეს მსხვერპლი ფიგურული სრიალის წინაშე, ახალგაზრდობის საუკეთესო დღეები შეაღიეს, ბევრ ცხოვრებისეულ სიამაყეობაზე თქვეს უარი. დაუფასდათ კი?..

ეძიებდენ და ბპოვებდენ, ენეც ნათქვამია. ეძიებდნენ და კიდევ იპოვეს, საკუთარი თავი, საკუთარი ძალა, საკუთარი ხელწერა. ერთი ხელის მოსმით არასოდეს გაკეთებულა საქმე და არც მათ უჩქარაოთ. ძალდაუტანებლად, მოთმინებით, დიდი სიყვარულითა და რულულებით ავებდნენ ციხე-კოშკს და ერთხელაც არ ჩამოგრევიათ, თუშედა, ბოლომდე ვერ აავეს...

...სტანდარტული უინულის საციგურაოს წონა 26X30 მეტრია, საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალიზებული ფიგურული სრიალის წარლის საციგურაო კი მხოლოდ 27X27 (!) 1964 წელს გახსნილ ამ სკოლაში აღიზარდნენ ფიგურული სრიალის ისეთი ნიჭიერი, ცნობილი ოსტატები; როგორცაა მარინე ცერცვაძე, ირაკლი ჭაფარიძე, თამარ ჭიქია, ღია გაბეღია, მისა სიხარულიძე, ვანა შანუღლაშვილი და სხვები. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ბევრ სასახლო წარმატებას მიაღწიეს ქართველმა სპორტსმენებმა, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიმკვიდრეს საბჭოთა კავშირში — მსოფლიოს



ფიგურული სრიალის აღიარებული სკოლის ქვეყანაში, მრავალი თელახანისო გაზარტული მოიპოვეს უცხოეთის საცდგრაობებზე, მხოლოდ იყენენ უფრო მაღალი სინტაქსის დასაბუთებად — საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებში საპატიო ადგილებსთვის საბრძოლველად, ნაგრამ... შეუფერხებელი სტანდარტული ნერვად მტარე ზოშის სარბილზე ნიაღვრო საღვთისსწრე წარმოტებას, და... ვერ ირაკეთი ჭაფარბემ, ვინ იაშვილმა, ნიღარ სარბილში, თამარ ჭიქამ დატოვეს სარბილელი ისტ, რომ არც ერთ მთავანს არ უტევენს ბოლომდე ოპიზიანად სათქმელი, შეუბრუნე უფროსი მფლობელების კვლავ გაუფრენ მარინე ცერცვაძე, დია გაბელია, ნიშა სინარულიძე... არადა, თავის დროზე რომ გამოვეყო სხელი, არ აფულოდით ვიდე-ვიდეციების ნება-სურვილს, დარწმუნებული ვარ, ტელევიზიის ეკრანებიდან დღეს ბოლოდ საბჭოთა და უცხოელი იერარქულიების... ხელეთ კი არ დაუტკბნოდით, ჩვენი თანამეზაფლები, ქართული სპორტსმენების ოსტატობითაც ვიამყებდით... ანის საფუძველი დიდაც რომ გვეონდა... ენდა რამდენიმე ჩანაწერს შემოთავაზებთ, შოგი სპეცო შირი გაუტეხიდანა ამოკრებულად, როდღე პირად საუბარში აქვთ ნათქვამი ცნობილ საბჭოთა სპეციალისტებსა თუ ფურხანისტებს.

როცა სიტყვა ქალთა ციფურაობის პრობლემაზე ჩამოვარდა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, საბჭოთა ექვენი ერთ-ერთმა საუკეთესო სპეციალისტმა სტანისლავ შუშვა თქვა: „არ ეთანხმები პესნიციტებს, როცა ამტკიცებენ, ამ სახეობაში უფრედოდ ჩამოვარებით. ეხლა ჩვენთან დიდ უფრადებას უშობენ ქალებთან მუშაობას. მინდა დავახახელი ისეთი მწვრთნელი, როგორც დენინგარადელი ალექსი მიშინი და თბილისელი ირაკლი ჭაფარიძე — ეს ხალხი ახალ სხელებს იძებს“.

საბჭოთა კავშირის პროფესორების VIII სპარტაკიადიდან ვადნოცემულ რეპორტში ავტორთა ჯგუფი „სოკრეტის სპორტის“ 1975 წლის მარტის ნომერში წერდა: „თბილისელი გოგონების — მარინე ცერცვაძისა და ლია გაბელიას მე-8 და მე-9 ადგილები იმდენად აღზანიშნავი, რამდენადაც ამ წარმატებას ზურგს უმაგრებს მათი მწვრთნელის ირაკლი ჭაფარიძის ენთუზიაზმი, მისი ერთგულება საქმისადმი, თავდაუზოგავი შრომა, რომელსაც იგი საქმოდ არახელსაყრელ პირობებში ეწევა“.

რაფსერ დამსახურებულ მწვრთნელის ვ. რაქვიანის რეპორტები ტაშენტიდან — საბჭოთა კავშირის 1975 წლის თანის გათამაშებიდან („სოკრეტის სპორტი“, 10 აპრილი, 1975 წელი): „ცერცვაძემ სრიალის მაღალი სიჩქარეები და ორნახევრიანი ბრუნის რთული ნახტომების შესრულების უზადობა აჩვენა.“

წილვანდელი სეზონი მარინემ წარმატებით

დაიწყო. შარშან სექტემბერში იგი მეორე იყო „ეოსტრესისეი კონკის“ შეჯიბრებაში. შეტყუებული მდებარეობის პერიოდი დადგა. სპორტსმენი დიდ ბუნდა და გამოტოვა ძირითადი ნახტომი — სარკეშის ჩემპიონატი. ცოტა ვინაღეს თუ სწარბოდა, რომ ორთვიანი იმუდებითი შეტყუება შენდევ მარინე ასე მადე შეტყუებდა კარგი სპორტული ფორმის აღდგენას. მაგრამ მწვრთნელი ირაკლი ჭაფარიძე ამდებდა არ ჰმარბოდა. სიამოვნებით აღწინავე, რომ ეს იმედები მთლიანად გამართლდა. ცერცვაძემ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა საკმოდ ძვიდარ ღა გამოცდელად შეტყუებთან ექვადში. აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრებაში სულ ორმა სპორტსმენმა შეძლო საბჭოთაიანი ნახტომის გაკეთება. ერთი მათგანი მარინე ცერცვაძე იყო. წარმატებით დასაბურვა ჭაფარიძის მეორე აღსაბურვლიც — ლია გაბელია.

სამწუხაროდ, თუიანთ შესაძლებლობებზე მნიშვნელოვანდ სუსტად იასპარეზეს დენინგარადელმა ფაფურბებთან ვაღვიანმა, სტრელოვამ. „სკოლის“ შენდევ მ. კულბიკთან დადგინდა. მაგრამ საბოლოო ქაში იგი ნიშნ ადვილზე გავიდა. ეს მდგომარეობა შეტდა დიაუპტიტულია. დენინგარადელმა ხომ ვარჯიშისთვის ვადრელებით უკეთესი პირობებია შექმნილი, გარე საქართველოში, სადაც ნორმალური ზოშის ტელევიზიის საციფურაცი კი არ არის“.

„კალენდარი-სპორტი“. 1976 წელი. „მოსკოვერი ციფურების“ საერთაშორისო ტურნირზე ჩამოსული ბევრი უცხოელი სტუმარი სახლად დარჩა, როცა მოულოდნელად მისთვის უცხო გვარები — მარინე ცერცვაძე, ლია გაბელია — გაიგონა. როგორც გამოირკვა, 15 წლის ქართველ გოგონებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ფიგურული სრიალის ყველაზე რთული ელემენტების ტექნიკაზე. ორივე სპორტსმენმა უზადოდ შეასრულა სამხრეთიანი უნიკალური ნახტომი. მართალია, მათ ვერ აჯობეს გამოცდილ კანადელ, გარ-ის, ჩენ სპორტსმენებს, ვინაიდან ჯერ კიდევ აკლდთ სტამბილური ოსტატობა, მაგრამ დენინგარადელი მისი დემოუტი მოსკოვის საციფურაოზე ყველას დაახლოება.

ქართველი ფიგურისტების დიდ ტურნირებზე გამოჩენა სასიამოვნო სიურპრიზია. ხოლო საკავშირო დათვალიერებზე მათ წარმატებებს უკვე შეეჩვიენ. ათ წელზე მეტი ხნის წინათ თბილისში ვახსნილი ფიგურული სრიალის სკოლა დიდად პოპულარულია რესპუბლიკაში. პირველ ხანებში მის მუშაობას ტონს აძლევდნენ მოსკოველი და დენინგარადელი მწვრთნელები — ელუარდ პლინერი და ვალენტინა რეტივისი. ცოტა ხანში სკოლაში აღიზარდნენ ქართველი მწვრთნელებიც. ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ირაკლი ჭაფარიძე გახლავთ, რომელმაც პირველი ნაბიჯები სწორედ ამ სკოლაში გადადგა.

1974 წელს საქართველოს ნაერები სერიოზულ გამოცდას აპირებდა სსრ კავშირის ხალხთა წამართის სპარტაკიადაზე. სერდულაგის საციგურაო ბენდიერი გამოდგა. ე. ჭაფარიძის მოსწავლეებისთვის: მარინე ცერცვაძემ კარგ სტილში შეასრულა ურთულესი ნახტომები და ნებისიერი პროგრამით სრიალში სპარტაკო ადგილი დაიხურა. ენერგიულად, ენაქტურად იასპარეზა მარინეს ამხანაგაც — ლია ვაბეღაძე.

საქართველოს ფიგურული სრიალის ნაერებმა პირველად დაიკვივრა ადგილი საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს კომპეტციებს შორის...

...ირაკლი ჭაფარიძემ ფიგურულ სრიალში ვარჯიში 11 წლისამ დაიწყო მოსკოველი სპეციალისტის ედუარდ პლანერის ხელმძღვანელობით. მწვრთნელისა და აღსაზრდელის დაუღალავი შრომის შედეგად, ერთი წლის შემდეგ, ირაკლი უკვე საქართველოს ჩემპიონია. მის შემდეგ მან კიდევ შეიძღვრა მოპოვა ეს ტიტული, ხოლო 1958 წელს მოსკოვში გამართულ მოწარდათა საქავშირო ჩემპიონატში პირველობა არავის დაუთმო. ეს უკვე სენსაცია იყო თათქმის არავის სწენოდა იმხანად „ზოიურ“ საქართველოში ახლად ფეხადგეული სპორტის სახეობის შესახებ და უკვე მოწმენდილ ცაზე მუხი გვარდა — ჩემპიონი იმ კუთხიდან, სადაც წამართობითაც კი იშვიათია თვჯა, ყინვა, ნამდვილი წამართობი. თანაც, გამარჯვება ისეთ მღიერ მებრძობებთანაა მოპოვებული, როგორცა იური ოვჩინიკოვი, სერგეი ვოლკოვი, სერგეი ჩიტვირუხინია...

1965 წლიდან ირაკლი ჭაფარიძე მწვრთნელად მუშაობს იმავე სკოლაში, სადაც თვითონ აიდა ფეხი. არცთუ ისე ხანგრძლივი დროის მანძილზე მან აღზარდა მრავალი, დღეისთვის უკვე საქმოდ აღიარებული და ძლიერი სპორტსმენი: სპორტის ოსტატები, სსრ კავშირის თახის ორჯახის მფლობელი, მოწარდათა საქავშირო პირველობის ჩემპიონი და პრიზიორი, სპორტპროფის ტურნირების მონაწილე და პრიზიორი მარინე ცერცვაძე (სხვათა შორის, 1973 წელს საქართველოს ფიგურული სრიალის ოსტატებიდან მარინეს პირველ მიენიჭა სპორტის ოსტატის საპატიო წოდება; საბჭოთა ფიგურისტ ქალღმში პირველად მან შეასრულა სამმაგი ბრუნე — ფიგურული სრიალის ერთ-ერთი ურთულესი ილეთი); მოწარდათა მრავალი საქავშირო პირველობის ჩემპიონი და პრიზიორი, 1975 წლის საქავშირო თახის გათამაშების „ვერცხლის“ პრიზიორი, იუგოსლავიის სერთა-შორისო ტურნირის „ოქროს პირუტყის“ პრიზის მფლობელი ლია ვაბეღაძე; ქაბუთა შორის საბჭოთა კავშირის თახის მფლობელი მიხეილ სიხარულიძე. სამივე სპორტსმენი, აგრეთვე, ოსინე რუხაძე, სხილი ბერძენიშვილი, ინგა ბუთიკაშვილი, ქეთირო გუჯაბაძე და გია შანყუ-

ლაშვილი შეიძღვრნენ და შედიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაერების შემადგენლობაში, ამ დამსახურებისათვის, 1974 წელს ირაკლი ჭაფარიძე ერთი თვით ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ვაგირთუში მიავლინეს საბჭოთა გოგონების ახალგაზრდული ნაერების მწვრთნელად. ამ მიღწეებისთვის აღიარეს იგი ერთ-ერთ ნიჭიერ, მოწინავე, კარგ სპეციალისტად საბჭოთა კავშირისა თუ უცხოეთში.

...ირაკლი ჭაფარიძე იწინერია, შავრამ ბავშვობის ვატაცებას ვერ უღალატა. ბევრი, ბევრი კარგი საქმე ჰქონდა ჩაუქრებელი, შავრამ ფიგურული სრიალს ვერ უღელა. ის კი არაა, სხვებიც „გამოიბირა“. ფიგურული სრიალის სკოლის უფროსი მანაველიძის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გჯახ ვაჟუვა მისივე მეგობარი, ამავე ხანწავლებლის ყოფილი მოსწავლე, ექიმი გია იაშვილი, რომელიც ამ ორ დიდ საქმეს — ექიმობასა და მწვრთნელობას წარტყობით უთავისებერთანეთს, საქართველოს ფიგურულტორის ინტელტუის სტუდენტი მარინე ცერცვაძე, რომელიც ორიოდ წელია ჩამოშორდა აქტიურ სპორტს და ახლა საქუთარ მდიარ გამოციდილებას გადასცემს ნორჩებს...

ირაკლი ჭაფარიძისა და მისი მეგობრების, მისი აღზრდილების დამსახურებაა ის, რომ ყოველწლიურად დიდი კონკურსია გამოცხადებული თბილისის ფიგურული სრიალის სკოლაში შემსვლელებისთვის. სხუთი წლის „ამიტურ-რიენტებმა“, ბუნებრივია, ჭერ კიდევ არ იციან ხალწავლობდნენ, რა საქმეს აკეთებენ, ვისი მიმკვიდრენი არიან. მათ მხოლოდ ყინული უყვართ, ყინულის მოედანი, ციგურები, სრიალი. და, რაოდენ სასხარულაა, რომ ქართველი ფიგურისტების მრავალი თაობის ოცნებას, როგორც ექნა, ფრთებიც თხიხება — გადაწყვედა გაფართოვდეს თბილისის საციგურაო მოედანი. რამდენი ნორჩისა და მოწარდის მადლს მოისხამენ ამ საქმის მოთავენი!

...დღესდღეობით კი ირაკლი ჭაფარიძე, გია იაშვილი, მარინე ცერცვაძე და სხვები ისევ ძველ საციგურაოზე არიან, ჭანმრთელი, კუნთ-მაგარი ნორჩების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან გულმოდგინებით. იმედი უნდა ვაქონიოთ, რომ ამ ნორჩებს მაინც მოესწრება თანამედროვე ტიპის, სტანდარტული წომის საციგურაო, რისი წყალობითაც ისინი გააგრძელებენ იმ ციგურაოკის მშენებლობას, რომელიც ამ ათი-თხუთმეტე წლის წინ დაიწყეს ირაკლი ჭაფარიძემ, მარინე ცერცვაძემ, სხვებმა და სხვებმა და, რომელიც ერთხელაც არ ჩამოწარტყვიან; დღევანდელმა და სხვაინდელმა ნორჩებმა ბოლომდე უნდა ააგონ ეს ციხე-სიმაგრე! ამისთვის იღწოდნენ „ძველი გვარდის“ წარმომადგენლები. დაუფასდათ კი? ენახოთ, ალბათ, დაუფასდებათ!

კულტურული ცხოვრების ქ რ ი ნ ი ა



გ ე ლ გ ი ა

მ, რა მძიმება მდინარის ლუჯაბა

კიდეზ რა გვაგვლებათ თქვენი პირადი სამსახურებრივი მოვალეობის ვარდა? ასეთი გამოკითხვა ჩატარდა ამას წინათ ბელგიის მდივან-ქალების შორის.

აღმოჩნდა, რომ ყოველი 100 შეფიდან 79 გამოუღებოდა ითხოვს ერთ ღინჯან ყავას, 61 — ავალტებს მდივანს პირად მიმოწერას, ხოლო 43 — თავისი საქმეების მოგვარებას. უფროსების დაახლოებით ნახევარის აზრით, მდივანი-ქალი მას შევებულების დროსაც კი უნდა ახლდეს. დაბოლოს, მდივანების 16 პროცენტი თავისი შეფის პერსონალური მოთვრაც ვახლავთ.

გ ღ რ

ფესხაცამლის მუშაური

8000 წაჰვილ სხვადასხვა ფესხაცამელს ითვლის ვაისენფელსის (მალეს ოლქი) უნიკალური ფესხაცამლის მუშეუ-ში. აქ წარმოდგენილია ინდიელთა მოკასინები, ძველი ჩინეთის მინიატურული ქოშები, შუა საუკუნეების ეპოქის გლეხური ფესხაცამელები და თანამედროვე მოდელები. ექსპონატებს შორის უძველესია პაპირუსის სანდლები, რომლებიც სამი ათასი წლისაა.

მ გ ვ ი კ ტ ი

ორჯერ მონიარვა

რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა მიმოწერა კაიროსა და სან-ფრანცისკოს მუშეუ-

შებს შორის. ეგვიპტელი ხელოვნებისმცოდნეები ითხოვდნენ ქანდაკების დაბრუნებას, რომელიც კაიროში მოიპარეს და მერე სან-ფრანცისკოს მუშეუშემის დავალებით შეაბარაწე შეიძინეს.

ბოლოს და ბოლოს, სან-ფრანცისკოს მუშეუშემის დირექტორი დათანხმდა ისტორიული რელიკვიის დაბრუნებას, რომელიც დაახლოებით 8500 წლისაა. ქანდაკება შეფუთეს და ეგვიპტეში გაგზავნეს, მაგრამ ძველმა კაირომდე ვერ ჩააღწია. როგორც პოლიციამ დაადგინა, ანტიკური ხელოვნების ქმნილება ნიუ-იორკის სანავსადგურო საწესრიგად მოიპარეს.

სვინძვი მძიმე ავადია

რომელიც ამერიკული ვაჭრები „ინტერნეშნლ შერაიდ ტრიბიუნის“ იტყობინება, ეგვიპტის დიდი სფინქსი ძალზე დაზიანებულია და გამოუღებულ მოვლას საჭიროებს.

სფინქსის ტანი კარგადა შენახულია, მაგრამ თავი ძალიან შეღებულია: აქლია ცხვირი, მარცხენა თვალი დაეღმებული გამოიყურება, და საერთოდ, სახის მარცხენა მხარე უღმობილად დააზიანა ათასწლეულების განმავლობაში უამინდობამ, ქარქვიშამ და საშუმმა.

სფინქსი მთლიანი კლდისაგან გამოკვეთეს ფარაონ ჰეფრენის ბრძანებით: მისი სიგრძე 57 მეტრია, სიმაღლე — 20 მეტრი. სფინქსს სხეული ღომისა აქვს, სახის ნაკვთები კი თვით ფარაონ ჰეფრენისა. რაკი დიდი სფინქსი აღმოავედრისაქენ იუფრებოდა, ამოშავდა მწეს შესცქეროდა, თავ-

დაშირველად ეგვიპტელები მას მწიხს ღმერთად მიიჩნევდნენ, მაგრამ მოგვიანებით არაბებმა სფინქსს „აბუ-ელ-ხოლი“ შეარქვეს, რაც „საზარების ღმერთს“ ნიშნავს.

ახლა მცენიერებს განზრახული აქვთ შექმნან ძველის გარშემო ტუიანი წოლი და ამით დაიცვან იგი ქარებისაგან.

ვ ე ნ ე ს უ ე ლ ა

ინდიური ცივილიზაციის სანიშნავი მოვლა

ბნელების მთისწინეთში, კარაკასიდან 500 კილომეტრზე, ბარინასის შტატში აღმოაჩინეს უძველესი ინდიური ქალაქი. იგი დაახლოებით 8000 წლის უნდა იყოს.

აღმოჩენა ეკუთვნის გამოჩენილ არქეოლოგს ესტებან რუის გევარას, რომელმაც მანამდე იპოვა რამდენიმე ძველი ინდიური დასახლება. მცენიერის სიტყვით, აღმოჩენილ ქალაქს გარს არტყია ხუთი კილომეტრი სიგრძის კედელი. თვით კედელი ქვით არის ნაგები და აცტეკთა უკვე ცნობილ ნაგებობებს ჩამოგავს. ქალაქის გულში ჯერ კიდევ არ დაწყებულია გათხრები, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეს აღმოჩენა მზისგულზე გამოიტანს ინდიური ცივილიზაციის მრავალ საიდუმლოებას. ვენესუელელი არქეოლოგის აზრით, ნაგებობანი მოწმობს აქ არსებულ კულტურის მაღალ დონეს, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო მაიასა და აცტეკების ცივილიზაციასთან, იმ ინდიელი ხალხების ცივილიზაციასთან, მექსიკისა და გვატემალის ტერიტორიაზე რომ სახლობდნენ.

ტაშულის ერთ-ერთი ელექტროტექნიკური კომპანია შეუდგა მინიატურული, ელექტრონული „ტაშულის დემეტროსის“ გამოშვებას, რომელიც ფართოდ გამოიყენებენ ჭიდვა-გაყოფვის ოპერაციების, სამუშაოზე ახალი მუშაკების მიღების და სხვ. დროს.

ელექტრონული „ტაშულის დემეტროსი“ პატარა აპარატია, რომელიც შეიძლება შეუერთო ტელეფონს ან მიკროფონს, როცა საუბრის დროს ვინმე ტაშულის ამბობს ან რაღაცას მაღავს, მაშინ მისი ხმის ბგერათა სიმშორეში ხდება ცვლილებები, რასაც სმენით ვერ აღიქვამ, მაგრამ მგრძნობიარე აპარატს არ გამოეპარება. „ტაშულის დემეტროსის“ პანელზე ორი ნათურაა — მწვანე და წითელი. როცა თანამოსაუბრე მართალს ლაპარაკობს, მწვანე ნათურა ანთია, ხოლო როდესაც ტაშულის — წითელი.

ახეთი აპარატები უკვე ასზე მეტ კომპანიაში დაიდგა.

ინდოეთში არის ერთი „მკვდარი“ ქალაქი ფატემპურ სიკრი. ამ ქალაქში ახლა არავინ ცხოვრობს, თუმცა ჯერ კიდევ სამასი წლის წინათ 200 000 მცხოვრებელს ითვლიდა.

ფატემპურ სიკრი უდაბნოში გააშენეს 1569 წელს ინდოეთის საჰეთმპურობელის, დიდი მოგოლების დინასტიის მეფის აკბარის ბრძანებით. ეს ქალაქი ახლაც გვაოცებს ღამაში არქიტექტურით. აქ იყო ვახაოვარი ქვაფენილები, სურნელოვანი ბაღები და მეფის სასახლე.

დღემდე უცნობია ქალაქის წყალმომარაგების სისტემა. ბორცვზე გაშენებული ქალაქი შეუფერხებლად მარაგდებოდა ანკარა წყაროს წყლით.

მაგრამ ქალაქის დაარსებიდან გავიდა სულ 15-20 წელიწადი და იგი თანდათანობით დატოვა მოსახლეობამ. ისტორიკოსებმა აქამდე ვერ გაარკვიეს ამის მიზეზი.

ახლა „მკვდარი“ ქალაქი ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრი გახდა ინდოეთში. ხელისუფლები არაფერს იშურებენ მის აღსადგენად.

მდინარე რიო-ნეგროს (შავი მდინარის), ამაზონის ერთ-ერთი შენაკადის ხეობა საინტერესო თავისებურებით გამოირჩევა: აქ არ არის მწერები, თუმცა რიო-ნეგროს დაპოხებულ ვაკეზე მოედინება.

ამაზონისა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ზოგიერთი სხვა მდინარისაგან განსხვავებით რიო-ნეგროს მთებში იქ არ იღებს სათავეს, არამედ ქანობიან ვაკოზე. წყალდიდობის დროს მდინარეს ტროპიკული ჭრუგლიდან გამოაქვს ხე-ტყის ნარჩენების უზარმაზარი რაოდენობა. სწორედ ამის გამო აქვს მდინარეს ის ფერი, რისთვისაც შავი შეეძენება.

ბიოლოგების აზრით, ხე-ტყის ნარჩენები შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც კლავს მწერებს. ახლა მეცნიერებმა უნდა გამოარკვიონ, რომელი მცენარეები მოქმედებს ასე შავ მდინარეზე. მაშინ შესაძლებელი იქნება ამ მცენარეებისაგან ძვირფასი პრეპარატებისა და მედიკამენტების გამოშვებება.

ზარეკანის მე-2 გვერდზე ქანდაკება — „ბოროტსა სძლია კეთილმან“. მოქანდაკე ელგუჩა ამაშუკელი.

კრიტიკისა და ბუზნიციანობის განყოფილება მასალებს მიიღებს შიიღებს არა უმეტეს ერთი ხანატორო თაბახისა.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პაროზის — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-82, „იხუცრის“ დამატება — 72-17-01, ხაყორექტორი — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 17. 5. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 6. 79 წ., ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობითი ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15 85. შეკვ. № 1472. უფ 00748, ტირაჟი 37.100.

საქართველოს ტ. ცკ-ის გამოცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Гбилиси, ул. Ленина, 14.

ბ. 152/103



3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236